ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

დავით ნასყიდაშვილი

ფასისის ქვეყანა - დისპერსიული ურბანიზაცია, ანტიკურობიდან გვიან შუა საუკუნეებამდე

არქეოლოგიის დოქტორის (Phd) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

პროფესორი ვახტანგ ლიჩელი

2023

მადლობის წერილი

ჩემს სადისერტაციო ნაშრომს ვუძღვნი **დედას** და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს **გურამ გრიგოლიას**, რომელმაც მრავალი წელი შესწირა ფასისის კვლევას.

განსაკუთრებულად დიდ მადლობას ვუხდი ჩემს აღმზრდელს, სამეცნიერო ხელმძღვანელსა და მასწავლებელს - **პროფესორ ვახტანგ ლიჩელს**.

დიდი მადლობა ჩემი ოჯახის წევრებს მხარდაჭერისათვის, კერძოდ: ბეჟან ნასყიდაშვილს, მარიამ ნასყიდაშვილს, ქეითი კემპბელს, ქრისტოფერ იში ფრანკლინს, ალექსის იში ფრანკლინს. ჩემს მამიდებს: ჟუჟუნა და მზია ნასყიდაშვილებს. ჩემს განსაკუთრებულ ბაბოს - მარიამ მაისურაძეს.
უღრმესი მადლობა უფროს კოლეგა არქეოლოგებს, რომლებმაც გამიზიარეს და გადმომცეს ცოდნა კოლხეთის არქეოლოგიის შესახებ, კერძოდ: **არქეოლოგებს რევაზ და ნანა პაპუაშვილებს** - კოლხური კულტურის გამორჩეულ მკვლევრებს. **გოგიტა ჩიტაიას** - კოლხეთისა და ხობის არქეოლოგიის მემატიანეს. ფაზისისა და კოლხეთის ექსპედიციის მონაწილეებს: **ზოლინი გაბელაისა** და მის დიდ ოჯახს - **ლალი ახალაიას, თენგიზ ესებუას. ზვიად კვიციანს** - თსუ ასოცირებულ პროფესორსა და სვანეთის ექსპედიციის ხელმძღვანელს.

ჩვენი კვლევის ძირითადი ნაწილი შესრულდა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის ბაზაზე, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდი მის ყველა თანამშრომელს:
ელენე გაბლიანს - ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის დირექტორს.
გიორგი ჟველიას - ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის თანამშრომელს.
ემანუელე ე. ინტაგლიატას - მილანის უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორსა და ჩემს მეგობარს, რომელიც ადგილზე მეხამრებოდა არქეოლოგიურ დაზვერვებსა და კოლხეთის მუზეუმში ჩატარებულ კვლევაში.
ებერჰარდ ვ. ზაუერ - ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორს.

ჩემს მეგობრებსა და თანატოლ კოლეგებს: **შიო სიმსივეს, ანა გაბუნიას, დათა გაგოშიძეს, საბა ბუგიანიშვილს, ამირან ნადირაშვილს, მარიამ კოხრეიძეს, თათია მამალაშვილს, ალეკო ზავრადაშვილს, გიორგი ხაბურზანიას, სულიკო კოხრეიძე, სოფო პაატაშვილს, ალი ჭუმბურიძეს, საბა ტეფნაძეს, თამარ ლეჟავას, კობა კობერიძეს, ანა თეთრუაშვილს, თამარ გიორგაძეს, ლანა ჩოლოგაურს, თათია ბუწურაძეს, ნოდარ თხელიძეს, ლაშა სუხიშვილს.**
ჩემს კოლეგა ისტორიკოსებსა და მეგობრებს, რომლებმაც მიმითითეს არაერთ ისტორიულ ცნობაზე და დამეხმარნენ მათ მოძიებაში: **შოთა მათითაშვილის, ალექსანდრე ბოშიშვილს, აკაკი ჩიქობავას, ემილ ავდალიანს, ჰარუთიუნ ჰუდადიანს.**

უდიდესი მადლობა ჩემს უნივერსიტეტს, მის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, რომლებიც არაერთი წელია, მხარს მიჭერდნენ, რათა შეუფერხებლად მეწარმოებინა კვლევა და მიმეღწია კარიერული წარმატებისათვის. განსაკუთრებული მადლობა: პროფესორ ნანა გაფრინდაშვილს, ასოცირებულ პროფესორ ეკატერინე ნავროზაშვილს, პროფესორ თედო დუნდუას, პროფესორ თეიმურაზ პაპასქირს, ნათია ფუტკარაძეს, რუსუდან რუსიშვილს, ფიქრია ვარდოსანიძეს, თამარ მოკვერაშვილს.
განსაკუთრებული მადლობა **შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს,** რომლის ფინანსური დახმარებით შესრულდა სადოქტორო კვლევა (საგრანტო პროექტი - DO/173/2-105/14).

სარჩევი

შესავალი 5

ცნობები ქალაქ ფასისის, მდინარე რიონისა და ფასისელების შესახებ 9

ბესარიონ გოგოლიშვილის რუკის ლეგენდათა განმარტებანი 74

ფასისის ქვეყნის არქეოლოგიური ძეგლები 80

ადრე-ანტიკური ძეგლები (VI-III საუკუნეები) 81

ელინისტური პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. ძვ. წ. III-I საუკუნეები 91

გვიან-ანტიკურისა და ადრეული-შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები . 93

შუა საუკუნის და ფოთის ურბანიზაციემდელი არქეოლოგიური ძეგლები. 113

ფასისის ლანდშაფტი და მდინარე რიონის მორფოლოგია 122

ხმელეთის მომატების ტენდენცია ფოთის არეალში და ზღვის ტრანსგრესია რეგრესიის საკითხები. 129

ქალაქ ფასის-ფოთის ურბანიზაციის მოდელი ატიკური პერიოდიდან გვიან შუა საუკუნეებამდე. 134

ქალაქ ფასისის პირველი ფაზა 134

ქალაქ ფასისის მეორე ფაზა - ელინიზმი 147

ფასისი ციხე-ქალაქების ეპოქაში (I-VIII - საუკუნეები) 148

ფოთი/ფასისი შუასაუკუნეებში 150

დასკვნა 153

ტაბულების აღწერილობა 158

ბიბლიოგრაფია 160

აბსტრაქტი

სადისერატციო ნაშრომში განხილულია ანტიკური ქალაქი ფასისის ისტორია, უძველესიდან ახ.წ. XIX საუკუნემდე. ნაშრომი განიხილავს სამოცზე მეტ ისტორიული ხასიათის ცნობას და სხვადასხვა ავტორიტერული მკვლევარების შეხედულებას ქალაქის ლოკალიზაციის შესახებ. გარდა ამისა, დისერტაციაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ქალაქის შუასაუკეების ისტორიას, რომელიც აქამდე არსებულ კვლევებში სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა. კველევაში გამოყენებულია გეოგრაფიული საინფორმაციო ტექნოლოგიები, აეროფოტო გადაღება და ასე შემდეგ. არსებულ სადისერატიო ნაშრომში წარმოდგენილი ახალი მოსაზრება ფასისის ურბანიზაციის შესახებ, რომელიც გულისხმობს ქალაქის დისპერსიულ დაგეგმარებას, რაც მთავარი თავდაცვითი მექანიზმი იყო მდინარე რიონის მოვარდნებისგან თავდასაცავად.

კვლევა შესრულდა ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის ბაზაზე, სადაც მეცნიერეულად დამუშავდა კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიისა (ხელმ. თეიმურაზ მიქელაძე) და ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმ. გელა გამყრელიძე) მიერ მოპოვებული კერამიკის არტეფაქტები.

Abstract

The research paper is focused to the archaeology and history of the ancient city of Phasis from Greek colonies up to the 19th century. It discusses more than 60 historical sources and reviews different scholars' opinions about the localisation of the city. In addition, an important part of the thesis is devoted to the medieval history of Phasis, which is frequently neglected in previous studies. In order to achieve goals of the research multiple remote sensing techniques were used such as: GIS, aerial photographs, photogrammetry etc.

I conclude that a dispersed urbanization model best fits the historical and archaeological evidence and was the only option to defend the city from hazardous flooding from the river Rioni.

The research was carried out using the Poti - Colchian Culture Museum as a base, where archival collections were studied for the presented dissertation. Further material discovered during new archaeological survey and excavation were deposited at the museum by the Kolkheti Archaeological Expedition (led by Teimuraz Mikeladze) and the Hydroarchaeological Expedition (led by Gela Gamkrelidze).

შესავალი

ჩვენს რეგიონში ქალაქ ფოთი-ფასისის არქეოლოგიისა და ისტორიის კვლევა ერთ-ერთი მრავალწახნაგოვანი თემაა. ფასისის საკითხის შესწავლას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, ხოლო თავად ქალაქის ისტორია, თითქმის 3 ათასწლეულს მოიცავს. ქალაქის კვლევის ძირითადი ფოკუსი მის საწყისებსა და ანტიკურ წარსულზეა კონცენტრირებული, რაც, თავისთავად, გამოწვეულია ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების სიმრავლით, რომელთაც დაჰკრავს როგორც მითოლოგიური, ასევე - ისტორიული ელფერი.შესაბამისად, ორსაუკუნოვანი კვლევის მთავარ გამოწვევად იქცა ქალაქის ლოკალიზაციის დადგენა. აქედან გამომდინარე, ქართული არქეოლოგიის მოწინავე მეცნიერებმა და სამეცნიერო ინსტიტუტებმა მიზნად დაისახეს ქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრა. ჩამოყალიბდა არაერთი მუდმივმოქმედი ექსპედიცია[1], ამ საკითხს მიეძღვნა სამეცნიერო სესიები, გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი, სტატიები, თუ მონოგრაფია.

საკითხის სამეცნიერო წრეში გადმოტანასა და განხილვას საფუძვლად დაედო ევროპელი და რუსი მოგზაურების მიერ შემონახული ცნობები, რომლებიც ინსპირირებული იყო არგონავტების მითით და ასე, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ფასისის ლოკალიზაცია გადაიქცა ქართული არქეოლოგიის თითქმის ამოუხსნელ ამოცანად.

აღსანიშნავია, რომ ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ გამოითქვა ცამეტი სხვადასხვა მოსაზრება. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს კიდევ ერთი ვერსიის წამოყენება, რომელიმე რელევანტური მოსაზრების გადასინჯვა, ან/და რომელიმე კონკრეტული აზრის მხარდაჭერა. ჩვენი კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება წერილობითი წყაროების ანალიზს, არქეოლოგიურ დაზვერვებს, საველე სტაციონარულ გათხრებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას კვლევაში და სამუზეუმო რუტინულ სამუშაოს.

უკვე ჩატარებული კვლევების გაცნობისას, არსებულ მოსაზრებებში აღმოვაჩინეთ სივრცეები რომელიც საჭიროებდა ახალ მიდგომას. უმთავრესად

---

[1] კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო - თეიმურაზ მიქელაძე. აღსანიშნავია გურამ გრიგოლიას მიერ შესრულებული მრავალწლიანი არქეოლოგიური დაზვერვები. ასევე, გ. გამყრელიძის ხელმძღვანელობით ფოთის მიდამოებში შესრულებული რამდენიმეწლიანი ჰიდროარქეოლოგიური კვლევა; კოლხეთის დაბლობზე, კერძოდ, ჭალადიდსა და რიონის სანაპიროებზე რ. პაპუაშვილის მიერ წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები.
ბოლო 10 წელია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ს/ს ინტიტუტი აწარმოებს რამდენიმე სადაზვერვო ხასიათის გათხრებს ფოთის მიდამოებში, ხელმძღვანელი - ვახტანგ ლიჩელი

უნდა აღინიშნოს წერილობითი წყაროების ანალიზი. ჩვენს ხელთ არსებული კვლევების უმეტესობა, რომლებიც ემსახურება ადგილმდებარეობის განსაზღვრას, კონცენტრირებულია ბერძნული კოლონიიდან გვიანბიზანტიური პერიოდის ქალაქის ადგილმდებარეობის დადგენაზე. არ ყოფილა მცდელობა განვითარებული შუა საუკუნეების ფოთი/ფასისის ადგილმდებარეობის განსაზღვრისა. ჩნდება განცდა, რომ ქალაქი წყვეტს არსებობას. ამდენად, მიზნად დავისახეთ, სწორედ, ამ პერიოდის შესახებ ქალაქზე არსებული ცნობების შეგროვება და ანალიზი, თუმცა ამის მიუხედავად, მოვახდინეთ ანტიკური პერიოდის, ბერძნული და ბიზანტიური წყაროების რევიზია.

ცნობების შეგროვებისა და მათი ანალიზის შემდგომ გამოიკვეთა კიდევ ერთი მიმართულება. თავისთავად, გაჩნდა შეკითხვა - რა სახის ურბანული განვითარების მოდელში თავსდება ქალაქი ფოთი-ფასისი?! რა ისტორიული და გეომორფოლოგიური მოცემულობები უნდა გაევლო ქალაქს, რომელიც საბოლოო ჯამში განაშენიანდა როგორც კონცენტრული ხასიათის ურბანიზაცია, რომელსაც თანამედროვე ფოთი ჰქვია და მისი თანამედროვე სახე უკავშირდება გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს - ნიკო ნიკოლაძეს. ნაშრომი არის ერთგვარი ისტორიული და არქეოლოგიური დისკურსი თემისტაგორა მილეტელიდან ვიდრე ნიკო ნიკოლაძემდე.

დღესდღეობით, ქალაქი ფოთი წარმოადგენს ქართული სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურს, რომელიც ემსახურება ე.წ. ევრაზიულ შუა დერეფანს და აკავშირებს აზიასა და ევროპას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი უმთავრესი სავაჭრო ცენტრია, რომელსაც არა მარტო ლოკალური ხასიათის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, არამედ, ფართომასშტაბიანი რეგიონული ფუნქციაც გააჩნია. ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს ფოთს მეხუთე საუკუნის ანონიმი ავტორი, რომელიც ქალაქში 60 ენაზე მოსაუბრე ტომსა და ბარბაროსებს ასახლებს, რომლებიც ინდოეთიდან და ბაქტრიიდან ჩასულან.

სათაურის განმარტებისათვის

გამოჩენილ ქართველ არქეოლოგს ნინო ხოშტარიას ეკუთვნის მოსაზრება ფოთისა და ქალაქი ფასისის ერთსა და იმავე ადგილას მდებარეობის შესახებ, და სწორედ, თანამედროვე ფოთში ათავსებს მკვლევარი ქალაქის ადგილმდებარეობას. შემდგომ პერიოდში კი, გელა გამყრელიძე საკუთარ მონოგრაფიებსა და სტატიებში ერთდროულად, ერთსა და იმავე კონტექსტში ახსენებს ქალაქს, მაგალითისათვის მის ერთ-ერთ კვლევას ეწოდება - „ქალაქ ფასისის (ფოთის) ტოპოარქეოლოგიისათვის“. ჩვენც ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, აღნიშნულ კონტექსტში არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, თუ სად მდებარეობს ქალაქი. ფოთი და ფასისი არის ერთი ქალაქის ორი სახელი, ბერძნული და ქართული.

დავით ხახუტაიშვილს ეკუთვნის მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „ქობულეთის ქვეყანა“, რომელშიც იგი მიმოიხილავს ქალაქსა და მის შემოგარენში არსებულ არქეოლოგიურ ძეგლებს. (ხახუტაიშვილი, 1995, გვ. 3)

ფსევდო-ჰიპოკრატე ფასისს უწოდებს „ხორას“, რომელიც ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც ქვეყანა. გარდა ამისა, არსებობს წერილობითი ცნობები ფასისის შესახებ, რომლებშიც ფასისი მდინარის რეგიონის კონტექსტშია მოხსენიებული და არა ქალაქის. ზემოაღნიშნულ ცნობებს განვიხილავთ სადისერტაციო ნაშრომის მომდევნო თავში.

პირველად არქეოლოგიურ კონტექსტში ტერმინი „ფასისი ქვეყანა“ გამოიყენა არქეოლოგმა თეიმურაზ მიქელაძემ. (მიქელაძე, 1978, გვ. 72)

ამრიგად, ზემოთ დასახელებულმა ფაქტორებმა განაპირობა სათაურის პირველი ნაწილი - ფასისის ქვეყანა.

რაც შეეხება მეორე ნაწილს - დისპერსიული ურბანიზაცია, ამ ტერმინში ვგულისხმობთ ქალაქის „გაფანტულ დაგეგმარებას“. ქართულ არქეოლოგიაში არსებობს „სატელიტური ნამოსახლარების“ ტერმინი, რომელიც ცენტრალიზებული ბორცვის გარშემო, სხვა მომცრო ზომის სატელიტურ ნამოსახლარებს გულისხმობს, თუმცა ამ უკანასკნელს ცენტრალიზებული ფორმა აქვს.

ჩვენი ძირითადი ამოცანაა, ყურადღება გავამახვილოთ ქალაქის ისტორიის მთლიან მონაკვეთზე ფასისიდან ფოთის ცენტრალიზირებულ ურბანიზაციამდე. ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო-საარქივო და არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია, ცხადად ვიმსჯელოთ ფასისის გვიანდელ ისტორიაზე, მისი ადგილმდებარეობის შესახებ, სოციოეკონომიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. ქალაქის გვიანდელი ისტორიის კვლევა და ფაქტების წინ წამოწევა დაგვეხმარება ქალაქის ადრე შუა საუკუნეებისა და ანტიკური წარსულის აღდგენა-წარმოდგენაში. აღნიშნულ კვლევით მიდგომას განსაკუთრებულად ამმაფრებს გვიანი შუა საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის ქართული და არაქართული წერილობით-კარტოგრაფიული მასალა, რომელშიც აშკარად ფოთი და ფასისი ერთმანეთთანაა გაიგივებული.

ქრონოლოგიური თვალსაზრისით, მიმოვიხილავთ ძვ. წ. VII - ახ. წ. XIX საუკუნეების წერილობით წყაროებს. აგრეთვე, განვიხილავთ მათ თანხვედრას ფოთში გამოვლენილ მოკრძალებულ არქეოლოგიურ მონაცემებთან. ფოთის მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები და სადაზვერვო სამუშაოები მხოლოდ ადრე შუა საუკუნეებისა და უფრო ადრეულ პერიოდის გამოვლენაზე იყო ორიენტირებული. არსებობს არაერთი მოსაზრება ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ, თუ სად შეიძლება ყოფილიყო ქალაქი, თუმცა იგივე მასშტაბის კვლევა შუა

საუკუნეების ფოთი-ფასისი[2] შესახებ არ ჩატარებულა. ქართველი მეცნიერების უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას ქალაქის ადგილმონაცვლეობის შესახებ, რაც, ნამდვილად ლოგიკური დასაბუთებაა ადგილობრივი გეომორფოლოგიური მონაცემებისა და ლანდშაფტის გათვალისწინებით.

მოსაზრებები ფასისი-ფოთის ადგილმდებარეობის შესახებ

არსებული კვლევების მიხედვით, როგორც აღვნიშნეთ, არსებობს 13 მოსაზრება ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ. თავიანთ ნაშრომებში მკვლევრებმა - დარეჯან კაჭარავამ და გურამ კვირკველიამ თავი მოუყარეს თორმეტ მოსაზრებას , რომლებსაც, ანოტაციების სახით, ქვემოთ წარმოვადგენთ:

1. დიბუა დე მონპერემ, წერილობითი წყაროების ანალიზის საფუძველზე, რომაული პერიოდის ფასისის ადგილმდებარეობა განსაზღვრა რიონის მარცხენა სანაპიროზე.
2. ფ. ბრუნის აზრით, არიანეს დროინდელი (II საუკუნე) ფასისი პალიასტომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა მდებარეობდეს და გამოთქვამდა ვარაუდს, რომ გეომორფოლოგიურ ცვალებადობას ზემოქმედება უნდა მოეხდინა ქალაქის ადგილმდებარეობაზე.
3. ნ. შაფრანოვის შესწავლით, ფასისი მდებარეობდა სხვადასხვა ადგილას. უძველესი დროის ფასისი უნდა ყოფილიყო პალიასტომის სამხრეთ სანაპიროზე, ხოლო არიანეს დროინდელი ქალაქი - რიონის სამხრეთ სანაპიროზე, პატარა ფოთის გადაღმა.
4. ლ. ელნიცკის აზრით, რომაული პერიოდის ქალაქი ფასისი მდებარეობდა რიონის შესართავთან, მდინარის მარცხენა სანაპიროზე.
5. ბორის კუფტინმა წამოაყენა მოსაზრება ქალაქის ადგილმდებარეობის ცვალებადობასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ფასისის ადრეული ეტაპის ქალაქის ლოკალიზება ფიჩორის აუზს უკავშირდებოდა. მკვლევარი, ასევე, ხაზს უსვამდა, რომ ქალაქი ყოველთვის მდებარეობდა რიონის მარცხენა სანაპიროზე.
6. მაქსიმე ბერძნიშვილიც ემხრობოდა მოსაზრებას, რომ ქალაქი იცვლიდა ადგილმდებარეობას, თუმცა, მასაც მიაჩნდა, რომ ქალაქი ყოველთვის მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობდა. კლასიკურ და ბიზანტიურ პერიოდში პატარა ფოთის გადაღმა, ხოლო არიანეს დროინდელი ქალაქი კი იყო იქ, სადაც დიბუა დე მონპერემ მიაკვლია ციხის ნანგრევებს.
7. ნინო ხოშტარიას მიაჩნდა, რომ ქალაქი ფასისი ყოველთვის ქალაქ ფოთსა და მის შემოგარენში არსებობდა.
8. გ. მელიქიშვილიც იზიარებდა ნინო ხოშტარიას მოსაზრებას, რომ ფასისი ფოთსა და მის შემოგარენში მდებარეობდა.

---

[2] ცნობები და მოსაზრებები ქალაქის ადგილმდებარეობის შესახებ შეაგროვა და გამოსცა გ.გამყრელიძემ (გამყრელიძე 2012) სურათი N1. ფასისის ადგილმდებარეობის გარეშემო არსებული ვერსიების შესახებ,ასევე,იხილეთ ვახტანგ ლიჩელის სტატია (ლიჩელი 2016:122).

9. ნოდარ ლომაური ქალაქის ლოკალიზაცია იყო ადგილ ნაჯიხურზე, რომელიც მდინარე რიონიდან 500 მეტრით იყო დაშორებული.

10. გურამ გრიგოლია კლასიკური პერიოდის ფასისს მდინარე ფიჩორის მარცხენა სანაპიროზე ათავსებდა, ხოლო არიანესა და აგათიას დროინდელ ფასისს -ადგილ ნაჯიხურზე.

11. ჭ. ჯანელიძე ეყრდნობა გეომორფოლოგიურ მონაცემებს და, მისი აზრით, ქალაქი შედარებით სიღრმეში, პატარა ფოთისა და ჭალადიდის არეალში უნდა ყოფილიყო განთავსებული, 2-3 მეტრის სიმაღლეზე.

12. თეიმურაზ მიქელაძე და ოთარ ლორთქიფანიძე ეხრობიან ქალაქის ადგილმდებარეობის მონაცვლეობას, რომელიც გამოწვეული იყო გეომორფოლოგიურ ცვალებადობით. თუმცა, მკვლევრების მტკიცებით, ფასისი ყოველთვის ზღვის სანაპიროზე უნდა ყოფილიყო გადაჭიმული.

13. გელა გამყრელიძე III – VIII საუკუნეების ქალაქის ლოკალიზაციას, პალიასტომის სამხრეთ დასავლეთით მდებარე ნატეხებზე მოიაზრებს, რომლებიც ტაბშია ჩაძირული (Качарава, Квирквелия, 1991, გვ. 290-291).

14. ვახტანგ ლიჩელის აზრით, ადრეული ეტაპის ქალაქი ბევრად უფრო სიღრმეში, ზღვიდან მოშორებით, საგვიჩიოს გადაღმაა საძებარი, სადაც პროფ. გურამ გრიგოლიას მიერ მიკვლეულია არაერთი დიხაგუძუბა/ხელოვნური ბორცვი (ლიჩელი, 2021, გვ. 66-67) (Licheli, 2016 გვ. 119-128).(ტაბულა I)

კოლხეთის ცენტრალურ სანაპირო ზოლზე არსებული არქეოლოგიური ძეგლების შესახებ ინფორმაცია შეკრებილია დ. ახვლედიანის მიერ, რომელმაც ასევე, თავი მოუყარა მოსაზრებებს ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის შესახებ. (ახვლედიანი, 2017, გვ. 14)

ტოპონიმიკა

საქართველოში არსებულ სახელწოდებათა შორის, ალბათ, ყველაზე უფრო რთული და კომპლექსური წარსული აქვს ქალაქ ფასისს-ფოთს. გამომდინარე სხვადასხვა პერიოდის, ეპოქალური ცვლილებებისა და ენობრივი შერევებისა ფასისის ტოპონიმი ისტორიული ხანის ეპოქაში განსხვავებული ინტერპრეტაციით გვხვდება. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია წარმოვადგინოთ მაქსიმე ბერძნიშვილის მიერ შესრულებული ტოპონიმთა ცხრილი, რომელიც დაფუძნებულია ე.წ. კომპასურ (პორტალანი) რუკებზე არსებულ ტოპონიმიკაზე:

კომპასურ რუკათა ავტორები	ფაზისი
ვესკონტე 1318 წ.	Faxo
Luqsoro XV ს. დას.	Lofaxio
უსახელო 1351 წ.	Fasso
ძმ. ციციგანი 1367 წ.	Faxio
კატალანისა 1375 წ.	Fasso
პასკვალინი 1408 წ.	Fasso

ბიანკო 1436 წ.	F. Fasio[3]
ბენინკაზა 1480 წ.	faxıo
ფრედუჩე 1497 წ.	Faxıo
მაიოლლო 1519 წ.	Isola de Colchıs
(ბერძნიშვილი 1969:183)	

მაქსიმე ბერძნიშვილის მიერ ნახსენებ კომპასურ რუკებზე სახეცვლილი ტოპონიმიკაა, რომელმაც ხანგრძლივი ეპოქალური და კულტურული მუტაცია განიცადა.

აღსანიშნავია ფასისის ტოპონიმის კიდევ სამი ვარიანტი, ქართული, სომხური და თურქული. ქართული - ფოთი; თურქული - ფაშ-ი/Faşi/ სომხური; [4]فاش - ფიოთ/ფორთ/ՊՅՈԹ. [5];

აუცილებელია, ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრებაში“ იყენებს ბერძნულ/ქართულ „Φ-ს“, როდესაც ახსენებს ფოთის ციხეს, შესაბამისად, Φოთი და Φასისი, კიდევ უფრო ლინგვისტურად. ფოთ-ფასისის ერთი და იგივეობის შესახებ პირველად გიორგი მელიქიშვილმა ისაუბრა, ბერძნული წერილობითი წყაროებისა და ქართული ტოპონიმის ანალიზის საფუძველზე (მელიქიშვილი, 1965, გვ. 50-59),

აღსანიშნავია ქართული არქეოლოგიისა და ისტორიის მკვლევრის დევიდ ბრაუნდის დაკვირვება. ბერძნულში - ფასისში, თუ მამრობითი სქესის მაწარმოებლით გვხვდება ტექსტში, მდინარე უნდა იყოს ნაგულისხმები.

ჩვენთვის უცნობია ფასისის არაბული და სპარსული დასახელებები და თუ საერთოდ არსებობდა სახელის არაბული, ან სპარსული ვარიანტი, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, არაბი კარტოგრაფის, მუჰამედ ალ-იდრისის, მეთორმეტე საუკუნის რუკა (როჯერიანა), რომელიც სიციილის ნორმანი მეფის - როჯერ II-ის დაკვეთით არის შესრულებული. რუკას ლათინური წარწერები აქვს, არაბული ტრანსკრიფციით, ხოლო თუ იგი არაბული ყაიდით არის დახატული, შეტრიალებულია ჩრდილოეთიდან და სამხრეთით. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში დატანილია რამდენიმე ტოპონიმი და ჰიდრონიმი. ასე მაგ.: ტრაპიზონის (Atrapezunta) აყოლებით - მდინარე სახელად *ნაჰრ რუშიუ* (Nahr rūŝīū), *ასკისია* (āskīsīa), *ისტიბერია* (istiberīa), *ალანია* (allanīa), *ხოზარია* (ĥozarīa). (ტაბულა II) ცალსახად ვერ ვიტყვით, თუ რომელი მათგანი შეიძლება შეესაბამებოდეს

[3] F. Fasio - ამ შემთხვევაში F. ლათინური მდინარის შესატყვისი ”Flumen-ის“ შემოკლება უნდა იყოს.

[4] ფოთის თურქულსახელწოდებას, ასევე, იხსენიებს ფრანგი ჟან შარდენი (ჟან შარდენის მოგზაურობა, 1975, გვ.241).

[5] სხვადასხვა წერილობითწყაროში მოხსენიებული ტოპონიმიკა განხილულია ქვემოთმოცემულწერილობითწყაროებში.

ფასისს, ან კიდევ, საერთოდ, ალ-ირდისი გულისხმობდა თუ არა რომელიმე მათგანში ფასისს, თუმცა, ვთვლით, რომ არსებითი ინფორმაციაა და საჭიროდ მიგვაჩნია, აისახოს კიდეც სადისერტაციო ნაშრომში.

კვლევის მეთოდოლოგია

ფასისი/ფოთის საკითხის კვლევისათვის გამოყენებულია ბაზისური არქეოლოგიური და ისტორიული მეთოდოლოგია. კვლევა მოიცავს არსებული წერილობით წყაროების კორელაციას არქეოლოგიურ მონაცემებთან, რაც გულისხმობს, შუასაუკუნეებში არსებული ცნობების თანხვედრასა და ბმას არქეოლოგიურ მონაცემებთან.

კვლევა დაყოფილია ძირითად 2 ნაწილად: წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების ანალიზი.

წერილობითი წყაროების ინტერპრეტაციისათვის გამოყენებულია კლასიფიკაცია და სისტემატიზაცია, რათა მომხდარიყო საისტორიო ცნობების ქრონოლოგიური კონტექსტუალიზაცია. გარდა საისტორიო ნარატივისა, რაც ხშირ შემთხვევაში იძლევა ცდომილებას და საჭიროებს მეტ კრიტიკულ ანალიზს, გამოყენებულია საარქივო და საბუღალტრო აღრიცხვის ცნობები, რომლებიც შედარებით მაღალი სანდოობითა და ობიექტურობის ხარისხით გამოირჩევა. სადისერტაციო ნაშრომში განახილულია სამოცზე მეტი ცნობა ქალაქი ფასისი/ფოთის შესახებ, რომლებიც მოიცავს ძვ. წ. VIII საუკუნიდან ახ. წ. XIX საუკუნეების პერიოდს.

არქეოლოგიური დაზვერვები

არქეოლოგიური საველე სადაზვერვო სამუშაოები დაიგეგმა და განხორციელდა თანამედროვე აპრობირებული მეთოდებით. რაც გულისხმობს:

ა) კვლევის სტრატეგიის ფორმულირებას; ბ) მონაცემების შეგროვებასა და რეგისტრაციას; გ) მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზს; დ) მონაცემთა ბაზის შექმნასა და პუბლიკაციებისათვის მომზადებას (რენფრიუ, 2018, გვ. 71).

სადაზვერვო სამუშაოები შესრულდა როგორც ინტენსიური ტრანზაქტული დაზვერვის მეთოდით, ასევე, მიზანმიმართულად წინასწარ გაწერილი მარშრუტით. ასევე, ხშირად მივმართავდით დაზვერვების სპონტანურ მეთოდს, ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციასა და ვერბალური ისტორიების შეგროვებას.

კამერალური სამუშაოები

მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ინტერპრეტაციისათვის გამოყენებულია ტიპოლოგიური და შედარებითი მეთოდი. დაზვერვების შედეგად

გამოვლენილი არტეფაქტები ინახება ფოთის კოლხეთის კულტურის მუზეუმში, სადაც შესრულდა კამერალური სამუშაოების უდიდესი ნაწილი. გარდა ამისა, ლაბორატორიული სამუშაოები შესრულდა მუზეუმის ფონდებში არსებულ არტეფაქტებზე (მოიცავს რამდენიმე კოლექციას). აღსანიშნავია რამდენიმე ექსპედიცია, რომლებიც ფოთის მიდამოებში წარმოებდა. მასალის უდიდესი ნაწილი ძვ. წ. I ათასწლეულის პერიოდისაგან შედგება. ექსპოზიციაში ძირითადად გამოფენილია სიმაგრის არქეოლოგიური ექსპედიციიდან მოპოვებული იმპორტირებული და ადგილობრივი კერამიკა (ხელმძღვანელი - თეიმურაზ მიქელაძე), ყულევის ტერმინალის ტერიტორიაზე ჩატარებული მასშტაბური გადარჩენითი სამუშაოების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები (ხელმძღვანელი - რევაზ პაპუაშვილი), პალიასტომის ტბიდან ცალკეულად აღმოჩენილი ამფორები და კოლხეთის ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალა, ადგილი ნატეხებიდან (ხელმძღვანელი - გელა გამყრელიძე), ფოთის აეროპორტთან შესრულებული სადაზვერვო სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი კერამიკული მასალა (ხელმძღვანელი - გურამ გრიგოლია). გარდა ამისა, მუზეუმში დაცულია სხვადასხვა დროს, შემთხვევითი მონაპოვარი ფოთის მიდამოებიდან, რომელიც ხშირ შემთხვევაში უეტიკეტოა, ან დატანილია საიდენტიფიკაციო ნომერი და არ არსებობს საველე დავთარი, ან რაიმე სახის ინფორმაცია. ჩვენი აზრით, არსებული ნიმუშები შესაძლებელია, მოპოვებული იყოს ნინო ხოშტარიას არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. სიტუაციას ართულებს სანახევროდ არსებული არქეოლოგიური კოლექციები, მაგალითისათვის.: კოლხეთის/ფაზისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალის დიდი ნაწილი ინახება ფოთის მუზეუმში, რომელიც ექსპოზიციისათვის იყო განკუთვნილი, ნაწილი კი, არქეოლოგიური ექსპედიციის სალხინოს ბაზაზე უნდა იყოს შენახული. არსებული ინფორმაციით, არქეოლოგიურ ბაზას დაეპატრონა საქართველოს სამოციქულო ეკლესია და ამჟამად, კოლექციის ნაწილის ბედი უცნობია. აღსანიშნავია, რომ ფონდების უდიდესი ნაწილი მოთავსებულია მუყაოს ყუთებში, ხოლო გასული საუკუნის მიწურულს არსებულმა არასახარბიელო მდგომარეობამ ვერ უზრუნველყო მუზეუმის ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა. მაღალი ნესტის გამო, ფაქტობრივად, ლპებოდა მუყაოს ყუთები და ეტიკეტის ფურცლები. ამდენად, ფოთის მუზეუმის დირექტორის - ელენე გაბლიანის ხელმძღვანელობით, მილანის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის - ემანუელე ე. ინტალიატასა და ჩემი მონაწილეობით განვახორციელეთ კოლექციების ნაწილის რეინვეტარიზაცია. ჩვენი ამოცანა იყო, როგორც სამუზეუმო საქმე და კოლექციების გადარჩენა, ასევე, კოლხეთის კულტურის ნიმუშების გაცნობა, მათი შესწავლა სადისერტაციო ნაშრომის მომზადების მიზნით.

სატელიტური ფოტოებისა და რუკების დამუშავება

ფოთის არეალის კვლევისათვის გამოვიყენეთ რამდენიმე სატელიტური ფოტო, რუკა და ციფრული სასიმაღლო მოდელი. აღნიშნული მონაცემები

მოპოვებულია რამდენიმე წყაროდან. პირველ რიგში, აღსანიშნავია ”Google Earth Pro-ს“ პროგრამულ უზრუნველყოფის ე.წ „ჰისტოგრამში“ არსებული სატელიტური ფოტოები, რომლებიც მოიცავს პერიოდს 1985 წლიდან დღევანდელ დღმდე, თითქმის ერთწლიანი სიხშირით გადაღებულ ვერტიკალურ არეალურ ფოტოებს. სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე - “napr.gov.ge-ზე“ არსებული ძველი საბჭოთა დროინდელი 1:50000 და 1:100000 მასშტაბის ტოპო რუკები. გარდა ამისა, 2002 და 2007 წლის სატელიტური ფოტოები. უნიკალური სატელიტური ფოტოები აღებულია ამერიკის შეერთებული შტატების 1960-იანი წლების სადაზვერვო პროგრამის ე.წ. კორონას ბაზიდან, რომელიც მოიცავს 1960 წლიდან 1975 წლამდე პერიოდს (ვებგვერდი: https://earthexplorer.usgs.gov/). კორონას ფოტოების შეძენა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დახმარებით. მონაცემები დამუშავდა გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის (Quantum GIS) უზრუნველყოფაში, რათა დაგვედგინა ცვალებადობის დინამიკა ლანდშაფტში, ურბანული ცვალებადობა და მათი ზეგავლენა არქეოლოგიურ გარემოზე.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული რუკები დატანილია UTM სისტემაში (უნივერსალური განივი მერკატორის ბადე / Universal Transverse Mercator), ზონა - 37 N.

ფოთის კოშკის მიმდებარე პარკზე და არსებულ ტერიტორიაზე შესრულდა ტოპოგრაფიული და ფოტოგრამეტრიული სამუშაოები. საფრენი დრონის (Phantom DJI 4 Advance) მეშვეობით გადაღებულ იქნა ე.წ. პარკისა და მიმდებარე ტერიტორიის ორთომოზაიკული ფოტოები (პროგრამული უზრუნველყოფა - Dron Deploy). ორთომოზაიკული მასალა დამუშავდა ფოტოგრამეტრიის გამოყენებით (პროგრამული უზრუნველყოფა - Agisoftphoto Scann), ხოლო მიღებული DEM (Digital Elevation Model / ციფრული სიმაღლის მოდელი) და TIF (Tagged Image Format File - სურათის მარკირებული ფორმატი) ფაილი დამუშავდა QGIS პროგრამულ პლატფორმაზე. გარდა ამისა, შეიქმნა ფოთის კოშკის ციფრული სამგანზომილებიანი მოდელი.

საფრენი დრონის მეშვეობით გადავიღეთ და ფოტოგრამეტრიული მეთოდით შევქმენით ორთომოზაიკური მოდელები: პალიასტომის გარშემო არსებული ტერიტორია; სოფელი შავღელე; პატარა ფოთი; ფოთის ცენტრალური პარკი; სოფელი ჭალადიდი; კერძოდ, რიონის მარჯვენა სანაპირო; საჭოჭოს დიხაგუძუბების კლასტერი; რიონის მარჯვენა სანაპიროდან ყულევამდე არსებული არეალი - ვიდრე სანავთობო ტერმინალამდე, მდინარე ფიჩორის მიდამოები და ასე შემდეგ.

ცნობები ქალაქ ფასისის, მდინარე რიონისა და ფასისელების შესახებ

ქალაქ ფასისის წერილობით წყაროების შესახებ არსებობს ძირითადი სამი ფუნდამენტური კვლევა, მხედველობაში გვაქვს, მაქსიმე ბერძნიშვილის, ოთარ ლორთქიფანიძისა და გელა გამყრელიძის მონოგრაფიული ნაშრომები. მაქსიმე ბერძნიშვილის მონოგრაფია - „ქალაქ ფასისის ისტორიის შესახებ“ უმეტეს წილად ისტორიულ დისკურსს შეიცავს ქალაქის დაარსებიდან, ვიდრე შუასაუკუნეებამდე. მის კვლევაში ძირითადი აქცენტი კეთდება ჰესიოდედან (ძვ. წ. VIII ს.) გვიან ანტიკურ პერიოდამდე არსებულ წერილობით წყაროებზე. გვიანანტიკური პერიოდის ცნობებს, კერძოდ, აგათიასა და პროკოფი კესარიელის შესახებ მეცნიერს ჩატარებული აქვს საისტორიო ხასიათის ვრცელი კვლევა, თუმცა ამის შემდგომ, მხოლოდ მცირედი ინფორმაციით შემოიფარგლება განვითარებული შუა საკუნეების ჩათვლით ცნობებზე, ხოლო შემდგომი პერიოდის ცნობები საერთოდ არ აქვს განხილული.

მაქსიმე ბერძნიშვილს განხილული აქვს შემდეგი წყაროები: სკილაქს კარიანდელის, პინდარეს, აპოლონ ჰეგემონის ფიალა[6], არისტოტელეს ცნობა, ჰერაკლიდე პონტოელის, პლუტარქეს ცნობა, სტრაბონის ცნობა, პომპონი მელას[7] ცნობა, პლინიუსის, არიანეს, ზოსიმეს, პროკოფი კესარიელის, აგათიას, მენანდრეს, ფეოფილატე სიმოკატას, ეპიფანე კონსტანტინეპოლელის, ეპისკოპოს თევდორეს ხელმოწერა, თეოფანე ქრონოგრაფის, ბერძნული ტექტიკონის ცნობა, თეოფანეს ცნობა (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 202-204). გარდა ამისა, იცნობს სხვადასხვა ავტორს, რომლებსაც ახსენებს საკუთარ კვლევაში, თუმცა არ გვთავაზობს მისეულ კომენტარებსა და ანალიზს შემდეგი ცნობებისას: არიანეს თანამედროვე პლუტარქოსის, ამიანე მარცელინის, სტეფანე ბიზანტიელის, ესტათე თესალონიკელის, არისტოფანეს, თეოკრიტე სქოლიასტის (ბერძენიშვილი, 1969, გვ. 149-150).

ზემოაღნიშნული მ. ბერძნიშვილის პირველადი ფუნდამენტური კვლევის შემდგომ ქალაქ ფაზისის ისტორიას ახლებური მონაცემები შემატა გ. გამყრელიძემ, რომელმაც შეავსო ახალი და გამორჩენილი ისტორიული წყაროები ფაზისის შესახებ. გელა გამყრელიძის შეგროვებული ცნობები ფასისის შესახებ ბევრად უფრო ფართო ქრონოლოგიურ დიაპაზონს მოიცავს, ქალაქ - ფასისის დაარსებიდან, ვიდრე დიბუა დე მონპერემდე.

გამყრელიძეს ჩამოთვლილი აქვს შემდეგი ავტორები, რომლებიც ცნობებს გვაწვდიან ფასისის შესახებ:

1. ფსევდო-სკილაქსი (ძვ. წ. IV ს.), აზია, 81;
2. არისტოტელე (ძვ. წ. IV ს.), ფრაგმენტები 46;

---

[6] აპოლონ ჰეგომინის ფიალა, ასევე ცნობილია, ყობანის თასის სახელითაც.

[7] ზოგიერთ ავტორთან - პომონიუს მელა.

3. პლატონი (ძვ. წ. 427-347), „ფედონი“ 109;

4. ფსევდო ჰერაკლიდე (ძვ. წ. IV-III სს მიჯნა), „ფასისელთა პოლიტია“ XVIII ს.;

5. ჰიპოკრატე (ძვ. წ. IV ს.), ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ, 15;

6. თეოკრიტე (ძვ. წ. IV ს.), იდილია სქოლიები, XIII, 24;

7. სტრაბონი (I ს.), გეოგრაფია, XI, 2 თ., 16,17;3 თ., 4;

8. ფსევდო-პლუტარქე, „მდინარეების და მთების სახელების შესახებ...“ფასისი, V,1;

9. პლინიუსი გაიუს სეკუნდუსი (უფროსი) (I ს.), „ნატურალური ისტორია“ VI,1,13,52;

10. პომპინიუს მელა (I ს.), „ქვეყნიერების აღწერილობა“ I, 108;

11. ფლავიუს არიანი (II ს.), „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ 9,10;

12. კლავდიოს პტოლემაიოსი (II ს.), „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“ V;

13. ფსევდო-ორფევსი (III ს.), „არგონავტიკა“;

14. თემისტიოსი (IV ს.), „სიტყვები“, XXVII;

15. კასტორიუსი (IV ს.), „ტაბულა პევტინგერისა“, X-XI;

16. ამიანე მარცელინუსი (IV ს.), „ისტორია“, XXVII 8 თ., 24 ;

17. ანონიმი ავტორი (V ს.), „ევქსინის პონტოს პერიპლუსი“;

18. ზოსიმე (VI ს.), „ახალი ისტორია“, I, 32;

19. სტეფანე ბიზანტიელი (VI ს.), „ეთნიკა“, ფასისი;

20. აგათია (VI ს.), „იუსტინიანეს მეფობის შესახებ“, III, 19,20,2; IV, 23;

21. მენანდრე (VI ს.), „ისტორია“, ფრაგმენტი 3;

22. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.);

23. თეოფანე ქრონოგრაფი (IX ს.), „ქრონოგრაფია..“;

24. ბასილი სოფენელი (XI ს.), „უწმინდესი პატრიარქების ნუსხა“;

25. ნიკეტა ხონიატე (XII ს.), ქრონიკა ფასისი სანავსადგურო ქალაქი;

26. ამბროზიო კონტარინი (ძვ. წ. XV ს.), „მოგზაურობა კავკასიაში..“;

27. არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.), „სამეგრელოს აღწერა“;

28. ჟან შარდენი (XVII ს.), „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“;

29. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850 წწ.), მოგზაურობა კავკასიაში (გამყრელიძე, 2002,გვ. 72-74).

გელა გამყრელიძის რედაქციით გამოცემული ქართლის „ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი“ კიდევ უფრო ვრცელ ჩამონათვალს შეიცავს ქალაქ ფასისის შესახებ, რომელიც, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო სრულყოფილი სიაა. პირველ რიგში, გელა გამყრელიძე ფასისისა და ფოთს ერთსა და იმავე ქალაქად მიიჩნევს. აღნიშნულ გარემოებას აბსოლუტურად ვიზიარებთ, რადგან სწორედ, წერილობით წყაროების ანალიზით დგინდება, რომ ფასისი - ფოთი ერთსა და იმავე გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ჰიდრონიმსა და ტოპონიმს აღნიშნავს. აღნიშნულ დასკვნამდე პირველად გიორგი მელიქიშვილი მივიდა, იგი ფუძე „ფოთ-ფათ-ფას” ბერძნული სახელწოდებიდან მიღებულ ქართულ სახელწოდებად მიიჩნევს (მელიქიშვილი, 1965, გვ. 50-59).

გელა გამყრელიძე ტოპოარქეოლოგიურ ლექსიკონში განცალკევებულად ასახელებს ქართულ წყაროებს[8]:

1. ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“;
2. 1071 წ. დაწერილ ნიკოლაოს წმიდის წინამძღვრის;
3. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერ აღაპებს;
4. დიდი სჯულის კანონს;
5. 1628 წ. ბიჭვინთისათვის შეწირულობის საბუთს;
6. ე. წ. ფურცელაანთეულ ქრონიკას;
7. ლიხთ-იმერეთის რუკას;
8. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლას“, 1737;
9. თეიმურაზ ბაგრატიონის „ახალ ისტორიას“;
10. ქუთაისის ეპისკოპოსის 1769 წლის ჩანაწერებს;
11. ნიკო დადიანის „ქართლის ცხოვრებას“;
12. ბაგრატ ბაგრატიონის „ახალი მოთხრობას“.

გარდა ქართული ცნობებისა, გელა გამყრელიძე დამატებით ასახელებს სხვადასხვა უცხოელი მოგზაურების ცნობებს: ქათიბ ჩელების, ჟაკ ფრანსუა გამბას, კაპიტან იაზიკოვის, კ, კოხისა და ო. სპენსერის, ალ. დიუამასა და გიულდენშტეტდის.

ფასისის ისტორიასთან დაკავშირებულ მონოგრაფიებში აღსანიშნავია ოთარ ლორთქიფანიძის მიერ ინგლისურ ენაზე შესრულებული კვლევა. აღნიშნული მონოგრაფია შეიძლება ჩაითვალოს ინგლისურ ენაზე შესრულებულ ყველაზე უფრო სრულყოფილ კვლევად, რომელიც ქალაქ ფასისის ლოკალიზაციას ეხება.

[8] გარდა ტოპოარქეოგიური ლექსიკონისა, მსგავსს სიებას ვხვდებით გელა გამყრელიძის სხვა პუბლიკაციებშიც.

ოთარ ლორთქიფანიძის მიერ დასახელებული ცნობების სია მხოლოდ ბერძნული და ლათინური წყაროებით შემოიფარგლება. შესაბამისად, ცნობების ქრონოლოგიური ჩარჩო შევიწროებულია და ის შუასაუკუნეებამდე ვრცელდება

(Lordkipanidze, 2000, გვ. 12-14).

ბერძენი ავტორები:

1. ჰესიოდე (მოხსენიებულია აპოლონიოს როდოსელის სქოლიოებში. IV, 284);

2. ჰეკატეოს მილეტელი (მოხსენიებულია აპოლონის როდოსელის სქოლიოებში. IV, 284);

3. ფერეკიდე ლეროსელი (მოხსენიებულია აპოლონის როდოსელის სქოლიოებში. III, 1093);

4. პინდარე. პითიური ოდა, IV 211[9];

5. ევრიპიდე, ანდრომახე. 651..,;

6. ჰეროდოტე, I 2; I, 104, II, 103; IV, 37; IV, 38(?); IV, 45, IV 86(?); VI, 84.

7. ჰიპოკატე, 15.

8. ჰეროდოტე (მოხსენიებულია აპოლონის როდოსელის სქოლიოებში. IV, 259);

9. ქსენოფონტე. ანაბაზისი, IV, 6,4; V; 6, 36; V, 7, 1-9;

10. პლატონი, ფედონი, LVIII (109B);

11. არისტოტელი, მეტეოროლოგია, 350a; ისტ. ცხოველები., III, 21…

12. ფსევდო-სკილაქსი, აზია, 81;

13. პალეფატუსი;

14. აპოლონიუს როდოსელი;

15. კალიმახუსი, აეტია, 7c, I, 7;

16. თეოკრიტუსი, იდილიები, XIII, 23 და 75;

17. ერატოსთენე (სტრაბონისა და აპოლონიოს როდოსელი სქოლიოებში.);

18. ჰეგესისტრატუს ეფესიუსი (სტრაბონის სქოლიოებში);

19. ნეანთე (სტრაბონის სქოლიოებში);

20. დემეტრიუს სკეპსისი (სტრაბონის სქოლიოებში);

[9] ლორთქიფანიძის აღნიშნულ ციტირებაში დაშვებულია შეცდომა. უნდა იყო IV 376;

21. ჰიპარქე (სტრაბონის სქოლიოებში II. 1);

22. ფსევდო -სკიმნუსი (ანონიმი, პერიპლუსი. პონტოს ევქსინუს), 926;

23. აპოლოდორუს მითოგრაფოსი, ბიბლიოთეკა., I,9, 23;

24. არტემიდორუს ეფესიოსი (მოხსენიებულია აპოლონის როდოსელის სქოლიოებში. IV, 259);

25. აპოლოდოოროს ათენაკოსი (სტრაბონის სქოლიოებში);

26. პოლიბიუსი, ისტ. V, 55,7;

27. დიოდორუს სიკულუსი, ბიბლ, ისტორია (29, 1), (ციტირებს ქსენოფონტეს);

28. აგატემერუსი, ფრ3;

29. სტრაბონი;

30. მემნონი;

31. დიონისიუს პერიეგეტისი;

32. არიანე;

33. კლაუდიოს პტოლემაიოსი - გეოგრაფია;

34. ფსევდო პლუტარქე;

35. ფილოსტრატუსი;

36. დიო კასიუსი;

37. ზოსიმე;

38. ჰიმერიოსი;

39. თემისტიოსი;

40. ანონიმი პერიპლუსი;

41. პროკოფი კესარიელი;

42. აგათია;

43. სტეფანე ბიზანტიელი;

ლათინი ავტორები:

1. ვალერიუს კატულუსი;

2. ვერგილიუს მარო,

3. ჰელენიუს აკრო;
4. იუნიუს ფილარგირუსი;
5. ვიტრუვიუსი;
6. პომპეუს ტროგუსი;
7. ოვიდი;
8. მანილიუსი, ასტრონომია;
9. პომპინიუს მელა; ქრონოგრაფია;
10. კურტიუს რუფუსი;
11. ანაეუს სენეკა, დიალოგები;
12. იუნუის იუვენალისი;
13. ამპელიუსი, თავისუფალი მოგონებები;
14. სოლინუსი;
15. ლაკტატიური;
16. ამიანუს მარცელიუსი;
17. ამბროსიუსი;
18. კლაუდიანუსი;
19. ვიბუს სეუესტერი.

წერილობით წყაროები ფასისის შესახებ შეკრიბეს დარეჯან კაჭარავამ და გურამ კვირკველიამ, რომლებიც აისახა ერთობლივ ნაშრომში, შავიზღვისპირეთის ანტიკურ ქალაქებში.

მასალის სიუხვიდან გამომდინარე, ჩემს სადისერტაციო ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, სრულად ვერ განვიხილავთ ყველა საისტორიო ცნობას, გარდა ამისა, კვლევის ფოკუსს მნიშვნელოვნად გასცდება. წერილობითი წყაროების ანალიზი ემსახურება რამდენიმე მიზანს, უმნიშვნელოვანესია ქალაქის ისტორიის განგრძობითობის ჩვენება და გარკვეულწილად, გელა გამყრელიძის მიერ შემოთავაზებული ქალაქ ფასისის ქრონოლოგიური დიაპაზონის გაზიარება. რადგან ოთარ ლორთქიფანიძე და მაქსიმე ბერძნიშვილი ყურადღებას მხოლოდ ბერძნულ და ლათინურ წყაროებზე ამახვილებენ. ჩვენ მიერ შესწავლილი ცნობები წარმოადგენს ერთგვარ ჰიბრიდულ ვერსიას, რომლებსაც ასახელებენ ჩვენ მიერ დასახელებული მკვლევრები. წერილობითი წყაროების რევიზიისას გამოიკვეთა კიდევ დამატებითი ისტორიული ცნობები, რომლებიც არ არის გამოკვლეული ავტორიტეტული მკვლევრების მიერ. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა: *წამება დავითისა და კონსტანტინესი*, ღევონდი,

გიორგი მთაწმინდელი, გენუელი ვაჭრების ცნობები ფასისის შესახებ, თურქულ/ოსმალური საარქივო ცნობები, ევლია ჩელები და ასე შემდეგ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წერილობითი წყაროები ფასისის შესახებ უამრავია და რამდენიმე ათწლეულის შრომა დასჭირდება სრულყოფილი ცნობების შეგროვებას. აუცილებელია, აღინიშნოს, სვიმონ ყაუხჩიშვილის დამსახურება, რომელმაც ზედმიწევნითი სიზუსტით გამოსცა რამდენიმე ათეული ბერძნული საისტორიო ცნობის ქართული ვერსია, რომელსაც სახელმძღვანელოს მნიშვნელობა ენიჭება ქალაქ ფასისის საისტორიო წყაროების კვლევისათვის. ლათინური წყაროების საყურადღებო თარგმანები ეკუთვნის ალექსანდრე გამყრელიძეს, რომლებიც არაერთ ფასდაუდებელ ინფორმაციას შეიცავს ქალაქ ფასისის შესახებ.

შეიძლება დავსვათ შეკითხვა, თუ რას მოგვითხრობენ ისტორიული ცნობები ქალაქ ფასისის შესახებ? ვიდრე ცნოებების ინდივიდუალურ განხივაზე გადავალთ, აუცილებელია, ვახსენოთ, თუ რამდენი კატეგორიის ცნობაა დაცული ქალაქისა და მდინარის შესახებ და რატომ განვიხილავთ ჰიდრონიმსა და ტოპონიმს ერთ კონტექსტში. დომინანტურად ჭარბობს ცნობები მითოლოგიური კატეგორიიდან. მდინარე ფასისი მრავლად არის განხილული არგონავტიკაში, ის იხსენიება როგორც ბერძენ, ასევე - ლათინ ავტორებთან. ხშირ შემთხვევაში მოგვიანო პერიოდის ევროპელი მოგზაურების, რომლებმაც მოინახულეს ფოთის მიდამოები, ინსპირაციაა სწორედ, მითოლოგიური ცნობები. ცალსახად, მდინარის შესახებ ვხვდებით ჰიპერბოლიზირებულ ფაქტებს, მაგრამ წინადადებებს შორის, მაინც ხერხდება ირიბი ცნობების ამოკითხვა ფასისის შესახებ.

მეორე კატეგორიის ცნობები აისახა ბერძნულ ლიტერატურაში. მათ შორის ლიტერატურულ-ფილოსოფიურ კატეგორიის ცნობებიც, რომლებიც ხშირად გამომდინარეობს მითებიდან. ამ კატეგორიაში კარგად ისახება ბერძნულ-რომაული სამყაროს დამოკიდებულება ფასისის ქვეყნის მიმართ. მაგლითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ: არისტოფანე, პლატონი, ევრიპიდე. არისტოფანე ანტაგონისტუდარ უყურებს ფასისელებს, ხოლო პლატონისათვის მდინარე ფასისი ქვეყნიერების დასალიერთან ასოცირდება. აღნიშნულ ნაწილს დაწვრილებით განვიხილავთ ქვემოთ.

უმნიშვენლოვანესი კატეგორიაა გეოგრაფიული და სამეცნიერო აღწერილობები, აქ ვგულისხმობთ: ფსევდო ჰიპოკრატეს, სტრაბონს, პტოლემაიოს, სტეფანე ბიზანტიელს. ამ ცნობების სარწმუნოებისა და ობიექტურობის ხარისხი ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ზემოაღწერილი კატეგორიებისა, რადგან მათი მოტივატორი სამყაროს შეცნობა და მეცნიერებაა, თუმცა ხაზსგასამელია, რომ მათთანაც ვხვდებით უზუსტობებს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ინფორმაციის სიმცირით.

ქალაქ ფასისის შესახებ მნიშვნელოვან საისტორიო ხასიათის კიდევ ერთ კატეგორიას წარმოადგენს სამხედრო საპატაკო ცნობები. შეიძლება ითქვას, რომ

რომაელი ავტორების ცნობები უალტერნატივოა. ცალსახად, ეს განპირობებულია რომაული სამხედრო ინტერესების ზრდასთან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონში. სამხედრო/საპატაკო ცნობებში ორი საყურადღებო ხასიათის მოვლენაა აღბეჭდილი: მითრიდატისეული ომები და ბიზანტიურ-სასანური დაპირისპირება კოლხეთის დაბლობზე.

აუცილებელია ყურადღების გამახვილება ქალაქ ფასისის შესახებ არსებულ ქრისტიანული ხასიათის დოკუმენტებზე. გარდა ამისა ჰაგიოგრაფიული შინაარსის ნაწარმოებებზე, სადაც უშუალოდ ქალაქი არაა მოხსენიებული, თუმცა ვხვდებით ცნობებს მდინარაზე, ეპარქიაზე, ეპისკოპოსებზე და ასე შემდეგ.

ფასისის კვლევის ისტორიისათვის ახალი კატეგორიაა ე.წ. საბუღალტრო ხასიათის ცნობები, რომლებსაც ძირითადად გენუელი ვაჭრები აწარმოებდნენ. აღნიშნული ცნოები გაფანტულია სხვადასხვა საისტორიო ცნობებში, რომლებსაც ქვემოთ გავნიხილავთ.

ცალკე კატეგორიას განეკუთვნება ევროპელი მისიონერების, მოგზაურებისა და დიპლომატების ცნობები, რომლებიც აღწერენ ფასისს, როგორც მდინარეს, ისე ციხე-ქალაქს. მხედველობაში გვყავს - არქანჯელო ლამბერტი, აბროზიო კონტარინი, ჟან-შარდენი, გამბა და ა. შ.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ფასისის შესახებ არსებული სხვადასხვა ხასიათის ცნობა გვხვდება არაერთ ტექსტში და მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკითხის ღრმად და ამომწურავად შესწავლის თვალსაზრისით.

ჰესიოდე - c. ძვ. წ. VIII ს.

ჰესიოდე შეიძლება, ჩაითვალოს ერთ-ერთ პირველ ძირითად ავტორად, ვისთანაც მოხსენიებულია მდინარე ფასისი. აპოლონიოს როდოსელის სქოლიასტი ციტირებს ჰესიოდეს *თეოგონიიდან*, კერძოდ, საუბარია არგონავტების მდინარე ფასისში შეცურვაზე. აღნიშნული წყარო მითოლოგიური შინაარსისაა და არ შეიცავს მყარ ისტორიულ მტკიცებულებებს, თუმცა ერთ-ერთი პირველი ცნობაა მდინარე ფასისის შესახებ (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 23).

ჰიდრონიმის თავდაპირველი ცნობა მოკრძალებული ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს, რომ სახელწოდებამ ტრანსფორმაცია განიცადა და ჰიდრონიმი ტოპონიმად გადაიქცა. როგორც მაქსიმე ბერძნიშვილი აღნიშნავს, თავად წყარო ქრისტეს შობამდე მერვე საუკუნით თარიღდება; მკვლევართა უმეტესობა, ქალაქი ფასისის დაარსებას ძვ. წ. VI საუკუნეს უკავშირებს, ხოლო არგონავტების მითოსი, ცალსახად ბევრად უფრო ძველი ნარატივია. მისი აზრით, სწორედ აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვთქვათ მყარი ვარაუდი, რომ ბერძნები ქალაქის დაარსებამდე კარგად იცნობდნენ რეგიონს, კოლხეთის დაბლობს, მინიმუმ 2 საუკუნით ადრე. აღნიშნულ გარემოებას ამყარებს

არქეოლოგიური მონაცემები, რომლებიც უტყუარი დასტურია პრეკოლონიალისტური კონტაქტებისა.

ფსევდო სკილაქს კარიანდელი c. ძვ. წ. IV საუკუნე.

ფსევდო სკილაქს კარიანდელის ცნობით, *მდინარე ხოროსის შემდეგ არის მდინარე არიოსი, შემდეგ მდინარე ფაზისი, მისი მოსახელეობა ბერძნული ქალაქით. მდინარეში 180 სტადიონის მანძილზე,შიგნით შეცურვით არის ბარბაროსული ქალაქი* (Graham, 2002, გვ. 9). აღნიშნული წყარო უძველესია, რომელიც იხსენიებს როგორც მდინარე ფასისს, ასევე, მის მოსახალე ქალაქს. მაქსიმე ბერძნიშვილის აზრით, არსებული ცნობა უტყუარია და უნდა მივიჩნიოთ, რომ ქალაქი ფასისი ძვ. წ. VI საუკუნეში უკვე არსებობდა.

აქვე აუცილებელია აღინიშნოს პროფესორ გურამ გრიგოლიას აზრი „ბარბაროსული ქალაქის“ შესახებ, რომელიც არქეოლოგიურ ძეგლთან - ნამარნუში უნდა მდებარეობდეს (გრიგოლია, 1973, გვ. 50). საყურადღებო ინფორმაციაა - ბერძნული სავაჭრო კოლონიის დაშორება ბარბაროსული ქალაქისაგან. 180 სტადიონი - 33 450 მეტრს უდრის, დაახლოებით 34 კილომეტრ მანძილს, რაც 500-მეტრიანი სიზუსტით ემთხვევა გ. გრიგოლიას დაანგარიშებას. მისივე აზრით, 34 კილომეტრი არ უნდა ვიანგარიშოთ პირდაპირი ხაზით, არამედ, მდინარის გაყოლებით, რაც, ვფიქრობთ, გასაზიარებელი მოსაზრებაა. ნამარნუს მასშტაბებიდან გამომდინარე, მართლაც დასაშვებია მისი გაიგივება ბარბაროსულ ქალაქთან. იგი ძირითადი ბორცვისაგან შედგება, რომლის საერთო ფართობი 12 ჰექტარს აღწევს (პაპუაშვილი, 2007, გვ. 52).

ჩვენთვის ბევრად უფრო საინტერესოა 34-კილომეტრიანი დაშორება, რაც ადამიანის სიარულის დღიურ ნორმასთან არის მიახლოებული. შესაბამისად, ორი ურბანული ცენტრი, ფასისი და ბარბაროსების ქალაქი, არის ერთი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა, რაც ქმნის. ე.წ. გრავიტაციული ვაჭრობის მოდელს.

პინდარე[10] - ძვ. წ. ა 518 – 442

პინდარე თავის *ისთმოს* მეორე ხოტბაში მოიხსენიებს თავის მეგობარ ქსენოკარტეს. „ქსენოკარტე ზაფხულობით ფასისისაკენ მიცურავს და ზამთარში კი, ნილოსისაკენო“. ორივე ჰიდრონიმის შემთხვევაში მაქსიმე ბერძნიშვილი ფიქრობს,

[10] მაქსიმე ბერძნიშვილის მიხედვით პინდარი.

რომ დასახელებულია საბერძნეთიდან მათთვის ცნობილი ყველაზე უფრო მოშორებული გეოგრაფიული პუნქტები (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 122).

მეორე შემთხვევაში - პინდარე ფასისს იხსენიებს თავის პოემაში - ***პითიურ ოდაში***. სახელი ისევ არგონავტების მითთან არის დაკავშირებული. პინდარე აღნიშნავს, რომ არგონავტებმა მიაღწიეს მდინარე ფასისს (Pindar. Pithian IV , გვ. 376);

პინდარეს ხსენებული ორივე წყარო მითოსურ-ლიტერატურული ჟანრისაა. ზოგადად, ბერძნულ ლიტერატურაში ეს ორი ჟანრი მკვეთრად გამიჯნული არ არის. ამდენად, აღნიშნული ცნობა ორივე კატეგორიაში შეგვიძლია განვიხილოთ.

ევრიპიდე c. ძვ. წ. 480-406

ევრიპიდესთან ფასისის შესახებ ცნობას ვხვდებით ***ანდრომაქაში***. საინტერესოა პერსონაჟი მენელაუსი, რომელიც პელეუსს მიმართავს, რომ მას თავისი ბარბაროსი ცოლი უნდა განედევნა ნილოსისა და ფასისის იქეთ (Davis, 1819, გვ. 465). აღნიშნული წყაროს მიხედვითაც, კარგად ჩანს, რომ ნილოსი და ფასისი ქვეყნის დასალიერად არის აღქმული ევრიპიდეს მიერ. ნაწარმოები ლიტერატურულ ჟანრს განეკუთვნება, თუმცა კარგად ასახავს ბერძნული სამყაროს დამოკიდებულებას ფასისის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ევრიპიდე თავის ნაწარმოებში - ***მედეა*** - არ ახსნებს მდინარე ფასისს. თუმცა სენეკასთან, რომელიც ლათინიზებული წყაროა არგონავტების შესახებ, რამდენჯერმეა აღწერილი მდინარე ფასისი.

ჰეროდოტე - ძვ. წ. 485 -425

ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე არაერთგან ამახვილებს ყურადღებას კოლხეთზე. ის, რა თქმა უნდა, იმთავითვე, სამეცნიერო ხასიათის ცნობებს გვაწვდის, თუმცა მის შრომებში არაერთგზის ვხვდებით ფაქტების გაზვიადებასა და ჰიპერბოლიზაციას. პირველ რიგში, საყურადღებოა მისი დაკვირვება კოლხებისა და ეგვიპტელების მსგავსებაზე, რომელსაც იგი ეგვიპტის ფარაონის სეზოსტრისის სკვითებზე ლაშქრობის შედეგებით ხსნის, ფარაონი უკანა გზაზე, შესაძლო განაწყენებულ ჯარისკაცებს მდინარე ფასისთან ტოვებს (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 61). აქ ერთი მნიშვნელოვანი ნიუნსია, გეოგრაფიული იდენტიფიკაციის თვალსაზრისით - ის, რომ უკანა გზაზე მდებარეობს მისთვის ფასისი და არა სკვითეთში. მაშასადამე, ჰეროდეტეს წარმოდგენაში ფასისის კავკსაიონის მდინარეა და არა სკვითეთის სტეპური მდინარე, მაგალითად როგორიცაა ყობანი, დონი.

ჰეროდოტეს კიდევ ერთი კაზუალური ხასიათის ცნობაა მდინარე ფაზის შესახებ. მისი ცნობით - სკვითებმა სწორედ ფასისის გავლით შეუტიეს მიდიელებს. ამიტომაც, ეს გარკვეულწილად გულისხმობს მდინარე არაქს (Lordkipanidze, 2000, გვ. 19). ჰეროდოტე, ასევე, გვაწვდის ცნობებს არგონავტების შესახებ და ამავე კონტექსტშია ნახსენები მდინარე ფასისიც.

ჰიპოკრატე / ფსევდო ჰიპოკრატე c. ძვ. წ. 460 -356

ჩვენი აზრით, ქალაქ ფასისის პირველი ფაზის ავტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიპოკრატეს ცნობა.

ბუნდოვანია ჰიპოკრატეს დაბადებისა და გარდაცვალების დეტალები, რადგან, როგორც ცნობილია, შემდგომ პერიოდში მისი სკოლის მიმდევრები მისი სახელით აგრძელებდნენ ნაშრომების წერას. მიჩნეულია, რომ იგი 109 წლის ასაკში გარდაიცვალა (ყაუხჩიშვილი.თ 1965, გვ. 5). კონკრეტულ შემთხვევაში, წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვანია მისი ცნობა ნაწარმოებიდან - ***ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ.*** ს. ყაუხჩიშვილმა ყურადღება მიაქცია მანამდე ჩატარებულ ჰ. ბერგერისა და ვ. კრისტის კვლევას, რომლებიც ზემოაღნიშნულ ნაშრომს მიაწერენ ჰეროდოტეს, ხოლო ჰ. ბერგერი ვარაუდობს, რომ ჰეროდოტე და ჰიპოკრატე ერთ ავტორს ეყრდნობიან, კერძოდ, ჰეკატეოს მილეტელს (ყაუხჩიშვილი. 1965. გვ.17). თუ ჩვენ დავუშვებთ ალბათობას, რომ ჰეროდოტე და ჰიპოკრატე ეყრდნობიან ჰეკატეოსის მონაცემებს, მაშინ, უნდა ჩავთვალოთ, რომ ფასისის უძველესი ეტაპის შესახებ მოგვეპოვება ინფორმაცია, რადგან ჰეკატეოს მილეტელი ძვ. წ. VI საუკუნის ავტორია. გარდა ამისა, ს. ყაუხჩიშვილმა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს მიაქცია ყურადღება - ჰიპოკრატეს მოწაფეები მასწავლებლის სახელით აქვეყნებდნენ საკუთარ ნაშრომებს; აღნიშნული პროცესი, სავარაუდოდ, არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ საუკუნეს (ვვარაუდობთ ორ თაობას), შესაბამისად, დაახლოებით ძვ. წ. 300 წლის ფარგლებში უნდა მოვიაზროთ

რაც შეეხება უშუალოდ წყაროს, ის მეტისმეტად საინტერესოა როგორც ნარატივი, რადგან რამდენიმე საინტერესო ირიბ მინიშნებას იძლევა ფასისის ლოკალიზაციის შესახებ. ვიდრე უშუალოდ გადავალთ წყაროს განხილვაზე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოვიყვანოთ 3 სხვადასხვა პერიოდში ნათარგმნი ნარატიული წყარო:

ამათ შესახებ ვფიქრობ, რომ ასეა, ხოლო ვინც ფასისში	*As to the inhabitants of Phasis, their country is fenny,*	**περὶ μὲν οὖν τούτων οὕτως ἔχειν μοι δοκεῖ. περὶ**

ცხოვრობს, მათ შესახებ [შემდეგი მაქვს სათქმელი]: ეს ქვეყანა ჭაობიანი, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის, ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა გამართული. ისინი ცოტა ს დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში. არამედ დაცურავენ აღმა-დაღა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია. ისინი სვამენ თბილსა და დამდგარ წყალს, მზისგან დამპალს და წვიმებისაგან ადიდებულს. თვითონ ფასისი კი ყველა მდინარეთა შორის ყველაზე უფრო დინჯია და ძალიან მდორედ მოედინება. ნაყოფი, რომელიც წარმოიშვება ყველა ზრდა დაუსრულებელია, სუს და უვარგისი, წყლის სიუხვის გამო. ამიტომ, [აქ ნაყოფი] არ მწიფდება. წყლებისაგან ამ ქვეყანას დიდი ნისლი ადგას. ამ მიზეზების გამოა, რომ ფასისელებს სხვა ადმიანებთან შედარებით დიდად განსხვავებული შესახედაობა აქვთ, ტანად დიდები არიან, სისქით - მეტისმეტად სქელები; არც ერთა არ ემჩნევა არც სახსარი და არც ძარღვი; კანი კი ყვითელი აქვთ, თითქოს სიყვითლე სჭირდეთ. ლაპარაკობენ ადამიანთა შორის ყველაზე ბოხი ხმით, [რადგან] სუფთა ჰაერით კი არ სუნთქავენ, არამედ ნოტიოთი	*warm, humid, and wooded; copious and severe rains occur there at all seasons; and the life of the inhabitants is spent among the fens; for their dwellings are constructed of wood and reeds, and are erected amidst the waters; they seldom practice walking either to the city or the market, butbsail about, up and down, in canoes constructed out of single trees,bfor there are many canals there. They drink the hot and stagnant waters, both when rendered putrid by the sun, and when swollen with rains. The Phasis itself is the most stagnant of all rivers, and runs the smoothest; all the fruits which spring there are unwholesome, feeble and imperfect growth, owing to the redundance of water, and on this account they do not ripen, for much vapor from the waters overspreads the country. For these reasons the Phasians have shapes different from those of all other men; for they are large in stature, and of a very gross habit of body, so that not a joint nor vein is visible; in color they are sallow, as if affected with jaundice. Of all men they have the roughest voices, from their breathing an atmosphere which is not clear, but misty and humid; they are naturally rather languid in supporting bodily fatigue. The seasons undergo but little change either as to heat or cold; their winds for the most part are southerly, with the exception of*	**δὲ τῶν ἐν Φάσει, ἡ χώρη ἐκείνη ἑλώδης ἐστὶ καὶ θερμὴ καὶ ὑδατεινὴ καὶ δασεῖα· ὄμβροι τε αὐτόθι γίνονται πᾶσαν ὥρην πολλοί τε καὶ ἰσχυροί· ἥ τε δίαιτα τοῖς ἀνθρώποις ἐν τοῖς ἕλεσίν ἐστιν, τά τε οἰκήματα ξύλινα καὶ καλάμινα ἐν τοῖς ὕδασι μεμηχανημένα· ὀλίγῃ τε χρέονται βαδίσει κατὰ τὴν πόλιν καὶ τὸ ἐμπόριον, ἀλλὰ μονοξύλοις διαπλέουσιν ἄνω καὶ κάτω: διώρυγες γὰρ πολλαί εἰσι. τὰ δὲ ὕδατα θερμὰ καὶ στάσιμα πίνουσιν, ὑπό τε τοῦ ἡλίου σηπόμενα, καὶ ὑπὸ τῶν ὄμβρων ἐπαυξόμενα. αὐτός τε ὁ Φάσις στασιμώτατος πάντων τῶν ποταμῶν καὶ ῥέων ἠπιώτατα: οἵ τε καρποὶ γινόμενοι αὐτόθι πάντες ἀναλδέες εἰσὶ, καὶ τεθηλυσμένοι, καὶ ἀτελέες, ὑπὸ πολυπληθείης τοῦ ὕδατος: διὸ καὶ οὐ πεπαίνονται: ἠήρ τε πολὺς κατέχει τὴν χώρην ἀπὸ τῶν ὑδάτων. διὰ ταύτας δὴ τὰς προφάσιας τὰ εἴδεα ἀπηλλαγμένα τῶν λοιπῶν ἀνθρώπων ἔχουσιν οἱ Φασιηνοί· τά τε γὰρ μεγέθεα μεγάλοι, τὰ πάχεα δ' ὑπερπάχητες: ἄρθρον τε κατάδηλον οὐδὲν, οὐδὲ φλέψ: τήν τε χροιὴν ὠχρὴν ἔχουσιν, ὥσπερ ὑπὸ ἰκτέρου ἐχόμενοι: φθέγγονταί τε βαρύτατον ἀνθρώπων, τῷ ἠέρι χρεώμενοι οὐ λαμπρῷ, ἀλλὰ νοτώδει τε καὶ θολερῷ·**

და ნესტიანით; ხოლო იმისათვის, სახლეულს ჯაფა მიაყენონ, ძალიან ზარმაცები არიან. [ამ ქვეყანაში] წლის დროები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არც სიცხის მხრივ და არც სიცივის მხრივ. აქ ბევრი სამხრეთის ქარი ქრის, გარდა ერთი ადგილობრივი ქარისა. ხოლო ზოგჯერ ეს ძლიერად და სასტიკად უბერავს და ცხელია. ამ ქარს უწოდებენ „კენხრონს“, ჩრდილოეთი ქარი [აქამდე] თითქმის ვერ აღწევს, ხოლო როდესაც უბერავს, ის სუსტი და წყნარია.	*one peculiar to the country, which sometimes blows strong, is violent and hot, and is called by them the wind cenchron. The north wind scarcely reaches them, and when it does blow it is weak and gentle. Thus it is with regard to the different nature and shape of the inhabitants of Asia and Europe.*	**πρός τε τὸ ταλαιπωρεῖν τὸ σῶμα ἀργότεροι πεφύκασιν: αἵ τε ὧραι οὐ πολὺ μεταλλάσσουσιν, οὔτε πρὸς τὸ πνῖγος, οὔτε πρὸς τὸ ψύχος: τά τε πνεύματα τὰ πολλὰ νότια, πλὴν αὔρης μιᾶς ἐπιχωρίης: αὕτη δὲ πνεῖ ἐνίοτε βίαιος, καὶ χαλεπὴ, καὶ θερμὴ, καὶ Κέγχρονα ὀνομάζουσι τοῦτο τὸ πνεῦμα. ὁ δὲ βορέης οὐ σφόδρα ἀφικνεῖται: ὁκόταν δὲ πνέῃ, ἀσθενὴς καὶ βληχρός.**
(ყაუხჩიშვილი. 1965. 145-47გვ)	Francis Adams	Hayes Nimis 2013. 70-73 გვ

წყაროს პირველი წინადადება არის ერთ-ერთი ჯაჭვური ინფორმაცია ზემომითითებული ტექსტიდან. ე.წ. „ფასისელების ქვეყანაში“ ს. ყაუხჩიშვილმა კრებითობის სემანტიკა დაინახა. აღნიშნულ ფაქტს ყურადღება მიაქცია თეიმურაზ მიქელაძემაც.

ე. ჰაის და ს. ნიმისს სიტყვა - χώρη, ἡ განმარტებული აქვს, როგორც „Space, Place, Region“ (Hayes Nimis, 2013, გვ. 70), რაც ქართულად ითარგმნება, როგორც „სივრცე, ადგილი და რეგიონი“.

ლიდელის და სკოტის *ბერძნულ - ინგლისური ლექსიკონი* ერთ-ერთ ავტორიტეტულ გამოცემად ითვლება, სადაც χώρη, ἡ განმარტებულია, როგორც:

1. Country, Land [ქვეყანა];

2. Space or room in which is thing is [სივრცე, ან ადგილი, სადაც რაიმე საგანია];

3. The position, proper place of a person or thing [პოზიცია, მყარი მდებარეობა ადამიანის , ან საგნის]

4. Town or city [ქალაქი, დიდი ქალაქი, ან/და სავაჭრო ქალაქი] (Liddell H.G., Scott R., H.S, 1968, გვ. 771).

კლასიკური ბერძნული ენის სპეციალისტი თამარ ლეჟავა ეთანხმება იმ აზრს, რომ χώρη, ἡ ჰიპოკრატესთან მეტწილად უნდა აღნიშნავდეს ქვეყანას.[11]

არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი კი, წერილობითი წყაროს შედარებით განსხვავებულ თარგმანს გვთავაზობს. *„ქვეყანა რომელსაც ჩაუდის ფასის მდინარე, არის ჭაობიანი, ცხელი ნოტიო და შემოსილია ტყით. იქაური მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობში; წლის ყოველ დროს აქ ძლიერი წვიმები იცის. წყალში იშენებენ სახლებს ხისას, ან ლერწმისას. გარეთ გამოდიან მხოლოდ მაშინ, როცა ქალაქში ანუ* ***ემპორიონში*** *უნდა წავიდნენ. ამ ქვეყანაში ბევრი არხია; შიგ უდგიათ მთლიანი ხისგან გაკეთებული ნავები და ამ ნავებით შემოუვლიან გარშემო თავიანთ მამულს, ხმარობენ წვიმის წყალს... ფასისს ყველა მდინარეზე უფრო ნელი და მდორე დინება აქვს“* (ლიჩელი, 2021, გვ. 53).

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, კონკრეტულად, χώρη [ხორა], თავისი მნიშვნელობით, გარკვეულწილად მიგვითითებს ქალაქის ურბანულ ხასიათზე. ბუნებრივია, აღნიშნული ინტერპრეტაცია ირიბ არგუმენტაციას ეყრდნობა, თუმცა, მდინარე რიონის ქვედა დინების გათვალისწინებითა და არსებული გეოგრაფიული გარემოებით, ანტიკურ ეპოქაში ე.წ. კონცენტრირებული პოლისის/ქალაქის დაარსება რისკებთან იყო დაკავშირებული. შესაბამისად, ჰიპოკრატეს *ხორა* უნდა მიუთითებდეს ფასისის, როგორც დისპერსიულ ურბანიზაციულ ან/და ქალაქურ დასახლებას.

რაც შეეხება, თავად შემდგომ დეტალურ აღწერას - *„ეს ქვეყანა ჭაობიანი, თბილი, წყლიანი და ტყიანი. წლის ყოველ დროს იქ ხშირი და ძლიერი წვიმები მოდის, ადამიანებს საცხოვრებელი ჭაობებში აქვთ, და მათი ხისა და ლერწმის სახლები წყალზეა დართული. ისინი ცოტას დადიან ფეხით ქალაქებსა და ნავსადგურებში. არამედ დაცურავენ აღმა-დაღა ერთ ხეში ამოღებული ნავებით, რადგან არხები ბევრია“* (ყაუხჩიშვილი.თ 1965, გვ. 145-147). აღნიშნული აღწერა პირდაპირ ემთხვევა იმ ბუნებრივ მახასიათებლებს, რაც მდინარე რიონის ქვედა დინებაში გვხვდება.

ყუბანის ვერცხლის ფიალა. c. ძვ. წ. V საუკუნე

[11] აღნიშნული ინფორმაცია წერილობითი მიმოწერისას დაადასტურა თამარ ლეჟავამ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა. t.lezhavaa@gmail.com

ნივთიერი მტკიცებულების თვალსაზრისით, ქალაქ ფასისის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ე.წ. ყუბანის ვერცხლის ფიალა, რომელიც აღმოჩენილია ე.წ. ზუბროვის ყორღანში. აღნიშნულმა ფიალამ არაერთი მეცნიერის ყურადღება მიიპყრო. მეტწილად გელა გამყრელიძეს განხილული აქვს ყველა წყარო, მათ შორის გ.ლორთქიფანიძისა და ს. ყაუხჩიშვილის (გამყრელიძე, 2001, გვ. 75)

აღნიშნული ფიალას საკუთარ მონოგრაფიაში განიხილავს მაქსიმე ბერძნიშვილი, რომელიც *ვერცხლის ამობურცულ ფიალას* უწოდებს (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 123).

ყველა შემთხვევაში საბაზისო ნაშრომად გამოყენებულია რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის ცნობარი (**Раскопки курганов на Зубовском хуторе в Кубанской области 1901**)[12].

აღნიშნული ფიალა გარკვეულწილად კაზუსურ ინფორმაციას შეიცავს, რადგან რამდენიმე სახის უზუსტობასთან გვაქვს საქმე. პირველ შემთხვევაში, ფიალის გარეთა ბაკოზე დატანილი ერთსტრიქონიანი წარწერა – *„Απόλλωνος Ἡγεμόνος εἰμί τῶμ Φάσι“/მე ვეკუთვნი აპოლონ წინამძღოლს, ფასისში რომაა* (თარგმანი ჩვენია). აღნიშნული წარწერა მ. ბერძნიშვილის მიხედვით, პალეოგრაფიული თვალსაზრისით, იგი ძვ. წ. V საუკუნეს მიწურულს მიეკუთვნება, ან IV საუკუნის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. მკვლევარი იქვე იმოწმებს ი.კიზირეცკის, რომელიც ფიალას არაუგვიანეს ძვ. წ. V საუკუნით ათარიღებს. ასევე, აღნიშნულ წარწერას იონურ დიალექტს მიაკუთვნებს (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 124). როგორც ცნობილია, მილეტი სწორედ იონურ რეგიონში შემავალი მეტროპოლიაა.

მეორე შემთხვევაში, მაქსიმე ბერძნიშვილი ისევ ეყრდნობა რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის ცნობარს და ფიალის აღმოჩენის არქეოლოგიურ კომპლექსს ძვ. წ. I ან ახ. წ. I საუკუნით ათარიღებს. ბუნებრივია, აღნიშნულ ფაქტს შემდეგი საისტორიო მოვლენით ხსნის - კერძოდ, ყუბანის მოსახლეობის თარეშით კოლხეთის ტერიტორიაზე, რომლებმაც დაარბიეს აპოლონ-ჰეგემონის ტაძარი, ან კიდევ - აღნიშნული მოვლენის ფარნაკთან და შემდგომ მითრიდატე პერგამონელთა კავშირით (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 125).

ასევე, ეს აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მდინარე ფასისს მდინარე ყუბანთან აიგივებენ, ხოლო, ირიბად, ეს აღმოჩენა უკავშირდება მდინარე ყუბანის ლოკაციას. მაქსიმე ბერძნიშვილი იმოწმებს ფრ. ბილაბელის დაკვირვებას, რომ მდინარე ყუბანს უკვე ჰქონდა ანტიკურ პერიოდში და მას ჰიპანისად

[12] გამოყენებული ფოტო და გრაფიკული ნახაზი ამოღებულია აღნიშნული პუბლიკაციიდან. ინტერნეტ რესურსის მიხედვით, ფიალა ინახება რუსეთის ფედერაციაში, ერმიტაჟის მუზეუმში. ინვენტარის ნომერი უცნობია. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ინტერნეტ ბმული: http://annales.info/blacksea/zubov/zubov.htm#_ftn2 (უკანასკნელად შემოწმებულია: 30/1/2018)

მოიხსენიებდნენ, ხოლო ამ შემთხვევაში წარწერაში არა მდინარე, არემედ - პოლისი (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 125). (Bilabel Fr, 1920, გვ. 111).

გარდა ამისა, ანკა დანს აქვს მცდელობა მდინარე ფასისი მდინარე ყუბანს დაუკავშიროს. ვრცლად იხ. ანკა დანის სტატია (Dan. A, 2016, გვ. 262). აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მიგვაჩნია, რომ საქმე გვაქვს წერილობითი წყაროების მანიპულაციასთან, რადგან ხშირ შემთხვევაში ბერძენი გეოგრაფები და ისტორიკოსები იმოწმებენ სხვადასხვა ავტორს და თავად აღწერილ რეგიონში არ იმყოფებიან. შესაბამისად, ურევენ ლოკაციას. გარდა ამისა, მდინარე ყუბანს, ე.წ. ჰიპსინეს, აქვს ალტერნატიული დასახელება, რაც მდინარე ფასისს არ გააჩნია. ის რომ მდინარე ფასისი სკვითების ქვეყანაში ჩამოდის არაფერს ნიშნავს, რადგან ანტიკურ პერიოდში კოლხეთი არაერთგზის მოხვედრილა სკვითებისა და სხვა პოლიტიკური ერთეულებისა ან/და სახელმწიფოების გავლენის ქვეშ.

მდინარე ყუბანი უშუალოდ ჩაედინება, პონტოს ეუქსინოსის/შავი ზღვისა და მეოტისიის ზღვის/აზოვის ზღვის შესართავთან, რაც ერთ-ერთი ძლიერი გეოგრაფიული მარკერია, რომლის საიდენტიფიკაციო ხარისხი უფრო მაღალია, ვიდრე: მდინარის ჩქარი დინება, ჭაობიანი ლანდშაფტი, ღრმა მდინარე და ასე შემდეგ. (ტაბულა XXXI)

არისტოფანე c. ძვ. წ. 444 – 385

არისტოფანე ძვ. წ. V-IV საუკუნეების მოღვაწე და კომედიების ცნობილი ავტორი ფასისის ისტორიასთან მიმართებით ჩატარებულ კვლევებში ყოველთვის უყურადღებოდ რჩებოდა. მისი ნაწარმოებებიდან ჩვენთვის საყურადღბოა ***აქარნელები.*** ტექსტი ქართულ ენაზე თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა. თარგმანი ადაპტირებულია, რის გამოც ჩვენთვის საინტერესო პასაჟი თარგმნაში გამოტოვებულია (ბერძენიშვილი, 2002, გვ. 85).

აქარნელების მთავარი სიუჟეტი ვითარდება ათენში, ნაწარმოების კეთილსინდისიერი მოქალაქე ცდილობს, მშვიდობა დაამყაროს სპარტასთან (Rogers B, 1930, გვ. 3). ერთ-ერთ ეპიზოდში დიკეოპოლის სახლიდან წამოსული მთავარი პერსონაჟი აგორაზე დავობს და მიუთითებს სხვებს, თუ სად გადის მისი სავაჭრო ადგილის საზღვრები, ასევე, მიმართავს მეგარელებს, პელოპონესელებსა და ბოეტიელებს, რომ მათ მხოლოდ მასთან უნდა ივაჭრონ და არა ლამაქესთან, ხოლო მლიქვნელებსა (სიქოპანტებს[13]) და ფასისელებს მოუწოდებს სასწრაფოდ დატოვონ სავაჭრო ადგილი (სავარაუდოდ, აგორა). *„Within these bounds may no informer come, Or any otlier syco-Phasian man“* (Rogers B, 1930, გვ. 71). კონკრეტული ლიტერატურული წყაროს მიხედვით, ფაქტია, რომ ფასისელები მონაწილეობენ

[13] *ძველ ათენში* მსტოვარი, ჯაშუში.(იხილეთ ბიბლიოგრაფია: ჭაბაშვილი, მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი.)

საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ეს ინფორმაცია, უკავშირდება ე.წ. მითიური არგონავტების ნარატივს და სულ სხვა კონოტაციით წარმოჩნდება - ბერძნული ლიტერატურული სამყარო კარგად იცნობს ფასისელებს. აღნიშნული ფრაზა გარკვეულწილად პარალელს პოულობს არისტოტელეს ცნობასთან, ე.წ. „მოლაყბე ფასისელებთან“, რომელსაც ნაშრომის ერთ-ერთ ქვეთავში განვიხილავთ.

არისტოფანეს კომედიებიდან კარგად ჩანს, რომ მწერალი იცნობს ფასისსა და ფასისელებს, რადგან იგი თავის მეორე ნაწარმოებშიც, კერძოდ., ***ფრინველებში***, ახსენებს ფასისს. ტექსტის ერთ-ერთ ეპიზოდში, სადაც ფრინველებს ეცნობიან, ოფოფის მსახური ეკითხება პისთეტერეს, თუ საიდან არის: . *„ფასისის ჩიტი ვარ მე - ქვეშეფსიოსი“* (ბერძენიშვილი, 2007, გვ. 97), - პასუხობს პისთეტრე. აქ ძალიან მნიშვნელოვანია კონოტაცია და ფუნქციური სახელი - ქვეშეფსიოსი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ არისტოფანე ფასისელს აიგივებს მშიშარა ფრინველთან.

ამ წინადადებას განსხვავებულად თარგმნის ვ.ჰიკი (მისი თარგმანი დღემდე საუკეთესოდაა მიჩნეული): *„I am a cackling from the river Phasis“* [მე ვარ მოჭრიახე ფრინველი ფასისიდან, თარგმანი ჩვენია] (Hickie, 1902, გვ. 306).

ფასისის შესახებ კიდევ ერთი ლიტერატურული ხასიათის ცნობაა შემონახული არისტოფანეს სხვა ნაწარმოებში - ***ღრუბლებში***. ეს ტექსტიც ქართულ ენაზე თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა და ამ თარგმანშიც, სამწუხაროდ, გამოტოვებულია ჩვენთვის საინტერესო პასაჟი. კერძოდ, მთვარი პერსონაჟის სტრეფსიადეს სტუმრობა სოკრატეს მოწაფესთან (ბერძენიშვილი, 2004, გვ. 15). ***ღრუბლების*** ინგლისურ ვერსიაში სოკრატეს მოწაფე სტრეფსიადეს შემდეგნაირად წარუდგენს თავს: *“Nor I, so help me Dionysus, our patron, though you bribed me With all the racers that Leogoras Breeds from his Phasian stud“* (Hickie, 1902, გვ. 122) [არც მე, დამიფარე დიონისე, ჩვენო მფარველო, მიუხედავად იმისა, რომ შენ მომისყიდე ყველა მბრბოლელთან ერთად, რომელიც ლეოგორასმა მოაჯიშა თავისი ფასისელი სტუდენტებისაგან, თარგმანი ჩვენია].

ცხადია, ყველა ზემოთ მოყვანილ ციტატაში არისტოფანე გულისხმობს ფასისის ელინურ მოსახლეობას. ბუნებრივია, ყველა წყარო ლიტერატურული ჟანრისაა, მაგრამ სასავარუდოა, რომ არისტოფანესთან ფასისელების ამ სახით წარმოჩენა რეფლექსიაა იმ განწყობილებებისა, რომლებიც კონტინეტური საბერძნეთის ცენტრალურ ნაწილებში სუფევდა. ცალსახად, აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით შეგვიძლია, ვთქვათ: ფასისელები ძვ. წ. V-IV საუკუნეში დიდ როლს თამაშობდნენ ათენელების სოციალურ ცხოვრებაში.

ქსენოფონტი c. 430–354

ფასისის შესახებ, ასევე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს სამოგზაურო ჟანრის ნაწარმოები - ***ანაბაზისი***, რომლის ავტორი ქსენოფონტია . აღშნიშნული წყარო არაერთგვარონ სურათს ქმნის, რადგან ქსენოფონტეს მიერ

აღწერილი ჰიდრონიმები და ლანდშაფტი უფრო მეტწილად ემთხვევა, მდინარე ჭოროხს (აჭარის წყალი), ან/და ბევრად უფრო ჩვენთვის შორეულ მდინარე არაქსის.

ქსენოფონტის ***ანაბაზისის*** მეოთხე წიგნის მეექვსე თავში დაცულია შემდეგი ცნობა: „ამის მერე გადავიარეთ შვიდი გადასასვლელი, დღეში 5 ფარასანგი, მდინარე ფასისის გაყოლებაზე, სიგანით ერთ პლეთრიანის“. მაქსიმე ბერძნიშვილი ფიქრობს, რომ ამ ცნობის მიხედვით, ვერ დასტურდება ის ფაქტი, რომ ფასისი უკავშირდება მდინარე არაქს (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 91).

კვლევის ეს ნაწილი არ უკავშირდება ფასისის ადგილმდებარეობის განსაზღვრას. ამ შემთხვევაში მხოლოდ საუბარია საისტორიო ცნობისათვის კონკრეტული კატეგორიის მინიჭებაზე.

პლატონი ძვ. წ. 427-347

ფასისის შესახებ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პლატონი, რომელსაც იგი ახსენებს თავის ***ფედონში*** (სოკრატეს ბოლო საათები). ფილოსოფიური ჟანრის ნაწარმოებში ფასისი ნახსნებია, როგორც სამყაროს ერთ-ერთი დასალიერი პუნქტი. ნაწარომეობის პერსონაჟი სიმიასი ამბობს: *„Also I believe that the earth is very vast, and that we who dwell in the region extending from the river Phasis to the Pillars of Heracles,.....*“[ასევე, მე მჯერა, რომ დედამიწა ძალიან ჩქარია და ჩვენ, რომლებიც ამ სამყაროში ვცხოვრობთ, ვრცელდება მდინარე ფასისიდან ჰერაკლეს სვეტებამდე, თარგმანი ჩვენია] (Jowett, 2008, გვ. 72)(უფრო ვრცლად იხილეთ ქართული ვერსია: დარჩია ირინე, 1998.);

როგორც ჩანს, პლატონისათვის სამყაროს დასალიერის ორი გეოგრაფიული პუნქტი არსებობს, ესენია: ჰერაკლეს სვეტები ან/და კლდეები, რომლებშიც უნდა მოიაზრებოდეს თანამედროვე გიბრალტარის სრუტე, და აღმოსავლეთით - მდინარე ფასისი. გარკვეულწილად პლატონის ეს განწყობა ფასისის, როგორც გეოგრაფიული პუნქტის, მისტიკურობას უსვამს ხაზს, რაც, თავის მხრივ, არაერთ ბერძენ ავტორთანაც დასტურდება, ვგულისხმობთ, ფასისის მითოლოგიურ არგონავტებთან აფილაციას.

პალტონის ცნობა ემთხვევა ფასისის არსებობის პირველ ფაზას და იგი ფილოსოფიური ჟანრის კატეგორიაში თავსდება.

არისტოტელე (ძვ. წ. 384-322)

არისტოტელე თავისი მოღვაწეობით ძალიან მრავალმხრივი ავტორია. მისი ნაშრომები შეიცავს მრავალგვაროვან მასალას:

1. წმინდა გეოგრაფიული ხასიათის შემცველ ცნობებს;
2. ზოოლოგიური მასალით წარმოდგენილ ინფორმაციებს;

3. ტომთა მომხსენიებელ და მათი დახასიათების შემცველ ცნობებს...

4. ძველ თქმულებებს, არგონავტებისა და პრომეთეს მითის მომხსენებელი (ყაუხჩიშვილი.თ, 1969, გვ. 8).

არისტოტელე კარგად იცნობს კავკასიის რეგიონს. იგი საკმაოდ კარგად არის გათვითცნობიერებული კავკასიონისა და კასპიის ზღვის რეგიონის ამბებში. არისტოტელეს ***მეტეოროლოგიაში*** ვხვდებით მეტად საინტერესო ცნობას:

„ხოლო კავკასიონიდან ბევრი სხვადასხვა მდინარე მოედინება, გამორჩეული წყლის სიმრავლითა და სიდიდით და მათ შორის - ფასისი. კავკასიონის უდიდესი მთაა როგორც სიფართოვით, ასევე - სიმაღლითა და მიმართულის ზაფხულის აღმოსავლეთისაკენ. საბუთი მისი სიმაღლისა, რომ ის კარგად ჩანს ეგრეთწოდებული სიღრმეებიდანაც და მათთვისაც, ვინც ტბაში შეცურდება. მისი მწვერვალები მზითაა განათებული... მისი სიფართოვის [ნიშანია ის], რომ მასში ბევრი ადგილსამყოფელია, სადაც ბევრი ტომი ცხოვრობს და სადაც, ამბობენ, ბევრი ტბებიაო “(ყაუხჩიშვილი.თ, 1969, გვ. 8).

„კავკასიონის ქვემოთ არის ტბა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ზღვას უწოდებენ, რადგან ამ ტბას მრავალი და დიდი მდინარე ერთვის და ცხადი გამოსავალი კი არ აქვს, იგი მიწის ქვეშ მიედინება კორაქსებისაკენ და გამოდის პონტოს ეგრეთწოდებულ სიღრმეებთან... (ყაუხჩიშვილი.თ 1969;გვ.9).

აღნიშნული მეტეოროლოგიური ცნობები უდავოდ ფასდაუდებელია ფასისის, როგორც მდინარის ლოკალიზაციაში, რადგან ზოგიერთი წყარო იძლევა სხვადასხვა სახის ინტერპრეტაციას. როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში, მეტწილად ტბებიანი გარემო ჰგავს რიონის ქვემო დინების ლანდშაფტს. გარდა ამისა, იგი კარგად იცნობს გეოგრაფიას და კავკასიონის მთები ზედმიწევნიდ სწორად აქვს დახასიათებული. ზემოაღნიშნული ცნობები სწორედ სამეცნიერო ჟანრის კატეგორიაში გადის. საინტერესოა, აღნიშნულ კონტექსტში, რატომ არ აქვს ნახსენები არისტოტელეს ფასისი, როგორც - ქალაქი.

საყურადღებო ცნობაა დაცული არისტოტელეს ნაშრომში „სამართლიანობის შესახებ“: „When they are making speeches to crowded audiences they spend the whole day in relating marvels, and that to people who have just returned from the Phasis or the Borysthenes...“ (Ross 1952:63); *„სახალხო ორატორები მთელ დღეს ატარებენ ჯამბაზების წარმოდგენათა ყურებაში და ფასისიდან, ან ბორისთენედან ჩამოსულებთან ლაყბობენო“* (ბერძნიშივილი, 1969, გვ. 126); არისტოფანეს მსგავსად, აღნიშნული ცნობა მოწმობს იმაზე, რომ ფასისის რეგიონის მცხოვრებლები, მეტწილად ელინური მოსახლეობა ჩართულია საბერძნეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

არისტოტელესთან დაცულია კიდევ ერთი საინტერესო ცნობა „ცხოველთა ისტორიაში“ – „..ფასისთან არიან პატარა ძროხები, რომელთაგან თითეული ბევრ რძეს იწველის, ხოლო ეპირის დიდი ძროხებიდან თითეული იწველის ერთ ამფორა რძეს და შესაძლოა სულაც ნახევარს... “ (ყაუხჩიშვილი თ, 1969, გვ. 15). აღნიშნული ცნობა ეკუთვნის, ასევე, სამეცნიერო ჟანრს. ბუნებრივია, არისტოტელე, ჩვენი კვლევის თანახმად, ფასისის პირველი ფაზის ავტორებს მიეკუთვნება.

ჰერაკლიდე პონტოელი (c. ძვ. წ. IV ს.)

არსებობს დისკუსიების ცნობა ე.წ. „პოლიტიებიდან“, რომელიც არისტოტელესი თუ არა, მისი სკოლის წარმომადგენლის უნდა იყოს. „ფასისელთა (სახელმწიფო წყობილებიდან)“ - ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანთა ტყავის გამხდელი ტომი, შემდეგ კი მილეტელები, ხოლო ესენი სტუმართმოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გემები ეღუპებათ, 3 მნას აძლევენ [მილეტელებს ესენი] და ზღვითვე მიემგზავრებიან“ (ყაუხჩიშვილი თ, 1969, გვ. 95).

თეოკრიტე სქოლიასტი (C. ძვ. წ. 300-260)

მნიშვენლოვანი საკვანძო წყარო ქალაქ ფასისის ისტორიაში ეკუთვნის თეოკრიტე სქოლიასტს, რომელიც ადრეელინისტური პერიოდის პოეტია. აღნიშნული წყაროს შესახებ მცირე კომენტარით შემოიფარგლება მაქსიმე ბერძნიშვილი - *[ფასისი მდინარეა და მისი თანამოსახელე ქალაქი კოლხეთში, სადაც ელინები (ბერძნები), მილეტიდან გადმოსახლებულნიო].* აღნიშნულ წყაროს მ. ბერძნიშვილი იმოწმებს სანკტ-პეტერბურგში 1890 წელს გამოცემული ვ. ლატიშევის წიგნის „ძველი ბერძნების ცნობები კავკასიასა და სკვითებზე“ მიხედვით (*SCYTHICA ET CAUSASICA E VETERIBUS SCRIPTORIBUS GRAECIS ET LATINS I*) (ბერძნიშვილი მ, 1969, გვ. 149). დამოწმებული წყარო სტილისტურად, შედარებით სხვაგვარად არის წარმოდგენილი თინათინ ყაუხჩიშვილის თარგმანში: *„ფასისი არის მდინარე, მისი მოსახელე ქალაქი კოლხეთი, სადაც ცხოვრობენ ელინები, მილეტელებთა ახალმოშენეები“* (ყაუხჩიშვილი თ, 1980, გვ. 117.).

თეოკრიტე სქოლასტიკოსის ცნობებს, რომლებიც დაცულია მის ***იდილიებში,*** ქრონოლოგიური ასპექტების გამო, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით.

თეოკრიტე მოღვაწეობდა ადრეელინისტურ ეპოქაში, ზუსტი თარიღები უცნობია, თუმცა დიდი ალბათობით – ძვ. წ. 300 – 260 წლებში. როგორც ცნობილია, თეოკრიტე დაიბადა კუნძულ სირაკუზზე, ის მსახურობდა ალექსანდრიაში პტოლემაიოსების კარზე. ასევე, გარკვეულ ეტაპზე მოგზაურობდა ქალაქ კოსში

(ყაუხჩიშვილი, 1980, გვ. 111). χ. ჩოლმელეი მიიჩნევს, რომ თეოკარტემ თავისი ***იდილიები*** ძვ. წ. 275-274 წლებში დაწერა (Cholmeley J, 1919, გვ. 4) .

საინტერესოა ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვება თეოკრატეს სქოლიასტის XIII ***იდილიაში*** დაცულ ინფორმაციაზე: *„რომ ჰერკლემ მიატოვა არგო და ფეხით მივიდა კოლხეთში არასტუმარე ფასისთან“.* ცხადია ***იდილია*** მითოსნარევი პოეტური ჟანრის ნაწარმოებია, მაგრამ, აშკარად ჩანს, რომ ადრეელინისტურ ეპოქაში ფასისი კვლავაც პოპულარულია და იგი განაგრძობს არსებობას. გარდა ამისა, აღნიშნული ცნობა (მითი) ესადაგება ფაზისის პრებერძნულ ისტორიას. მნიშვნელოვანია ასევე თეოკრატეს ცალკეული განმარტება „არასტუმართმოყვარე ფასისელების შესახებ“. იგი მიიჩნევს, რომ აქ მცხოვრები ხალხი ბოროტად არიან განწყობილი უცხოელების მიმართ (ყაუხჩიშვილი.თ, 1980, გვ. 113).

თეოკრატე სქოლიასტის მიერ შემონახული ორი ცნობა ფასისის შესახებ, პირველ ფაზას უნდა მიესადაგებოდეს - ძვ. წ. VI-III საუკუნეებს, რომელიც ქალაქის ისტორიის პირველ ეტაპს შეესაბამება, ხოლო მეორე, მითოლოგიზირებული ცნობა აშკარად ქალაქის პრეკოლონიალისტური ნარატივის, არგონავტების მითის გაგრძელებაა (Mastronarde, 1968, გვ. 288). როგორც ცნობილია, ბერძნული მითი, სხვადასხვა ქრონოლოგიურ მონაკვეთში მუდმივად განიცდიდა ფორმირებას. კონკრეტული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმით, რომ ადრეელინისტურ ეპოქაში ფასისი ბერძნულ სამყაროში არ კარგავდა აქტუალურობას.

რაც შეეხება პირველ წყაროს, ის ბევრად უფრო ფასისის ელინურობაზე მიუთითებს. აშკარაა, რომ, თუ მანამდე არსებულ წყაროებში დაშვებულია უზუსტობები, რომლებიც მდინარე ფასისის ლოკალიზაციას ეხება. აღნიშნული წყარო აბათილებს ამ გაურკვევლობას. მკაფიოდ არის დეფინირებული, რომ მდინარე ფასისი კოლხეთში ჩამოედინება და იქ ბერძნები ცხოვრობენ. საყურადღებოა, რომ მდინარე ფასისს ცალკე ნაშრომი მიუძღვნა ანკა დანმა. დამატებითი ინფორმაციისათვით იხილეთ ანკა დანის პუბლიკაცია (Dan, 2016, გვ. 245-277).

აპოლონიოს როდოსელი - c. ძვ. წ. III ს.

1948 წელს აკაკი ურუშაძემ გამოაქვეყნა აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკის შესახებ ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომი, რომელშიც თარგმანის გარდა, წარმოდგენილია თანდართული კომენტარები და კვლევა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წიგნში ცნობები კოლხეთის შესახებ მთლიანად მითოლოგიური ჟანრისაა (დამატებით იხილეთ. ურუშაძე, 1948).

მიუხედავად არგონავტიკის მითოლოგიური კონტექსტისა, გვსურს სამ ცნობაზე გავამახვილოთ ყურადღება, რადგან აღნიშნული ცნობები შეიცავს

ინფორმაციას მდინარე ფასისის შესახებ. აპოლონიოს როდოსელის თანახმად, მორევს ფასისი შორეული მთებიდან მოაგორებს ფართო ნაკადს ზღვისაკენ ქუთაისის ხმელეთსა და კირკეონის ველზე (აპოლონიოს როდოსელი, 1975, გვ. 98). ამ კონტექსტში კარგად ჩანს აპოლონიოს როდოსელის დამოკიდებულება მდინარის მიმართ. შეიძლება ითქვას, თუ როგორ აისახა ბერძნულ მითოლოგიაში მდინარის სიუხვე და სისასტიკე.

მეორე ეპიზოდი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ მიადგნენ არგონავტები გემით ზღვის უკიდურეს წერტილს, სადაც მდინარე ფასისი ფართოდ ჩაედინება ზღვაში, ხოლო ამის შემდეგ, ნიჩბების დახმარებით, როგორ შეცურეს არგონავტებმა მდინარეში (აპოლონიოს როდოსელი, 1975, გვ. 121).

მესამე ეპიზოდი ეხება ანკეოსის სიტყვას. მას შემდეგ, რაც არგონავტები მდინარე ფასისს მიადგნენ, მისი თქმით, არგონავტებმა ფეხი დადგეს კოლხეთის მიწაზე. ჩვენი აზრით, აპოლონიოს როდოსელის არგონავტიკაში, კარგადაა დეფინიცირებული გეოგრაფიული ნიუანსები. აშკარაა, რომ იგი კოლხეთში გულისხმობს, თანამედროვე დასავლეთ საქართველოს, ხოლო ფასისი კი, მდინარე რიონია.

პომპონი მელა (c. I ახ. წ.)

„აქ ცხოვრობენ კოლხები, აქ გადმოენთხევა მდ. ფასისი, აქ არის მდინარის მოსახლე ქალაქი, თემისატაგორა მილეტელის მიერ დაფუძნებული, აქაა ფრიქსეს ტაძარი და ჭალა, სახელოვანი ოქროს საწმისის შესახებ ძველი თქმულებით“ (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 136). ბერძნიშვილი ხაზს უსვამს აღნიშნული ცნობის მნიშვენლობას, რადგან იგი შეიცავს ინფორმაციას დამაარსებლის ვინაობის შესახებ, თუმცა მკვლევარს სხვა ვარაუდი აღარ აქვს გამოთქმული.

ონლაინ ენიკლოპედია ***ბრიტანიკას*** მიხედვთ, პომპონი მელა რომაული ჰისპანიადან არის, კერძოდ, ანდალუსიის(ბაეტიკა) ქალაქ ტინხენტერადან, სადაც იგი მოღვაწეობდა. ფასისის შესახებ ცნობა დაცულია მის ნაშრომში - ***ქრონოგრაფია*** (დაწერილია ახ. წ. 43-44 წლებში). მაღალი ალბათობით, იგი პირადად არ იცნობს შავი ზღვის რეგიონს, თუმცა იცის სხვა უფრო ადრინდელი ცნობების შესახებ. პომპონი მელას ხშირად ციტირებს პლინიუს უფროსი.

წყაროს ანალიზის საფუძველზე, შეგვძილია ვთქვათ, რომ იგი მეცნიერული ხასიათისაა, რომელიც შედგენილია კომპლიაციური მეთოდით და ძირითადად ეყრდნობა უფრო სხვა ავტორთა ადრეულ ცნობებს. გარდა ამისა, პომპონი მელა ვერ გაურბის მითოსური ჟანრის ნარატივს და ის ინსპირირებულია არგონავტების მითოლოგიური თქმულებით. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრონოლოგიურად ორი-სამი საუკუნის დაშორების მიუხედავად, აღნიშნული

წყარო, ფასისის პირველი ფაზის შესაბამისად, ახალშენის დაარსების პერიოდს მიეკუთვნება.

ვიტრუვიუსი (ძვ. წ. I საუკუნე)

ვიტრუვიუსი თავის ცნობილ წიგნში - ***10 წიგნი არქიტექტურის შესახებ*** - ერთხელ ახსენებს მდინარე ფასისს. ერთ-ერთ ეპიზოდში მას ჩამოთვლილი აქვს სხვადასხვა რეგიონის ცენტრალური მდინარეები, სწორედ აქ გვხვდება მდინარე ფასისი, რომელიც კოლხეთში მიედინება (ვიტრუვიუსი წიგნი VII, თავი II, გვ. 6).

ვიტრუვიუსის მეორე წიგნში ვხვდებით კოლხეთის გავრცელებულ აღწერილობას. მისი ცნობით, კოლხეთში ხე-ტყის სიმრვლის გამო, ადგილობრივი სახლები ხისგან არის ნაშენები, რომლებსაც კოშკის ფორმა აქვს. ძელები ერთმანეთზე გარდი-გარდმო პრინციპით არის დაშენებული, ძელებს შორის დარჩენილი სივრცეები კი, თიხით არის შევსებული (ვიტრუვიუსი, წიგნი II, თავი II, გვ. 6). კოლხეთის არქიტექტორულ თავისებურებას ვრცლად განიხილავს გელა გამყრელიძე (გამყრელიძე, 2010, გვ. 96).

ჩვენი აზრით, კოლხეთის არქიტექტურა არ უნდა იყოს განხილული იზოლირებულად, რადგან ვიტრუვიუსი თავისივე წიგნში კოლხეთის მთავარ მდინარედ ფასისს ასახელებს. მეორე და უმთავრესი ნაწილია კოლხეთის ეკოსისტემა, რომელიც ერთგვარია და, შესაბამისად, ფასისიც ამ სპეციფიკური ლანდშაფტის განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული დასკვნა გელა გამყრელიძესაც ეკუთვნის, რომელმაც შეაჯერა ვიტრუვიუსის, აპოლონიოს როდოსელისა, ქსენოფონტის ცნობები არქეოლოგიურ მონაცმებთან, კერძოდ, ადეიშვილების სამოსახლოსთან (გამყრელიძე, 2010, გვ. 97).

სტრაბონი (ძვ. წ. 64 - ახ. წ. 23)

სტრაბონი პირველი ავტორია, რომელთანაც ვხვდებით ქალაქის მიახლოვებულ ადგილმდებარეობას და მეტნაკლებად აღწერს იმ გარემოს, სადაც ქალაქი მდებარეობდა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია ოთარ ლორთქიფანიძის მართლებული დაკვირვება, რომ სტრაბონის ცნობები ფასისთან მიმართებაში გამოირჩევა ინფორმაციის სიძუნწით. სხვა ქალაქებს სტრაბონი დეტალურად აღწერს, გადმოგვცემს მათი დაარსების ისტორიას, მოგვითხრობს მოსახლეობის

შესახებ, ხშირ შემთხვევაში კი, განიხილავს მათი პოლიტიკური ისტორიის საკმაოდ დეტალურ ცნობებს (ლორთქიფანიძე, 2010, გვ. 187).

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ სხვა ავტორებისგან ვიცით ქალაქის დაარსების ისტორია, მაგალითისათვის, ჰერაკლიდე ასახელებს ჰენიოხებს, რომლებიც კაციჭამიები არიან და ფასისში, ბერძნული კოლონიის დაარსებამდე ცხოვრობდნენ. ჩვენი აზრით, ადგილობრივი მოსახლეობის ასეთ უხეშ კონტექსტში ხსენება, ერთგვარი გაგრძელებაა არგონავტების მითის, სადაც არაერთ ეპიზოდში კოლხები გამოირჩევიან თავისი სისასტიკით და არასტუმართმოყვარეობით (ლორთქიფანიძე, 2010, გვ. 188).

სავარაუდოა, რომ სტრაბონის შრომები დაწერილი უნდა იყოს ახ. წ. I საუკუნის პირველ მეოთხედში, რადგან მის მიერ მოვლენათა აღწერილობა ემთხვევა აღნიშნულ პეიროდს (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 133). მისი ცნობები ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის ადგილმდებარეობის დადგენისათვის და, გარდა ამისა, როგორც ჩანს, იგი პირველია ე.წ. ელინისტური კრიზისის შემდგომ,[14] რომელიც ხელახლა ახსენებს ქალაქ ფასისს.

„მდინარიდან და ქალაქიდან პირდაპირი საზღვაო გზა ევქსინეს კუთხემდე რჩება არა ნაკლებ 600 სტადიონისა“ (სტრაბონი, 11,1 39). მ. ბერძნიშვილი ექვსინეს კუთხედ დიოსკურიას მიიჩნევს. მან, ასევე, გამოთვალა მანძილი, რომელიც, მეტ-ნაკლები სიზუსტით, ნამდვილად დაემთხვა სოხუმის ახლომახლო ტერიტორიას. მისი გამოანგარიშებით ერთი სტადიონი უდრის 184.75 მეტრს, რაც ჯამში, მიახლოებით 113 კილომეტრს უდრის. ნამვილად დღევანდელი ფოთიდან სოხუმამდე, ზღვის გასწვრივ 113 კილომეტრია და ემთხვევა მ. ბერძნიშვილის დაანგარიშებას (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 135).

როგორც მ. ბერძნიშვილი აღნიშნავს, მეტად საინტერესოა სტრაბონის ორი, ერთი და იმავე შინაარსის ცნობა ფასისის ლოკალიზაციის შესახებ.

პირველი: *„ფასისის პირას ძევს იმავე სახელის ქალაქი, კოლხეთის სავაჭრო ქალაქი, რომელსაც წინ უძევს ერთი მხრით მდინარე, მეორე მხრით კი - ზღვაო“.* მეორე: *„ფასისი ერთვის პონტოს, აქვს იმავე სახელის ქალაქი და შორიახლო ტბა“.* როგორც მ. ბერძნიშვილმა აღნიშნა, ეს სიტყვები უნდა გახდეს სახელმძღვანელო ნებისმიერი არქეოლოგისათვის, ვის ინტერესშიც იქნება ფასისის ადგილმდებარეობის დადგენა (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 136). რიონის დელტის ქვემო ზოლი, სადაც ფასისი უნდა მდებარეობდეს, ხასიათდება ცვალებადობით. გასათვალისწინებელია, რამდენიმე ბუნებრივი მოვლენა. ხმელეთის მომატების ტენდენცია, მდინარის კალაპოტების ცვალებადობა, ზღვის ტრასნგრესია/რეგრესია. რამაც შესაძლოა კარდინალურად შეცვალა სურათი. მსგასვი არგუმენტაცია ეყრდნობა ოთარ ლორთქიფანიძის მოსაზრებასაც, რომელიც აღნიშნავს, რომ პალიასტომის, მდინარე რიონის შესართავისა და შავი ზღვის მსგავსმა განლაგებამ

[14] კვლევის სადისკუსიო ნაწილში განხილულია ე.წ. ელინისტური კრიზისის მოდელი, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონოდა აღმოსავლეთ შავი ზღვის პირეთში.

ხშირ შემთხევაში არაერთი მკვლევარი შეიყვანა შეცდომაში (ლორთქიფანიძე, 2010, გვ. 192).

შესაბამისად, ახლანდელი რეალიების გათვალისწინებითა და სტრაბონის მონაცემებზე დაყრდნობით ფასისის პოვნა შეუძლებლად მიგვაჩნია. სტრაბონის ხსენებული ცნობები ჩვენთვის უფრო სხვა კონტექსტითაა საინტერესო. პირველი, ელინური ქალაქი ჩანაცვლდა კოლხური დომინიონით. მეორე, ქალაქის ხელმეორედ ხსენება, სრულიად ახალ კონტექსტში გულისხმობს ელინისტური კრიზისის შემდგომ ქალაქის ახლად წარმოქმნას.

სტრაბონს ორჯერ აქვს ქალაქი ნახსენები, თუმცა, ასევე, თავის ***გეოგრაფიაში*** მნიშვნელოვან ნაწილს უთმობს მდინარე - ფასისის აღწერას. ორ შემთხვევაში უშვებს ფაქტობრივ შეცდომას, როდესაც მდინარის სათავედ არმენიას მოიხსენიებს, აღნიშნულ შეცდომას მდინარე „ჰიპოსის“ (ცხენისწყლის) მიმართებაშიც იმეორებს.[15]

გარდა ამისა, სტრაბონის ***გეოგრაფიაში*** აღწერილია მდინარე ფასისზე აღმაცურვა და მისი სანაოსნოდ გამოყენება. *„ფასისზე აღმა ცურვა შეიძლება შორაპანამდე, ამ სიმაგრეს შეუძლია დაიტიოს მთელი ქალაქის მოსახლეობა“ და „სწრაფი და ხმაურა მიემართება კოლხიდაში, 120 ხიდით გადაისვლება“*(სტრაბონი XI, III, 4).

ცალსახად, მდინარე რიონს აქვს გრავიტაციული დინება შავიზღვის მიმართლებით, რაც ჰინტერლანდის რესურსების ზღვისკენ გადაზიდვას აიოლებს. მსგავს მოდელს გრავიტაციული ეკონომიკა ეწოდება[16]. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გვიანდელი საისტორიო წყაროები, რომლებიც მიუთითებენ რიონზე აღმაცურვის შესაძლებლობას, საეჭვოდ მიგვაჩნია მისი აქტიური გამოყენება. მხედველობაში გვაქვს ჟან პიერ შარდენის მიერ აღწერილი ბრძოლა, როდესაც თურქებმა სცადეს გალერების გამოყენებით, რიონზე აღმაცურვით ქუთასისისათვის შეტევა. აღნიშნულ წყაროს განვიხილავთ ქვემოთ. ასევე, ცნობილია ადოლფ ფონ ლენხერფენდის ცნობები რიონის შესახებ, რომელშიც ის აღწერს, რომ მდინარე რიონზე პატარა, ბრტყელძირა ნავები აქტიურად გამოიყენება კონტრაბანდის გადასაზიდად, რადგან დიდი გემები ვერ ახერხებენ მდინარე რიონში შესვლას (ფონ ლენხრეფენდი, 1887, გვ. 84).

სენეკა ახ. წ. I საუკუნე

სენეკა ცნობილი ლათინი ავტორია, რომელიც სახელგანთქმულია თავისი დრამატურგიული ნაწარმოებებით. ჩვენამდე მოღწეული ტრაგედიებიდან მნიშვნელოვანი ნაწარმოებია - ***მედეა***, რომელიც ბერძნული არგონავტების

---

[15] ზოგიერთი ქართველი მკვლევარი მდინარე ფასისს ჭოროხთან აიგივებს. მაგ.:მხედველობაში გვაქვს ანანია ჯაფარიძის კვლვევა, რომელიც განიხილავს სტრაბონის ცნობებს.

[16] ტერმინი გრავიტაციული ეკონომიკა დამკვიდრებულია ჰიუჯ კენედის მიერ, რომელიც მას ტიგროსისა და ევფრატის მომართებით ახსნებს.

ლათინური ვარიანტია. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს სენეკას ნაწარმოების ევრიპიდეს ***მედეასთან*** მსგავსებაზე.

მდინარე ფასისს რამდენიმე ეპიზოდში ახსნებს სენეკა. ერთ-ერთი მათგანი უკავშირდება მდინარე ფასისსა და უხილავ უღმერთობას, კავკასიონის უხილავ სისასტიკეს. მედეა კონკრეტულ ეპიზოდში შემოუძახებს საკუთარ თავს, რომ დაძლიოს ქალური შიში და გახდეს ისეთი უღმერთო, როგორც ფასისია (სენეკა 45). ცხადია, სენეკასთანაც აისახა მდინარის სისატიკე, შეიძლება ითქვას, ფასისს ბრუტალურ კონტქსტში ხშირად მოიხსენიებენ, მაგალითისათვის, აპოლონიოს როდოსელთანაც მსგავსი კონოტაცია შეგხვდა.

მეორეჯერ მდინარე ფასისს მედეა სხვა კონტექსტით მოიხსენიებს: ,,*რასაც ფასისი რწყავს კლაკნილი, დუნე ნაკადით, რასაც ზურგს უკან მოიტოვებს სკვითიის პონტო, სადაც ჭაობი გაამტკნარებს ზღვის მლაშე ზვირთებს"* (სენეკა 215). ჩვენი აზრით, აღნიშნული დახასიათება კარგად ესადაგება მდინარე რიონის ქვემო დინებას.

მესამე ეპიზოდში, მედეა მიმართავს იასონს და აფრთხილებს, რომ დაბრუნდება კოლხეთსა და ფასისში, იქ, სადაც ძმის სისხლი ველებს რწყავს (სენეკა 445).

გაიუს ვალერიუს ფლაკუსი. ახ. წ. I

ვალერიუსი ფლაკუსი კიდევ ერთი ლათინი ავტორია ესპანეთიდან, რომელსაც ეკუთვნის ჰეგზამეტრით აღწერილი ***არგონავტიკა.*** მას მდინარე ფასისი ერთხელ აქვს ნახსნები. გარდა ამისა, შეიცავს ცნობებს კოლხეთის შესახებ. *„ჯერედ ვუმღეროთ ღვთის ნაშობ გმირს ზღვათა დამლახვრელს, მერე ნავს გრძნეულს მოამაყეს ფასისად მისვლის"* (გიგაური, 1969, გვ. 134).

სამწუხაროდ, აღნიშნული ცნობა არ შეიცავს ჩვენთვის საინტერესო მონაცემებს.

ვირგილიუს პუბლიკიუს მარონი ახ. წ. I

ვირგლიუს პუბლიკიუს მარო კიდევ ერთი ლათინი ავტორია, რომელსაც ეკუთვნის სამი ძირითადი პოემა: ***ენეიდა, ბუკოლიკები და გეორგიკები***. მსგავსად სენაკასი, ვირგილიუსი თარგმნიდა ბერძნულ ტექსტებს, მაგალითად: ***ენეიდა*** ბერძნული ***ილიადას*** ლათინური ვარიანტია. ფასისის ჰიდრონიმის შესახებ უმნიშვნელო ცნობას შეიცავს მისი ***გეორგიკები***, სადაც მხოლოდ ერთხელაა

ნახსენები. მდინარე ფასისი და ლუკუსი, რომლებიც მიწისქვეშ მისრიალებს (ვერგილიუს მარონი, 2011, წიგნი ოთხი).

მემნონი (მემნონ ჰერაკლეელი) ახ. წ. I საუკუნე

მემნონი თავის წიგნში - ***ჰერაკლეას ისტორია*** ორ ადგილას ახსნებს მდინარე ფასისს, რომელიც უკავშირდება მითრიდატეს ომებს. პირველ ეპიზოდში, როდესაც მითრიდატეს ადრეულ ბიოგრაფიულ ცნობებს მიმოიხილავს, გვაწვდის შემდეგ ცნობას: *„მითრიდატემ გააფართოვა თავისი სამეფო მდინარე ფასისის ირგვლივ, როცა მან დაიმორჩილა კავკასიის მეფეები ომებში, და იგი ძალიან ამაყი გახდა“* (მემნონი ჰერაკლიას ისტორია, თავი 22.).

მეორე ეპიზოდი უშუალოდ მითრიდატეს ომების მეორე ეპიზოდიდანაა, როდესაც მითრიდატე გამაგრდა სინოპში, მაგრამ მურენთან შეტაკებებმა იგი იძულებული გახადა ფასისის მიმართულებით უკან დაეხია: *„ბრძოლის დაწყებისას მეფეს ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ შემდგომში დამქანცველმა ომმა შეანელა ორივე მხარის ენთუზიაზმი, მითრიდატე წავიდა მდინარე ფასისისაკენ, კავკასიის რეგიონში, ხოლო მერუნა დაბრუნდა აზიაში''* (მემნონი ჰერაკლიას ისტორია, თავი 26.) ორივე მინიშნებაში ფასისი მხოლოდ ჰიდრონიმის სახელითაა ცნობილი. ასეთივე ხასიათის ცნობებია დიონ კასიუსთან, სადაც მხოლოდ მდინარე ფასისია ნახსენები და მას ქვემოთ განვიხილავთ, ხოლო აპიანესთან, რომელიც დეტალურად მოგვითხრობს მითრიდატეს ომების შესახებ, საერთოდ არაა ნახსნები ფასისი.

პლუტარქე - ახ. წ. I-II საუკუნეები

პლუტარქე თავის ცნობილ ნაშრომში ***პარალელური ბიოგრაფიები*** ახსენებს მდინარე ფასისს რომის იმპერიის საზღვრის კონტექსტში. პლუტარქეს თანახმად, მას შემდეგ რაც გაიზარდა უკმაყოფილება ლუკულუსის მიმართ, რომაელმა დემაგოგებმა ისარგებლეს და ბრალი დასდეს მას, რომ ომს ანგარების მიზნით ახანგრძლივებდა, როდესაც მომწყვდეული ჰყავდა: კილიკია, აზია, ბითვიანია, პაფლაგონია, გალატია, პონტო, სომხეთი და სხვა ქვეყნები, ვიდრე ფასისამდე. ამ შემთხვევაშიც, ლუკულისისა და მითრიდატეს დაპირისპირებაში მხოლოდ მდინარე ფასისი ფიგურირებს და არა ქალაქი, რაზეც საჭიროა ყურადღების გამახვილება(პლუტარქე - ლუკულუსის ბიოგრაფია, 33).

პლუტარქე მეორეჯერაც ახსენებს მდინარე ფასისს. მას შემდეგ, რაც პომპეუსმა დაამარცხა იბერები, იგი კოლხეთში შეიჭრა. მას მდინარე ფასისის სანაპირობზე სერვილიუსი ელოდებოდა თავისი ფლოტით, რომლითაც იგი პონტოს იცავდა (პლუტარქე - პომპეუსის ბიოგრაფია, 34).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფლოტი მდინარის სანაპიროზე ელოდება პომპეუსს და არა ღია ზღვაში, ან ნავსადგურში. აქ ნახსნები არ არის ქალაქიც.

პლინიუსი (ახ. წ. 79. გარდაცვალების თარიღი)

მაქსიმე ბერძნიშვილის დაკვირვებით პლინიუსის ცნობები ფასისის შესახებ ძალიან მცირეა და იგი გარკვეულწილად იმეორებს სტრაბონისეულ ცნობას, რომელიც დიოსკურიიდან ზომავს მანძილს ფასისამდე. თუმცა სტადიონების მაგიერ გამოყენებული აქვს ბიჯების სისტემა. მისი გადმოცემით, სებასტოპოლისის ციხიდან ფასისამდე 100 000 ბიჯია. ბერძნიშვილის აზრით, 100 000 ბიჯი დაახლოვებით 148 კილომეტრია (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 136).

დიონისე პერიეგეტე (ალექსანდრიელი) - ახ. წ. I-II საუკუნეები

დიონისე პერეიგეტე ალექსანდრიელი გეოგრაფია და მოღვაწეობდა იმპერატორ ადრიანეს დროს (II საუკუნე). მას ეკუთვნის გეოგრაფიული პოემა - ე.წ ***ცნობილი სამყარო,*** რომელიც შესრულებულია ჰეგზამეტრიულ წყობაში (Lightfoot, 2014, გვ. IV). დიონისე პერიეგეტე მხოლოდ ფასისის ჰიდრონიმს ასახელებს და ადარებს ნილოსს: *„მდინარე ნილოსი და ფასისი განიერი და გრძელი მდინარეებია, მაგრამ ისინი ზღვები არიან, რომლებიც ხასიათდებიან სიჩქარით და დინამიკურობით.* (Lightfoot, 2014, გვ. 138).

ფლავიუს არიანე (c. 95 -175წწ.)

მკვლევართა უმეტესობის აზრით, ფლავიუს არიანემ იმპერატორ ადრიანეს დავალებით 131 წლებში იმოგზაურა (ფლავიუს არიანე, 1961, გვ. 4). ეჭვგარეშეა, რომ არიანე უშუალოდ იმყოფებოდა კოლხეთის დაბლობზე და პირველადი წყაროა ჩვენთვის.

პირველ რიგში, საინტერესოა არიანეს დაკვირვება, რომელიც გაოცებული აღწერს მდინარე ფასისს, მაგრამ არა მდინარის თავისებურებას, არამედ, მის გემოვნურ თვისებებს. მისი გადმოცემით, წყალი უმსუბუქესია. მისი დაკვირვებით, ადგილობრივ მოსახლეობას საქონელი ზღვაზე ჩაჰყავს წყლის დასალევად, რასაც მისი დაბალი მარილიანობით ხსნის. გარდა ამისა, აღნიშნავს, რომ აქ შესულ გემებს აქვთ ბრძანება, გადაღვარონ წყალი და ახლი მდინარის მტკნარი წყალით შეავსონ მარაგები (არიანე, თავი VIII). ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ მეორე საუკუნეში სავაჭრო გემებისათვის შესაძლებელი იყო მდინარე რიონში შეცურვა.

მდინარის აღწერილობის შემდგომ არიანე აღწერს ფასისის პორტს. ცხადია, არიანეც გადმოგვცემს მნიშვნელოვან მითოლოგიურ ცნობებს. აქ ჩვენთვის

საინტერესოა რამდენიმე გარემოება. პირველი: ის აღწერს, ადგილობრივი ქალღმერთის ფასიანეს ქანდაკებას, რომელსაც არიანე რეას ადარებს, ხელში წინწილა უჭირავს და მისი სავრძლის წინ ლომები წვანან. ასევე ჯდომის მანერას ადარებს ფასიადეს ქანდაკებას ათენაში (არეიანე, თავი 9). როგორც ცნობილია, ლომი ქალაქ მილეტის სიმბოლოა, ხოლო ფასისის ზარაფხანაში მოჭრილ მონეტებზე ვხვდებით ლომების გამოსახულებებს[17]. მეორე მითოლოგიური გარემოება, გახლავთ არგონავტების რკინის ღუზა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა უთითებს არიანეს. იგი საეჭვოდ მიიჩნევს ამ ფაქტს, და ვარაუდს გამოთქვას ქვის ღუზაზე, რომელსაც ის ნამდვილ ღუზად მიიჩნევს (არიანე თავი:9 იქვე). ერთმნიშვნელოვნად მითის შესახებ დისკუსიაში ვერ შეველათ, მაგრამ აქ, ჩვენი აზრით, უფრო მნიშვნელოვანია არგონავტების მითის აქტუალიზაცია ადგილობრივ მოსახლეობაში. ცხადია, აღნიშნული მითი ბერძნების მიერაა შთაგონებული, მაგრამ ადგილობრივი კოლხური მოსახლეობა ეჭვმიუტანელად მოიზარებს საკუთარ თავს არგონავტებში.. გარდა ამისა, ადრიანე დაინტერესებულია იაზონის ლაშქრობასთან დაკავშირებული სხვა ძეგლებითაც, თუმცა ვერ მოიძია.

მას შემდეგ, რაც არიანე ასრულებს მითიური ნაწილის შესახებ თხრობას, გადადის უშუალოდ ციხესიმაგრის აღწერილობაზე. ფლავიუს არიანი პირველი ავტორია, რომელიც ფასისის ციხესიმაგრეს ახსენებს. არა, როგორც ქალაქს, არამედ, სტრატეგიულად გამაგრებულ რომაულ ციხეს, რაც ნამდვილად, ახალი თვისობრივი ეტაპია ფასისის ისტორიაში. მისი გადმოცემით, ციხესიმაგრე დგას ბუნებრივად მიუდგომელ ადგილას და იქ ოთხასი რჩეული მეომარია განთავსებული. ეს ნაგებობა თავდაპირველად თიხითა და ხით იყო ნაშენები, ხოლო ახლა გამომწვარი აგურითაა. ი ანუ ხის კოშკები ჩანაცვლებულია გამომწვარი აგურით. საძირკველი საკმაოდ მყარია და მასზე დამაგრებულია სამხედრო მანქანები, რაც წარმატებით იცავს ციხეს ბარბაროსების მოსალოდნელი თავდასხმებისგან. ციხესიმაგრეს გარშემო ორი თხრილი აქვს შემოვლებული. თხრილის გარშემო ვეტერანებისა და ვაჭრების დასახლებებია. მისი განმარტებით, ეს ყველაფერი იმისთვისაა, რომ ნავსადგური უშიშარი თავშესაფარი ყოფილიყო გემებისათვის. გარდა იმისა, რომ არიანე პირველია, ვინც ფასისის ციხეს ასახელებს, ასევე პირველია, ვისთანაც ამ კონტექსტში ნავსადგური გვხვდება (არიანე, თავი 9). როგორც ჩანს, რომაელებისათვის მნიშვნელოვანი იყო ნავსადგურისა და ვაჭრობის უსაფრთხოება. აქვე საგულისხმოა, რომ ნავსადგური და ციხე ერთად მდებარეობს. იქვე არიანე გვაწვდის ცნობებს, რომ მან გაიყვანა ახალი თხრილი, რომელიც გარს უვლის ვეტერანების დასახლებას.

[17] ინფორმაცია უფრო ვრცლად იხილეთ თედო დუნდუას ქართული ნუმიზმატიკის კატალოგში: geonumismatics.tsu.edu.ge

კლაუდიოს პტოლემაიოსი[18] - გეოგრაფია

ხშირად კლაუდიოს პტოლემაიოს მოიხსენიებენ ბერძნული კარტოგრაფიის კულმინაციად. ფაქტობრივად, ის იქცა რომაელი და არაბი კარტოგრაფების შთაგონებელ წყაროდ (Dilke, 1987, გვ. 177).

კლაუდიუს პტოლემაიოსმა პირველად შექმნა დედამიწის გეოცენტრული მოდელი და, სწორედ, პირველად მან სცადა კოორდინატთა სისტემების გამოყენებით აეგო კარტოგრაფიული სიზუსტის რუკები. მისთვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო დედამიწის პროექცია, ამდენად, მისთვის ნაცნობი სამყარო, ევროპა,აფრიკის ჩრდილოეთი და მახლობელი აღმოსავლეთი - ტრაპეციულ ფორმაში ჩასვა და შეეცადა, იგი მოერგო დედამიწის მომრგვალებული ფორმისთვის (Shcheglov, 2007, გვ. 31)

პტოლემაიოსის მიერ შესრულებულ რუკას ჩვენამდე არ მოუღწევია, გავრცელებული რუკები რენესანსის დროინდელი ჩანახატებია, რომლებსაც პტოლემაიოსის ტექსტებზე დაყრდნობით ადგენდნენ, მაგალითისთვის: დონუს ნიკოლაუს გენანუსი, ლ. შმიდტი და ა. შ.. ცალსახად, აღნიშნული რუკები ავტორიუსეული რეკონსტრუქციებია (დამატებით იხილეთ Schutte, 1917).

კოლხეთს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება სარმატია,[19] როგორც უკვე აღვნიშნეთ. დასავლეთიდან „პონტოს ეუქსინუსი“[20], რომელიც ვრცელდება კორაქსის მდინარის ხვეულიდან, სადაც მდინარე ფასისი ჩაედინება ზღვაში, რომლის აღწერასაც აქ შემოგთავაზებთ [პტოლემაიოსის წიგნი IX: კოლხების ადგილმდებარეობა, აზიის მესამე რუკა].

ტოპონიმი	გრძედი	განედი
დიოსკურია	71 10	46 45
მდინარე ჰიპოსის შესართავი	71	46 3
კიანეუსის მდინარის შესართავი	71 30	46 10
ნეაპოლისი	71 30	46 15
სიგანეუმი	71 30	45 45
ქალაქი აია	72	45 30
მდინარე ხარისტიუსის შესართავი	72	30 45
ქალაქი ფასისი	72 30	44 45
მექლსესუსი	74 30	46 45

[18] ზოგიერთი ქართველი ავტორი მას პტოლომეს სახელით მოიხსენიებს.

[19] ამ შემთხვევაში სარმატიაში ნაგულისმხებია პოლიტიკური ერთობა. შეიძლება მეორე სახის განმარტებაც, კოლხებს ესაზღვრებიან სარმატები.

[20] შავი ზღვა.

მადია	74 15	46 15
სარაკე	73	45
სურიუმი	73 20	44 40
ზარდისი	74	44 40

პტოლამაიოსის რუკაზე რამდენიმე ასპექტზე შეიძლება ყურადღების გამახვილება. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული კოორდინატები მაინც პირობითია და ვერ მოხერხდება მისი პირდაპირი რეფერენსირება რეალურ დროში, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ დაცულია რიგითობის პრინციპი და მეტნაკლებად ასახავს კოლხეთში არსებული ცენტრების სიტუაციურ განლაგებას.

ფილოსტრატუსი II საუკუნე

ლუციუს ფლავიუს ფილოსტარუსი (170-247) ბერძენი ფილოსოფოსია, რომელსაც ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი, თუმცა ფასისი მხოლოდ ერთგან - ***აპოლონ ტიანელის ცხოვრებაში - გვხვდება***. ტიანა არის ქალაქი კაპადოკიაში, წარმოშობით აპოლონიოსი ამ ქალაქიდანაა. , მას ახასიათებენ როგორც ჯადოქარსა და სასწაულმოქმედს, რომელიც მოგზაურობდა ესპანეთიდან ინდოეთამდე. ერთ-ერთ ეპიზოდში ვკითხულობთ - *„და რაც შემეხება მე, არ ვგბომ მათ, მაგრამ განსაჯეთ ისინი, ვინც თავიანთი ფუფუნებისთვის ჩასუქებულ, წითელფრთიან ფრინველებს მიირთმევენ ფასისიდან და პაეონიდან, რომლებიც გადაყვნენ თავიანთ მუცლებს და ბანკეტებს“* (Philostratus, 1811, გვ. 269). მოცემულ ცნობაში საინტერესოა ფასისის ფრინველი, სავარაუდოა, რომ ხოხობს გულისხმობს, ანუ ფრინველს, , რომელიც ფუფუნებასთან ასოცირდება ბერძნულ სამყაროში. დიდი ალბათობით სხვა საექსპორტო საქონელთან ერთად ფასისიდან ბერძნულ ქალაქებში ადგილობრივი ფრინველიც გაჰქონდათ ექსპორტზე.

დიონ კასიუსი

რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი (ორიგინალში დიოს კასიუსი) მრავალი წიგნის ავტორია და დეტალურად გადმოგვცემს ცნობებს იბერიასა და კოლხეთზე, აგრეთვე, ლუკულუსის და პომპეუსის ლაშქრობებზე სამხრეთ კავკასიაში. როგორც აღვნიშნეთ, მისი ცნობები დეტალურია, თუმცა იგი ფასისს მხოლოდ ორჯერ ახსენებს და ისიც ჰიდრონიმის მნიშვნელობით.

პირველი ცნობა ეხება მითრიდატულ მესამე ომს, როდესაც პომპეუსმა მდევარი დაადევნა მითრიდატეს, რომელიც ხმელეთის გავლით, კოლხეთიდან მიემართებოდა მეოტისიას მიმართულებით, მაგრამ მითრიდატემ გადაასწრო მას მდინარე ფასისზე, რის შემდეგად ც პომეუსმა აღარ გადაწყვიტა ლაშქრობის გაგრძელება (დიონ კასიუსი, თავი 50).

მეორე ცნობა ეხება პომპეუსის იბერიაში ლაშქრობას, როდესაც მან თავისი პოლიტიკური გავლენა განიმტკიცა ქართლში, ამის შემდგომ გადწაყვიტა მდინარე ფასისის გავლით კოლხეთში გადასვლა და იქიდან მითრიდატეზე გალაშქრება (დიონ კასიუსი, თავი 3). ჩვენი აზრით, მდინარე ყვირილა, როგორც მდინარე რიონის შენაკადი, ასევე მდინარე ფასისად განიხილებოდა.

დამღიანი აგური ციხისძირიდან II საუკუნე

დამღიანი აგური მეორე საუკუნითაა დათარიღებული და აღმოჩნდა ციხისძირში. დამღაზე დატანილია ლათინური წარწერა **VEX.VA.** აღნიშნული წარწერის ყველაზე უფრო ლოგიკური განმარტება უნდა იყოს VEX (italio) FA(siana). რაც ნიშნავს „ფასისის ვექსილაციას". ასევე, გონივრულია მისი დაკავშირება არიანეს დროინდელ ფასისის ციხესიმაგრესთან. ფოთის მიდამოებში, დადასტურებულად მხოლოდ მერვე საუკუნის არტეფაქტები მხოლოდ პალიასტომის ტბიდან, კერძოდ, ადგილ ნატეხებიდან მომდინარეობს. ასევე ხაზგასასმელია, რომ ფოთის მიდამოებიდან უმეტესწილად მოპოვებულია ათეულობით აგურის ფრაგმენტი,, თუმცა არც ერთზე არ გვხვდება წარწერა ან დამღა. არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული კრამიტი რომაული საინჟინრო ლეგიონების მიერ იყო წარმოებული (ინაიშვილი, 1993, გვ. 15-17) (ლიჩელი, 2021, გვ. 54).

დამღიანი აგურის შესახებ არაერთი განსხვავებული მოსაზრება არსებობს. აღნიშნული მოსაზრებები შეკრიბა არქეოლოგმა ნინო ინაიშვილმა. მაგალითისათვის, ნინო ხოშტარია და სიმონ ჯანაშია თვლიდნენ, რომ წარწერა FA უნდა ნიშნავდეს ლეგიონს. ლექვინაძის აზრით, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში განლაგებული რაზმები გამოიყოფოდნენ კაპადოკიაში მდგარი ორი ლეგიონისაგან, რომლებიც იდგნენ სატალაში. შესაბამისად, დამღა წაკითხული უნდა იყოს, როგორც - VLX (illationes legionis XII) F (ulmintae et XV) A (pollinaris). პროფესორ მ. შპაიდელის აზრით, წარწერა დამღაზე უნდა წავიკითხოთ, როგორც - VEX (italio) FA (siana).

იპოლიტე რომაელი - II საუკუნე

იპოლიტე რომაელი მესამე საუკუნის ავტორია, რომელიც ახსნებს მხოლოდ მდინარე ფასისს. მისი გადმოცემით, სანიგები (სვანები) გადაჭიმულნი არიან, პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის აფსაროსი (სეპასტოპოლისი) ჰისოს ნავსადგური და მდინარე - ფასისი (ყაუხჩიშვილი თ, 1965, გვ. 20).

კონკრეტული ცნობა მცირე მინიშნებაა, რომ მდინარე ფასისი გეოგრაფიული, სადემარკაციო განზომილების მატარებელია. კიდევ ერთი პატარა ნიუნსი -

ტექსტში ნახსენებია ნავსადგური. ამ შემთხვევაშიც, მდინარე ჰისოსზე არის ნავსადგური, ხოლო - ფასისზე არა.

ამიანუს მარცელინი -IV საუკუნე

ამიანურს მარცელინი წარმოშობით ანტიოქიელი, ერთ-ერთი გამოჩენილი რომაელი ისტორიკოსია, რომელიც მეოთხე საუკუნეში მოღვაწეობდა. მისი შრომების მხოლოდ ზოგიერთი ნაწილია შემონახული, რომლებშიც აღწერილია მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის საისტორიო პერიპეტიები. ამიანუს მარცელინი ფასისს ყურადღებას ორ ადგილას აქცევს, რაც ჩვენთვის საინტერესო აქცენტების ამოითხვაში გვეხმარება. პირველი ეპიზოდი ეხება ელჩების წარგზავნას იმპერტორ იულიანეს კარზე. აღნიშნული წერილობითი ცნობა უფრო იმპერატორ იულიანესათვის ხოტბის შესხმას აღწერს. მისი თქმით, , იმპერატორი იმდენად ძლევამოსილი მართველი იყო, რომ მას არა ერთი ერი სთხოვდა დაზავებას და უგზავნიდა დიპლომატიურ საჩუქრებს. მისი შიშით, ინდოელები, აფრიკის მავრები, ტიგრისკითელები (შუამდინარეთი) და არმენიელები ერთმანეთს ასწრებდნენ საჩუქრების გაგზავნას. მათ შორის ისეთი უდაბური ჩრდილოეთის ადგილებიდანაც, სადაც ჩამოედინება მდინარე ფასისი. მისი ცნობით, ადგილობრივი მმართველები აგზავნიდნენ ელჩებს, რათა ნებაყოფლობით შეეთავაზებინათ ხარკი. კონკრეტულ ცნობაში კარგად იკითხება ამიანუს მარცელინის ნეგატიური დამოკიდებულება ფასისის რეგიონის მიმართ (ყაუხჩიშვილი ს, 1961, გვ. 75).

მეორე ეპიზოდში ამიანუს მარცელინი ფასისს ახსნებს შავი ზღვის აღწერის კონტექსტში. მისი გადმოცემით, ჩქარი დინებით ჩამოუყვება მდინარე ფასისი კოლხებს, რომლებიც ეგვიპტელების შთამომავლები არიან. ასევე, ასახელებს ქალაქს, რომელმაც მდინარე ფასისისგან მიიღო სახელი, ქალაქი ადრე სახელგანთქმული იყო, რომელიც ახლაც კარგად არის ცნობილი (ყაუხჩიშვილი ს, 1961, გვ. 112). აშკარაა, ჰეროდოტეს გავლენა ამიანუს მარცელინზე, რომელიც იმეორებს მის ნარატივს კოლხებისა და ეგვიპტელების ნათესაობაზე.

ზოსიმე - V საუკუნე

ზოსიმე თავის თხზულებაში - ***ახალი ისტორია,*** სამჯერ ახსენებს ფასისს. მისი ძირითადი თხრობა ეხება მეხოთე საუკუნეს. ორჯერ ერთსა და იმავე კონტექსტში, ხოლო მესამეჯერ - ასახელებს ფასისის ციხეს.

როგორც ჩანს, ახ. წ. 273 წელს მთელი აღმოსავლეთ შავი ზღვის სანაპირო სკივთურმა სალაშქრო რეიდებმა მოიცვა, სადაც მათ ადვილად გაანადგურეს ტრაპეზუნტი და პიტიუნტი, თუმცა ფასისის და არტემიდას სიმდიდრის დაუფლება ვერ შეძლეს. „*მიადგნენ ბოსფორელთა ხომალდებით ნაპირს ფასისის*

მახლობლად და შეეცადნენ არტემიდა ფასისელის ტაძრის დაუფლებას, რომელიც ცნობილია თავისი სიმდიდრით, მაგრამ უშედეგოდ, რის გამოც გასწიეს პიტიუნტისკენ, აქ ხელთვე აიღეს ციხე, ამოწყვიტეს აქაური გარნიზონი, ხელთ იგდებენ დიდძალ ხომალდებს და მერე გასწევენ ტაპიზონს, რომელსაც, ასევე ადვილად აიღებენ, თუმცა აქ დიდი ჯარი იდგა". აღნიშნული თარგმანი ეკუთვნის მაქსიმე ბერძნიშვილს, რომელიც ასევე გადავამოწმეთ ზოსიმეს პირველ ინგლისურ თარგმანთან, რომელიც გამოცემულია 1814 წელს. თავის მხრივ, მაქსიმე ბერძნიშვილმა აღნიშნული წყარო თარგმნა *„სკითიკა სარმატიკას"* სერიებიდან. თვისობრივად, აღნიშნული წყაროები ერთმანეთისაგან არ განსხვავდება (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 147).

პირველი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო, სკვითები ფასისის შორიახლოს მიადგნენ სანაპიროს, ბუნდოვანია შედგა თუ არა ბრძოლა. კი, ვერფარი დააკლეს, მაგრამ შეიძლება, უბრალოდ ნაპირიზე გადასვლა ვერ შეძლეს სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე. მეორე ფაქტი, მითიური არტემიდას ტაძარი[21]. რომელიც, უშუალოდ ქალაქში არ მდებარეობს. ცხადია, ფაქტობრივი მასალით კოლხეთში არტემიდას ტაძარი არ გვხვდება, და დიდი ალბათობით, ის, საერთოდ, დიდი მითოსური სამყაროს ნაწილია, მაგრამ მესამე საუკუნეში უკვე არსებობს ორი ლოკაცია. ერთი რეალური, მხედველობაში გვაქვს არიანეს ციხესიმაგრე და, მეორე, მითოსური, წარსული ფასისი, სადაც არტემიდას ტაძარი. გარკვეულწილად, ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს ორი ფასისიერთამანეთისგან გამიჯნული ცნებაა.

მეორე კონტექსტი ეხება იმპერატორ კონსტანტინე პირველის ეპიზოდს, კერძოდ, მან განიზრახა იმპერიის დეცენეტრალიზაცია და დანიშნა იპარქოსები (მოადგილეები). *„ერთ იპარქოსს მან გადასცა მთელი ეგვიპტე, აღმოსავლეთ მესოპოტამიამდე, და მთელი ზღვის სანაპირო პამფილიიდან ტრაპიზონამდე და ფასისის სიმაგრემდე"* (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 149). ამ კონტექსტში, არიანეს შემდგომ მეორეჯერ არის ნახსნები ციხესიმაგრე, გარდა ამისა, გარკვეულწილად მსგავსი გადანაწილება მიგვანიშნებს იმპერიის საზღვარზე. როგორც ჩანს, ამ წყაროს მიხედვით, ფასისი ამ დროს განაპირა ქალაქი იყო, მეხდველობაში გვაქვს მეოთხე საუკუნის პირველი ნახევარი.

თემისტიოსი - ახ. წ. 317-388/93 წლები

ბიზანტიელი ავტორი თემისტიოსის ცნობები ფასისის და, ზოგადად, კოლხეთის შესახებ უაღრესად მნიშვნელოვნია. იგი პირველი ავტორია, რომელიც „ფასისის აკადემიის" - საგანმანათლებლო ცენტრზე გადმოგვცემს ცნობებს. ქართულ ენაზე პირველი, პარალელური თარგმანი სვიმონ ყაუხჩიჩვილს ეკუთვნის, რომელიც 1961 წელს ***გეორგიკაში*** დაიბეჭდა. *„მეც, ჩემო კარგო ახალგაზრდავ, რიტორიკის ნაყოფნი მოვწყვიტე გაცილებით უჩინარ ადგილას, ვიდრე ეს ჩვენს*

[21] ინგლისურ თარგმანში - დიანას ტაძარი.

ადგილას, არამედ პონტოს ბოლოში, ფასისის მახლობლად, სადაც არგომ თესალიიდან წამოსულმა დაისადგურა, - რასაც პოეტები გაკვირვებით მოგვითხრობენ...“ (ყაუხჩიშვილი ს, 1961, გვ. 65).

ქართველი მკვლევრები თემისტიოსის ცნობებს ძირითად შემთხვევაში სხვა პერსპექტივიდან განიხილავენ. ცხადია, წყარო უტყუარი დასტურია კოლხეთში საგანმანათლებლო ცენტრის არსებობისა, რაც მნიშვენლოვანი საკვლევი თემატიკაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არა ერთი ვრცელი სტატია და მონოგრაფიაა აღნიშნულ თემაზე შესრულებული. [22]

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის ამ ცნობის სხვა ფოკუსია საინტერესო. პირველ რიგში, აკადემია უშუალოდ ქალაქში არ მდებარეობს, არამედ შორიახლოს. არსებული წყაროთი, ცხადად ვერ მოხდება, ქალაქის ან და აკადემიის ადგილმდებარეობის დადგენა, მაგრამ ეს წყარო მიუთითებს სხვადასხვა ფუნქციური დასახლების არსებობას ქალაქ ფასისში. მაშასადამე, გარკვეულწილად ქალაქი ინარჩუნებს ჰიპოკრატისეულ აღწერილ დაგეგმარებას, რაც გულისხმობს, არა კლასიკურ ურბანულ კონცენტრაციას, არამედ მის გაშლას სხვადასხვა მიმართულებით, რასაც შეგვიძლია „დისპერსიული ურბანიზმი“ ვუწოდოთ. გვიანანტიკური არქეოლოგიური მონაცემებიც ამაზე შეიძლება მეტყველებდეს. აღნიშნულ ჰიპოტეზას სადისკუსიო თავის ნაწილში განვიხილავთ.

მეორე და არა ნაკლები ინფორმაციაა ფასისის პერიფერიულობა, ამ წერილობით ცნობაშიც, ფასისი ბერძნული სამყაროსათვის, ისევ შორეულ პერიფერიულ რეგიონთან ასოცირდება, მაგრამ აქტუალურია ქალაქისა და მდინარის არგონავტების კონტექსტში მოხსენება.

ანონიმი *პერიპლუსი* - V საუკუნე

გვიანანტიკური პერიოდის უმნიშვნელოვანეს და ვრცელ ცნობებს გვაწვდის ანონიმი მთხრობელი. მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ აღნიშნული საისტორიო წყარო ახ. წ. მეხუთე საუკუნით უნდა დათარიღდეს (ბერძნიშვილი, 1965, გვ. 151). იდენტური პერიოდით ათარიღებს სვიმონ ყაუხჩივილი. ორივე ზემოაღნიშნული ავტორი კონრად მიულერის ცნობას ეყრდნობა, რომელიც ფართოდ არის აღიარებული მკვლევრებს შორის (ყაუხჩიშვილი ს, 1965, გვ. 3).

ანონიმის *პერიპლიუსში* დაცულ ცნობებში შავი ზღვისპირა რეგიონის შესახებ ცნობები აღწერილია რიგითობის პრინციპის დაცვით, რაც ამ ჟანრისათვის დამახასიათებელი ელემენტია. კერძოდ, ე.წ. „კობოტაჟური ცურვით“, ნაპირის

[22] იხილეთ ზვიად კვიციანის ნაშრომი. დასავლეთ საქართველოსა და რომის იმპერიის კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის (ახ. წ. I-IV სს.) თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა 1997.

გაყოლებით, სანაპირო გეოგრაფიული პუნქტები, ერთმანეთთან მიმართებით, ზედმიწვნით სწორად არის აღწერილი, თუმცა უზუსტობებს შეიცავს ჰინტერლანდის შესახებ მოყოლილი ამბები. ანონიმი ავტორი კოლხეთისა და ფასისის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის: *„აფსარის წყლიდან მოკიდებული ვიდრე აკამფისამდე, სანაოსნო მდინარემდე, 15 სტადიონია, ანუ 2 მილიონი, ხოლო მდინარე აკამფსისიდან, ვიდრე ბათვის წყლამდე 75 სტადიონი, ანუ 10 მილიონი. ბათვის წყლიდან, ვიდრე კინასის წყალმდე 90 სტადიონია, ანუ 12 მილიონი, ხოლო კინასის წყლიდან ისისამდე, სანაოსნო მდინარემდე, 90 სტადიონი, ანუ 12 მილიონი, აკამფსისი და ისისი სანაოსნო არიან და ქრიან დილი ძლიერი ქარები, მდინარე ისისიდან ვიდრე ეგრეთწოდებული მოგროსამდე (ანუ ნიგროსამდე) ნავებისათვის გზაა 90 სტადიონზე, ანუ 12 მილიიონზე, საიდანაც ფასისამდე არის 90 სტადიონი, ანუ 12 მილიონი“ (ყაუხჩიშვილი ს, 1965, გვ. 4).*

ზემოხსენებულ ანონიმის ცნობაში დასახელებული სტადიონების ჯამი 450-ს უდრის. როგორც ცნობილია, ბერძნულ სამყაროში ერთი სტადიონი 184-186 მეტრში მერყეობს, აღნიშნული კალკულაცია მაქსიმე ბერძნიშვილსაც აქვს გამოყენებული. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც, ასევე, გაანალიზებას მოითხოვს. ცნობილია, რომ მილიონი, როგორც ბერძნული საზომი სტანდარტი, უდრის 8 სტადიონს, შესაბამისად, 1,479 კილომეტრის ტოლია, ხოლო ანონიმი 15 სტადიონსა და 2 მილიონს შორის ტოლობის ნიშანს სვამს. ე.ი., ნახევარ სტადიონი, დაახლოებით 92 მეტრით მეტი მანძილი გამოდის. როგორც უკვე ვახსენეთ, კუმულაციური დათვლით, 450 სტადიონია მანძილი აფსაროსიდან გონიომდე, ხოლო მილიონი ეტალონის გამოყენებით, ჯამში 60 მილიონს ვიღებთ. აღნიშნული კალკულაციით, თანამედროვე მეტრულ სისტემაში ჯამს ვღებულობთ. სტადიონის შემთხვევაში - 82 800 მეტრი / 82.8 კმ, ხოლო მილიონის შემთხვევაში - 88.74კმ. შესაბამისად, დაჯამებულ მანძილებს შორის 6-კილომეტრიანი ცდომილება არსებობს.

მკვლევართა უმეტესობა როგორც საქართველოში, ისე - მის საზღვრებს გარეთ, შეთანხმებულია, რომ აფსაროსი სწორედ გონიოს ციხეა. შესაბამისად, მყარი წერტილი, საიდანაც უნდა დავიწყოთ მანძილის ათვლა, გონიოს ციხეა.

აფსაროსიდან ფასისამდე დასახელებულ ჰიდრონიმებს ანონიმის ***პერიპლუსის*** ცნობაში, რიგით მეორე მდინარე აკამფისიაა (სანაოსნო), 15 სტადიონის მოშორებით (დაახლოებით 2760 მეტრი). მიღებული მანძილი ზუსტად ემთხვევა მდინარე ჭოროხის ქვემო დინების, დელტის სამხრეთ ნაწილს, რომელიც ერთვის შავ ზღვას. აკამფისის შემდგომ დასახელებული მდინარე ბათის წყალია, რომელიც 75 სტადიონში მდებარეობს (13875 მეტრი). აღნიშნული მანძილი მდინარე ჭოროხიდან 150-მეტრიანი სიზუსტით ემთხვევა მდინარე ყოროლისწყალს, რომლის შესართავთანაც მდებარეობს გვიანანტიკური პერიოდის ბათუმის ციხე. მდინარე ბათიდან მდინარე კინასამდე 90 სტადიონია, რაც დაახლოვებით 16 650 მეტრს უდრის. აღნიშნული მანძილი 200-მეტრიანი

სიზუსტით ემთხვევა მდინარე კინტრიშს. აღსანიშნავია ჰიდრონიმის, კინტრიშისა და კინასის მსგავსება. შემდგომი ჰიდრონიმი ისისამდეც 90 სტადიოანითაა დაშორებული. ამ შემთხვევაში, მოცემული მანძილი თანამედროვე რეალიებთან ისეთივე გეოგრაფიულ თანხვედრაში არაა, როგორც წინამორბედი ჰიდრონიმები და ტოპონიმი. კინტრიშიდან 16.6 კილომეტრი, სანაპირო ზოლის გაყოლებით, ადგილ კაპროვანს ემთხვევა. რაც მდინარე ნატანებსა და სეფას შორის უწევს. ანონიმი წყარო აღნიშნავს, რომ მდინარე ისისი სანაოსნო მდინარეა. ამ შემთხვევაში, მდინარე სეფა გამორიცხულია, მისი გაბარიტებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ანონიმს ნაგულისხმები უნდა ჰქონდეს მდინარე ნატანები. შემდეგი გარემოებაა, მდინარის კალაპოტის ცვალებადობა, რადგან ნატანების ქვემო მდინარის ქვემო დინება გურიის დაბლობზე მეანდრების სახით მიედინება, რაც საშუალებას გვაძლევს, გამოვთქვათ ფრთხილი ვარაუდი, რომ მდინარე ნატანებს შეეძლო კალაპოტის ცვლილება. სოფელ ქვემო ნატანების დასავლეთ ნაწილში სატელიტურ ფოტოებზე მკრთალად შეინიშნება პალეო კალაპოტის კვალი. არსებული მანძილი მდინარე კინტრიშიდან ნატანებამდე 12.2 კილომეტრია, რაც დაახლოებით 4-კილომეტრიანი სიზუსტეა და 22 სტადიონი ცდომილება. ასევე, გასათვალისწინებელი ფაქტორია ანონიმის მიერ ყველა გეოგრაფიულ პუნქტს შორის 90 სტადიონის დაშორება, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისთვის პირობითია აღნიშნული დაშორებები და ამით მიახლოებითი მანძილის გადმოცემა სურს. იმავე პირობით 90 სტადიონ მანძილს ასახელებს მდინარე მორგოსამდე, აქაც იგივე სურათი გვაქვს. დიდი ალბათობით ნაგულისხმებია მდინარე სუფსა, თუმცა მანძილი აქაც 12.5 კილომეტრია და ცდომილება 4 კილომეტრს უდრის. ცხადია, დროთა განმავლობაში მდინარე სუფსის შესართავის ცვალებადობა არაა გამორიცხული. . რაც შეეხება მდინარე სუფსის თანამედროვე შესართვიდან 16.6 კილომეტრს, ის ემთხვევა ფოთის თანამედროვე არხის ტერიტორიას და 500-მეტრიანი სიზუსტით უახლოვდება ნაჯიხურს. ასევე აღსანიშნავია, რომ მდინარე სუფსის თანამედროვე შესართავიდან ადგილ ნატეხებამდე, 12 კილომეტრამდე მანძილია. იმ შემთხვევაში, თუ ჯამურ რაოდენობას ვითვლით აფსაროსიდან (გონიო) 450 სტადიონს, რაც 82 800 მეტრს უდრის, 1.5-კილომეტრიანი სიზუსტით ემთხვევა რიონის თანამედროვე დელტის, უკიდურეს ჩრდილოეთ შესართავს.

ჩვენი აზრით, ანონიმის დასახელებული მანძილი და დაშორება ემთხვევა რიონის დელტის ჩრდილოეთ შესართავს, მაგრამ იძლევა, თუ არა საშუალებას აღნიშნული კალკულაციით მივიღოთ ფასისის ზუსტი ადგილმდებარეობა? ცალსახა პასუხი აღნიშნულ შეკითხვაზე ამ წყაროს ანალიზით ვერ გაეცემა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ავიღებთ ჩვენს ხელთ არსებულ არქეოლოგიურ მონაცემებს, კერძოდ, ნაჯიხურისა და ნატეხების გვიანატიკურ ძეგლებს, და თუ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომელ ძეგლს შეიძლება ემთხვეოდეს არსებული მანძილი, უფრო მეტად სავარაუდოდ მივიჩნევთ, სწორედ ნაჯიხურის ციხეს (ფოთის აეროპორტი).

საინტერესოა, იმავე ანონიმის ***პერიპლუსში*** დასახელებული სხვა გეოგრაფიული პუნქტები, რომლებიც ფასისის ჩრდილოეთით მდებარეობს: *„მდინარე ფასისიდან ვიდრე სანაოსნო ქარიანტის წყლამდე არის 90 სტადიონი, ანუ 12 მილიონი, ხოლო ქარიანტის წყლიდან სანაოსნო ხობის წყლამდე 90 სტადიონია, ანუ 12 მილიონი, ხოლო ხობის წყლიდან ვიდრე სიგამემდე (რომელსაც აგრეთვე ზიგანი ეწოდება) არის 210 სტადიონი, ანუ 28 მილიონი. ზიგანიდან ტარსუსის წყალმდე (რომელსაც ამჟამად მოქი ეწოდება) არის 120 სტადიონი, ანუ 16 მილიონი, ხოლო ტარსუსის წყლიდან ცხენსწყლამდე (რომელსაც ამჯამად ლაგუმფსა ეწოდება) არის 150 სტადიონი, ანუ 20 მილიონი, ცხენის წყლიდან ვიდრე ასტელეფის წყლამდე (რომელსაც ამჟამად ევრიპე ეწოდება: ხომალდების შესაცური) არის 30 სტადიონი, ანუ 4 მილიონი. ხოლო ასტელეფის წყლიდან ვიდრე ნავსადგურის მქონე ქალაქ დიოსკურიამდე (რომელსაც ამჟამად სებასტოპოლისი ეწოდება) არის 135 სტადიონი, ანუ 18 მილიონი* “ (ყაუხჩიშვილი ს, 1965, გვ. 6). ჯამური მანძილი დიოსკურიიდან ფასისამდე 825 სტადიონია, რაც კილომეტრებში დაახლოვებით **152.62** კილომეტრს უდრის. სტრაბონის მიერ დასახელებულ ქალაქ ფასისიდან ***ევქსინუსის*** კუთხემდე არანაკლებ 600 სტადიონია, რომელსაც მ. ბერძნიშვილი დიოსკურიად მიიჩნევს, რაც ჯამში მიახლოებით 113 კილომეტრს უდრის. მათ შორის 40 კილომეტრამდე სახვაობა. მაშასადამე, საწყის წერტილს, თუ დიოსკურიადან ავითვლით 152 კილომეტრი თანამედროვე, მუნიციპალურ ქალაქ ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილამდეა, რაც მნიშვენლოვნად სცდება რიონის დელტის შესართავს შავ ზღვასთან. ლოგიკურ თანმიმდევრობას თუ მივყვებით, ქარიანტეს წყალი დღევანდელი ხობის წყალია[23], ხოლო თანამედროვე ენგური ანონიმის დასახელებული ხობის წყალი. ჩვენი აზრით, სიგანე ოჩამჩირესთან (მდ. ღალიძგა) უნდა ასოცირდებოდეს, ხოლო ტარსუსის წყალი მდინარე კოდორთან. თუმცა აღსანიშნავია, ეს ასოცირება მხოლოდ თანმიმდევრულობას ეფუძნება და მანძილები, რომლებსაც ანონიმის ცნობებში ვხვდებით, მნიშვნელოვანი ცდომილებებია დღევანდელ მეტრულ სისტემასთან. შესაბამისად, ჩრდილოეთიდან, კერძოდ, დიოსკურიიდან სამხრეთით ათვლა მნიშვნელოვან ცდომილებებს შეიცავს ანონიმის ***პერიპლუსში***. როგორც ჩანს, მან პირობითი მანძილები დაასახელა და ის რეალიებთან მიახლოებით 10-კილომეტრიანი სიზუსტით არის გადმოცემული. წყაროს ამ ნაწილში უფრო მნიშვნელოვანია დიოსკურიის პორტი, რომელსაც სხვა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, ქალაქების შემთხვევაში არ ასახელებს.

რაც შეეხება ანონიმის შემდეგ ცნობებს ფასისის შესახებ, რომელიც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს: *„მდინარე ფასისი თავისი მდინარებით მოდის არმენიიდან. მის ახლოგლად ცხოვრეობენ იბერიიდან არმენიაში გადასახლებული იბერიელები“*(ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 4). ანონიმი ამ შემთხვევაში

[23] ხობის წყლის სანაპიროზე დღესაც ვხვდებით სოფელ ქარიანტეს. გარდა ამისა, აღნიშნული ტოპონიმი გვხვდება ტაბულა პევტანგერიანაზე.

პირდაპირ იმეორებს სტრაბონის ნარატივის. *„ფასისში რომ შედიხარ, ფაზის მარცხნივ მდებარეობს მილეტელთა ელინური ქალაქი, რომელსაც ფასისი ეწოდება და რომელშიაც ამბობენ, ჩამოდის სამოცი ტომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე; მათ შორის ამბობენ, ზოგნი ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიანიდან, მათ შორის ბარბაროსული ქვეყანაა კორაქსიკე, რომლის შემადგენელი ნაწილია*(ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 4).

როგორც ჩანს, ქალაქის მნიშვნელობა მეხუთე საუკუნეში პიკს აღწევს, ყოველი შემთხვევისათვის ანონიმი ავტორისათვის. ქალაქის ასეთი დახასიათება მიუთითებს გაცხოველებულ ვაჭრობაზე. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ქალაქის მდებარეობა მდინარესთან მიმართებით. . ამ ლოგიკით, მეხუთე საუკუნეში ქალაქი მდინარის მარჯვენა მხარეს მდებარეობს. აღნიშნული გარემოება იცვლება აგათიასთან, მისი თქმით, ქალაქს ჩრდილოეთიდან ჩამოუყვება მდინარე, რაც ლოგიკურად საწინააღმდეგოა იმისა, რასაც ანონიმი ავტორი აღწერს.

პროკოფი კესარიელი

პროკოფი კესარიელთან დაცულია არაერთი მნიშვნელოვანი საისტორიო ხასიათის ცნობა იბერია-კოლხეთის შესახებ. სვიმონ ყაუხჩიშვილის აზრით, ის უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ ნაყოფიერ ავტორად, რომელიც აღწერს საქართველოს გვიანანტიკური პერიოდის ისტორიას (ყაუხჩიშვილი, 1965, გვ. 38). პროკოფი კესარიელი ბიზანტიელი სამხედრო მოღვაწეა და მისი ცნობები სამხედრო ჟანრის საპატაკო ფორმით არის შესრულებული, რაც მისი ცნობების სანდოობის ხარისხს ზრდის. როგორც მაქსიმე ბერძნიშვილი აღნიშნავს, პროკოფი კესარიელს პირდაპირ არ აქვს დასახელებული ქალაქი ფასისი, მაგრამ ის რამდენიმე ადგილას ნაგულისხმები უნდა იყოს (ბერძნიშვილი, 1969, გვ. 160).

პროკოფი კესარიელის და აგათიას ცნობები ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან, ის უშაოლოდ ბიზანტია-ირანის ომს ეხება. ნათელია სასანური ირანის სტრატეგიული ინტერესის ზრდა შავი ზღვის რეგიონის მიმართ, რადგან მათი იმპერიული ამოცანა იყო, დასავლეთ საზღვრების გაფართოება და ხმელთაშუაზღვის აუზთან დაკავშირება. ცალსახად, სწორედ, გაფართოებული ინტერესის შედეგად შეიჭრნენ კოლხეთში. საყურადღებო ნიუანსია ირანელების სრატეგიული მანევრი; ქალაქ პეტრაზე კონტროლის დაკარგვის შემდეგ, კერძოდ, 550 წელს სცადეს ქალაქ ფასისის დაუფლება. .

აგათია სქოლიასტი - VI საუკუნე

აგათია სქოლიასტი პროკოფი კესარიელის საქმის გამგრძელებელ ისტორიკოსად მიიჩნევა. იუსტინიანეს გარდაცვალების შემდეგ მან განიძრახა იუსტინიანეს დროინდელი ქრონიკების აღწერა, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბიზანტია-სპარსეთის ომებს. სვიმონ ყაუხჩიშვილის ცნობით, აგათია

სქოლიასტი ეყრდნობა სხვადასხვა ცნობასს, მათ შორის სპარსულ ქრონიკებსაც (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 24).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, , აგათიასთან დეტალურად არის გადმოცემული სპარსეთისა და ბიზანტიის დაპირისპირება, იგი დაწვრილებით ჰყვება ომის პერიპეტიებს. კონკრეტული წერილობითი წყაროს განხილვისას, ჩვენი მიზანია, გარდა საომარი მოქმედებისა, წინადადებებს შორის, ამოვიკითხოთ ცნობები ქალაქ ფასისის ურბანიზაციის, ადგილმდებარეობისა და ლანდშაპტის შესახებ.

აგათია კარგად იცნობს ძველ ავტორებსა და მითოლოგიას. თავიდანვე აღნიშნავს, რომ მდინარე ფასისთან და კავკასიონის გარშემო ცხოვრობენ ლაზები, რომლებიც არიან კოლხების შთამომავლები, ხოლო თვით კოლხები კი, ეგვიპტელების შთამომავლები. გარდა ამისა, იგი საუბრობს იასონის ლაშქრობის შესახებ რეგიონში (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 28).

553 წელს მერმეროემ, სპართსა სარდალმა, მას შემდეგ, რაც უკუაგდეს არქეოპოლისიდან, განიზრახა ქუთაისიდან (კოტაისის ციხე) და მუხირისიდან, ტელეფისის ციხის გავლით, მდინარე ფასისამდე მიეღწია ძნელად სავალი ადგილებიდან, მოულოდნელად აეოხრებინა პატარ-პატარა ქალაქები, რათა დაემორჩილებინა ისინი (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 30).

იმ შემთხვევაში, თუ ტელეფისის ციხეს მივიჩნევთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფელ ტოლებში არსებულ მცირე ზომის ციხედ, მაშინ გარკვეული წარმოდგენა შეგვიძლია შევიქმნათ სპარსეთის არმიის გადაადგილების მარშრუტზე. შესამაბისად, შესაძლებელი იყო გურიის მხრიდან, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით მდინარეზე მიღწევა. სავარაუდოდ, აგათია ძნელად სავალ ადგილებში ლანდშაპტურ გამოწვევებს უნდა გულისხმობდეს. შესაბამისად, აღნიშნული ტერიტორია, მდინარის სამხრეთი სანაპიროები, ე.წ. ნარიონალებიდან დასავლეთით იმნათის ტბამდე არსებული ლანდშაპტი უნდა იყოს ნაგულისხმები. სწორედ, აღნიშნულ ტერიტორიაზე, სატელიტური ფოტოების დაკვირვებით, შეინიშნება პალეომდინარის ნაკვალევი, რომელიც, მეანდრების სახით, მიიკლაკნება ზღვისაკენ და ქმნის ჭაობიან ლანდშაპტს.

აგათია სქოლასტიკოსი მდინარე ფასისსა და დოკოსს ახსენებს ქალაქ ნესოსის კონტექსტში, მისი თქმით, მორევიანი მდინარე ერტყმის გარშემო ქალაქს (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 38-41).

ჩვენთვის უფრო საინტერესო ცნობები უკავშირდება სპარსულ-ბიზანტიური დაპირისპირების ეპიზოდს, რომელიც ფასისის ციხეს ეხება. სარდალი მერმეროე ავადმყოფობის გამო , იბერიაში, მცხეთაში გარდაიცვალა; დასავლეთ საქართველოში, სპარსეთის ახალი სარდალი ნახორაგანი დაინიშნა, რის შემდგომაც გადაწყდა ქალაქ ფასისის ხითნაშენები ციხესიმაგრის დაკავება. აგათიას გადმოცემით, მას შემდეგ, რაც მარტინე და ნახორაგანი ვერ შეთანხმდნენ ზავზე,

ბიზანტიელი სარდალი ნესოსში გაემართა და იქ დაბანაკდა, ხოლო სპარსმა სარდალმა გადაწყვიტა, ტელეფისიდან ფასისისაკენ გადაადგილება, რადგან იქ ბევრი გაშლილი ველი იყო, ეს კი აადვილებდა დაბანაკებას. . სქოლიასტი აქვე აღნიშნავს, რომ, როგორც ყველსათვის ცნობილია, ქალაქმა სწორედ მდინარისაგან მიიღო და ის იქვეა გაშენებული, მდინარისა და პონტოს ექვსინოს შესართავთან, ხოლო ქალაქ ნესოსიდან[24] მაქსიმუმ ექვსი ფარსანგით არის დაშორებული (ყაუხჩიშვილი 1936:97). არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქ ნესოსის მდებარეობის დადგენა, თუმცა აღნიშნული საკითხი ბუნდოვანია, რაც შეეხება სპარსულ საზომ ერთეულს, ის არ აღემატება 5 კილომეტრს, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ შორის მანძილი 30 კილომეტრზე მეტი არ უნდა იყოს. ლეგიტიმურია დაისვას შეკითხვა, არსებობს, თუ არა მდინარე ისისსა და ქალაქ ნესოსს შორის იდენტურობა. შეკითხვას ლეგიტიმურობას სძენს მათი ფონემატიკური მსგავსება და მათ შორის არსებული მანძილი, რომლის შესახებ ინფორმაციასაც ანონიმის *პერიპლუსში* ვხვდებით. ისისიდან ფასისამდე ჯამში 180 სტადიონია, 32 კილომეტრამდე მანძილი, რაც მიახლოებით 5 ფარსანგს უნდა უდრიდეს. შეკითხვას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მარტო ფონეტიკური მსგავსება და ორი ისტორიული წყაროს კომპილაცია არ გვაძლევს დასაბუთების მყარ საშუალებას.

მნიშვნელოვანია ერთი დროითი გარემოება, ნახორაგანმა ნესოსი დილით ადრე დატოვა და ბაზრობის ჯამს მიაღწია - ქალაქ ფასისის ზღუდეს. ჩვენი აზრით, ნესოსიდან ფასისამდე ნახევარი დღის სავალი უნდა ყოფილიყო, რადგან ბაზრობის ჯამი რომაულ სამყაროში შუადღემდე დროს გულისხმობს.

ჰქონდა, თუ არა მდინარე ფასისს ორი ძირითადი ტოტი აგათიას მიხედვით? მას შემდეგ, რაც, ნახორაგანმა და მარტინემ ვერ მიაღწიეს ზავს, ისინი ერთმანეთს გაეცალნენ. სპარსმა მხედართმთავარმა ნავების დახმარებით შეკრა ხიდის მაგვარი კონსტრუქცია და გადაიყვანა მდინარეზე, მას უნდოდა ციხესიმაგრე ფასისს

---

[24] სვიმონ ყაუხციშვილი, იზიარებ აკად ბროსეს მოსაზრებას, რომ ნესოსი უნდა ასოცირდეს ტეხურის შესართავთან არსებულ ისულეთის ტოპონიმთან. მისი აზრით, ტოპონიმი ისულეთი ნესოსის ქართიზებული ვარიანტია. ჩვენი აზრით, ნესოსი საძებნელია ლანჩხუთშა და ნარიონალებს შორის არსებულ ტერიტორიაზე, რადგან, ნახორაგანმა სახმრეთიდან ფასისის მიმართულებით, სავარაუდოდ, მდინარე ფასისის ორი შტო გადალახა. ხოლო ისულეთიდან ფასისის მიმართულებით, აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოუწევდა გადაადგილება, ისე რომ მდინარის გდაკვეთა მხოლოდ ერთხელ მოუწევდა, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ამდენად, ჩვნეთვის ისულეთისა და ნესოსის მხოლოდ ლინგვისტური მსგავსება ვერ იქნება სრულყოფილად გაზიარებული. სვიმონ ყაუხჩივლზე დაყრდნობით, ნესოსი ბერძნულად კუნძულს უნდა ნიშნავდეს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ ისულეთის ლანდშაპტს, იგი სამხრეთიდან თითქმის უერთდება ქალაქ სენაკს და იქ არსებულ სამხედრო ბაზას. თამანედროვე ურბანიზაციული განვითარის შედეგად სოფელი უკვე მიერთებულია ქალაქ სენაკს. რაც შეეხება კუნძულ. რიონის სამხრეთის დამშალი ტოტი, რომელიც ქმნის პალეომენადრების კონტურებს, ბევრგან ქმნის კუნძულის კონტურებს, მათ შორის შეგვიძლია ასევე დავასახელოთ, ნამარნუ, რომელიც თვისორივად კუნძულის კონფიგურაცია აქვს.

სამხრეთიდან მისდგომოდა, სადაც მას წყალი ვერაფერს დააკლებდა და დაბრკოლების გარეშე მიადგებოდა ქალაქის ზღუდეს, ვინაიდან ქალაქს მდინარე ჩრდილოეთ მხრიდან ჩამოუდიოდა. აღნიშნული ცნობის მიხედვით, ქალაქი აშკარად წყალთაშუა, ორ მდინარეს შორის მდებარეობს და არსებობს, გარკვეული მანძილი სამხრეთის ტოტსა და ქალაქს შორის. (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 97) აგათია ამავე ადგილას ყურადღებას ამახვილებს, რომ ციხე-ქალაქი ფასისი ზედ ზღვის ნაპირას მდებარეობს, მდინარის და ზღვის შესართავთან.

აგათია სქოილიატის მიერ გადმოცემული შემდგომი ცნოები, უშაუალოდ, ბრძოლის სცენებს აღწერს, რაც სავსეა რომაული ბელტრისტიკითა და ჰიპერბოლიზირებული ფაქტებით.

როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, რომაელმა ჯარისკაცებმს ბაზრობის ჯამს შეიტყვეს, რომ ნახორაგანი ქალაქს უახლოვდებოდა, ამდენად, გადაწყვიტეს მისთვის დაესწროთ ქალაქში შესვლა. როგორც ჩანს, რომაელი ჯარისკაცები ქალაქიდან აღმოსავლეთიდან იყვენენ დაბანაკებული. ხოლო ქალაქსა და ჯარს შორის, ნახორაგანმა გზა გადაუჭრა რომაელებს. აგათიას გადამოცემით, ტრიერები და ოცდაათნიჩბიანი გემები აავსეს ჯარისკაცებით და მდინარე ფასისის დინებას გაყვნენ, თუმცა სპარსმა სარდალს უკვე მოფიქრებული ჰოქნდა გეგმა. მან ნავებითან და შეშით გადაღობა მდინარე, ხოლო მათ უკან სპილოები დააყენა. რომაელ ჯარისკაცებმა კი, მოაბრუნეს ნავები და დაიწყეს აღმაცურვა მდინარე ფასისზე, რაც ძალიან გაუჭირდათ. ორი გემის ჩაგდება მოახერხეს სპარსელება, მაგრამ მეზღვაურებისა და ჯარისკაცების გარეშე. მათ მოასწრეს გემებიდან გადახტომა და ნაპირზე გაცურვა. მას შემდეგ, რაც რომაელებისათვის ცხადი გახდა, რომ მდინარის გავლით ვერ მოახერხედნენ ქალაქში ჩასვლას, გადაწყვიტეს ირიბად გადაეჭრათ მდინარე და ქალაქში ფეხით ჩასულიყვენენ და დაესწროთ ნახორაგანისთვის. რომაელმა სტრატეგოსებმა ნახორაგანს ქალაქში შესვლა შეასწრეს. რომაული საჯარისო შენაერთები ექვს ნაწილად გაიყო. პირველი იუსტინე გერგმანეს ძეს მეთაურობით გამაგრდა შემაღლებულ ადგილას, რომელიც ზღვას დაჰყურებდა. მასგან ცოტა მოშორებით მარტინე, ხოლო მათ შორის ანგილა თავისი რაზმით, ხოლო მათგან ცოტა მოშორებით თეოდორე, რომელიც მძიმედ შეიარაღებულ ჭანებს ხელმძღვანელოდბა. ამათგან მოშორებით ლანგობრდთან და ერულთა რაზმი განლაგდა, რომელსაც გიბრე მეთაურობდა, ხოლო კედლი მთელი დანარჩენი ნაწილის მეთაურობას ვალერიანი განაგებდა. (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 101)

აგათია ბრომლის შემზადების სცენის შემდგომ აღწერს საინტერესო დეტალებს. ფასისის კედლების ხით იყო ნაგები, ამდენათ, მათ ძალიან ეშინოდან ბრომლის პირველი ტალღის აქ გამერთვა. აქედან გამომდინარე მათ, ციხის წინ ტაგრუცი აღმართეს, რათა პირველი იერში მანდვე მიეღოთ, ხოლო ტაგრუცის ირგვლივ თხრილი გაავლეს, რომელიც წყლით აავსეს, რათა პალოები დამალულიყო წლისქვეშ. ტაგრუცი დროებითი სასიმაგრო ნაგეგბობაა, რომელიც

სავარაუდოდ, ციხიდან სამხრეთით ააგეს, სწორედ ამ ადგილეიდან ელოდნენ რომაელები სპარსელების სახმელეთო იერიშის. გარდა ამისა, აღსანიშნავია ფასისის ციხის კელდების სისუტე, რომელსაც აგათია საგანგებოდ აღნიშნავს. (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 102)

აგათია გვაწვდის ინფორმაციას ტბის შესახებ, რომელსაც მისი გადმოცემით პატარა ზღვასაც უწოდებენ და რომელიც ექვსინუს პონტოს უერთდება, სწორედ, ამ ტბიდან გადმოუშვეს არხების მეშვეობით წყალი, რათა შეევსოთ საფორთიფიკაციო არხები. (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 102) აქ ყურადღება უნდა დაეთმოს შემდეგ გარემოებას ყურადღება, ტბა და მდინარე ფასისი ერთამნეთისგან დამოუკიდებლად უერთდება ზღვას. გარდა ამისა, ციხე უშაოლოდ მდინაის სიახლოვეს მდებარეობს, რატომ გახდა საჭირო ტბიდან წყლის წამოღება? ჩემი აზრით მდინარის დინებსთან შედარებით ველი, რომელზეც ციხეა გაშენებული უფრო მაღალზეა, შესაბამისად ტბიდან არხის მეშვეობით გადამოაგდეს წყალი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პალიასტომის ტბასთან შედარებით ციხე უფრო დაბალზე მდებარეობდა და შეძლებდნენ წყლის თვით დინებით წამოღებას და არხების ავსებას.

იმისათვის, რომ ციხის დაცვა კიდევ უფრო ეფექტური გამხდარიყო, სატვირთო გემები ციხესთან ახლოს მიაცურეს, ხოლო გემებზე ნავები დაკიდეს და სადაც საუკეთესო მეისრეების განალაგეს. ამ ეპიზოდშიც კარგად იკვეთება ციხის სიახლოვე მდინარესთან.

ნახორაგანი მას შემდეგ, რაც ციხეს მიუხალოვდა გადაწყვიტა სადაზვერვო ბრძოლა გაემართა, ციხეს ისრები დაუშინა და შეეცადა რომაელების გამოტყუება. ციხის გარეთ გამართული ბრძოლების შემდგომ რომაელები ციხის შიგნიდან შეიკეტნენ, ხოლო სპარსეთის არმიის მუშებმა დაიწყეს არსების ამოვსება, თუმცა მიწა და ქვა არ ყოფნიდათ, ხოლო ტყე შორეულ ადგილებში იყო. რომაელებმა თავდაცვის მიზნით გადაწვეს ყველა სოფელი და მგზავრის გასაჩერებელი სადგომები, რათა სპარსელებს არ ჰქონოდან ხეტყეზე წვდომა. (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 107)

ამ ცნობაში საიტერესოა რამდენიმე გარემობა, ქალაქის გარშემო არსებული სატელიტური სოფლები და მრავალი მგზავრის გასაჩერებელი სადგომი. არ გვაქს კონკრეტიკა, თუ რას გულისხმობს აგათია სადგომებში? ეს არის ნავების ნავსაყუდელი, თუ სავაჭრო ქარვასლები. თუმცა საინიტერესოა, რომ მგზავრთა გასაჩერებელი სადგომები ქალაქის გარეთაა და არა კონცეტრირებულად ერთ ადგილას.

იმისათვის რომ მარტინეს ჯარის საბრძოლო სულისკვეთება აღემაღლებინა დაიწყო ჭორების გავრცელება, რომ რომაელთა მეორე არმია შეუერთდებოდა ბრძოლას. აგათიას ცნობით, ჭორებმა ნახორაგანის ყურამდეც მიაღწია, ამდენად, მან ჯარები ორ ნაწილად გაჰყო, ერთი ნაწილი, რომლიც ციხეს უდარაჯებდა, ხოლო

მეორე, რომელიც დახმარებაზე წამოსულ არმიას მოუწყობდა ჩასაფრებას. როგორც ჩანს ციხე სრულ ალყაში არ იყო, რადგან ერთ დღეს, სარდალამ იუსტინესმა, გერმანეს ძემ გამოარჩია თავისი და მარტინეს რაზმებიდან ცხენოსნები და ციხიდან სამხრეთით, შორიახლო ქრისიანული ტაძრის მონახულება გადაწყვიტა. ტაძარი ქრისტიანთა შორის სახელგანთმული ყოფილა. სპარსელებმა ვერ შენიშნეს ქალაქიდან გამოსული რაზმი. ამ ნაწილში ჩვენთვის მნიშვნელოვანია ქრისტიანული ტაძრის არსებობა, არა ქალაქში, არამედ მისგან სამხრეთით, შორი ახლოს. აგათია მეტნაკლებად, აღწერს ციხე-ქალაქს, სადაც არ ასახელებს ტაძარს. აღნიშნული გარემობა, გვიან ანტიკური პერიოდის ქალაქის ურბანიზაციის თავისებურებაზე მიუთითებს.

როდესაც გერმანემ მიატოვა ქალაქი, სწორედ ამ დროს დაიწყო ქალაქზე შეტევა ნახორაგანმა. ამასობაში კი, ზღვის სანაპიროს გავლით ტაძრიდან ბრუნდებოდა გერმანე თავის გამოყოფილი ლაშქარით. სწორედ, ეს შენაერთი ეგონათ სპარსელებს რომაელების ძირითადი დამხმარე რაზმი, რომლის შესახებაც ჭორებს ავრცელებდა მარტინი. ნახორაგანის დაქსაქსულ ჯარი ადვილად დაამარცხეს რომაელებმა, ნახორაგანს მცირე რაზმები კი შემორჩა, თუმცა არასაკმარისი, რათა ხელახლა განეახლებინა ბრძოლები, ამრიგად, ზამთრის დადგომისას გადაწყვიტა იბერიაში დაბრუნება, 555 წელს. (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 107-122)

სტეფანე ბიზანტიელი (IV-VI სს)

სტეფანე ბიზანტიელის გეოგრაფიული ლექსიკონი შედარებით მცირედ, არტიკლების სახით არის შემორჩენილი ჩვენამდე, თუმცა აქაცვხვდებით ცნობებს ფასისის შესახებ.

ფასისი, აიას ქალაქი კოლხების ქვეყანაში, დაარსებულია მილეტელების მიერ ეთნიკური უნდა იყოს „ფასიტეს“ როგორც „ოასიტეს“ და „მემფიტეს, ან „ფასიატეს“ ორმაგი a-თი(ასე ამბობენ მართლაც), ზეცართავი სახელია „ფასიატიკოს“ და ფასიანოს, როგორც ამბობს არისტოფანე ხომალდებში, მდედრობითი სქესისაა „ფასიანე“ საშუალო სქესისა „ფასიანონ“, მაგალითად ფასისის ჭალა. არის აგრეთვე მეორე მდინარე ფასისიც ტაპრობანეში“ (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 272-286)

როგორც სვიმონ ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, სტეფანე ბიზანტიელი იცნობს მის წინაბორბედ საისტორიო-გეოგგრაფიულ თხზულებებს, მაგრამ მისი მთავარი

ინტერესი გრამატიკული კველვაა. ძირითად შემთხვევაში ეყრდნობა პტოლემეს. (ყაუხჩიშვილი, 1936, გვ. 273)

აბრაჰამ აღბათანეცი „ეპისტოლეთა წიგნი“

მნიშვნელოვან ცნობას ვხვდებით VII საუკუნის ე.წ. „ეპისტოლეთა წიგნში“ (საყოველთაო ეპისტოლე), რომელშიც ასახულია სომხური ეკლესიის დაპირისპირება ალბანურ და ქართულ ეკლესიებთან. ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტია ჩამოთვლილ, დაწყევლილ ეპისკოპოსთა სია, რომელიც შეიძლება დამახინჯებულ ტოპონიმებსაც შეიცავდეს.

“…შენმა წინაპარმა ნეტარმა გაბრიელ ქართლის კათალიკოსმა დაწყევლა ჩვენ ნეტარ მამებთან ერთად თავისი თანამოსაყდრეებითურთ, რომელთა სახელებია ესენი: …თეოდოროს ეპისკოპოსი ფორთის, …”(ჯაფარიძე, 2015)

ეპისტოლეთა წიგნზე უმთავრესი პუბლიკაცია, ქართულ ენაზე ეკუთვნის ზაზა ალექსიძეს, რომელიც აღნიშნავს და განიხილავს სხვადასხვა ავტორების მიერ ტოპონიმ „ფორთ-ის“ ინტერპრეტაციას. მაგალითისთვის: ივანე ჯავახიშვილი ბორტთან აიგივებს, სარგის კაპანაძე ბერთასთან (ჩელეთი), ხოლო კორნელი კეკელიძე ნინოწმინდა//ბერთასთან. (ალექსიძე, 1968, გვ. 161)

დასახელებული სომხური ტოპონიმი - ფორთი ბუნდოვანია, ზუსტ და უტყუარ ცნობად ვერ ჩაითვლება, რომ ის აპრიორი ფოთს/ფასისს გულისხმობდა. თუმცა ამ მიმართულებით შემდგომმა კვლევამ, შესაძლოა უფრო მეტი ნათელი მოჰფინოს აღნიშნულ საკითხს.

ცნობა ეპისკოპოს კვიროსის შესახებ VII საუკუნე

ცნობას ფასისის ეპისკოპოსის კვიროსის შესახებ ორ ავტორთან ვხვდებით. პირველი ეს არის თეოფანეს ქრონოგრაფია, ხოლო მეოერ შედარებით მოგვიანო პერიოდის ავტორი გიორგი კედრენე, რომელიც სიტყვასიტყვით იმეორებს თეოფანეს ცნობას. (ყაუხჩიშვილი ს, 1963, გვ. 28)

მეშვიდე საუკუნეში აღმოსავლეთ რომის იმპერიაში კვლავ აქტუალურია რელიგიური დაპირისპირება, კერძოდ, ქრისტიანობა გაიყო ორ ნაწილად, დიოფიზიტებად და მონოთელიტებად. 630 წელს, ირაკლის მეფობის მეოცე წლისთავზე მან დაიბარა იაკობიტების პატრიარქი ათანასი, რომელიც მონოთელიტი იყო. მეფე ირაკლის მოთხოვნით, ათანასი, თუ აღიარებდა ქალკედონის სინოდის დადგენილებას, რაც გულისხმობდ ქრისტეს, ორბუნოვანების დადასტურებას, ხოლო ამის სანაცვლოდ, ათანასეს ანტიოქიის პატრიარქობას უბოძებდა. ათანასი დათანხმდა მეფის შემოთავაზებას. ამის შემდგომ მეფემ მისწერა კონსტანტინოპოლის ეპისკოპოს - სერგის და დაიბარე

ფასისის ეპისკოპოსი კვიროსი, რომლებმაც მეფეს დაუდასტურეს თავისი მონოთელიტობა და აღიარებდნენ ქრისტეს ერთბუნოვანებას ათანასის მსგავსად. (ყაუხჩიშვილი ს, 1963, გვ. 29)

ეპიფანე კონსტატინოპოელი VIII ს.

ეპიფანე კონსტანტინოპოელი ავტორია ორი ნაშრომის: „მარიამის ცხოვრება“ და „ანდირიას ცხოვრება“. ბიბლიოგრაფიული ცნობების გარდა, თავის ნაშრომებში, იგი აგროვებს და აკრიტიკებს არსებულ ცნობებეს მოციქულების შესახებ. „ანდრიაც ცხოვრებაში“ ეპიფანე კონსტანტინოპოელი ორჯერ ახსენებს ფასისს, ერთ შემთხვევაში, როგორც ჰიდრონიმს და მეორე შემთხვევაში, როგორც - ქალაქს. (ყაუხჩიშვილი ს, 1941, გვ. 57)

კვიპროსის ეპისკოპოსის - ეპიფანეს გადმოცემით, ნეტარმა ადნრიამ დამოძღვრა სკვითები, სოგდიანები და გორსინები დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისსოს ნავსადგური და მდინარე ფასისი, იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები და ალანები. (ყაუხჩიშვილი ს, 1941, გვ. 57) ამ ცნობაში, ზოგადი დახასიათებაა რეგიონის, ბევრად უფრო დიდი მასშტაბით და შეიძლება ითქვას ჩამოთვლილია დასავლეთ საქართველოს ძირითადი გეოგრაფიული პუნქტები. ასევე, ეპიფანე მოღვაწეობდა მერვე საუკუნეში, ხოლო თხრობა ეხება შვიდი საუკუნით ადრე მომხდარ მოვლენებს.

მეორე ეპიზოდში ნახსენებია ქალაქი. პენტეკოსტის შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ ავგაროსთან, ხოლო დანარჩენებმა მოიარეს ქალაქები, სადაც მოახდინეს სასწაულები. იქადაგეს იბერიაში, ფასისში, ხოლო შემდეგ სუ(ს)ანიაში. (ყაუხჩიშვილი ს, 1941, გვ. 58) ამ კონტექსტში, ფასისი, როგორც ქალაქი ისეა ნახსენები, მაგრამ იბერიასთან ერთად, რომელსაც უფრო ფართო, რეგიონალური კონექსტი აქვს. ასევე, სუ(ს)ანია, იგივე სვანეთი, რომელიც რეგიონია, და არა კონკრეტულაა, დავიწროვებული გეოგრაფიული ცენტრი. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში, ფასისი არა ქალაქს, არამედ უფრო რეგიონს უნდა ნიშნავდეს.

ღევონდი / ლევონდი VIII ს.

ფასისს - ფოთის ტოპონიმის ტრანსფიგურაციის საკითხებში საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის სომეხი ისტორიკოსი - ღევონდი, რომელიც მერვე საუკუნეში მოღვაწეობდა. გარდა იმისა, რომ იგი ასახელებს ქალაქ ფოთს, მნიშვნელოვანი საერთო გეოპოლიტიკური სურათის ამოკითხვა შეიძლება ღევონდის ცნობაში.

„მას შემდეგ, რაც სომეხთა ქვეყანაში ამოწყდა სანახარარო საგვარეულო, მცხოვრებლები, როგორც ცხვრები, მგლებს ჩაუვარდნენ ხელთ. მტერმა ყოველნაირი ბოროტება, დიდი უბედურება და საფრთხე თავს დაატეხა სომეხთა

ქვეყნის მცხოვრებლებს, რომელებიც ძალიან შეაწუხა გაჭირვებამ და მოუსვენარმა ცხოვრებამ. მათი კვნესა და ოხვრა ცას წვდებოდა. სუმბატ კურაპალატმა და სხვა ნახახარებმა დატოვეს თავიანთ [საცხოვრებელი ადგილი] და ბერძენთა მეფეს სთხოვეს ქალაქი საცხოვრებლად და საძოვრები თავიანთი ჯოგებისათვის. [მეფემ] მისცა მათ ქალაქი ფოთი ეგრისელთა ქვეყანაში, სადაც 6 წელი დაჰყვეს. (ცაგარეიშვილი, 2012, გვ. 121)

დანამდვილებით შეიძლება ჩაითვალოს, ჩვენს ხელთ არსებულ საისტორიო ხასიათის წერილობით წყაროებში, ტოპონიმი სახელწოდებით - ფოთი, უძველესია და პირველად არის გამოყენებული. გარდა ამისა, იმ პერიოდის გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ფოთი ეგრისის სამეფოს ქალაქია. ღევონდის ამ ცნობაში, ფოთისათვის ურბანული კატეგორიის, კერძოდ, ქალაქის მინიჭება მნიშვნელოვანი ცნობაა, რადგან გარკვეულწილად, საისტორიო წყაროებში არსებული ქრონოლოგიური ვაკუუმი ივსება ფასისის ქალაქობის შესახებ, მხედველობაში გვაქვს ადრეულ და განვითარებულ შუასაუკუნეებს შორის არსებულ პერიოდი.

მერვე საუკუნის კონტექსტუალიზაციისათვის, ასევე, საჭიროა გავიაზროთ, არაბების კავკასიაში ინტერვენცია და იმდროინდელი გეოპოლიტიკური რყევები, რომლებმაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია რეგიონის ურბანიზაციაში. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ მურვან ყრუს ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში, 735-737 წლებში. ლაშქრობის შესახებ ცნობებს ჯუანშერთან ვხვდებით და სწორედ მისი გადმოცემით, მურვან ყრუს უკავშირდება არქეოპოლისი/ნოქალაქევის განადგურება. (აფაქიძე, 1969, გვ. 13)

შეიძლება იმის ვარაუდი, რომ აღნიშნული არაბული რეიდი, გარკვეულწილად ირიბ ზეგავლენას ციხე-გოჯის მეზობელ ქალაქებზეც მოახდენდა.

ცაგარეიშვილის ცნობით, სომეხი ხალხის შევიწროვება განსაკუთრებით გააქტიურდა აბასიდების დინასტიის დროს. (ცაგარეიშვილი, 2012, გვ. 32)

შესაბამისად, მურვან ყრუს ლაშქრობის შემდგომ პერიოდს უნდა უკავშირდებოდეს ღევონდის მიერ დასახელებული სომხების გადმოსახლება ქალაქ ფოთში.

ქართლის ცხოვრება

ქართლის ცხოვრების ადრეული რედაქციები, მდინარეს და ქალაქას სახელად ფასის არ იცნობს. მხოლოდ მდინარეს, რომელიც რიონის სახელით არის მოხსენიებული. გამონაკლისებია ვახუშტი ბაგრატიონის, მოგვიანო პერიოდში დაწერილი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და ნიკოლოზ დადიანის შედგენილი

„ქართლის ცხოვრება“, სადაც დეტქლურად არის აღწერილი რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიის პერიოდში ფოთის ციხის გარშემო არსებული ვითარება.

ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა. მაშინ ფარნავაზ მისცა დაჲ თჳსი ოვსთა მეფესა ცოლად, და მეორე დაჲ თჳსი მისცა ქუჯის ცოლად. და მისცა ქუჯის ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღჳთგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერის-თავად მუნ. და მან ქუჯი აღაშენა ციხე-გოჯი. (ქართლის ცხოვრება, 1955, თავი III)

ერთი გაგ ზავნა მარგჳს ერის-თავად, და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღუ[რ]ადმდე [ეგრისისა], რიონს ზემოთ. და ამან-ვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი, შორაპანი და დიმნა. (ქარლის ცხოვრება, 1955, თავი III)

ქართლის ცხვრებაში მდინარე რიონი, როგორს საზღვრის მდგენელი გეოგრაფიული ნიშნულია.

დავითისა და კონსტანტინეს წამება

ჩვენი აზრით, ფასისის ტოპონიმიკს კვლევისათვის ანონიმი ავტორის მიერ შესრულებული აგიოგრაფიული ნაწარმოების „დავითისა და კონსტანტინეს წამება“. არაერთვაროვანი შეფასებებია ქართველ ისტორიკოსებს შორის, თუ რომელ პერიოდს შეიძლება განეკუთვნებოდეს აგიოგრაფიული ნაწარმოები. არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები ქრონოლოგიასთან და ტექსტთან დაკავშირებით, თუმცა არცერთ მკვლევარი არ ათარიღებს ტექსტს არაუგვიანეს XII საუკუნისა. გამოთქმული მოსაზრებები და კვლევის ისტორია შეკრიმა მანანა სანაძემ, რომელიც იკვლევს აგიოგრაფიული ნაშრომის ისტორიულ ქრონიკებს. (სანაძე, 2022, გვ. 4)

ს. კაკაბაძის აზრით, დავითისა და კონსტანტინეს წამება ნაათარგმნი უნდა იყოს კიმენური რედააქციიდა, ხოლო კორნელი კეკელიძე მიიჩნევს, რომ აგიოგრაფიული ნაწარმოებით შესრულებულია XII საუკუნეში. (სანაძე, 2022, გვ. 6-7)

აგიოგრაფიული ნაშრომი აღწერს მურვან ყრუს დამანგრეველ ლაშქრობას დასავლეთ საქართველოში, რასაც მოწამეობრივად შეეწირნენ არგვეთის მმართველები დავითი და კონსტანტინე. სიუჟეტი მერვე საუკუნის პირველ ნახევარს აღწერს. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, სწორედ, დავითისა და კონსტანტინეს მოწამეობრის აღსასრულს შეეხება. მათი მოწამეობრივი აღსასრულის შემდგომ, მათი გვამები მიდანე ფასონში ჩაყარეს. *„ესრეთ შთაყარნენ იგინი მდინარესა მას ფასონსა, რომელ არს ენითა ქართულითა რიონი“.* უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ამ შემთხვევაში არის ჰიდრონიმის დაზუსტება ქართულად. აღნიშნული გარემობა ს. კაკაბაძეს აფიქრებინებს, რომ დავით და კონსტანტინეს წამება ნათარგმნი უნდა იყოს ბერძნული, კიმენური რედაქციიდან.

ნათარგმნი არის, თუ არა ნაწარმოები, აღნიშნული დისკურსი შორს წაგვიყვანს, თუმცა, ქართული მწერლობისათვის,გვიან და განვითარებულ შუასაუკუნეებში ფასისა და რიონს შორის ტოლობაა დასმული, შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში, მდინარე ფასისის ლოკაციის შეცვლა, განსაკუთრებულად მისი გაიგივება მდინარე ჭოროხთან ფაქტებით მანიპულაციაა და პირდაპირი ქართული წერილობითი წყაროების იგნორირება.

გიორგი მთაწმინდელი (1009-1065)

ქალაქ ფოთის ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი წერილობითი წყაროა დაცული ათონის მთის მონასტრის წინამძღვრის - გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში, რომელზეც მოგვითხრობს მისივე მოწაფე გიორგი მცირე. კ. კეკელიძის აზრით, გიორგი მთაწმინდელი დაწერილი უნდა იყოს 1066-1068 წლებში, ბაგრატ IV-ის სიცოცხლეშივე. (კეკელიძე, 1957, გვ. 248)

ჩვენთვის საინტერესო პასაჟს ვხვდებით ქალაქ ფოთთან დაკავშირებით. *„და ესრეთ გამოვედით მიერ და მოვიწიენით სამისონს, ქალაქსა ზღჳს-კიდისასა, და მუნ განვყიდენით საჴედარნი ჩუენნი, და ესრეთ ნავითა წარვემართენით კერძოთა აფხაზეთისათა, და კეთილითა და ჰამოჲთა ნიავითა მივიწიენით ფოთს და მიერ საჴედრითა ქუთათისს ჟამსა სთულისასა.“*(გიორგი მცირე, 1994, გვ. 221)

უაღრესად საინტერესოა გიორგი მთაწმინდელის დაბრუნება ანტიოქიიდან, რომელსაც გზად დაბრკოლებები შეექმნა თურქული დომინაციის გამო, ანატოლიის აღმოსავლეთში, თუმცა იგი ახერხებს ქალაქ კეისრიდან სამსუნში მოხვედრას (წყაროს მიხედვით სამისონ), რომელიც ზღვისპირა ქალაქია, ამის შემდგომ ნავით აგრძელებენ მარშუტს აფხაზეთის სამეფოს მიმართულებით, კერძოდ ხდება დაკონკრეტება, რომ შევიდნენ ფოთში, ხოლო ამის შემდგომ ქუთაისის მიმართულებით განაგრძეს გზა სახედრებით. ფოთიდან ქუთაისის მიმართულებით სახედრებით გზის გაგრძელება საინტერესო ფაქტია. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რატომ აირჩია სახმელეთო გზა ფოთიდან ქუთაისამდე. შეიძლება ვარაუდი, რომ მდინარე რიონზე უკუმიმართულებით ნაოსნობა საკმაოდ გაძნელებული იყო XI საუკუნეში. ასევე, აღნიშნული ფაქტი, შესაძლოა უკავშირდებოდეს რიონის სეზონურ ადიდებას, როდესაც თითქმის შეუძლებელია რიონზე აღმა ცურვა.

ასევე, აღნიშნულ წყაროში მნიშვნელოვან ინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფოთი უშუალოდ აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაშია და მის გეოპოლიტიკურ ცენტრ - ქუთაისთან მიმოსვლა სახმელეთო გზითაც ხდება.

დიდი კითხვის ნიშანია, თუ რატომ იყენებს გიორგი მცირე ტოპონიმ - „ფოთს“ და არა, მის შესაძლო ბერძნულ სახელწოდება „ფასისს“, რადგან იგი, ისევე როგორც, გიორგი მთაწმინდელი ბერძნულ სამყაროში მოღვაწეობდა და მათ უნდა

სცოდნოდათ, რომ ბერძნული სახელი, სწორედაც ფასისი უნდა ყოფილიყო და არა ფოთი. აღნიშნულთან დაკავშირებით აზრს გამოთქვას ანანია ჯაფარიძე, რომელიც გიორგი მცირეს მიერ დასახელებულ ფოთს „ბათის“(იგივე ბათუმს) უკავშირებს, ლინგვისტური მიდგომით და იქვე აღნიშნავს, რომ დღევანდელი ფოთის მიდამოები ძლიერ იყო დაჭაობებული და იქ ნავსადგური ფიზიკურად ვერ იქნებოდა. (ჯაფარიძე ანანნია, 2011, გვ. 168)

შესაძლებელია ბათი და ფოთი ლინგვისტური მიდგომით, მართლაც ჰგავს ერთმანეთს, თუმცა ფოთის მეთერთმეტე საუკუნის ლანდშაფტზე საუბარი, კონკრეტულ მიზნობრივ კვლევებზე დაყრნობის გარეშე მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.

ბასილი სოფონელი XI საუკუნე

სვიმონ ყაუხჩიშვილის აზრით ბასილი სოფონელის „უწმინდესი პატრიარქების ნუსხა“ კომპლიციური სიაა, რომლის სხვადასხვა ნუსხა მეოთხედან, ვიდრე მეთერტმეტე საუკუნემდე უნდა დათარიღდეს. „ლაზისკის ეპარქია“ ნახსნებია რამდენჯერმე ნუსხაში. (ყაუხჩიშვილი, 1952, გვ. 128,130,135)

1. უწმინდესი პატრიარქების ნუსხა: „ეპარქია ლაზიკისა - ფასიდის მიტროპოლიტი“. რიგითობა 27.
2. ცალკე ნუსხა, დაქვემდებარებული საეპისკოსოებისა. „ეპარქია ლაზიკისა - ფასიდის მიტროპოლიტი“. რიგითობა 26. დაქვემდებარებული ეპარქიები: როდოპოლისის ეპისკოპოსი, აბისსენთა ეპისკოპოსი, პეტრათა ეპისკოპოსი, ზიგანევთა ეპისკოპოსი

ბასილი სოფონელის ცნობების მიხედვით ირკვევა ლაზიკის ეპარქიის დაქვემდებარება. ლაზიკის ეპარქია ექვემდებარება კონსტანტინოპოლს ან ტრაპენზუნტს. მაგრამ მეორე შემთხვევაში აღწერილია იმ საიპისკოპების ჩამონათვალი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება ფასიდის ეპარქიას. აშკარაა ფასისის ეპარქიის ვრცელი რეგიონალური გავლენა, რომელიც თითქმის მოიცავს ეგრისის სამეფოს ისტორიულ ტერიტორიებს.

ნიკეტა ხონიატი XII საუკუნე

ნიკეტა ხონიატი შუასაკუნეების ბიზენტიელი ისტორიკოსია, რომელიც ფასისს ორჯერ ახსენებს და მეტად მნიშვნელოვან კონტექსტშია ნახსნები. მისი ცნობები თარგმნილია სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, რომელსაც, პარალელური თარგამნის გარდა ახლავს კომენტარები.

პირველი ეპიზოდი ეხება დაქირავებულ იბერიელებს. 1204 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა დაარბიეს და გაძარცვეს კონსტანტინოპოლი, შეიქმნა ძალაუფლების ვაკუმი. სამი შტო დაუპირისპირდა ერთმანეთს ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, კერძოდ, მანუილ მავროზომი, თეოდორე ლასკარი და დავითი. საბოლოო ჯამში ძალაუფლება თეოდორე ლასკარმა იგდო ხელთ, რომელსაც კომნენოსთაგან დავითი დაუპირისპირდა. დავითმა შემოიკრიბა პაფლაგონიელები და დაიქირავა იბერიელები, რომლებიც ფასისის წყალს სვამდენენ. ყაუხჩიშვილის კომენტარით, აქ ნაგულისხმებია, ის იბერიელები, რომლებიც ფასისის წყალს სვამდნენ. (ყაუხჩიშვილი, 1966, გვ. 131) ხაზგასასმელია, ის გარემოება, რომ ავტორს მდინარე ფასისი აქვს ნაგულისხმები და არა ქალაქი. ასევე, მდინარე რიონი 200 კილომეტრზე მეტი სიგრძისაა, შესაბამისად, აპრიორი აქ უნდა იგულისხმებოდეს მდინარე რიონის ზემო დინებაზე მცხოვრები იბერიელები და არა კოლხეთის დაბლობში. თუმცა აღნიშნული წყარო პირველია, რომელიც იბერიელებს და მდინარე ფასისის ერთ კონტექსტში მოიხსენიებს.

მეორე ეპიზოდში ნიკეტა ხონიატი ცნობებს გვაწვდის ქალაქ ფასისის შესახებ. როგორც ჩანს მეთორმეტე საკუნის მიწურულს შავ ზღვაში ვითარება საკმაოდ გართულდა, რაც გამოწვეული იყო მეკობრების თარეშით. მეკობრების პრობლების აღმოსაფხვრელად ალექსი მესამე ანგელოსმა ექვსი ტრიერი ჩააბარა კონსტანტინეს, რომელსაც მეტსახელად ფრანგოპულოსს უწოდებდნენ. კონსტატინეს დაევლა მოეძებნა სავაჭრო ხომალდი, რომელიც ფასისიდან ბიზანტიონში მიცურავდა და კერასუნტის მახლობლად დაიმსხვრა. მან პირიქით, ყველა სავაჭრო გემი ხელში ჩაიგდო, ვაჭრები კი გაძარცვა. აღნიშნულ წყაროში ორი მნიშვნელოვნი ფაქტორია: დაძაბულობა შავი ზღვის რეგიონში, კერძოდ, მეკობრეების თარეში, რაც არახელსაყრელ გარემოებას ქმნიდა ვაშრობისათვის. მეორე მნიშვნელოვანი მინიშნება ეხება ქალაქ ფასისის, უშუალო, პირდაპირ კონტაქტს ბიზანტიონთან. აღნიშნული გარემობა მიუთითებს, რომ ფასისი რჩება კავკასიისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრად.

გენუელი ვაჭრები ფასისის შესახებ

შავი ზღვის რეგიონისათვის უმნიშვნელოვანესი პერიოდია XII საუკუნე, როდესაც იწყება ახალი კოლონიზაციური ათვისება. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გააქტიურდა ქალაქი გენუა, რომელმაც ერთი მეორეზე მიყოლებით დაარსა სავაჭრო ფაქტორიები შავიზღვისპირეთეში. მთავარი ქალაქი, ასე ვთქვათ, შემკრები პუნქტი იყო ქალაქი კაფა(ყაფფა), იგივე ფეოდისია(თეოდოსია), რომელიც ყირიმის ნახევარ კუნძულის სამხრეთ აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა. მათი ეკონომიკური სავაჭრო ინტერესები დასავლეთ საქართველოზეც ვრცელდებოდა. გენუელი და ვენეციელი ვაჭრების არაერთი საბუღალტრო ხასიათის ცნობაა დაცული არქივებში, როგორიცაა ვენეციის სახელმწიფო არქივი (Archivo di Stato di Venezia - ASV),

ვენეციის დიდი საბჭო (Maggio Consiglio – MC/CM), გენუის სახელმწიფო არქივი (Archivo di Stato di Genova – ASGe) და საიდუმლო არქივი (Archivo Segreto - AS). სამწუხაროდ, აღნიშნულ არქივებზე პირდაპირი წვდომა არ გვაქვს, მაგრამ მეცნიერი - სერგეი კარპოვი მნიშვნელოვან ნაწილს იყენებს თავის პუბლიკაციებში. იგი, ძირითადად, თავის მრავალრიცხოვან პუბლიკაციებში მიმოიხილავს ცნობებს ტრაპიზონის იმპერიისა და ყირიმის გენუელების (ღაზარია) ვაჭრობის შესახებ, შესაბამისად, მის კვლევებში გაფანტულია ცნობები ფასისის შესახებ, სადაც ის უშუალოდ ციტირებს დოკუმენტაციას. მაგალითისათვის ჩვენთვის საინტერესოა რამდენიმე ცნობა.

1380 წელს ყირიმელმა თათრებმა ძალიან შეავიწროვეს ნახევარკუნძულზე მყოფი გენუელი ვაჭრები, რამაც გამოიწვია ხორბლის მარაგის მნიშვნელოვანი დეფიციტი ღაზარიაში[25], შესაბამისად გენუელებმა გადაწყვიტეს ახალი გზების ძებნა ხორბლის მარცვლეულის შესაძენად. 1386 წლით დათარიღებულ საბუღალტრო ცნობაში, გენუელმა ვაჭრებმა ფასისიდან (ფოთი) და ზიჩიიდან (ჩერქეზეთი) შეიძინეს 20 მოდიოი (*modioi)* და *3 კანტარი (cantari)*[26] ხორბალი, რაც დაახლოვებით 5.8 ტონას უდრის, სანაცვლოდ კი, გენუელებმა ერთ *მოდიოი*ში დაახლოვებით 84.5 ტრაბიზონული ვერცხლის ასპრი გადაიხადეს. ცნობილია, ისიც რომ აღნიშნული შესყიდვა განახორციელეს ბარტლემოე დი ჯიულიომ და ო. დი ფინარიომ. აღნიშნული სავაჭრო გარიგების შემდგომ, მათი მოგების მარჟა 5 პროცენტით განისაზღვრა. ასევე აღნიშნულია, რომ ტვირთის გადატანა ტრაპიზონული გემებით მოხდა კაფას მიმართულებით (Karpov, 1993, გვ. 65)

უაღრესად ინფორმატიულია ზემოაღნიშნული საბუღალტრო ცნობა და ამას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრას. პირველ რიგში, უტყუარია, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში, ფასისი აქტიურადაა ჩართული სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებში და მას საპორტო ფუნქცია გააჩნია. როგორც ცნობილია, ფასისის ლანდშაფტი[27] მთლიანად შეუფერებელია ხორბლის მოსაყვანად, შესაბამისად, ხორბალი პორტში მიტანილია მეზობელი რეგიონებიდან, რაც მიუთითებს პორტის ჰინტერლანდთან არსებულ სავაჭრო კავშირზე .

გვაქვს კიდევ რამდენიმე წყარო, სადაც ფასისის პორტიდან განხორციელდა გარკვეული სავაჭრო გარიგებები. კერძოდ, ხორბლითა და მონებით ვაჭრობა[28], თუმცა, სხვა სააღრიცხვო დეტალები არაა ცნობილი, რადგან სერგეი კარპოვის კვლევა მიძღვნილია მეთოთხმეტე საუკუნის კრიზისზე შავი ზღვის რეგიონში,

---

[25] ღაზარია - ხაზარეთი. ყირიმის სახელწოდება ლათინურად.

[26] *modioi* და *cantari* ნონისა და ლიტრაჟობის ბიზანტიური სტანდარტი.

[27] ფასისის ლანდშაფტში ვგულისხმობთ რიონის ქვემო დინებას, ე.წ. დელტას.

[28] გენუელი ვაჭრები კოლონიების შესახებიხილეთ ევგენი ხვალკოვის უახლესი პუბლიკაცია (ხვალკოვი 2017:3)

რომელიც გამოიწვა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში მონღოლების გააქტიურებამ და შავი ჭირის გამოჩენამ. (Karpov, 1997, გვ. 65-77)

ხორბლით ვაჭრობასთან დაკავშირებით შეიძლება მოვიშველიოთ ევლია ჩელების შედარებით მოგვიანო ცნობა ქუთასითან დაკავშირებით. იგი უშუალოდ იმყოფებოდა ქუთაისში, მისი თქმით, ქალაქის ნავსადგურში მრავლად არის ყირიმისა და ტამანის ხომალდები, აქ ხშირად მოდიან ყირიმიდან ცხენოსნები და ვაჭრობენ, ხოლო მის გარშემო მოჰყავთ ხორბალი. ევლია ჩელებმა მეჩვიდმეტე საუკუნეში იმოგზაურა და აღნიშნულ ცნობების 4 საუკუნოვანი დაშორებაა, მაგრამ, როგორც ჩანს ეკონომიკური ურთიერთობები, აბაზასას[29] ქვეყანასა და ყირიმის შორის აქტიურად მიმდინარეობდა და განგრძობითი ხასიათი ჰქონდა. (ჩელები, 1971, გვ. 105)

ამბროზიო კონტარინი

ფოთში თურქული გარნიზონის განთავსებამდე, საყურადღებო საისტორიო ცნობას გვაწვდის ვენეციელი დიპლომატი ამროზიო კონტარინი, რომელმაც XV საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა კავკასიაში. მისი მთავარი მიზანი იყო სპარსეთში მოგზაურობა, კერძოდ უზუნ ჰასანის კარზე ელჩობა (შამილაძე, 2001, გვ. 86). კონტარინიმ გაიარა და აღწერა შავი ზღვის სანაპირო, ბათუმიდან იგი გადავიდა გურიასა და ფოთში, სამეგრელოს გავლით ქუთაისში, სკანდასა და შოროპანში. (შამილაძე, 2001, გვ. 86). აღსანიშავია ის ფაქტი, რომ ვახტანგ შამილაძე იმოწმებს 1836 წელს გამოცემულ წყაროს - *„Путешествие Амвросия Контарини, посла светлейшей венецианской республики к знаменитому персидскому государю Узун - Гассану, библиотека иностранных писателей о России, I, СПБ., 1836 .“,* თუმცა აღნიშნულ წყაროში, ორიგინალსა და სხვა ინგლისურენოვან თარგმანებში სწორედ ფასისია ნახსენები და არა ფოთი. ცხადია, მეთხუთმეტე საუკუნეში ფოთი ფასისის ქართული ვარიანტია და ვახტანგ შამილაძესთვის აღნიშნულს ტოპონიმებს შორის ტოლობის ნიშანია. ვახტანგ შამილაძის ცნობები ამბროზიო კონტარინის შესახებ შემოკლებული ხასიათისაა, რადგან მისი მონოგრაფია უფრო საინფორმაციო, კატალოგური ხასიათისაა უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა შესახებ.

ამროზიო კონტარინიმ ოთხი დღე დაჰყო ფასისში და ძალზედ საინტერესო ცნობებს გვაწვდის საპორტო ქალაქის სოციოეკონომიკური ხასიათის შესახებ. ამდენად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, უცვლელი სახით შემოგთავაზოთ, ქალაქ ფასისთან დაკავშირებული პასაჟები.

[29] ევლია ჩელები აბაზას სახელით მოიხსენიებს ქუთაისიდან ფაშის/რიონის შესართავამდე არსებულ რეგიონს. ცალსახად, იგი აფხაზეთის სამეფოს უნდა გულისხმობდეს.

„29 ივნისს მივაღწიეთ „ვართს“ [Varti][30], ცხენები ძალიან დაღლილები იყვნენ და ნაპირზე გადმოვსხი, საიდანაც გავაგზავნეთ ფასსოში [Fasso][1].“ - ხოლო ფასსო, სქოლიოში განმარტებულია, როგორც - ფოთი. (Kontarini, 1873, გვ. 117) დიდი ალბათობით, სქოლიოში აღნიშნული განმარტება ეკუთვნის იტალიურიდან ტექსტის მთარგმნელს - ვილიამ ტომასს.

„პირველ ივლისს, 1474 წელს ჩავედით მდინარე ფასსოს შესართავთან, რომელის გასწვრივაც დასახლებული არიან მეგრელები, რომლებიც გადარეულებივით იქცევიან. გემიდან გადავედით ნავებში, საიდანაც მოვხვდით კუნძულზე, რომელზეც ნათქვამია, რომ ბატონობდა მეფე არეტა, მომწამვლელი მედეას მამა. იმ ღამეს იქ გავთენეთ და ძალიან შეგვაწუხეს კოღოებმა, რომლის წინააღმდეგაც ვერაფერს გავხდით.“(Kontarini, 1873, გვ. 118)

2 ივლისის დილას, ავცურეთ მდინარე ნავებით ქვეყანაში, ქალაქში რომელსაც ერქვა ასსო[Asso][31], რომელიც მდებარეობს მდინარეზე და შემორტყმულია ტყით. მდინარე ორი არბალეტის სასროლო მანძილის სიგანისაა. როცა ჩამოვედით შევხდით, ნიკოლო კაპელოს მოდონიდან, რომელიც აქ დასახლებულიყო და მიეღო მაჰმადიანობა, ჩერქესი ქალი მარტა, რომელიც იყო გენუელების მონა; და ასევე გენუელი, რომელიც აქვე დაქორწინდა და დასახლდა. მე შემიხიზნა მარტამ, რომელმაც კარგად მომიარა 4 ივლისამდე. ფასსო ეკუთვნით მეგრელებს, რომელთა მეთაურს ბენდიანი(დადიანი) ჰქვია. ის არ ფლობს დიდ ტერიტორიებს, სულ სამი დღე სჭირდება ამ ტერიტორიების გადავლას, აქ ბევრი ტყეა და მთა. კაცები ძალზედ უხეშები არიან, ისინი იპარსავენ თმას, როგორც ფრანცისკანელი ბერები. აქ ბევრი ქვის სამტეხლოა, ცოტა მარცვლეულსა და ღვინოს აწარმოებენ, დაბალი ხარისხისას. მოსახლეობა ძალიან გაჭირვებაშია, ჭამენ ფეტვის ფაფას. მცირე რაოდენობის ღვინო და დამარილებული თევზი შემოაქვთ ტრაპიზონიდან, ხოლო ყაფადან მარილი. ისინი აწარმოებენ მცირე ოდენობის ცვილს და ქსოვილს(ტილო). შრომისმოყვარენი რომ იყვნენ ექნებოდათ თავიანთი სამყოფი თევზი მდინარიდან. ისინი ქრისტიანები არიან და მიჰყვებიან ბერძნულ ეკლესიის წესჩვეულებას, თუმცა მათ ჰყავთ ბევრი ერეტიკოსი. (Kontarini, 1873, გვ. 118)

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობითაც, ეგრისში ადგილობრივები ამზადებენ ტილოს კანაფისაგან. (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 744)

მარილის ყირიმიდან იმპორტზე ასევე ცნობებს გვაწვდის იოჰან გიულდენშტენდტი, რომელიც გვაწვდი ცნობებს ხონის ბაზრის შესახებ. მისი გადმოცემით, ერთი ფუთი ყირიმის ზღვის მარილი ორი კაპიკი ღირს და ის ფოთის გავლით შემოდის. გარდა ამისა, იგი გვაწვდის ცნობებს დამარილებული თევზის

---

[30] ვართი - ბათუმი.

[31] შესაძლებელია, ვილიამ თომასის თარგმანში გაპარულია შეცდომა, შესაძლებელია გულისხმობდეს Fasso-s.

შესახებ, მისი ცნობით, დამარილებული ზურგიანი ფორიჯი (ზუთხი), ადრე ფოთიდან შემოდიოან, ხოლო ახლა თბილისიდან და სალიანიდან (დღევანდელი აზერბაიჯანი, მტკვირს ქვემო დინება) ეზიდებიან. მისი საცალო ფასი კი, 40 კაპიკია. (გიულდენშტენდტი, 1962, გვ. 154-155)

შეიძლება ითქვას, რომ სავაჭრო ეკონომიკური უერთიერთობები, რასაც ამბოზიო კონტარინი XV საუკუნეში აღწერს, გრძელდება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში.

თურქული საარქივო დოკუმენტაცია ფაშის/ფოთის ციხის შესახებ

1582 წლით დათარიღებული ოსმალური საარქივო ცნობა.

„ფოთის ციხის შეკეთება.

ბათუმის ბეგლართბეგს ვუბრძანებ, რომ:

ზღვის სანაპიროზე მდებარე ფოთის ციხე, რომელიც ხის მასალისაგანაა ნაშენი, ხანგრძლივი წვიმების გამო საკმაოდ დაზიანდა და ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება, რის გამოც მოვითხოვე მისი აღდგენა და რესტავრირება. შენი თხოვნა მისაღებად იქნა ჩათვლილი ამიტომ ვბრძანებ რომ:

ბრძანების მოსვლისთანავე, წახვალ ფოთის ციხეში და დაწვრილებით შეისწავლი მდგომარეობას, რის შემდეგაც საჭირო ადგილებს შეაკეთებ და ჩაუტარებ რესტავრაციას. ამასთანავე მომივიდა ცნობა, რომ იმ მხარეში მტრები დათარეშობენ, ფხიზლად იყავი!

გაფრთხილებ, უყურადღებობით ჩემი ქვეყნის შეურაცხმყოფელი ნაბიჯი არ გადადგა!“[Yildztas, 2012, გვ. 89]

1584 წლით დათარიღებული ოსმალური საარქივო ცნობა.

„დანგრეული ფოთის ციხის აღდგენის შესახებ.

მომახსენე, რომ ფოთის ციხე რომელიც ადრე ხისა და თიხისგან იყო აშენებული, ავარიულ მდგომარეობაშია და მისი ქვის მასალით აშენებაა საჭირო. ვბრძანებ, რომ:

ბრძანების მოსვლის შემდგომ, ზემოთ აღნიშნული ციხე სამხედრო ძალების დახმარებით შეძლებისდაგვარად აღადგინო და შეაკეთო.“[Yildztas, 2012, გვ. 93]

ზემოთ მოყვანილი ორი თურქული საარქივო, პატაკური ხასიათის ცნობა პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ ქვის ციხის აშენებამდე იქ მდებარეობდა ხის

ციხე, რომელიც ძლიერი წვიმებისაგან იყო დაზიანებული. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ბათუმის ბეგლართბეგმა უპატაკა სულთანს -მურად III (1574-1595 წწ).

რამდენად შეესაბამება აღნიშნული ციხე, ფლავიუს არიანეს აღწერილი ფასისის ხის ციხეს, ამის ვარაუდი ძალიან რთულია და ამის საკმარისი არქეოლოგიური მტკიცებულებები არ გაგვაჩნია. გარდა ამისა, არიანეს აღწერილ ფასისის გალავანსა და თურქულ საარქივო დოკუმენტაციას შორის დაახლოვებით თოთხმეტ საუკუნოვანი ქრონოლოგიური დაშორებაა, რაც კიდევ უფრო მეტად ართულებს ინტერპრეტაციას.

დიდი ალბათობით, აღნიშნულ ხის ციხეში იმყოფებოდა აბროზიო კონტარინი XVI საუკუნეში.

ფირი რეისის რუკა

ოსმალური საარქივო ცნობების გარდა, ამავე კონტექსტში, საინტერესო იქნება, ცნობილი თურქი მოგზაურის ფირი რეისის შავი ზღვის კომპასური რუკა (პორტალანი), რომელიც 1525 წლით არის დათარიღებული. შესაბამისად, აღნიშნული რუკა წინ უსწრებს საარქივო წყაროს. საინტერესოა ფაქტი, რომ აღნიშნულ რუკაზე ტოპონიმი/ჰიდრონიმი უკვე ფაშის სახელით არის ცნობილი. როგორც ჩანს დასახელება „ფაშ“ ოტომანურ ინტერვენციამდე უკვე გავრცელებული სახელი იყო. (ფირი რეისი, 1525, შავი ზღვის რუკა) (ტაბულა III). რუკა ჩრდილოთის მიმართულებით არის შედგენილი, თუმცა აღმოსავლეთ შავი ზღვის პირეთში მითითებული წარწერები უკუღმაა შესრულებული. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით კარგად განირჩევა არაბული ტრანსკრიპციით შესრულებული თურქული წარწერები: „ბათუმ“, „ფაშ“, „კამხალ“[32] და „ანკელ“. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ რუკაზე, ასევე განირჩევა მდინარე რიონის დელტა, რომელიც ორ შტოდ იყოფა, ხოლო მათ შორის სავარაუდოდ ორი კუნძულია.

1578 წლის ცნობა ფაშის ციხის შესახებ

კიდევ ერთი საინტერესო საარქივო ცნობაა 1578 წლით დათარიღებული. აღნიშნულ ცნობაში მუსტაფა ლალა ფაშა, რომელიც სარდლობდა ლაშქრობას სეფიანთა დინასტიის წინააღმდეგ, ცნობას აგზავნის სტამბულში, სადაც აღწერს, რომ გურიაში მდებარეობს ორი ქალაქი, ფაში და ბათუმი. (Aydin, 1986, გვ. 69)

ჟან შარდენის ცნობა ფოთის ციხის განადგურების შესახებ. (1643-1713)

[32] რევაზ პაპუაშვილი კემხელს თანამდროვე ყულევთან აიგივებს, დამატებით იხილეთ მისი პუბლიკაცია. გარდა ამისა, ავტორი ეყრდნობა ფრანგი ვაჭრის ჟან შარდენის მონაცემებს. (პაპუაშვილი 2017:16-77)

თურქების მიერ ფოთის ციხის დაკავების შესახებ ცნობას გვაწვდის ჟან შარდენი თავისი მოგზაურობიდან. გარდა ამისა, წარმოდგენა გვექმნება მეჩვიდმეტე საუკუნის რიონის ქვედა დინებაზე არსებულ ლანდშაფტზე.

„ამ მდინარის შესართავთან მრავალი პატარა, მეტად ლამაზი ტყით დაფარული კუნძულია, რაც ხელს უშლის დიდი გემების ნაოსნობას, რომლებიც იძულებული არიან შესართავიდან სამი ან ოთხი მილის დაცილებით გაჩერდნენ. ამ კუნძულებიდან ყველაზე დიდ კუნძულზე დასავლეთის მხრიდან ციხის ნანგრევები მოჩანს, რომელიც თურქებმა ააშენეს. ეს იყო სულთანი მურადი, რომლის ბრძანებითაც ააგეს იგი 1578 წ. უფრო სწორად, იგი ააგო მისი ჯარის მთავარსარდალმა მუსტაფამ, თურქებსა და სპარსელებს შორის დიდი ომების დროს. თურქთა ამ იმპერატორმა განიზრახა შავი ზღვის ჩრდილოეთი და დასავლეთი მხარეების დაპყრობა, მაგრამ მისი განზრახვა ვერ განხორციელდა. მან უბრძანა გალერებს[33], ფასისს აღმა აყოლოდნენ, მაგრამ იმერეთის მეფე იმ ადგილზე, სადაც მდინარე მეტად ვიწროა, ჩაუსაფრდა და დიდი ზიანი მიაყენა მურადის გალერებს, ერთი ჩაიძირა, სხვებმა კი გაქცევით უშველეს თავს. ფასისის ციხე-სიმაგრე 1640 წელს იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს შეერთებულმა ჯარებმა აიღეს და მიწასთან გაასწორეს.“ (ჟან შარდენის მოგზაურობა, 1975, გვ. 241)

ოსმალური იმპერიის ციხის აგების თარიღი ემთხვევა თურქულ საარქივო ცნობას, რომელიც ასევე 1578 წლით თარიღდება და უკვე განვიხილეთ წინა პარაგრაფში. შესაძლებელია 1723 წელს, მეჰმედ აღას ჩატარებული ციხის რეკონსტრუქცია უკავშირდებოდეს 1640 წელს ციხის განადგურებას, თუმცა ამ მიმართულებით საინტერესო იქნება სხვა წყაროების მოძიება.

არქანჯელო ლამბერტი - XVI საუკუნე

არქანჯელო ლამბერტი ფასდაუდებელ ცნობებს გადმოგვემს დასავლეთ საქართველოს, სამეგრელოს შესახებ. მან 18 წელიწადი დაჰყო კოლხეთში და ფასდაუდებელი ინფორმაცია მოგვაწოდა რეგიონის შესახებ. იგი ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას და ხშირად მისი შეხდულებები ტენდენციურია. არქანჯელო ლაბერტი კარგად ფლობს ანტიკურ წყაროებს და ახორციელებს მათ კომპელაციას. მდინარე ფასისის შესახებ აღწერაში ციტირებს, სტრაბონს, არიანეს, პროკოფი კესარიელს და ასე შემდეგ. გარდა საისტორო ცნობებისა იგი დაინტერესებულია ენთოგრაფიით და ხშირ შემთხვევაში სწორედ მსგავსი პერსპექტივიდან აქვს აღწერილი რეგიონი. მდინარე ფასისის იგ მრავალჯერ ახსენებს და განმარტავს, რომ მისთვის მდინარე გეოგრაფიული საზღვარია. მდინარე კოდორსა და ფასისის შორის ათავსებს კოლხეთს.

[33] გალერი - ხის მრავალნიჩბიანი სამხედრო ხომალდი. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი)

ჩვენთვის კონკრეტული ერთი ეპიზოდია საკმაოდ მნიშვნელოვანი, როდესაც ის აღწერს მდინარეს. მისი თქმის მდინარე ზღვას ორი ტოტით უერთდება, რომელტა შორის არის კუნძული, რომელზედაც თურქება 1578 წელს ააგეს ციხე. ციხის აგების მიზანი იყო სულთან ამურატს, მოემზადებინა პლაცდარმი ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ. ლამბერტის განმარტებით ამურატმა ამისათვის მდინარის აყოლებაზე, ქუთასის მიმართულებით გააგზავნა გალერები, თუმცა ქუთაისელებმა შეძლეს მათი შეჩერება (არქანჯელო ლამბერტი, 2011, გვ. 196)

ამ კონკრეტულ ცნობაში ორი მთავარი ნიუნსია, მდინარე რიონის მარცხენა ტოტო ჯერ კიდევ დელტის შემადგენელი ნაწილია და იგი დამოუკიდებლად არა არის ჩამოყალიბებული მდინარე ფიჩორის სახით. ჯანშარდენის მსგავსად, არქანჯელო ლამბერტიც იმეორებს გალერების შესაძლებლობას, ცურვას დინების საწინააღმდეგოთ. როგორც ჩანს, ცნობა არ ტყუის და მართლაც არსებობდა შესაძლებლობა მცირე გემებით მდინარე რიონზე აღმაცურვა.

არქანჯელო ლამბერტი კიდევ ერთი ეპიზოდში უბრუნდება მდინარის აღწერა. მისი თქმით, მდინარის ყელი 500 ნაბიჯი სიგანისაა, იქ სადაც ის ზღვას უერთდება. აღნიშნავს სამხრეთის ტოტს. დღევანდელი მონაცმეებით, მდინარის სიგანე არ აღემატება 200 მეტრს, იქ, სადაც პალიასტომი უერთდება ზღვას. მიახლოვებით იგივე მდგომარეობაა ჩრდილოეთის ტოტზე. ჩრდილოეთის ტოტი კიდევ ორ ნაწილად იყოფა, ვიდრე ის ზღვას შეუერთდება, თუმცა ისიც, არ აღემატება 250 მეტრს. მისი თქმით, მდინარის ორივე ნაპირას ცხოვრობს მოსახლეობა და ისინი მთლიანი ხისგან გამოთლილ ნავებს იყენებენ გადასაადგილებლად.(არქანჯელო ლამბერტი, 2011, გვ. 197) როგორც ჩანს, ჰიპოკრატისეული დახასიათება კოლხეთის დაბლობის შესახებ, რომელიც აღწერს ნავებით გადაადგილებას კოლხეთის დაბლობზე, ისევვინარჩუნებს თავის აქტუალურობას.

ევლია ჩელები - XVII საუკუნე

ევლია ჩელების ავტორია სახლეგანთქმული ათტომიანი ნაშრომისა - „მოგზაურობის წიგნი“. წიგნი მოცავს ისტორიულ, ეკონომიკურ, ლინგვისტურ და ეთნოგრაფიული ხასიათის უამრავ ცნობას. ევლია ჩელები ცნობეს გვაწვდის სსამეგრელოში არსებულ ნავსადგურებზე ინფორმაციას, ასევე აღწერს მდინარე „ფაშს.“ მან გონიოდან ჩრდილოეთის მიმართულებით აცურა მენექსილას სახელით ცნობილი გემით, რომელიც ალვის ხისგან არის ნაშენი. რიგითობის პრინციპით გვაწვდის ინფორმაციას ნავსადგურების შესახებ. გონიოს დატოვების შემდეგ შევიდნენ ნავსადგურ სუკარიშში, რომელსაც აქვს ყურე. ამის შემდგომ ჰანდრაში, რომელსაც ყურე არ აქვს. ნავსადგურ სივრის აქვს ყურე და ერთი წისქვილი. ნავსადგურ იავასას ყურე აქვს ყურე და გავერანებული ციხე, სადაც ადგილობრივი, მეგრელი მწყემსები ცხვრებსა და თხებს აზამთრებენ. ამის შემდგომ მიცურეს

რაბჩაში, რომელსაც ასევე, არ აქვს ყურე და ერთი დიდი, დანგრეული ციხე დგას. აღნიშნავსვ რომ ადგილები გაპარტახებულია და კეთილნაშენი ადგილები არ აქვთ, მხოლოდ ივლისში, მოსავლის აღების შემდგომ მოდიან სავაჭრო გემები, რომლებიც მარილს, ჭურჭელს და იარაღს ცვლიან გოგო-ბიჭებზე. აღნიშნული ციხეები ერთ დღეღამეში გაიარეს და მიადგნენ მდინარე ფაშს. (ევლია ჩელები 1971, გვ. 96-97)

ევლია ჩელების აღწერილობით მდინარე ფაში, დუნაის მსგავსად ფართე მდინარეა. ზოგ ადგილას მისი ფართობი ერთ მილს აღწევს, ხოლო ყველაზე ვიწრო ნახევარი მილია. მისი განმარტებით სამეგრელოსა და აბაზაში მიმავალი ხომალდები 100 მილი მანძლით ადიან აღმა. მდინარე ფაშა საზრდოობს კავკასიონიდან, გურჯისტანიდან და ელბრუსიდან მომდინარე ხევმდინარეებით. (ევლია ჩელები, 1971, გვ. 97)

ჩელების აღნიშნული ცნობა კიდევ ერთი, დამატებითი დასტურია იმისა, რომ მდინარე რიონზე არსებობდა შესაძლებლობა აღმაცურვის. ყოველშემთხვევაში, შუასაუკუნეების ცნობები ამ შესაძლებლობას ადასტურებს.

დონ კრისტოფერო დე კასტელი - XVII საუკუნე

დონ კრისტოფეო დე კასტელი XVII საუკუნეში მოღვაწეობდა გურიაში, რომელიც მისიონერული საქმიანობით იყო დაკავებული. მან შემოგვინახა პირადი ცნობები და ჩანახატები დასავლეთ საქართველოს შესახებ. კასტელი რამდენიმე ეპიზოდში ეხება ფასისს, მაგრამ ასახელებს, როგორც - მდინარეს. ორჯერ აღნიშანვს, რომ მდინარე ფასისი იგივე რიონია, ხოლო ერთ ეპიზოდში, აღწერს გარემოს. მისი გადმოცემით, გარემო ნესტიანია და ყოველ ოთხ წელიწადში ძლიერად წვიმს. გარდა ამისა, ის იცნობს ჰიპოკრატეს ცნობებს და მას ციტირებს კიდევაც. (კასტელი, 1976, გვ. 47,52)

კასტელი ორ ადგილას ფასისს ახსენებს, როგორც სადემარკაციო ხაზს, ერთ ეპიზოდში, ის ჰყოფს გურიას კოლხეთისაგან, ხოლო მეორე ნაწილში - კოლხეთს იბერიისაგან. მისივე ცნობით, ამ მდინარისაგან მიიღო სახელწოდება ხოხობმაც - „ფაზიანუს“. (კასტელი, 1976, გვ. 47,52)

ქათიბ ჩელების ჯიჰან-ნუმა. XVII საუკუნე

ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმა“ (სმყაროს მოგზაური)სტამბულში 1732 წელს გამოიცა, სადაც ჩართულია 39 ილუსტრაცია, მათ შორისს 25 ქვეყნის რუკა. ნაშრომი დაწერილი უნდა იყოს 1645-50 წლებში, თუმცა მხოლოდ მისი ნაწილია შემონახული. (ალასანია, 2013, გვ. 46).

ჯიჰან-ნუმაში ყურადღებას იქცევს ქალაქ ფოთის ლოკალიზაცია, რომელზეც საინტერესო დაკვირვებასა და კომენტარებს გვთავაზობს გიული ალასანია. ფოთი რუკაზე გადმოცემულია ე.წ. პუსონით, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქალაქს დაქვეითებული აქვს სტატუსი და მას სოფლის, ან და დაბის სტატუსი აქვს.

ამდენად, გიული ალასანიას მიაჩნია, რომ გეოგრაფიულ პუნქტში სოფელი პატარა ფოთი უნდა იყოს ნაგულისხმები. (ალასანია, 2013, გვ. 46-47).

ვახუშტი ბატონიშვილის *აღწერა სამეფოსა საქართველოსა* - XVIII საუკუნე

ვახუშტი ბატონიშვილის საქრთველოს აღწერა ფასდაუდებელი წყაროა საქართველოს ისტორიისთვისა და გეოგრაფიისათვის. მასთან ვხვდებით ცნობებს მდინარე ფასის-რიონისა და ფოთის შესახებ. მისი გადმოცემით, მდინარე რიონი ყველაზე დიდი მდინარეა ეგრისში, რომელმაც სახელი დაბა ონისგან მიიღო და თავად სიტყვა რი-ონ ჩქარა დინებას უნდა ნიშნავდეს, ხოლო მას ბერძნები ფასონს უწოდებენ. სათავეს კავკასიონიდან იღებს და დაბლობიდან გრეხილებით, ფოთისკენ მიედინება და ზღვას ერთვის (ქართლიც ცხოვრება, ტ. IV, გვ. 744).

ვახუშტის განმარტებით, კახნიაურის შემდგომ მდინარე ფართოდ მიედინება და „ბაჟს“ ქვევით, საკმაოდ ფართო და მდორეა, ხოლო მდინარე ცხენისწყლის შემდგომ უფრო ფართოვდება. მისივე თქმით, ნავები ზღვიდან ბაჟამდე ამოდიან და ზუთხზე თევზაობენ. სოფელ ბაჟში, სავარაუდოდ, იგი სოფელ სამტრედიის რაიონ სოფელ ბაშს უნდა გულისხმობდეს, თუმცა, ასევე, აღსანიშნავია, რომ ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის ერთ-ერთ უბანს საბაჟო ეწოდება.

სხვა ავტორების მსგავსად, შარდენი, გამბა…, ვახუშტიც ადასტურებს ნავებით აღმაცურვის შესაძლებლობას.

მეორე საყურადღბო ფაქტორი მდინარის სახელწოდებაა. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მდინარე ფასონი (ფასისი) და რიონი ერთი და იმავე მდინარის ორი სახელწოდებაა. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ***დავითისა და კონსტანტინეს წამების*** XI საუკუნის ტექსტი, რომელიც უკვე განვიხილეთ ზემოთ.

ვახუშტი ბატონიშვილთან ვხვდებით ინფორმაციას ფოთის ციხის შესახებ. *„ხოლო ისულეთს, ტეხურის შესადინარს ქუეით, სადაცა ერთვის რიონი ზღვას, აქ არს ფოთი (არშიაზე - Φოთის ციხე).*

ხოლო რიონს თუალზედ, სამხრეთისა კიდესა ზედა, არს Φოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩ˜ღკე (1725 წელი)*, ქართულსა უ˜იგ* (ქორორიკონით 413)*, ნავსადგურობისათვის და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით. აქ ფოთს ერთვის მცირე მდინარე და ამ | ფოთის აღმოსავლეთით რიონის კიდესა ზედ არს ლანჩქუთი* (ქართლიც ცხოვრება, გვ. IV, გვ. 789).

მოცემული ცნობა ჩვენთვის მეტად საინტერესოა, 1725 წელს რიონის სამხრეთი ტოტი კიდევ ფუნქციონირებდა და მას ჰქონდა შედარებით მომცრო ზომა და მის კიდეზე, ანუ ნაპირზე მდებარეობდა ლანჩხუთი. დღესაც სატელიტურ

ფოტოებზე, თანამედროვე ლანჩხუთის ჩრდილოეთ ნაწილში, შეიმჩნევა პალეო მდინარის ნაკვალევი.

გარდა ამისა, როგორც ჩანს, ოსმალებმა ხელმეორედ ააშენეს ფოთის ციხე. პირველად 1584 წელს, ხოლო მეორედ - 1723 წელს.

XVIII საუკუნის ორი რუკა ფასისის შესახებ

ძალიან დიდ ყურადღებას იმსახურებს 1953 წელს ალენის მიერ გამოქვეყნებული XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ორი რუკა, პირობითად: რუკა A და B.[34]

რუკა A მოიცავს აფხაზეთის, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებს, რომელსაც არ გააჩნია ე.წ. რუკისათვის დამახასიათებელი გრადაციები (კალიბრაცია), ხოლო რუკა - B A რუკის რეალისტური ასლია, რომელიც საფრანგეთში, პარიზის ჰიდროგრაფიისა და ზღვის ბიბლიოთეკაში ინახება *(the Bibliotheque Hydrographique de la Marine)* (Allen, 1953, გვ. 99). რუკა ორენოვანია, შესრულებულია როგორც ფრანგულად, ასევე, ქართულად, მხედრული დამწერლობით. ზოგიერთ შემთხვევაში, რუკას, ასევე, აქვს რუსულენოვანი მინაწერებიც, გააჩნია, რამდენად მნიშნველოვანი ტერიტორიული ერთეულია აღწერილი.

აღნიშული რუკა, გარდა კარტოგრაფიული ინფორმაციისაა, ძალიან მნიშვნელოვანი საისტორიო ხასიათის დოკუმენტია. საყურადღებოა ფოთის ციხის ლეგენდაზე არსებული მინაწერები. ციხე კვადრატული ფორმის არის, ხოლო კუთხის კოშკები კონტრფორსის სახითაა გამოკვეთილი საერთო კუთხიდან. ციხის შიდა პერიმეტრზე არსებული წარწერა: *ფოთის ციხე, ქართულად... ფასუს ჰქვია. ძველ ქალაქი ყოფილა. ორთულიანი ფაშა*[35] *ზის: ააშენეს თათრს წელსა 1723.. თოფი ძეს დიდი: 50*[36] (Allen, 1953, გვ. 114). 1723 წელს ნამდვილად ჩაუტარდა ფოთის ციხეს რეკონსტრუქცია არქიტექტორ მეჰმედ აღას მიერ[37] (Aydin 1986, გვ.71-72). ვახუშტი ბატონიშვილი ფოთის ციხის აშენების თარიღად 1725 წელს მიიჩნევს. ასევე, 1725 წელია დასახელებული ნიკო დადიანისეულ ***ქართლის ცხოვრებაში*** (ნიკო დადიანი, 1962, გვ. 153,174)

---

[34] რუკის აღნიშნული პირობითი დაყოფა მოცემულია ავტორის,ვ. ალენის მიერ.

[35] ორთუღიანი. ოსმალური მაღალი ხარისხის ტიტული, რომელსაც ბეგლართბეგები იღებდნენ.

[36] ალენს ქართული ტექსტების წაკითხვასა და ინტერპრეტაციაში ეხმარებოდა დავით ჯაფარიძე (Allen, 1953, გვ. 101).

[37] მეჰემედ აღას მოგზაურობისა და ციხის რეკონსტრუქციის დეტალები განხილულია ფოთის ციხის გეგმისა და არქიტექტურის პარაგრაფში.

ფოთის ციხის გეგმაზე ნათლადაა გამოკვეთილი 3 კარიბჭე, რომლებზეც, ასევე, ვხვდებით ქართულ მინაწერებს: აღმოსავლეთის კარიბჭეზე - „საქართველოს კარი“, დასავლეთის კარიბჭეზე, ზღვის მხარეს - „სტამობოლის კარი“. ხოლო ჩრდილოეთი კარიბჭეს პორტის მხარეს ჰქონდა გასასვლელი და შესაძლებელია მას “პორტის კარი” ვუწოდოთ (Allen, 1953, გვ.114) (ტაბულა IV)

რუსული მინაწერი:

город Потиско в которм Дву-бунчуской туретскоы Паша и построен в 1723 годы, а до тово времини на оном месте била древнаыа милитинскаиа. а в том городе 200 человек янчар и 50 пушек - თარგმანი: ქალაქი ფოტისკო, რომელშიც ბატონობს ორთუღიანი ფაშა და აგებულია 1723 წელს, ხოლო ძველი მილეტური [ქალაქი].. და ამ ქალაქში 200 იანჩარია და 50 ზარბაზანი. და ამ ქალაქში 200 ადამიანია - იანიჩარები და 50 ზარბაზანი (თარგმანი ჩვენია).

ფრანგული მინაწერი:

La vile de Potinsk dans laquelle il y a un bacha de boucousouche. თარგმანი: ქალაქი ფოთი, სადაც ორთუღიანი ფაშაა (თარგმანი ჩვენია).

ნიკო დადიანის ქართლის ცხოვრება-XVIII საუკუნე.

ნიკო დადიანის ქართლის ცხოვრება ძირითად შემთხვევაში იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილის ნარატივს, თუმცა ფასდაუდებელია მის მიერ გადმოცემული ინფორმაცია ფოთის ციხის აღების შესახებ, რომელიც შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ცნობებს.

პირველად 1770 წელს სცადა რუსეთმა ფოთიდან ოსმალების განდევნა დადიანების მხარდაჭერით, თუმცა, ორჯერ მცდელობის შემდეგ. ვერაფერს გახდნენ (ნიკო დადიანი, 1962, გვ. 179). მსგავს ცნობას გადმოგვცემს თეიმურაზ ბაგრატიონიც: *„და გრაფი წარვიდა როსიად, ხოლო სუხატინი შთავიდა ფოთს, გარნა ოდეს ვერ უძლო დაპყრობა, უკ-მოიქცა“* (ბაგრატიონი თ, 1983, გვ. 9, 14).

პირველი ცნობა შეიცავს ინფორმაციას ე.წ. ჭალადიდის ფოთის შესახებ. როგორც ცნობილია, 1803 წელს სამეგროლო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შევიდა, ხოლო 1804 წელს - იმერეთის სამთავრო. ალექსანდრე ნეველის მიერ ხელდასმული პოლკოვნილი მაიანოვი ახალციხიდან გადმოვიდა სამეგრელოში, რადგან იმერეთი არ მისცემდა მას გზას. „მოვიდა პოლკოვინიკი მაიანოვი ჭალადიდს ფოთით“ (ნიკო დადიანი, 1962, გვ.193). ჩვენი აზრით, ***ჭალადიდს ფოთით-ში*** ნიკო დადიანი პატარა ფოთს გულისხმობს და არა ოსმალების კონტროლირებად ფოთს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ ფოთთან, რომლებიც ერთმანეთისაგან დაახლოვებით 7 კილომეტრითაა დაშორებული. ფოთის ციხე, რომელსაც ოსმალური იმპერია აკონტროლებს და პატარა ფოთი, რომელიც

დადიანების საგვარეულო სახლის კონტროლქვეშაა. ადგილობრივი მოსახლეობა პატარა ფოთს - ჭიჭე ფუთის სახელით მოიხსენიებს (ჩიტაია, 2019, გვ. 36) .

ფოთის აღების მეორე მცდელობაც წარუმატებელი აღმოჩნდა, მაგრამ ამ ნაწილშიც მეტად საინტერესო ფაქტებს ვხვდებით. *„ეგრე - თვე რამოდენითამე ჩვენებურის კაცითა და რა მოვედით თავსა ქალაქისასა, იყო დიდის სიმაგრით ნაშენი სანგალი[38]..“ „და გარდვიდენ მხედრობა სანგალსა ზედა, აღვიღეთ სიმაგრე და შეველთ ქალაქსა შინა და აღვიღეთ ქალაქი და მოვადექით ციხის მახლობლად“* (ნიკო დადიანი, 1962, გვ. 198). კონკრეტულად ამ ცნობაში ორი გამაგრაბული ფუნქტი ჩანს. არის, თუ არა ხსენებული სანგალი აეროპორტთან მდებარე ნაჯიხური?! სამწუხაროდ, ამის შესახებ პირდაპირი არქეოლოგიური დასტური არ გვაქვს, რადგან ძეგლი მთლიანად განადგურებულია. თუმცა, მიზანშეწონილად მივიჩნევთ არქეოლოგ გურამ გრიგოლიას მიერ მოყოლ ისტორიას. ის ერთ-ერთი მეცნიერი იყო, რომელმაც ფიზიკურად, ადგილზე დაზვერა ნაჯიხური[39] მის განადგურებამდე. მისი თქმით, ადგილზე რამდენიმე თიხისგან დამზადებული ოსმალური ყაიდის ჩიბუხი ნახა, მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან მას დიდი ძალისხმევა დასჭირდა ადგილობრივ ბიუროკრატებთან, რათა მათ შეეჩერებინათ ძეგლის ნგრევა. აღსანიშნავია, რომ ჯარები ქუთაისიდან ჩავიდნენ ფოთში, შესაბამისად, სავარაუდებელია, რომ სანგალს აღმოსავლეთიდან მიადგნენ, რომელიც ქალაქის კიდეში იდგა. ბრძოლა სამ ეტაპად მიმდინარეობდა., პირველად, აიღეს, სანგალი, შემდგომ ბრძოლები გაიმართა ქალაქში, ამის შემდგომ კი, ალყა შემოარტყეს ქვითნაშენ ფოთის ციხეს. ციხის ალყა ერთ კვირას გაგრძელდა, რადგან გრაფი ღუდოვიჩისაგან მიიღეს ბრძანება ალყის მოხსნის შესახებ.

ყულევის ციხის აღების შემდგომ გენერალ ტორმასოვმა ბრძანება გასცა თავად ორბელიანზე, რათა მათ იერიში მიეტანათ ფოთის ციხეზე. ყულევში მყოფმა ორბელიანმა შემოიკრიბა იმერეთისა და სამეგრელოს ჯარი, მთავარ ლეონ დადიანის მეთაურობით. ისინი ფოთის მახლობლად დაბანაკდნენ, ხოლო ციხის შიგნით გამგრებული იყო ბათუმის ფაშა - ქუჩუ, ექვსას ჯარისკაცთან ერთად. ნიკო დადიანს დაევალა ციხის აღება, მან სამეგროლოს მხედრობითა და მანუჩარ შარვაშიძის მხარდაჭერით გამთენიისას იერიში მიიტანა **ქალაქ ფოთზე**, ოსმალებს ქალაქის ქუჩები და სახლები მაგრად გაემაგრაბინათ, ამდენად, სასტიკი ბრძოლები გაიმართა ქალაქში. „დაი რაი განთენდა, მიბრძანეს მე მთავარმანცმა ჩვენმან და ღენერალმაცა, რათა აღვიღო ქალაქი ფოთისა, წარვედი სამეგრელოს რამოდენითამე მხედრობითა და ჩემთანა შარვაშიძე მანუჩარ, და შევედით ქალაქად, შეგვექმა ჩხუბი

[38] სანგალი ქართულ სინონიმთა ლექსიკონში განმარტებულია, როგორც -ფარეხი.ალექსანდრე ნეიმანი. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. -მე-3 გამოც. თბ.: განათლება, 1978. გვ.559 .

[39] არქივებზე მუშაობისას გაირკვა, რომ ადგილ ნაჯიხურზე ნამყოფები არიან: ნოდარ ლომოური, ნინო ხოშტარია, გურამ გრიგოლია, ალექსანდრე იესენი.

სასტიკი, რომელ ოსმალთ განემაგრებინათ სახლნი და ქუჩანი“*(ნიკო დადიანი, 1962, გვ. 199).*

ბრძოლების შემდგომ ოსმალები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ და ციხეში შეიკეტნენ. *„გარნა შემდგომად ბრძოლისა განსდევნეთ იგინი და შევყარეთ ციხესა შინა და ჩვენ დავიპყარით ქალაქი და მიუტანეთ საფარი მახლობლად ციხის კარისა და დავსდექით“* (ნიკო დადიანი, 1962, გვ. 199*).*

ნიკო დადიანის ამ ცნობით ირკვევა, რომ სანაპირო ზოლზე და ფოთის არეალში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ ციხე არ მდგარა და აქ ქალაქიც ყოფილა, ქუჩებით. თუმცა, ქალაქი და ციხე ერთმანეთთან რა მიმართებაშია, არ იკვეთება. მხედველობაში გვაქვს, ქალაქი არის ე.წ. რაბათის ტიპის დასახლება, ციხის გარშემოა კონცენტრირებული, თუ ციხე ქალქისაგან განყენებულად არის განაშენიანებული?!

მას შემდეგ, რაც ქალაქის ბრძოლები დასრულდა, ოსმალები შეიკეტნენ ციხეში, ხოლო რუსეთის იმპერიის საფარქვემოქმედმა ქართულმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს ციხეს, როგორც წყაროში ვხდებით - *„და დავსდეგ უკანით ციხისა და შემოვზღუდე ბოღოზიდამ,*[40] *ვიდრე ციხეს გარემომდე და დავსდეგით ესრეთ“* (ნიკო დადიანი, 1962, გვ. 199).

ფოთის ალყის დროს ბათუმის სერესკილმა,[41] შერიფ ფაშამ, 9 000 ოსმალი ჯარისკაცი გამოაგზავნა ფოთის ციხეში შეკედლებული ქუჩუ-ბეგის დასახმარებლად. გამოგზავნილი ჯარი მალთაყვასა და გრიგოლეთს შორის დაბანაკდა. ქართულ-რუსულმა გაერთიანებულმა ჯარებმა, თუმცა, როგორც ნიკო დადიანი აღნიშნავს, უმეტესობა რუსი ჯარისკაცისა ციებ-ცხლებით სნეულდებოდა. გართიანებულ ჯარებს გურიელებიც შეუერთდნენ. ნიკო დადიანის რაზმი მოეხსნა ფოთის ალყას და შეუერთდა მალთაყვაში დაბანკებულ კოალიციას. ბრძოლა გამრჯვებით დამთავრდა, ხოლო ფოთის ციხეში გამაგრებულ ქუჩუ-ბეგის მოუწია უბრძოლველად ციხის დათმობა, ხოლო მას საშუალება მიეცა, თანხმლებ პირებთან ერთად ზღვით დაეტოვებინა ქალაქი (ნიკო დადიანი, 1962, გვ. 199).

ჟაკ ფრანსუა გამბა - XIX საუკუნე

ჟაკ ფრანსუა გამბა 1820-1824 წლებში დაინიშნა საფრანგეთის კონსულად თბილისში და მან არაერთი მნიშვნელოვანი ხასიათის ცნობა შემოგვინახა.

1812 წლის თურქეთ-რუსეთის ზავის შემდგომ ნავსადგურები ანაპა და ფოთი კვლავ დაუბრუნდა ოსმალეთის იმპერიას, რაზეც საკუთარ აზრს გამოთქვამს გამბა. მისი გადმოცემით, ეს იყო დიდი და გაუაზრებელი შეცდომა, რადგან ოსმალეთის იმპერიამ ჩაკეტა ფოთის ციხე და აღარ აძლევდა საშულებას სავაჭრო გემებს,

---

[40] ბოღოზი - თურქულად ნიშნავს სრუტეს.

[41] სერესკილი - თურქული ტიტული.

ეცურათ აღმა, მდინარე რიონზე/ფასისზე. ხოლო მდინარეზე ნაოსნობა გადაუდებელი აუცილებლობაა, რათა რუსეთის იმპერიამ შეძლოს იმერეთში განლაგებული ჯარების გამოკვება (გამბა, 1987, გვ. 71). ჟ. ფ. გამბას გადმოცემით, ვინაიდან ფოთის სრუტე ჩაიკეტა ნაოსნობისათვის ტვირთების გადასაზიდად სხვა მოდელი ამოქმედდა. საზღვაო სავაჭრო გემები ჩერდებოდნენ რედუტ ქალეში, აქედან სახელმწიფო ურმებით გადმოჰქონდათ მცირე ციხესიმაგრეზე „რიონსკაიაზე“[42], საიდანაც კაიუკებით (ნავებით) ტვირთი აჰქონდათ მდინარე რიონზე აღმასვლით. საინტერესოა, თუ, სად მდებარეობს ციხესიმაგრე ***რიონსკაია***, რომელიც ჟ.ფ. გამბას გადმოცემით, რედუტ ქალედან 13 ვერსითაა დაშორებული. ჟან ფრანსუა გამბას თქმით, თავად გორჩკოვს სურდა ხელოვნური არხის გაჭრა, ციხესიმარე რიონსკაიადან ზღვაში, რათა რიონის სანაოსნო გემებს გვერდი აევლოთ ფოთის ციხისთვის, რომელსაც იმ დროისათვის ოსმალური იმპერია აკონტროლებდა. პროექტი მოწონებულიც კი იქნა, თუმცა ხელოვნური არხის გაჭრა მაინც გადაიდო, რადგან არსბობდა რისკი რიონის ადიდების, რომელიც მოშლიდა ხელოვნურ არხს. იქვე ჟ. ფ. გამბა აღნიშნავს, თუ ოსმალები დასთახმდებიან რიონის სანაოსნოს გამოყენებას, უპრიანი იქნებოდა მდინარის შესართავთან არსებული ჩეჩემბის გაწმენდა, რათა მდინარე დაეღრმავებინათ და დიდ გემებსაც შესძლებოდათ რიონზე აღმაცურვა (გამბა, 1987, გვ. 104).

მდინარის შლამიან ფსკერზეც ყურადღებას ამახვილებს მოგზაური - სპენსერი, რომლის თქმითაც, დაბალი ფსკერის გამო, გემების აქ შემოსვლა თითქმის გამორიცხულია, თუმცა ბრტყელძირა ნავები აქტიურად ეწევიან კონტრბანდას (სპენსერი, 1981, გვ. 108).

ბესარიონ გოგოლიშვილის რუკის ლეგენდათა განმარტებანი

ბესარიონ გოგოლიშვილის მიერ შექმნილი კოლხეთის დაბლობის არქეოლოგიური რუკა ფასდაუდებელი ინფორმაციის შემცველია რეგიონის მკვლევრებისათვის. რუკა შეიქმნა 1941 წელს. აღნიშნული რუკა ეფუძნება უშუალოდ ბესარიონ გოგოლიშვილის მიერ შეგროვებულ ინფორმაციას. რუკაში დაცული გეოგრაფიული და არქეოლოგიური მონაცემები წარმოდგენას გვიქმნის მეორე მსოფლიო ომამდე არსებულ სიტუაციაზე. რუკაზე დაყრდონობით,

[42] სადისერტაციო კვლევის პერიოდში, არაერთხელ დავზვერეთ ყულევსა და რიონს შორის არსებული ტერიტორია, მათ შორის საავიაციო-სასწავლო პოლიგონი და ქვიშიანი დიუნები. გამოიკვეთა რამდენიმე საინტერესო ტერიტორია, მათ შორის ერთი შენობის კვალიც, თუმცა, მისი „რიონსკაისთან“ გაიგივება ძალიან რთულია.

შეგვიძლია მოვნიშნოთ ის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც ურბანიზაციის განვითარებამ შთანთქა. როგორც ცნობილია, აეროპორტის მშენებლობას შეეწირა ნაჯიხური, კუნძულ კოლიმბარზე, „ნატეხებიდან ჩრდილოეთით“ ასევე, სამხედრო ბაზის მშენებლობამ, სავარაუდოდ, დააზინა კიდევ ერთი ძეგლი. ფოთის ურბანიაზაციის გარდა, სამეურნეო სავარგულებმაც შეიწირა რამდენიმე „დიხაგუძუბა“, მაგალითისათვის - პატარა ფოთში მოსწორებულია მთლიანად არქეოლოგიური ობიექტი, გარშემო, ფრაგმენტების სახით, იკრიფება კერამიკის არადიაგნოსტიკური მასალა და ასე შემდეგ; სწორედ, მსგავსი ინფორმაციის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა ბ. გოგოლიშვილის რუკა, რომელიც ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში, ექსპოზიციაზეა გამოფენილი.

რუკის სახელწოდებაა - „კოლხიდის ისტორიული ძეგლების სქემატიური რუკა - Схематическая Карта Исторических Памятников Колхиды“. რუკა მოიცავს ოჩამჩირედან სამხერთით, ქობულეთამდე და ფოთიდან აღმოსავლეთით, საჯავახო/სამტრედიის არეალს.

ჩვენი სადისერტაციო თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო რეგიონი, სოფელ საგვიჩიოდან, დასავლეთით ფოთის მიმართულებით არსებული ტერიტორიაა და მისი შემოგარენი. რუკის სქემატური განლაგება წარმოდგენას გვიქმნის 80 წლის წინ არსებულ ლანდშაპტურ სიტუაციაზე. ვიდრე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გადავალთ, აუცილებელია ყურდღება გავამახვილოთ ლანდშაპტურ ცვლილებებზე, რომლებიც ბოლო საუკუნეებია, რაც მიმდინარეობს.

დღევანდელი მონაცემებით, მდინარე კაპარჭინა პალიასტომის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან გამოედინება და პალიასტომის დასავლეთით, ტბის სანაპირო ზოლს მიუყვება, დაახლოვებით ასმეტრიანი დაშორებით. აღნიშნული კონფიგურაცია დაცულია ბ. გოგოლიშვილის რუკაზეც, თუმცა კაპარჭინა სათავეს არა პალიასტომიდან, არამედ მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტიდან იღებს, დღევანდელი სოფელ - შავღელეს მიდამოებიდან.

მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტიდან, კიდევ ერთი განშტოება უერთდება მდინარე ფიჩორს, რომელიც ასევე, პალიასტომის ტბაში ჩაედინება.

გარდა ამისა, რუკაზე ჯერ კიდევ შემონახულია ფოთის უბანი - კუნძული, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამომავალი მდინარე, რიონის ტოტი, უკვე დამშრალია.

კუნძული კოლიმბარი, რომელზეც ე.წ. „ნატეხების“ ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს, თითქმის ორ ტოლ ნაწილად იყოფა და შუაში მდინარე კაპარჭინა და პალიასტომი ერთმანეთს უერთდება. .

ყველაზე უფრო ცნობილი ძეგლი ნაჯიხურია, რომელიც, ასევე, უმეტეს წილად ვერ გადაურჩა ფოთის არხისა და აეროპორტის მშენებლობას. კიდევ ორი ბორცვი არის დატანილი ფოთსა და ნაჯიხურს შორის, რომლებსაც წაკვეთილი

ნახევარ სფეროს ფორმა უნდა ჰქონოდა, გარშემო თხრილის გარეშე. ფოთსა და პალიასტომს შორის კიდევ ორ ადგილზე დატანილი მონეტების აღმოჩენის ლეგენდა.

უაღრესად საინტერესოა ორი ნაეკლესიარის ლეგენდა, რომლებიც მალთაყვის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო დატანილი. აღნიშნულ არეალს ახალი რაინი ჰქვია, სადაც დევნილთა კომპაქტური დასახლებაა გამართული. სამწუხროდ, აღნიშნული ნაეკლესიარების მიგნებაც ვერ ხერხდება.

კიდევ სამი ნაეკლესიარის ლეგენდა ფიქსირდება ფოთში, ცენტრიდან ჩრდილოეთის ტოტის მიმართულებით, ადგილ ნაბადაზე. ცენტრალური ეკლესია ცალსახად, საკათედრო ტაძარი უნდა იყოს, თუმცა, ნაბადის ტერიტორიაზეძველი ნაეკლსიარები ცნობილი არ არის.

გარდა ამისა, დატანილია სამი ლეგენდა, უშუალოდ ფოთის ტერიტორიაზე, რომელიც განმარტებულია მატერიალური კულტურის გავრცელების არეალად.

ჩვენი კვლევისათვის უაღრესად საინტერესოა, ფოთის ტეროტირიაზე არსებული ექვსი ბორცვის არსებობა, რომლებიც, სამწუხაროდ, შეეწირა ურბანიზმის განვითარებას. როგორც უკვე აღინიშნა, ბორცვები თხრილის გარეშე კატეგორიას განეკუთვნება. მაგალითისათვის, ფოთიდან აღმოსავლეთით, ცისფერი ლეგენდით დატანილია ცნობილი დიხაგუძუბების ე.წ. სატელიტური ნამოსახლარების კლასტერები. საჭოჭუოს სატელიტური დიხაგუძებათა სისტემა, საქორქიოს კლასტერი, სიმაგრის ნამოსახლარიდან, სამხრეთით, ტყის სიღრმეში არსებული ბორცვები, საგვიჩიო და ასე შემდეგ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ბორცვებს თხრილი შემოუყვება. თხრილები ქართველ მეცნიერთა მიერ ინტერპრეტირებულია როგორც თავდაცვითი, ასევე, საკომუნიკაცი/სანავიგაციო სისტემად, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. რუკაზე დატანილი არქეოლოგიური ობიექტების დიდი ნაწილი ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე აღარ იძებნება. მაგალითისათვის, ფოთის ქალაქის, ძირითად ურბანულ ნაწილში დატანილია სამი ერთი და იგივე ლეგენდა, რომლებიც განმარტებულია როგორც - ნახევარსფეროს ფორმის სადგომი/ბორცვი გალავნისა და თხრილის გარეშე. სამწუხაროდ, ქალაქ ფოთის ინტესიურმა დაზვერვებმა შედეგი ვერ გამოიღო და, როგორც ჩანს, აღნიშნული ბორცვები უკვე განადგურებულია.

შემაღლებული, ხელოვნური ბორცვების პოვნის მიზნით, ბ. გოგოლიშვილის რუკა გეორეფერენსირების მეთოდით დამუშავდა. ცდომილება დღევანდელ მონაცემებთან დაახლოვებით 200 მეტრია, რადგან რუკა სქემატურად არის შედგენილი, რუკაზე განლაგებული ლეგენდები კი, მასშტაბში მოცულობითია, თავის მხრივ, კიდევ უფრო ზრდის ცდომილების არეალს.

N1 ბორცვი ფოთის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, გრიბოედოვისა და მშვიდობის ქუჩებზე. აღნიშნული არეალიდან იწყება ე.წ. დიუნური შემაღლება. ტერიტორიის დაზვერვის შედაგად, ბორცვის ნარჩნები არ გამოვლენილა.

N2 ბორცვი მდებარეობდა ნინოშვილის ქუჩასთან, ჭონქაძისა და კონსტიტუციის ქუჩის კვეთის მიდამოებში. დაზვერვების შედეგად, რაიმე სახის ნაშთები არ გამოვლენილა.

N3 ბორცვი მდებარეობდა აკაკის ქუჩასა და 26 მაისის ქუჩებს შორის. აღნიშნული ტერიტორიის დაზვერვამაც შედეგი ერ გამოიღო. ბორცვი შემორჩენილი არაა. აღსანიშნავია, რომ ბორცვი ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმთან ახლოს მდებარეობდა.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს პალეონტოლოგიური ნაშთების არსებობა; ბესარიონ გოგოლიშვილი დემეტრე თავდადებულის ქუჩასთან არსებულ პატარა კუნძულზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ კუნძული არსებულ არეალში აღარ გვხვდება.

საკმარისი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ ფოთის მიდამოებში მიმდინარეობს ხმელეთის გაფართოება ზღვის მიმართულებით. აღნიშნული მოსაზრება პირველად ოთარ ლორთქიფანიძემ და თეიმურაზ მიქელაძემ წამოაყენეს. გადაზომეს რა მანძილი ფოთის ციხიდან დასავლეთით, მივიდნენ დასკვნამდე - მეთექვსმეტე საუკუნის შემდგომ ხმელეთს თითქმის ორი კილომეტრით აქვს მომატებული. შესაბამისად, მომატებულ ტერიტორიაზე, იქ, სადაც დღეს ფოთის ცენტრალური ურბანიზაცია არსებობს, დატანილია 6 ბორცვი ბ. გოგოლიშვილის რუკის თანახმად. შესაბამისად, ტრადიცია გრძელდება. დიხაგუძუბების სისტემები ქმნიან, სატელიტურ სისტემებს, რომლებსაც ჩვენ დისპერსიულ ურბანიზაციას ვუწოდებთ (გაფანტული დაგეგმარება).

ბ. გოგოლიშვილის რუკაზე სულ დატანილია 30 ლეგენდა რუსულ ენაზე, რომლის ქართული აღწეროლობა და თარგმანი მოცემულია ქვემოთ. ბესარიონ გოგოლიშვილს რამდენიმე კატეგორიის სადგომი აქვს გამოყოფილი, რომლებსაც რუსულად „стаянка-ს“ უწოდებს, მაგრამ ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ ტერმინში ბორცვი, ან ე.წ დიხა-გუძუბა უნდა ვიგულისხმოთ.

ლეგენდა	რუსული ტექსტი	ქართული თარგმანი
	стоянки на правильном кругее вала	სადგომები მოსწორებული წრიული არხით
	стаянки форм усеченной пирамиды	გადაჭრილი პირამიდის ფორმის სადგომი

	стоянки форм усеченного конуса	გადაჭრილი კონუსის ფორმის სადგომი
	стоянки форм полушарья без рва и вала	ნახევარსფეროს ფორმის სადგომი გალავნისა და თხრილის გარეშე
	стоянки форм полушария со рвом	ნახევარსფეროს ფორმის სადგომი, თხრილით
	стоянки форм полушари без рва	ნახევარსფეროს ფორმის სადგომი, თხრილის გარეშე
	стоянки с развалинами коменны сооружение	სადგომი დანგრეული ქვის ნაგებობებით
	стоанки с развалинами церквей	სადგომები დანგრეული ეკლესიით
	стаянки с современними кладбишами	სადგომი თანამედროვე სასაფლაოთი
	стаянки с развалинами крепостей	სადგომი დანგრეული ციხესიმაგრით
	древние монастыри и храмы	ძველი ეკლესია-მონასტერი
	древние монастыри и храми в окресте крепости	ძველი ეკლესია-მონასტერი ციხესიმაგრეში
	группи мелких стоянки	პატარა სადგომების კლასტერი.... აღარ იკითხება
	группи мелких стоянки	პატარა სადგომების კლასტერი.... აღარ იკითხება.....
	стоянки крупних пазмеров распаложених	დიდი ზომის სადგომები მდებარეობს ..... აღარ იკითხება
	стоянки мелких размеров	მცირე ზომის სადგომები

	стоянки поврежденные	დაზიანებული სადგომები
	площади с остатками материальной культуры	მატერიალური კულტურის გავრცელების არეალი
	земл. насыпи /батареи/ русско-турецкой кампании по берегавоы линии	მიწაყრილები. (ბატარეა[43]) რუსულ-თურქული კამპანიის დროს, სანაპირო ზოლის გაყოლებით
	подводные развалины коменных сооружений	წყლისქვეშა ქვის ნაგებობის ნაშთები
	пешеры с признаками обитания человека	გამოქვაბულები, სადაც დაფიქსირებულია ადამიანების ყოფის ნაკვალევი
	пешеры с погребениями в каменных яшиках	გამოქვაბულები, რომლებშიც განლაგებულია ქვაყუთები
	находки каменних орыдий /палеолит/	ქვის იარაღის აღმოჩენის ადგილები
	находки кремневых орудий /неолит/	კაჟის იარაღის აღმოჩენის ადგილები
	находки обельных бронзовых орудий	ბრინჯაოს ნიმუშების აღმოჩენის ადგილები
	находки обельных железных орудий	რკინის ნიმუშების აღმოჩენის ადგილები
	находки медных слитков	სპილენძის შენადნობის ნიმუშები
	находки древних монет	ძველი მონეტების აღმოჩენის ადგილები
	районы распросронения кремационных урн	კრემაციული ურნების გავრცელების რაიონი
	палеонтьологичиские остатки	პალეონტოლოგიური ნაშთები

[43] სავარაუდოდ, ნაგულისხმებია საარტილერიო ბატარეების განლაგების არეალები.

ფასისის ქვეყნის არქეოლოგიური ძეგლები

ტერმინი „ფასისის ქვეყანა“ პირველად ქართულ არქეოლოგიაში თეიმურაზ მიქელაძემ გამოიყენა. აღნიშნული ტერმინი კარგად ერგება ჩვენი დისერტაციის თემატიკას, რადგან საყრდენი კონცეფცია ჩვენი ნაშრომის დისპერსიული ურბანიზმის მოდელს უკავშირდება, რომელიც პირველად ჰიპოკრატემ აღწერა. ჩვენი აზრით, ფასისის ქვეყანა მოიცავს მდინარე რიონის ქვემო დინებას, იქ, სადაც იწყებოდა განტოტვა, ადგილ ნამარნუდან და მთავრდება გრიგოლეთსა და ყულევს შორის არეალში. ჩვენი კვლევის რეგიონში და კოლხეთის დაბლობში ტრადიციულად დამკვიდრებული იყო ურბანიზმისა და დაგეგმარების ის მოდელი, რომელიც ერგებოდა არსებულ გარემოს. ნაშრომის აღნიშნულ თავში, ქრონოლოგიური პრინციპით, დალაგებულია საგვიჩიოდან ზღვამდე, რიონის დელტაში აღმოჩენილი და მიკვლეული ძეგლები. (ტაბულა V)

ადრე-ანტიკური ძეგლები (VI-III საუკუნეები)

სიმაგრე

სიმაგრის ბორცვი ერთ-ერთი გასაღები ძეგლია ფასისის ადგილმდებარეობის დადგენის მიმართულებით, რადგან სისტემურად ჩატარებული საველე კვლევა-ძიება მხოლოდ ამ ძეგლზეა ჩატერებული თეიმურაზ მიქელაძის ხელმძღვანელობით. სიმაგრის ბორცვი მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, სოფელ საქორქიოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. სიმაგრის ტერიოტორია სოფელი საქორქიოს გაგრძელებაა და სოფლის ერთგვარ უბანს წარმოადგენს. ზღვის სანაპირო ზოლიდან 12 კილომეტრითაა დაშორებული, ხოლო მდინარე რიონიდან მხოლოდ ორასი მეტრით.

თეიმურაზ მიქელაძე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სიმაგრის ბორცვის მოზვინვა (ფართობი: 3224 კვმ^2) საგანგებოდ მოხდა და როგორც ჩანს ერთდროულად მიმდინარეობდა. ბორცვის ზომა სიმაღლეში 2 მეტრს აღწევს, რაც დაახლოებით გვაფიქრებინებს, რომ 6000 კუბური მეტრი მიწის მოზვინვა გახდა საჭირო. ბორცვის ყველაზე მაღალი წერტილი ზღვის დონიდან 4.65 მეტრზეა. ძეგლის დათარიღება უტყუარია და ის ძვ. წ. VI-V საუკუნეებითაა დათარიღებული. პირველ რიგში, დათარიღების მსგავსი სანდოობა გამოწვეულია იმპორტირებული, ბერძნულ-იონური კერამიკით, რომელიც ფართოდაა წარმოდგენილი სიმაგრის ბორცვზე. ჩვენი სადისერტაციო კვლევისათვის და პრობლემის კვლევისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია სიმაგრე. ტერიტორიის მოზვინვა, ისევ აქტუალური იყო ძვ. წ. VI საუკუნეებში და ადგილობრივი, თუ ბერძნული მოსახლება, მას აქტიურად იყენებდა სამოსახლოდ. ბორცვი მოზვინულია ყვითელი ფერის თიხნარით, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია გასათვალისწინებელი - სიმაგრეს არ აქვს გარშემორტყმული თხრილი, რაც სხვა კოლხური სამოსახლო ბორცვებისათვისაა დამახასიათებელი და რიგ შემთხვევებში, სწორედ არხიდან ამოღებული მიწის მასით ხდება ბორცვების ხელოვნურად მოზვინვა. მოსაზვინი მიწა ცხადია, შორიდან არ იქნება მოტანილი, მაგრამ აშკარაა, რომ გავრცელებულ პრაქტიკას, რომ გარშემორტყმული თხრილიდან ყოფილიყო მიწა ამოღებული, მსგავს სიმაგრეზე არ ვხვდებით. ბესარიონ გოგოლიშვილსაც არ გამორჩა აღნიშნული და თავის რუკაზეც მსგავსი მხოლოდ ბორცვის ლეგენდითაა დატანილი.

სიმაგრის მატერიალური კულტურა შთამბეჭდავი არტეფაქტებისაგან შედგება. მათ შორის ყველაზე უფრო საინტერესო იმპორიტრებული კერამიკა და ამფორებია, რაც ხაზს უსვამს სიმაგრის სავაჭრო კონტაქტებსა და მის ფართო გეოგრაფიას. თეიმურაზ მიქელაძე განსაკუთრებულად გამოარჩევს: აღმოსავლურ-ბერძნულ არქაულ მოხატულ კერამიკას (იონურ-როდოსული მოხატული, ვარდულებიანი თასები) და ანტიკურ შავლაკიან თასებს, მასრიან თხელკედლიან ჭრაქს, რომელიც კორინთელი ჭრაქების ნაირსახეობას წარმოადგენს. ამფორებიდან გამოირჩევა, ორნაირი ზომის ქიოსური ამფორა, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნის

მიწურულითა და ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით არის დათარიღებული. გარდა ქიოსური ამფორისა, სიმაგრის ყვითელი ფერის თიხნარ ფენაში ვხვდებით ამოფრებს ჭიქისებური ფორმის ძირით, რომელიც მსგავსებას ავლენს ლესბოსური წრის ამფორებთან. (მიქელაძე 1978:47-48)

როგორც ჩანს, სიმაგრის ბორცვი შუა საუკუნეებშიც იქცევდა ყურადღებას, რადგან ყვითელ ფენაში გარდა ანტიკური პერიოდის მასალისა დადასტურებულია შუა საუკუნეების ერთეული შემთხვევებიც, მაგალითისათვის წითლადგამომწვარი კერამიკის ჯგუფი, რომელიც შედგება: დოქის ყელ-ყურის ფრაგმენტისგან ყური მასიურია და მრგვალი განივკვეთი აქვს და აქეთ-იქით თითო ღარი ჩამოსდევს. ქოთნის პირების ნატეხებისგან, რომელიც ორგვარია: პირველი -სწორპირიანი, მომრგვალებული ბაკოთი და მეორე გარეთ გადმოკეცილი, სამკუთხაგანივკვეთიანი, მასიური პირქობით, დაღარული ბაკოთი. მიქელაძის დაკვირვებით აღნიშნული მასალა კარგადაა ცნობილი დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ხანის არქეოლოგიისათვის. ერთ შემთხვევაში სოხუმში, მდინარე ბესლეთის შესართვათან მოპოვებული მსგავსი მასალა ვ. სიზოვმა დაათარიღა ახ. წ. XIII-XIV საუკუნეებით, ხოლო მ. ტრაფშმა ანაკოფიის კოშკი “a” ფენიდან მოპოვებული მასალა XI საუკუნით განსაზღვრა, რადგან ფენა დაათარიღა იმავე პერიოდის ბიზანტიური მონეტებით.

ყვითელი ფენის მასალაში აშკარად იკვეთება მასალის შერევა, შუა საუკუნეების მასალა ფიქსირდება ადრე-ანტიკურ ფენაში. გვიანდელი კერამიკა კონტამინაციაა ფენაში, თუ ცალკეული შემთხვევა ეს კარგად არ იკვეთება, მაგრამ ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ბორცვი შუა საუკუნეებშიც ადამიანის აქტივობის არეალშია.

ყვითელი ფენის ქვემოთ, თითქმის 40 სანტიმეტრიანი სტერილური ფენაა, რომელიც ნაცრისფერია და კარგად შესამჩნევი ჰორიზონტია პირველ (ყვითელი) და მესამე ფენებს შორის. აღნიშნული სტერილური ფენა ძვ. წ. V საუკუნის შუახანებში უნდა წარმოქმნილიყო, როცა აქ არსებობს წყვეტს დიდი სამოსახლო და ტერიტორია ჭაობდება, ხოლო ფენამ ნაცრისფერი მოლურჯო ფერი ძლიერი დაჭაობებისაგან მიიღო. (მიქელაძე 1978:49)

სტერილური ფენის ქვემოთ გამოვლინდა ორი ფენა პირველ ფენაში დადასტურდა ოთხკუთხა ფორმის ნაგებობა, ნაგები ჯარგვალურ წესზე. ნაგებობის ძირითადი ნაწილი 60 კვადრატული მეტრია და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ფიცარნაგი, რომელიც იატაკის მომზადებას წარმოადგენს. საფიქრებელია, რომ ფიცარნაგი ნაგებობის დასავლეთ ნაწილშიც გრძელდებოდა, რომელიც პირწმინდად არის წაშლილი. პირველი ფენა და მეორე ფენა ერთამენთისაგან გამოყოფილია ნაცრისფერი სტერილური თიხნარით, რომელსაც მოსდევს წმინდა მდინარეული სილა. (მიქელაძე 1978:49-50)

ჩემი აზრით, აღნიშნული მდინარეული სილა წარმოქმნილია რიონის ადიდებისაგან და წყალდიდობისგან. რაც მიუთითებს მინიმუმ ერთ წყალდიდობაზე სიმაგრის ერთსაუკუნოვანი დასახლების ისტორიაში.

მეორე სტერილური ფენის ქვეშ გამოვლინდა ორი სამშენებლო დონე. პირველ სამშენებლო დონეზე დაფიქსირდა ორი ნაგებობა N2 და N3. აღნიშნული ნაგეგბობა ჯარგვალური ყაიდით არის ნაგები, ხოლო N2 ნაგებობაში კარგად იკითხება იატაკის ფიცარნაგი.

მესამე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა N4 ნაგებობა, ასევე ჯარგვალური ტიპის, და აღნიშნული კულტურული ფენა გამოიყოფა ნაცრისფერი სილით, თუმცა ერთგვარ კაზუს აფიქსირებს თეიმურაზ მიქელაძე. მისი დაკვირვებით სტრატუგრაფიულად მეოთხე ნაგებობას ზემოდან ადევს N1 პირველი ნაგებობა. ცალსახად, აქ დისკუსიაში ვერ შევალთ სტრატიგრაფიასთან დაკავშირებით, რადგან ერთადერთი ნარატორი ამ კვლევის თეიმურაზ მიქელაძეა, თუმცა ჩემთვის უფრო საინტერესოა ორი წყალდიდობის კვალი. ეს კიდევ ერთი ირიბი დასტურია, იმისა, რომ ბორცვებიც კი, ვერ იქნებოდა სრული დაცვის მექანიზმი წყალმოვარდებნებისაგან, თუმცა ერთადერთი შესაძლებლობაა თავი დაიცვა კოლხეთის დაბლობზე. შესაბამისად, ურბანიზმის სხვა მოდელი კოლხეთის დაბლობზე განწირულია სრული განადგურებისათვის. ამდენად, ბერძნული ახალშენიც მსგავი მოდელი უნდა იყოს.

მეორე საკითხია, იყო, თუ არა სიმაგრის ბორცვი „ფასისის ხორის“ ნაწილი. ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან ძნელია, მაგრამ იმპრტირებული კერამიკის წილი, რასაც ამ ბორცვებზე ვხვდებით, აშკარად, მიუთითებს მის ჩართულობას იმ დროინდელ მსოფლიო სავაჭრო ეკონომიკაში. განსაკუთრებულად, აღსაღნიშნავია იონური იმპორტი, რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სიმაგრის ნამოსახლარზე. სიმაგრეზე იმპორტირებული კერამიკის ჯგუფი იყოფა ორ ნაწილად: ამფორები (სამეურნეო ჭურჭელი) და მცირე ზომის სუფრის ჭურჭელი. როგორც უკვე აღინიშნა ამფორები წარმოდგენილია ქიოსური და ლესბოსის წრის კერამიკული ტარით. აქვე დაფიქსირებულია კიდევ ერთი ტიპის უცნობი წარმომავლობის ამფორის ჯგუფი, რომელიც მსგავსებას ავლენს სამოსურ, ან ოლბიურ სამარხებში აღმოჩენილ ამფორებთან. (მიქელაძე 1978:63)

განსაკუთრებულად საინტერესოა იმპორტირებული სუფრის ჯგუფის ჭურჭელი, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა. არქაული აღმოსავლურ-ბერძული მხატვრული კერამიკა, როგორც ხშირად მას მოიხსენიებენ იონური ნაწარმი და ჭურჭელი კონტინენტური საბერძნეთიდან. სიმაგრეზეა აღმოჩენილი ყველაზე უფრო მდიდარი იონური კოლექცია, სადაც კიდევ სამი ჯგუფი გამოიყოფა. როდოსულ-იონური ჯგუფი, ფიკელურას სტილის სამოსური კერამიკა და სადა იონური კერამიკის ჯგუფი. (მიქელაძე 1978:70)

მსგავსი მდიდარი მასალა ცალსახად მიუთითებს ბერძნულ კონტაქტებზე, მაგრამ ჯერჯერობით მყარი არგუმენტი, იმის შესახებ რომ სიმაგრის ბორცვი ბერძნული ახალშენია, თუ ადგილობირივი კოლხური სამოსახლო არ გვაქვს. ცხადია ძეგლზე დაფიქსირებულია ადგილობრივად წარმოებული კერამიკა, მაგრამ ბერძნულ მოსახლეობას არაფერი შეუშლიდა ხელს უარი ეთქვა, ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო ჭურჭელზე და არაა გამორიცხული რომ სწორედ, ფასისის ხორის ბერძნული მოსახლეობა ისარგებლებდა ადგილობრივი მატერიალური კულტურით. ჩვენი აზრით, მხოლოდ დასახლების ტიპით, არქიტექტურითა და ცხოვრების სტილით სიმაგრის ეთნიკური შემადგენლობის დადგენა ძალზედ რთულია. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს სიმაგრის მეორე ფენაში აღმოჩენილი უძველესი კოლხური ოქროს საკიდი, რომელიც ძვ. წ. VI საუკუნით თარიღდება. სიმაგრის ეთნიკური შემადგენლობის დასადგენად ერთადერთი გასაღები იქნებოდა, ძეგლთან ასოცირებული სამაროვნის შესწავლა, რომელიც მიკვლეული ამ დრომდე არაა. ძეგლს ჩრდილოეთიდან რიონი ჩამოუყვება, ხოლო დანარჩენი სამი სხვადასხვა მხრიდან ფართე, გაშლილი ტერიტორიებითაა შემოფარგლული. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია რიონის ფაქტორი, რომელიც ხშირად ნაპირებს ანგრევს და აშიშვლებს სანაპირო ტერასას, რაც არ გამორიცხავს სამაროვნის განადგურებას. სამაროვნის იდენტიფიკაციის მიმართულებით, პერსპექტიულად გვესახება გეოფიზიკური დაზვერვის მეთოდი, გრადიომეტრის გამოყენებით, რათა დადგინდეს სამარხისათვის დამახასიათებელი წრიული მაგნიტური ანომალიები.

თეიმურაზ მიქელაძე სიმაგრის ბინადარ მოსახლეობას სოციალურად შეძლებულ და დაწინაურებულ წრეს აკუთნებს, რის მთავარ არგუმენტად მოჰყავს იმპორტული, პარადული ჭურჭელი და უკვე ნახსენები, ოქროს საკიდი, თუმცა ერიდება ძეგლის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარს, რადგან არ აქვს საკმარისი, მყარი არგუმენტაცია. მისი მოსაზრებით, რომელსაც ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ, სიმაგრის ნამოსახლარი ზედ ეკვრის ფასისის პოლისს და იგი თავისი ხასიათით ქალაქთან იყო დაკავშირებული. სიმაგრის ნამოსახლარი, აქ აღმოჩენილი ადგილობრივი და იმპორტირებული კერამიკა, სრულიად გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ფასისის ქვეყანაზე და თვით ქალაქის ხასიათზე. (მიქელაძე 1978:72)

რიონის მარცხენა ტერასის ნამოსახლარი. ძვ. წ. V საუკუნე

რიონის მარცხენა ტერასა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლია, რომელსაც ფასისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მიაკვლია არქეოლოგიური დაზვერვების მეშვეობით. აღნიშნულმა ნამოსახლარმა ყურადღება მიიპყრო ბათქაშის ფრაგმენტებით, რომელიც სოფ. საქორქიოს საკარმიდამო ნაკვეთებში ალაგ-ალაგ იყო მიმოფანტული. დაფიქსირდა ძლიერი ხანძრისაგან ერთმანეთზე შედუღაბებული ბათქაშის ნატეხები, რომელიც აგურად იყო ქცეული. ბათქაშების მოედანი დაფიქსირდა 7 თხრილში. (თხრილები N20,21,33,36,38,39,40) თეიმურაზ მიქელაძემ აღნიშნული აღმოჩენები ნამოსახლართან გააიგივა, რომელსაც ჩვენც

ვეთანხმებით. მისი აზრით, ნამოსახლარზე განვითარდა ძლიერი ხანძარი, რამაც მთლიანად მოსპო ნამოსახლარი. N38- N40 თხრილში დაფიქსირდა ძელური ტიპის ნაგებობები, რომლებიც შელესილი იყო ბათქაშით. ძელების დაერთება ძალიან გავს სიმაგრის ნამოსახლარის ნაგებობებს. (მელიქიძე 1978:73)

კერამიკა იყოფა ორ ძირითად ჯგუფად, ადგილობრივი კერამიკა, რომელიც შედგება, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლით. კერამიკის ფორმები ბევრად უფრო კარგად არის შემონახული, ვიდრე სიმაგრეზე, რადგან ნამოსახლარი მხოლოდ მცირე ხნით არსებობდა და ერთდროულად განადგურდა. შესაბამისად, ძეგლი ე.წ. დახურულ კომპლექს წარმოადგენს, სადაც ნაკლებადაა ე.წ. ადრეული და გვიანდელი კერამიკის კონტამინაცია. განსხვავებით სიმაგრის ნამოსახლარის იმპორტირებული კერამიკისა, რიონის მარცხენა ტერასის ნამოსახლარზე წარმოდგენილია შავლაკიანი კილიკები და სკიფოსები, მაგრამ აღარ ვხდებით არქაულ იონურ კერამიკის ნიმუშებს, რაც კიდევ უფრო მეტად აზუსტებს ნამოსახლარის ქრონოლოგიას. ამდენად, თეიმურაზ მიქელაძე ძეგლს ძვ. წ. V საუკუნით ათარიღებს. გარდა ამისა, შეცვლილია ამფორის წარმოების ცენტრებიც, რიონის ტერასის ნამოსახლარზე ვხვდებით ძვ. წ. V საუკუნით დათარიღებულ თასოსური წრის ამფორების მაგვარ კერამიკულ ტარას. (მიქელაძე 1978:75)

რიონის ტერასის ნამოსახლარის კვლევას ნამდვილად დიდი პოტენციელი აქვს თავისი მნიშვნელობით, რადგან თეიმურაზ მიქელაძის დაკვირვებით ის ერთადერთი ნამოსახლარია მდინარის ქვემო წელის დინებაზე, სადაც შეიმჩნევა ურბანიზაციის ელფერით და ის მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ფასისთან და არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ იგი წარმოადგენდა ბერძნული ახალშენის გარეუბანს. (მიქელაძე 1978:75)

არქეოლოგიური დაზვერვების შესრულების პერიოდში დავზვერე სოფელ საქორქიოდან რიონის მარცხენა ტერასის არეალი, აღსაღნიშნავია, რომ ტერიტორიაზე ისევ ვხვდებით დამწვარი ბათქაშის ფრაგმენტებს. გარდა ამისა, საქორქიოს დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა ფაიფურის და რამდენიმე გვიანდელი პერიოდის კერამიკის ფრაგმენტები. აქვე უნდა ვახსენოთ N28 თხრილი, რომელიც სოფელ საქორქიოში, სიმაგრესთან ახლოს, მდინარის პირზეა გაჭრილი. აქ გამოვლინდა ფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკა, რკინის ისრისპირი და ორკაპა. მასალა დათარიღებულია XIII საუკუნით და ინახება ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში.

სოფელი ჭალადიდი, საბაჟოს უბანი

სოფელ ჭალადიდში, ძვ. წ. V საუკუნის მატერიალური კულტურის ნაშთები რამდენიმე ადგილზეა გამოვლენილი, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ავლენს რიონის მარცხენა ტერასის სამოსახლოსთან. აღსანიშნავია ი. მაშავას, თ. ბერაიას და ნ. კორტის საკარმიდამო ნაკვეთები. ამ მიდამოებში დაფიქსირებული მასალა იდენტურია სიმაგრესა და რიონის ტერასაზე აღმოჩენილ ადგილობრივ

კერმიკასთან. იმპორტირებული მასალა კი იმეორებს რიონის მარცხენა ტერასაზე დაფიქსირებულ ფორმებს. (მიქელაძე, 1978, გვ. 73)

საგვიჩიოსა და ზემო ჭალადიდის დიხაგუძუბების კლასტერი

დიხაგუძუბები ზურგანი და ზუგუ მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში სოფელ ზემო ჭალადიდში, კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, მდინარე რიონის არსებული კალაპოტის მარცხენა მხარეს, სამხრეთით სანაპიროდან მიახლოებით 1 კილომეტრის სიღრმეში. (ტაბულა VI) სოფელ ზემო ჭალადიდის მოსახლეობა ჩვენი საკვლევი ფართობის მიმდებარე ტერიტორიებს, სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენებენ, კერძოდ საძოვარ მინდვრებად. აღნიშნულ ტერიტორიაზე რამდენიმე ხელოვნური ბორცვია, რომელიც არქეოლოგიურად პროფ. გურამ გრიგოლიამ დაზვერა. (გრიგოლია 1992:35-36) სწორედ, ბორცვების სიმრავლისა და კონცენტრირებული ხასიათის გამო, მას დიხაგუძუბების კლასტერი შევარქვით. დიხაგუძუბების სიმრავლე არ გამოპარვია ბესარიონ გოგოლიშვილსაც, რომელმაც რუკზე დაიტანა შესაბამისი ლეგენდებით. (ტაბულა VII)

სადაზვერვო შურფების გასაჭრელად შეირჩა მათ შორის მხოლოდ ორი ბორცვი, ზურგანი და ზუგუ. ადგილობრივები დიხაგუძუბა ზურგანს დიდი კონძის სახელით მოიხსენიებენ, ხოლო ზუგუს პატარა კონძათი. ზემოთ მითითებულ ხელოვნურ ბორცვებზე, გასული საუკუნის სამოციან წლებში ჩატარდა მცირე მაშტაბის არქეოლოგიური გათხრები (ხელმძღვანელი პროფ. გურამ გრიგოლია). დიდ და პატარა კონძაზე გაიჭრა ორი მცირე ზომის სადაზვერვო შურფი, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ბორცვებზე დადასტურდა ანტიკური პერიოდის კულტურული ფენები, მათ შორის ინტერესს იწვევს ადრე-ანტიკური და ადრე-ელინისტური ფენები. სწორედ წინარე აღმოჩნებმა გვიბიძგა გადაგვემოწმებინა ბორცვების სტრატიგრაფია, რათა სამომავლო კვლევებისათვის უფრო ნათელი სურათი შეგვექმნა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შედარებისათვის სიმაგრისა და კონძების ურთიერთმიმართება.

გარემოს აღწერა და საგვიჩიოს კლასტერის ბორცვების ტოპოგრაფია.

კოლხეთის ეროვნული პარკი გარემოსა და ლანდშაფტის თვალსაზრისით ერთგვაროვნი ეკოსისტემაა, რელიეფი ძირითადად ჭაობიანია, ხოლო ზედაპირზე ინტენსიურად გვხვდება მურყანის (თხმელა) ხე, რომელიც გაუვალ ტყედ ფორმირდება. აღნიშნულ გარემოში, გადაადგილებას ართულებს ჭაობიანი რელიეფი, თუმცა აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ზემო ჭალადიდისა და საგვიჩიოს მიდამოებისაკენ, რელიეფი ბევრად უფრო მყარია, რიონის ქვემო დინებასთან შედარებით და ნაკლებად ვხვდებით ე.წ. ეწერ მიწებს. ზემო ჭალადიში შემორჩენილია ერთ-ერთი უკანასკნელი ბორანი, რომლითაც ადგილობრივი

მოსახლეობა სარგებლობს, რათა მსხვილფეხა პირუტყვი საძოვრად გადაიყვანოს რიონის მარცხენა სანაპიროზე. რიონის მარცხენა ნაპირზე გაკვალულია საურმე გზებიც, თუმცა უფრო სიღრმეში, სამხრეთის მიმართულებით ურმით გადაადგილება შეუძლებელია.

ზურგანი (დიდი კონძა), უბნის ხელმძღვანელი - სულიკო კოხრეიძე.

თავდაპირველად დიდი კონძის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, გავჭერით 3X1 მეტრის თხრილი, რომელიც მიმართულია ჩრდილო სამხრეთის ღერძზე. ჰუმუსის ფენის მოხსნის დროს დაფიქსირდა ბათქაშისა და სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდის კერამიკული მასალის ფრაგმენტები, მეტწილად მოწითალოდ და შავად გამომწვარი. ჰუმუსოვანი ფენის სიმძლავრეა 37 სანტიმეტრი. თხრილის სამხრეთ ნაწილში შეინიშნებოდა მძლავრი კულტურული ფენა, რის გამოც თხრილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გავაფართოვეთ, სადაც დაფიქსირდა ნახშირისა და ბათქაშის, ნარევი კერამიკული მასალა. აღნიშნული ფენის მაქსიმალური სიღრმეა 55 სანტიმენტრი. თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში გაგრძელდა დაღრმავება, სადაც გამოვყავით 3 დონე, პირველი დონის სიგრძე 40 სანტიმეტრია, ის განეკუთვნება ბათქაშოვან ფენას, მეორე დონის სიგრძე 28 სანტიმეტრია და მოქცეულია სტერილურ თიხნარ ფენაში. სტერილური თიხნარის მოხსნისას კერამიკული მასალა და ბათქაშის ფრაგმენტები არ დაფიქსირებულა. მისი სიმძლავრე ცვალებადია - მაქსიმალური 90 სანტიმეტრი, მინიმალური 10 სანტიმეტრი. სტერილური თიხნარი ფენის ქვემოთ თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში ზედაპირიდან -134 სანტიმეტრზეა და მისი სიმძლავრე 30 სანტიმეტრია. ეს ფენა გრძელდება სამხრეთის მიმართულებით ზედაპირიდან 36 სანტიმეტრის დაშორებით. აღნიშნულ ფენაში დაფიქსირდა მძლავრი ბათქაშის ფრაგმენტები, ნახშირის კვალი, არეული კერამიკული მასალა, ორი ყურის ფრაგმენტი კი დაფიქსირდა 75 სანტიმეტრზე. აღნიშნული ფენის ქვემოთ ისევ ფიქსირდება სტერილური თიხის ფენა, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე ჩრდილოეთ ნაწილში არის 34 სანტიმეტრი.

ზუგუ (პატარა კონძა)

პატარა კონძა დაახლოებით 200 მეტრით არის დაშორებული დიდი კონძიდან, მაშტაბის თვალსაზრისით, მცირე ზომისაა, თუმცა ჯერ კიდევ კვლევის საგანია არის, თუ არა პატარა კონძა დიდი კონძის სატელიტური ნამოსახლარი. პატარა კონძა ჭაობიან რელიეფში დაახლოებით 1.5 მეტრით არის ამოზიდული, ხოლო გარშემო ნათლად იკვეთება თხრილის არსებობა, რომელიც გარშემო გარს აკრავს ბორცვს (ტაბულა VIII. სურ. 1). ბორცვის ცენტრში შეიმჩნევა ძველი სტრატიგრაფიული ჭრილის კვალი, რომელიც პროფესორმა გურამ გრიგოლიამ გასული საუკუნის 60-იან წლებში შეისწავლა. გარდა ამისა, ბორცვზე მრავლად არის თხუნელის სოროები. აღსაღნიშნავია ის ფაქტი, რომ თხუნელები აქტიურად აზიანებენ კულტურულ ფენებს და ზემოთ ამოაქვთ კერამიკის ნიმუშები. გ.

გრიგოლიას მიერ გაჭრილი სტრატიგრაფიული ჭრილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 3 მეტრის მოშორებით გავჭერით მცირე ზომის თხრილი (3X1 მეტრი). ჭრილი მიმართულია ჩრდილოეთის მხარეს. პატარა კონძაზე გაჭრილ სტრატიგრაფიულ ჭრილში გამოვლინდა სულ 7 არქეოლოგიური ფენა: ფენა N1 ჰუმუსუვანი ფენა - სიმძლავრე 15-20 სანტიმეტრი. აღნიშნულ ფენაში გვხვდება კერამიკის და წიდის ნატეხები (სავარაუდოდ ნაცეცხლარი ბათქაში), ორი ცალი რიყის ქვა, რომლიდანაც ერთ-ერთს ორივე მხარე აქვს დამუშავებული. ფენაში უსისტემოდ გვხვდება სხვადასხვა ზომის (დაახლოებით 10 სანტიმეტრამდე) ბათქაშის ფრაგმენტები. ფენა N2 მოყავისფრო თიხნარი ფენა. ფენაში გვხვდება მოშავოდ და მოწითალოდ გამომწვარი კერემიკის ფრაგმენტები. მეორე ფენაში დაფიქსირდა სოლენის ტიპის კრამიტი. ასევე, შეგვხვდა 5 ცალი რიყის ქვა, რომლიდანაც ერთი შესაძლოა ხელსაფქვავის ზედა ქვის ფრაგმენტია. ფენა N3 მოყავისფრო თიხნარი ფენა. აღნიშნული ფენა ლოგიკურად გაგრძელებაა მეორე კულტურული ფენის, თუმცა მისი სიმძლავრის გამო მოყავისფრო ფენა ორ ნაწილად დავყავით, რათა არ მომხდარიყო კერამიკული მასალის შერევა. ჯამში მეორე-მესამე ფენის სიმძლავრე 40 სანტიმეტრია. ფენა N4 ფენის სიმძლავრეა 20 სანტიმეტრი, მოიცავს დაახლოებით, ზედაპირიდან 50-70 სანტიმეტრ სიღრმეს. შეიძლება ითქვას, რომ ფენაში მოცემულობა მრავალგვარია. ფენის ზედაპირზე გამოიკვეთა ოთხი სხვადასხვა ფერისა და შემადგენლობის კონტექსტი. 4.1 კონტექსტი მდებარეობს თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც აშკარად გრძელდება ჩრიდლოეთის მიმართულებით. აღნიშნულ კონტექსტში მრავლად არის ბათქაშის ფრაგმენტები, რომლებიც კომპაქტურად არის ერთმანეთში არეული. სავარაუდოა, რომ აღნიშნული კონტექსტი ეკუთვნის ნაგებობის ნაშთს, რომელიც თხრილის ჩრდილოეთით უნდა ვრცელდებოდეს. 4.2 ნაცრისფერი კონტექსტი, სამხრეთის მხრიდან ემიჯნება 4.1 კონტექსტს და გარს უვლის 4.3 კონექსტს. 4.3 კონტექსტი ძალიან გავს 4.2 კონტექსტს, თუმცა მრავლად არის მცირე ზომის წითელი ჩანართები. 4.4 კონტექსტი თხრილის სამხრეთ ნაწილშია განლაგებული და განირჩევა ფერით 4.3 კონტექსტისგან. ფენა N5 აღნიშნულ ფენაში გამოვლინდა ორი კონტექსტი. 5.1 კონტექსტი მონაცრისფრო ფერისაა და განლაგებულია სამხრეთ ნაწილში. 5.2 მოწითალო კონტექსტი, მდებარეობს უშუალოდ 4.1 კონტექსტის ქვემოთ. ფენა N6 - წითელი ბათქაშოვანი ფენაა. აღნიშნული ფენა წარმოადგენს ნგრევის ფენას. სავარაუდოა, ფენა წარმოიქმნა ნაგებობის ნგრევისაგან. ბათქაშოვან ფენაში არ შეინიშნება რაიმე სახის კონსტრუქცია, ან კანონზომიერება. აღნიშნულ ბათქაშებში იკვეთება დაწიდავებული ბათქაშები, რომლებიც ძლიერი ხანძრისგან არის წარმოქმნილი. აღსაღნიშნავია, ის ფაქტი, რომ შეწიდავებული ბათქაშები ერთმანეთში კომპაქტურად არის ჩაჭედილი, მათი ფაქიზი პრეპარაცია თითქმის შეუძლებელია. ნაგებობა თხრილის ოთხივე მხარეს შედის. ბუნებრივია, ძალზედ საინტერესოა კონკრეტული ნაგებობის შესწავლა სამომავლოდ. სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით თხრილის სამხრეთ ნაწილში ჩავჭერით მცირე ზომის შურფი (0.5 X 0.5 მეტრზე), რათა არ დაგვეზიანებინა

ნაგებობის დიდი ნაწილი. ფენა N7 მოშავო ფენა, რომელიც უშუალოდ ნაგებობის ფენის ქვეშ არის მოქცეული. აღნიშნულ ფენაში გამოჩნდა დაახლოებით 15 სანტიმეტრი დიამეტრის ძელები. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ძელები დიხაგუძუბის მოზვინვის პერიოდისაა და იგი კონსტრუქციულ დეტალს წარმოადგენს. ფენის ჩაჭრისას სიღრმიდან წამოვიდა გრუნტის წყლები, რომელმაც თხრილი ზედაპირიდან ერთ მეტრამდე შეავსო.

სამწუხაროდ, დიდ კონძაზე (ზურგანი) ჩატარებულმა სამუშაოებმა ეფექტური შედეგი ვერ მოგვცა, რადგან ე.წ. in situ ფენის აღმოჩენა ვერ მოხერხდა. როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ მოგვითხრო, აღშნიშნულ ბორცვზე გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში ტრაქტორმა ამოასუფთავა გარშემო არხები და ხელმეორედ მოზვინა ბორცვი, ხოლო გ. გრიგოლიას მიერ გასულ საუკუნეში გაჭრილი თხრილი ამოავსო ხელახლა. შესაძლებელია, უიღბლოდ, ხელმეორედ გავწმინდეთ ადრეული სტრატიგრაფიული ჭრილი, რომელიც გ. გრიგოლიამ გაჭრა დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ. მიუხედავათ ყველაფრისა, მრავლად არის დიაგნოსტიკური კერამიკული მასალა, რომელსაც ბევრი ანალოგი მოეპოვება კოლხურ კულტურაში. კერამიკის მიხედვით, ბორცვის ქრონოლოგიური დიაპაზონი დაახლოებით ქრისტეს შობამდე XV საუკუნიდან ელინისტური პერიოდით თარიღდება. მასალა ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის სასწავლო/სამეცნიერო ინსტიტუტის არქეოლოგიის ფონდებში. ტრაქტორის მუშაობის გამო, გურამ გრიგოლიას მიერ დაფიქსირებული ხელოვნური არხები კარგად აღარ იკითხება.

პატარა კონძაზე ჩატარებული სამუშაოები ბევრად უფრო ინფორმაციული გამოდგა. ყურდღებას იქცევს კრამიტის ფრაგმენტი, რომელიც მეორე ფენაში აღმოჩნდა. (ტაბულა IX) ბუნებრივია, სამეცნიეროდ ძალზედ აქტუალურია ამ რეგიონში გამოვლენილი ანტიკური და ელინისტური პერიოდის ნიმუშები. ფენებიდან ავიღეთ ნახშირის ნიმუშები რადიოკარბონული დათარიღებისათვის. გარდა ამისა, აღებულია მიწის ნიმუშები პალეობოტანიკური ანალიზისათვის, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს წარსულში არსებულ ეკოსისტემაზე. მიგვაჩნია, რომ ანტიკურ პერიოდში პატარა კონძა დიდი კონძის სატელიტურ ნასახლარს წარმოადგენდა.

ხობის რაიონ სოფელ ჭალადიდში, ენვერ ქორქიას საკარმიდამო ნაკვეთში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის ანგარიში.

არქეოლოგიური კვლევა ხობის მუნიციპალიტეტ სოფელ ხობში დაიწყო 2017 წლის ივნისის თვეში. არქეოლოგიური გათხრების მთავარ ამოცანას წარმოადგენდა არქეოლოგიური შურფების მეშვეობით დაგვედგინა ძეგლის არსებობა ენვერ ქორქიას საკარმიდამო ნაკვეთში, რომელიც დიხაგუძუბის ფორმის

მოყვანილობისაა. საკარმიდამო ნაკვეთი მდებარეობს რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სიმაგრის[44] ნამოსახლარის გადმოღმა.

სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები განაპირობა ორმა ფაქტორმა:

1. ბესარიონ გოგოლიშვილის შედგენილ კოლხეთის კულტურის რუკაზე, ენვერ ქორქიას საკარმიდამო ნაკვეთი დატანილია, როგორც დიხაგუძუბა. (ტაბულა VII)

2. 2017 წლის გაზაფხულზე საკარმიდამო ნაკვეთზე არსებულ სახნავ-სათეს მიწაზე ზედაპირული დაზვერვების შედეგად გამოვლინდა ქრონოლოგიურად არადიაგნოსტიკური კერამიკის ნატეხები.

აღნიშნულ ნაკვეთზე გასული საუკუნის 60-იან წლებში სოფელ საქორქიოდან გადმოსახლდნენ რიონის მარჯვენა სანაპიროზე, სწორედ, საცხოვრისად შემაღლებული რელიეფი შეარჩიეს. გოგოლიშვილის რუკა შედგენილია 1941 წელს, რაც გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ ახალმოსახლეებს აღნიშნული ტერიტორია არ შეუმაღლებიათ სხვა არქეოლოგიური ძეგლის ხარჯზე.

სამუშაოების განმავლობაში გაიჭრა სულ ორი სადაზვერო შურფი. პირველი შურფის ზომა 3X2 მეტრი. მეორე შურფის ზომა 2X1 მეტრი. ორივე თხრილის შემთხვევაში სიღრმე 1.7 მეტრია.

კერემიკის ფრაგმენტები მხოლოდ თხრილის ჰუმუსოვან ფენაშია, რომლის სიმძლავრეც 20 სანტიმეტრს არ აღემატება. დანარჩენი 1.5 მეტრი არის სტერილური სილანარევი ქვიშა, რომელიც სავარაუდოდ რიონის მიერ არის დალექილი/მოზვინული.

ჰუმუსოვან ფენაში არსებული მცირე რაოდენობით აღმოჩენილი კერამიკა და ობიექტის ტოპოგრაფიული მახასიათებელი აშკარად მიუთითებს, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე წარსულში ადამიანს ჰქონდა აშკარა კონტაქტი, თუმცა სამოსახლოდ არ გამოუყენებია. ამ შემთხვევაში შესაძლოა, სამეურენეო დანიშნულების დიხა-გუძუბასთან გვქონდეს საქმე, რომლის შესახებ პირველად აზრი პროფ. გურამ გრიგოლიამ გამოთქვა.

ნედართუ

კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი რევაზ პაპუაშვილი) გამოავლინა ადრე-ანტიკური ხანის ნამოსახლარი მდინარე ნედართუსთან, რომელიც ერთვის მდინარე ფიჩორს. მასალის მიხედვით ძეგლი დათარიღდა ძვ. წ. VI – V საუკუნეებით. რევაზ პაპუაშვილის აზრით, რასაც ჩვენც

[44] აღნიშნულ ძეგლზე არქეოლოგიური კვლევა-ძიებას ხემძღვანელობდა თეიმურაზ მიქელაძე.

ვიზიარებთ, ნედართუს დასახლების შესწავლა საინტერესოა ფასისთან მიმართებაში. (პაპუაშვილი 2007:48-49)

გვიმბალაური, ფატარი და გაძირულა

გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი - ვაჟა სადრაძე) 2001-2002 წლებში ჩაატარა არქეოლოიური სამუშაობი ლანჩხუთის რაიონში, სადაც რამდენიმე მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლს მიაკვლია. პირველ ეტაპზე, ექსპედიციის მიზანი იყო გვიმბალაურის ნამოსახლარისა და მიმდებარე ტერიტორიის შესწავლა. არქეოლოგიური დაზვერვების ფარგლებში გამოვლინდა ადრე-ანტიკური და ელინისტური ხანის რამდენიმე მძლავრი ნამოსახლარის ნაშთი. გვიმბალაური I- IV, ფატარი და გაძირული, რომელიც დაახლოებით 8-12 ჰექტარს მოიცავს. ძირითადი, სტაციონალური არქეოლოგიური სამუშაო განხორციელდა გვიმბალაურის ზურგაზე, სადაც გაიჭრა N3 თხრილი, ზომებით 12X4 მეტრი. ზედა კულტურული ფენა დაზიანებულია ღრმა პლანტაჟური თხრილებისაგან, ხოლო ზურგას ზედაპირიდან 1.4 მეტრზე, თხრილის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლინდა რამდენიმე დანახშირებული ძელის, ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი. ასევე, N4 თხრილში, 3.25 მეტრ სიღრმეზე დადასტურდა რამდენიმე ძელის ფრაგმენტი, რომელიც შესაძლოა იყო ხელოვნური ბორცვის შემაღლების კვალი. ნამოსახლარის გავრცელების და კულტურული ფენების დადგენის მიზნით თხრილი გაიჭრა ნამოსახლარდან 60 მეტრის დაშორებით. თხრილში გამოვლინდა ასიმეტრიული ფორმის მონაცრისფრო თიხისგან შემზადებული ზურგა. თხრილში დანახშირებული ძელები, და თიხის ჭურჭლის ნატეხები. ფენა 0.6-0.7 მეტრ სიღრმეზე ვრცელდება, ხოლო მის ქვემოთ ნაცრისფერი, სტერილური თიხნარი ფენაა. ბორცვის შემზადება გეგმაში წრიული ფორმისაა, დიამეტრი 5 მეტრი (სადრაძე 2007:6-8)

ღრმა პლანტაჟის გამო გაძირულის, ფატარისა და ჭოლოპის ნამოსახლარები დაზიანებულია, თუმცა არტეფაქტების მიხედვით მაინცაა შესაძლებელი ძეგლის დათარიღება. არქეოლოგი ვაჟა სადრაძე აღნიშნულ ძეგლებს ძვ. წ. VI-III საუკუნეებით ათარიღებს, ხოლო ძეგლებზე ცხოვრების შეწყვეტასთან დაკავშიერებით, რამდენიმე ფრთხილ ვარაუდს გამოთქვამს. მისი აზრით, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, პოლიტიკური კატაკლიზმების, ან სინესტისა და წყლის მომძლავრების გამო გაუსაძლისი გახდა ბორცვებზე ცხოვრების გაგრძელება და მოსახლეობა მთისწინა ზოლში გადადის საცხოვრებლად, მაგალითად: ქვიანი, ჭყონაგორა და სხვა. (სადრაძე 2007:13)

ელინისტური პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. ძვ. წ. III-I საუკუნეები

რიონის ქვემო დინებაზე ელინისტური პერიოდის მხოლოდ შესაძლო სამი ძეგლია დაფიქსირებული, აღნიშნული ძეგლების შესახებ მხოლოდ მცირე ინფორმაციაა ლიტერატურაში. გარდა ამისა, სამივე ძეგლი მხოლოდ სადაზვერვო

არქეოლოგიური სამუშაოებიდანაა ცნობილი და მათზე სტაციონალური არქეოლოგიური კვლევა ჯერ არ შესრულებულა. შესაბამისად, კოლხეთის არქეოლოგიის კვლევისათვის აუცილებლად მიგვაჩნია აღნიშნულ ძეგლებზე კვლევის შესრულება.

საჭოჭუოს დიხაგუძუბების კლასტერი

დიხაგუძუბების კომპლექსი მდებარეობს სოფელ ჭალადიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რკინიგზის გადაღმა, თხინას ტყეში, რომელსაც თეიმურაზ მიქელაძის ფაზისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1963 წელს მიაკვლია. კოლმპლექსი შემოფარგლულია დაჭაობებული, თითქმის გაუვალი ტერიტორიებით. აქ გავლებულია ერთი სადაზვერვო შურფი, სადაც აღმოჩნდა, ისეთივე ქვევრის ფრაგმენტები, რომლსაც ვხვდებით, რიონის მარცხენა სანაპიროს ტერასაზე გავლებულ N26 თხრილში. აღნიშნული მასალა ელინისტური პერიოდით თარიღდება. (მიქელაძე 1978:78)

აღნიშნულ ტერიტორიაზე ორჯერ შევასრულეთ სადაზვერვო სამუშოები. ტერიტორია შედგება 6 მოედნისაგან, რომელიც ერთმანეთისგან არხებით არის დაყოფილი და მათ შორის მდინარე ცივას შენაკადიდან პატარა მდინარე გაედინება. მათ შორის ყველზე უფრო დიდი ორი მოედანია, პირველი და მეორე, რომელიც ჯამში 1 ჰექტარზე უფრო მეტია. დანარჩენი ბორცვები 1500-2000 კვადრატულ მეტრ ფართობში მერყეობს. კიდევ ერთი მცირე ზომის ბორცვი მდეარეობს კომპლექსის სამხრეთით, 300 მეტრის მოშორებით, რომელიც არ აღემატება 150 კვადრატულს და 1.5 მეტრითაა ამოზიდული ჭაობიდან. თუ ადგილის გეომორფოლოგიური გარემო მნიშვნელოვნად სახეცვლილი არაა, საჭოჭუოს დიხაგუძუბების კლასტერი მდინარეების გავლით ყულევს უკავშირდებოდა. აღნიშნული მდინარეებითა და არხებით დღესაც არის შესაძლებელი გადაადგილება გარკვეულ მონაკვეთებზე, თუმცა ზოგი ადგილი ბლოკირებულია ჩამოწოლილი ხეებით. (ტაბულა X)

პატარა ფოთი.

პატარ ფოთის მიდამოებში გოგიტა ჩიტაიას მიერ დაფიქსირებულია შუა საუკუნეების კერამიკა. გარდა ამისა, დასახლებიდან აღმოსავლეთით, სახნავ-სათეს სავარგულებში გადასწორებულია ერთი ხელოვნური ბორცვი. როგორც ჩანს, ბორცვი დიდი ხნის წინაა გადასწორებული, რადგან ადგილი მთლიანად გამოიყენება სახნავ-სათესად. არეალში მრავლად ფიქსირდება ბათქაშის მცირე ფრაგმენტები. რომელიც სადრენაჟო კვლებიდან არის ამოყრილი. დაფიქსირდა რამდენიმე დიაგნოსტიკური ჭურჭლის ფრაგმენტი. კერამიკის 2 ფრაგმენტი სტილისტურად ძალიან ჰგავს წინარე ანტიკურ პერიოდს. არის ერთი საეჭვო ფორმის ღია წითელი ფერის ქუსლის ფრაგმნეტი, რომელსაც მცირე კირქვისა და

შავი სილის ჩანართები აქვს. აღნიშნული ფრაგმენტი, ჩვენი აზრით, ელინისტური პერიოდის უნდა იყოს, და გარკვეულწილად იგი ჰგავს თეიმურაზ მიქელაძის მიერ აღწერილ წითელკეციან კერამიკას, რომელიც N26 თხრილსა და თხინას ტყეში გამოვლინდა. თუმცა გადაჭრით ამის მტკიცება შეუძლებელია. ძეგლის კოორდინატები: 37N 726052.50 m E 4674259.44 m N) (ტაბულა XI)

N26 თხრილი სიმაგრიდან სამხრეთით, ერთი კილომეტრის მოშორებით

N26 თხრილი გაიჭრა სიმაგრის ნამოსახლარიდან 1 კილომეტრის სიღრმეში, რომელიც ტყეში მდებარეობს. ადგილზე დადასტურებულია შუა კოლხური პერიოდის, მეორე ეტაპისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქვევრი. ქვევრის ზედაპირი დაყოფილია გლუვი ქედებით, ხოლო ქედებს შორის მოქცეული სივრცე ამოვსებულია ღარ-ქედებით. თხრილში ვხვდებით აგურისფერ და ვარდისფერკეციან ქვევრებსაც. სხვა მასალასთან ერთად თხრილში დაფიქსირებულია სინოპური იმპორტიც, რაც ძეგლის თარიღს კიდევ უფრო აზუსტებს და ის ძვ. წ. III-II საუკუნით თარიღდება.

გვიან-ანტიკურისა და ადრეული-შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები
ნატეხები - ტბა პალიასტომი. II-VIII საუკუნეები.

საქართველოში ძნელია იპოვო ისტორიული ხანის ისეთი რთულად შესასწავლი არქეოლოგიური ძეგლი, როგორიცა პალიასტომის ტბაში ჩაძირული ე.წ. „ნატეხები“. ამ ადგილას არქეოლოგიური სამუშაოები პირველად დაიწყო იმ პერიოდში ახლად შექმნილმა ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ - ხელმძღვანელი გელა გამყრელიძის მეთაურობით. სწორედ, მას ეკუთვნის ძირითადი არქეოლოგიური ცნობები ნატეხების შესახებ.

გელა გამყრელიძეს ადგილი ნატეხების შესახებ აცნობეს მებადურებმა - პანტელეიმონ და შალვა ქირიებმა. მათი თქმით, ჩაგდებულ ბადეს მოჰყვებოდა „ქოთნის ნატეხები“. პირველ ეტაპზე, ექსპედიციას პასუხი უნდა გაეცა კითხვაზე, იყო, თუ არა ხსნებული ძეგლი ნამოსახლარი, თუ ე.წ. ჩამორეცხილი კერემიკა მდინარე რიონის, ან ტბის მიერ. ამის დასადგენად, გაჭრეს 5 სადაზვერვო თხრილი სანაპიროზე და აკვალანგების გამოყენებით ტბის ფსკერის კვლევა განხორციელდა. არქეოლოგიურმა შესწავლამ, ტბაში 900 კვადრატულ მეტრზე გამოავლინა კერამიკის ნაშთები, ხოლო ხმელთზე 500 კვადრატულზე. ფართობზე აღმოჩნდა დიდი რაოდენობით კერამიკა, ვერტიკალურად ჩადგმული ამფორა, სამარხის ნაშთი, ხოლო ნაპირას გაჭრილ სადაზვერვო თხრილებში, ისეთივე კერამიკა, როგორიც ტბის ფსკერზე. (გამყრელიძე 2002:89)

როგორც გელა გამყრელიძე აღნიშნავს, ტბაში მუშაობა ძალიან რთულია, რადგან მოცემული მონაკვეთი ჩაძირულია ქვიშიან ტორფნარში და მიუხედავად კარგი ამინდის ხილვადობისა, ფსკერთან აკვალანგით მიახლოვბისას წყალი იმღვრევა, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს ხილვადობა. განსაკუთრებული სირთულეა

თიხიან-ტორფიანი ფსკერი. გარდა ამისა, ექსპედიციამ სცადა სატუმბით მიწისა და წყლის ამოქაჩვა, რასაც ასევე თავისი სირთულეები ახლავს. სატუმბის ხორთუმში იბიდნება ტორფიანი ქვიშა, რაც იწვევს დანადგარის პარალიზებას. (გამყრელიძე 2002:89-90)

სწორედ, აღნიშნული გართულებული გარემოებების ერთობლიობით ნატეხები არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძნელად შესასწავლი ძეგლი, რადგან ასეთ პირობებში ვერ ხერხდება არქეოლოგიური მეთოდოლოგიების დაცვა, ძეგლის ფიქსაცია, სტრატიგრაფიის პრინციპის დაცვა და ასე შემდგომ. შესაბამისად, აღმოჩენილი არტეფაქტების დათარიღება მხოლოდ შედარებითი პრინციპით ხდება, რაც უფრო მეტად ართულებს ძეგლის ქრონოლოგიის ზუსტ განსაზღვრას.

პალიასტომის ტბა ვრცელდება თვრამეტ კვადრატულ კილომეტრზე, ხოლო ტბის სიღრმე 6 მეტრამდეა, ტბისა და ზღვის დონე თითქმის ერთიდაიგივეა. ტბა ძირითადად იკვებება მდინარე ფიჩორით და მცირე მდინარეებით, ხოლო ზამთარში ზოგჯერ ზღვის წყალიც იჭრება ტბაში. გელა გამყრელიძე იზიარებს გეომორფოლოგების აზრს, რომ პალიასტომი ტბა-ლაგუნას ზღვიური რელიქტია და ძველად ის მდინარე რიონის რელიქტი იყო. (გამყრელიძე 2002:90)

ჩვენც ვიზიარებთ, გელა გამყრელიძის გამოთქმულ აზრს, რომ ტბა წარსულში ნამდვილად წარმოადგენდა რიონის ლიმანს. ამის ნათელი დასტურია მდინარე რიონის სამხრეთით დამშრალი ტოტის მენადრები, რომლებიც კარგად იკითხება სატელიტურ ფოტოებზე. ლანჩხუთის რაიონ სოფელ. ჯაპანადან - პალიასტომის აღმოსავლეთამდე. (ტაბულა V)

გამომდინარე ძეგლის ფიქსაციის პრობლემებისა ერთადერთი ხელშესახები ინფორმაცია, რაც ნაჯიხურიდან მომდინარეობს არის არტეფაქტები, რომელიც პალიასტომის ფსკერიდან იკრიფება. გელა გამყრელიძემ ჰიდროარქეოლოგიური კვლევისას აღმოაჩინა სხვადასხვა სახის კერამიკა, მათ შორის, სამშენებლო, კერამიკული ტარა, სამეურნეო-საოჯახო. ასევე, დადასტურდა, როგორც ადგილობრი, ასევე შემოტანილი კერამიკა. ასევე, ავტორი ყურადღებას ამახვილებს, რომ ნატეხებზე არაა აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკა. (გამყრელიძე, 2002, გვ. 91-92)

სამშენებლო კერამიკაში გამოიყოფა აგური, კრამიტი და ბათქშის ნაშთები. აგურები ხის ყალიბშია დამზადებული და მათი სიგრძე-სიგანე: 25-30 სანტიმენტრია, ხოლო სისქე 3-5 სანიმეტრი. გელა გამყრელიძე აღნიშნავს, რომ მსგავსი აგურები გავრცელებულია სხვადასხვა ადრეული შუა საუკუნეების ნაქალაქარებზე - ბიჭვინთა, სოხუმი, ოჩამჩირე, გუდავა, ნოქალაქევი, მთისძირი, ვაშნარი, ქობულეთ-ფიჭვნარი, ციხისძირი, გონიო და ასე შემდეგ. (გამყრელიძე 2002:92)

კრამიტები ადგილ ნატეხებში მხოლოდ სოლენისებური სახით არის წარმოდგენილი და არ გხვდება კალიპტერისნაირი. კრამიტები ფრაგმენტულადაა შემონახული, გადანაკეც ჭრილში სამკუთხა ფორმისაა, სიმაღლე 3,5-დან 5სმ-დე მერყეობს, სისქე 1.5 სმ-დან 2.5 სმ-მდე. გელა გამყრელიძე კრამიტებში გამოარჩევს, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურს. (გამყრელიძე 2002:92)

აღსაღნიშნავია, რომ მსგავსი კრამიტი ფოთის არეალში, ასევე დაფიქსირებულია: ნაჯიხურზე, ფოთის კოშკთან, მდინარე კაპარჭინაში და პალიასტომის ჩრდილოეთ სანაპიროზე.

დამწვარი ბათქაშის ფრაგმენტებისა და არიანეს აღწერილ ციხე-სიმაგრის შესაძლო კავშირზე ყურადღებას ამახვილებს გელა გამყრელიძე. იგი არ გამორიცხავს, რომ იქ თიხით შელესილი და კრამიტით დახურული ნაგებობები იდგა.

ადგილ ნატეხებში აღმოჩენილი ჭურჭლის ძირითად ნაწილს შეადგენს ამფორები (კერამიკული ტარა), სადაც გვხდება, როგორც ადგილობრივი, ასევე იმპროტირებული. ადგილობრივ კერამიკულ ტარაში გამოირჩევა ე.წ. წელშეზნექილი ამფორები, რომელიც დამახასიათებელია მთლიანი კოლხეთისათვის. მსგავსი ფორმები მრავლადაა დადასტურებული დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ნოქალაქევში, განთიადში, ბიჭვინთაში და სოხუმში, ოჩამჩირეში, გუდავაში, მთისძირში, ციხისძირში, ვარდციხესა და ქობულეთ-ფიჭვნარში. (გამყრელიძე 2002:93)

ადგილობრივი წელშეზნექილი ამფორების შესახებ გელა გამყრელიძე გვთავაზობს ცალკე სამეცნიერო კვლევას. პალიასტომში ნაპოვნ ამფორებზე შემორჩენილია ნავთობისა და ბიტუმინის კვალი. ავტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ აღნიშნული ნავთობი ყირიმის ნახევარკუნძულიდან უნდა მომდინარეობდეს. (გამყრელიძე 2002:104-110)

გარდა ადგილობრივი კერამიკული ტარისა, ადგილ ნატეხების ფსკერზე აღმოჩენილია სამზარეულო კერამიკა, რომელშიც ვხვდებით, ქოთნებს, ჯამებს, ლუთერებსა და დოქებს. ისინი შემორჩენილია ფრაგმენტულად და გვხვდება როგორც, ძირის, ასევე პირ-ყელის ნატეხები. ქოთნები სადა, მუცელგამობერილი, მოკლე ყელიანია, რომელსაც ბრტყელი ძირი აქვს. ტანი ძირისკენ ვიწროვდება, პირი გადაშლილი აქვთ. კედლის სისქე 6მმსა და 8მმ-ს შორის მერყეობს. ძირის დიამეტრი კი, 7სმ-დან 10-სამნტიმეტრამდეა. ქოთნის თიხა მოყავისფროა. თიხა ცუდად არის განლექილი. გელა გამყრელიძე გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქოთნების ეს ჯგუფი გვიან ანტიკურ-ადრეულ შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს, თუმცა უფრო დავიწროვებულ ქრონოლოგიური თარიღებს იგი არ ასახელებს (გამყრელიძე 2002:94)

გელა გამყრელიძე სამზარეულო კერამიკაში გამოჰყოფს კიდევ ერთ ჯგუფს, რომელსაც ახასიათებს, როგორც, კალთამომრგვალებულ ბრტყელძირა, დაბალ ჯამებს. ჯამები მუქი მოყავისფროა და შეიმჩნევა მინარევები. თიხა ცუდად არის განლექილი და არათანაბარ ცეცხლშია გამომწვარი.

ნამოსახლარზე ასევე გხვდება ადგილზე წარმოებული ლუთერის ფრაგმენტები. მოყავისფრო, 8მმ-დან 10-მმ-მდე კეცის სისქე. გამყრელიძის განმარტებით, ლუთერები ანტიკური სამყაროდან გავრცელდა დასავლეთ საქართველოში და მათი ადგილობრივი წარმოება ძვ. წ. III საუკუნეში დაიწყო. მსგავსი ლუთერები გვხვდება: ვარდციხეში, ვანში, ბიჭვინთაში, ოჩამჩირეში, გუდავაში და ასე შემდეგ. გარდა ლუთერებისა ადგილ ნატეხებში აღმოჩნდა რამდენიმე დოქის ფრაგმენტი, რომელიც ასევე მოყავისფრო ფერისაა. (გამყრელიძე 2002:94)

სამეურნეო კერამიკაში მხოლოდ ქვევრის ფრაგმენტებს ვხვდებით. კედლებზე შეიმჩნევა ე.წ. კონცენტრული რელიეფური ხაზები. თიხა მუქი ყავისფერია და არათანბრადაა გამომწვარი. ძირების დიამეტრი 12 სანტიმეტრიდან 16 სანტიმეტრამდე მერყეობს, ხოლო კედლის სისქე 19 მმ-დეა.

ადგილ ნატეხების გეორგრაფიული კონტექსტიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უცხოურ კერამიკას, რომელიც მთელი არქეოლოგიური მასალის 25% შეადგენს. უცხოურ კერამიკაში კი, დომინანტურად გვხვდება ამფორები. გელა გამყრელიძის დაკვირვებით, უმრავლესობა სინოპური ამფორებია, მათი კერამიკა ძირითადად ნაცრისფერია და იისფერი ელფერი დაჰკრავს. უცხოური თიხის ამფორები ძირითადად წარმოდგენილია, ძირების, კედლებისა და ყურების სახით. ამფორებისათვის უმეტესად დამახასიათებელია ტანის დაღარულობა. სინოპურ ამფორებში გამოიყოფა სამი ჯგუფი: პირველი - კვერცხისებური ძირით; მეორე - ცილინდრისებური ძირით, რომლის დიამეტრი 11სმ-დან 14 სმდე-მერყეობს; მესამე - კონოსისებური ძირით. ავტორი აღნიშნავს, რომ მოზრდილი ამფორებისათვის დამახასიათებელია არათანაბარი გოფრირება, ხოლო თხელკედლიანი ამფორების გოფრირება გამოირჩევა კონცენტრული დაღარულობით. მასალას პარალელები ეძებნება, ბიჭვინთაში, სოხუმში, ოჩამჩირრეში, გუდავაში, ციხისძირში, წებელდაში და სხვა. (გამყრელიძე, 2002, გვ. 96)

გელა გამყრელიძე კიდევ გამოყოფს ოთხ სხვადასხვა სახის ამფორას, რომელიც იმპორტირებული უნდა იყოს. (გამყრელიძე, 2002, გვ. 96-97)

1. ღია ყავისფერი, მოწითალო ელფერიანი დაღარულტარიანი ამფორები, რომლებიც კარგად არის განლექილი
2. ბაც მოყავისფრო-მოწითალო ფერად გამომწვარი ამფორები, რომელიც საშუალო ზომის ამფორების ჯგუფს განეკუთვნება.

პარალელები ეძებნება დასავლეთ საქართველოს გვიან-ანტიკური ადრეული- შუა საუკუნეების ძეგლებზე.

3. ე.წ. სამოსური ამფორების ძირები. კარგად განლექილი, რომელიც მოწითალო-მოყავისფროდ არის გამომწვარი. აღნიშნული ამფორები IV საუკუნიდან იწყებს გავრცელებას.

4. ბაცმოყავისფროდ გამომწვარი ამფორები. მათი თიხა კარგადაა განლექილი. აღნიშნული ჯგუფი პარალელებს პოულობს ჩრდილო შავიზღვისპირეთში აღმოჩენილ, II-III საუკუნის ფენებში ნანახ კერმიკასთან.

უცხოური ამფორების მსგავსი დივერსიფიკაცია მიუთითებს ნატეხების აქტიურ ჩართულობას შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ქსელში.

გარდა ამფორებისა, იმპორტირებულ კერამიკაში აღმოჩნდა 17 სმ ზომის, სრულად შემონახული ამფორისკი და დადასტურებული წითელ ლაკიანი კერამიკის რამდენიმე ფრაგმენტი IV-V საუკუნეებით დათარიღებული.

ადგილ ნატეხებში წარმოდგენილია მინის ნაწარმიც, სასმისები, სასარკმლე მინის ნატეხები და სხვა, რომლის ინდეტიფიცირებაც ვერ ხერხდება. აღნიშნულ მასალას გელა გამყრელიძე IV-VIII საუკუნეებით ათარიღებს.

უაღესად მნიშვნელოვანი ადგილია, ნატეხების წყალში მოქცეულ ნაწილთან სიახლოვეს, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, სანაპიროზე, ქვიშა-თიხიან ფენაში, დადასტურებული ორმოსამარხების ნაშთები. აქ დადასტურდა ძირით, ვერტიკალურად ჩადგმული ამფორა, რომელსაც თავი ჰქონდა წატეხილი. ხოლო მეორე ღარებიანი ამფორა, დამხობილი იყო პირველზე. ამფორაში დადასტურდა ფრინველისა და ცხოველის (სავარუდოდ ღორის) დამწვარი ძვლები. ამფორასთან ახლოს ადამიანის ძვლები, სამი ბრინჯაოს ფიბულა, ერთი ბრინჯაოს ქინძისთავი, მინის სასმისის ფეხი და ბიზანტიური ოცნუმიანი სპილენძის მონეტა აღმოჩნდა. აღნიშნული მონეტა იუსტინიანე მეორეს (565-578წწ.) პერიოდშია მოჭრილი. ასევე, ნატეხების დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა კიდევ ერთი მონეტა, რომელიც იმპერატორ კონსტანციუს მეორის (337-361წწ.) მიერ არის მოჭრილი. მონეტების წარმომავლობა განსაზღვრა პროფ. გიორგი დუნდუამ (გამყრელიძე, 2002, გვ. 100).

ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის ფარგლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უმეტესობა თარიღდება II-VIII საუკუნეებით, თუმცა ხაზგასმით არის აღსანიშნავი, რომ აქვე დადასტურდა ძვ. წ. IV საუკუნეების შავლაკიანი პროფილირებული ქუსლი და სავარაუდოდ როდოსული ამფორა, რომელიც ძვ. წ. III საუკუნით თარიღდება. (гамкрелидзе, 1992, გვ. 35)

გელა გამყრელიძეს მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება ქალაქ ფოთის კოლხური კულტურის არქეოლოგიურ მუზეუმში, რომელზეც 2019 წელს ჩავატარეთ გადაუდებელი კამერალური სამუშაო მილანის უნივერსიტეტის

პროფესორ ემანუელე ინტალიატასთან ერთად, რადგან მეოცე საუკუნის ბოლოს მუზეუმში არსებულმა კონდინციებმა, კერძოდ სინესტემ, ჩამოჟონილმა წვიმის წყალმა საფრთხე შეუქმნა ეტიკეტებს და დოკუმენტაციას. ამდენად, მუზეუმის დირექტორის, ელენე გაბლიანის ზედამხედველობით მოვახდინეთ მასალის გადალაგება პლასტმასის ყუთებში, გადავწერეთ ეტიკეტები და შევქმენით არტეფაქტების ფოტო არქივი, რომელიც ინახება ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში. სულ დამუშავდა 405 არტეფაქტი ადგილი ნატეხებიდან. პირველ რიგში, აღნიშნული კოლექციის გაცნობა ჩვენთვის ემსახურებოდა ფოთის მიდამოების გვიან-ანტიკური ადრეული-შუა საუკუნეების კერამიკის გაცნობას, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყორობს ე.წ. სამშენებლო კერამიკა, კერძოდ - კრამიტი. ბერძნული კოლონიების გაჩენასთან ერთად, კოლხეთის დაბლობში მრავალი ინოვაციური ტექნოლოგია, უცხოური ნაწარმი გაჩნდა, თუმცა აღნიშნული გარემოება შეეხო ურბანიზმის განვითარებასაც, რაც გულისხმობს დასახლებებში უფრო მეტად გამომწვარი აგურისა და კრამიტის გამოყენებას. აღნიშნული ტრადიცია მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა, დასავლეთ კოლხეთის გვიან-ანტიკური და ადრეული-შუა საუკუნეების ურბანიზმისათვის კვლავ ნარჩუნდება კრამიტით გადახურული შენობები. აღნიშნული პერიოდის შავი ზღვის სანაპიროზე განაშენიანებულ ურბანულ ცენტრებში აღმოჩენილია კრამიტის ფრაგმენტები, დაწყებული სამხრეთით, გონიო-აფსაროსიდან დამთავრებული ბიჭვინთით. ცხადია, გვიან-ანტიკურ პერიოდში ჩნდება სხვა გეგმარებითი ნიუანსები, როგორიცაა ქალაქების გამაგრება, ეკლესიების გაჩენა, რომაული ნაგებობი, აბანოები და ასე შემდეგ. გვიან-ანტიკური პერიოდის კრამიტი მრავლად იკრიფება ფოთის შემოგარენში, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

აღსანიშნავია, რომ ამფორის ნატეხების უმეტესი ნაწილი გამოქვეყნებულია გელა გამყრელიძის მიერ 1992 წელს.

ჰიდროარქეოლოგიური ექსპედიციის გარდა, ადგილ ნატეხებზე სადაზვერო არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 2011 წელს (ხელმძღვანელი, გურამ გრიგოლია და ვახტანგ ლიჩელი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიის სასწავლო/სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ. ექსპედიციაში ჩართული იყო ნიუნბერგის ნატურალური ისტორიის საზოგადოება. არქოლოგიურ ანგარიშში ვკითხულობთ შემდეგ ინფორმაციას:

პირველ რიგში შევეცადეთ დაგვედგინა კერამიკის გავრცელების არეალი. მოვნიშნეთ სავარაუდო საზღვრები. სულ შემოწმდა 41,03 მ სიგრძის და 62,6 მ სიგანის ტერიტორია. ამავე მიზნით ტბის ფსკერზე გაკეთდა სპეციალური მცირე ზომის ორი (50 X 50 სმ) თხრილი. მათი მიზანი იყო იმისი დადგენა, თუ რამდენად ღრმად ვრცელდებოდა კერამიკული ფრაგმენტები ტბის ფსკერის ზედაპირიდან. კერამიკის გავრცელების მაქსიმალური სიღრმე იყო 60 სმ. ტერიტორიის შემოწმების დროს პარალელურად ხდებოდა ტბის ფსკერზე არსებული მასალის ამოღება.

კერამიკული ფრაგმენტები, რომლებიც სხვადასხვა ტიპისა და პერიოდის (III – VI სს-ბი) ამფორებს ეკუთნის, დაფარული იყო მცირე ზომის მოლუსკებით.

მოპოვებულ მასალაში აღსაღნიშნავია ნაპირთან ახლოს ნაპოვნი ჭურვი (? დმ 15 სმ).

მასალის სტატისტიკური დამუშავებისათვის ადგილ "ნატეხების" დასავლეთ ნაწილში გამოყოფილი იქნა 6 კვადრატული მეტრის ფართობი, საიდანაც ამოვიღეთ დიდი რაოდენობით კერამიკა. სულ ტბიდან ამოღებულია 3729 ფრაგმენტი. ამ მასალის ნაწილი ექვემდებარება რესტავრაციას.

საველე სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობდა ტბიდან ამოღებული მასალის ლოკოკინებისა და მოლუსკებისაგან განთავისუფლება, გაფხეკვა, გარეცხვა, ჩახაზვა და სხვა ლაბორატორიული სამუშაოები. მასალის გაწმენდა-გარეცხვის შემდეგ ხდებოდა თითოეული ფრაგმენტის კლასიფიკაცია და დაჯგუფება. ფრაგმენტები დავაჯგუფეთ პირებად (სულ 117 ცალი), ძირებად (სულ 113 ცალი), ყურებად (სულ 95 ცალი) და ორნამენტირებულ ფრაგმენტებად (სულ 150 ცალი). ცალკე გამოვყავით ამფორის ფრაგმენტები (სულ 1459 ცალი) და თხელკეციანი ჭურჭლის ფრაგმენტები (სულ 1945 ცალი). თავისმხრივ, ამფორის ფრაგმენტებში გამოვყავით შიდაპირ-გოფრირებული (225ც.), სუსტად გოფრირებული (414ც.) და გოფრირების გარეშე ფრაგმენტები (820ც.), ხოლო სხვა ჭურჭლის ფრაგმენტებში წითელი (588ც.) და მუქი ფერის კეცის მქონე ფრაგმენტები (1308ც.). სულ გატარებულ იქნა 800-ზე მეტი ფრაგმენტი, მოხდა ფრაგმენტების უმეტესი ნაწილის გრაფიკული ფიქსაცია და გადაღებულ იქნა თითოეული ფრაგმენტი.

გამოვლენილი მასალა იგივე ქრონოლოგიური პერიოდით დათარიღდა, I - VIII საუკუნეები. კამერალური სამუშაოების შედეგად გამოიყო ამფორების (კერამიკული ტარა) ჯგუფი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. იტალიკური ამფორები;
2. ვარდისფერკეციანი, უხეშზედაპირიანი ამფორები (ყელწებოიანი);
3. აფორები მოთეთრო - მოჩალისფრო ფერის კეცითა და მრავალრიცხოვანი შავი ფერის პიროქსინის ჩანართებით. (სინოპური);
4. პროფილირებულ ყურებიანი, დაღარულ ზედაპირიანი ამფორები;
5. მოწითალო-ნარინჯისფრად გამომწვარი ამფორები. (ვიწროყელიანი);
6. ყავისფერკეციანი ამფორები. (კოლხური) იგივე წელშეზნექილი ამფორები;
7. დაღარულ ზედაპირიანი, ნარინჯისფრად გამომწვარი ამფორები;

8. ძაბრისებურპირიანი ამფორები.
(გრიგოლია, 2013, გვ.10)

ექსპედიციამ იტალიკური ამფორები ახ. წ. II საუკუნით დაათარიღა, რომელიც უნდა მომდინარეობდეს კრეტის კუნძულიდან. აღნიშნულ იტალიკურ ჯგუფს პარალელები ეძებნება გონიო-აფსაროში, რომელიც ასევე, მეორე საუკუნის კულტურული ფენებიდან მომდინარეობს.

მოერე ჯგუფის ამფორები ყელწიბოიანი ამფორებია, რომლის წარმომავლობა სამხრეთ შავიზღვისპირეთის რეგიონს უნდა უკავშირდებოდეს. პარალელებს ვხვდებით გონიო აფსაროსში, ხოლო მისი ქრონოლოგია ახ. წ. II-III საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს.

სინოპური ამფორები ყველაზე მრავალრიცხვნად არის წარმოდგენილი აღმოჩენილ მასალაში. მათი ქრონოლოგიური დიაპაზონიც II-III საუკუნეებით განისაზღვრა.

მოწითალო დაღარულპირიანი ამფორის ჯგუფი, დასავლეთ მცირე აზიიდან უნდა მომდინარეობდეს და პარალელები ეძებნება დასავლეთ საქართველოს გვიან-ანტიკურ ადრე-შუასუკუნეების ძეგლებზე. აღნიშნული ჯგუფი IV – VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

ვიწროყელიანი ამფორების ჯგუფი, გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ამფოებთან ავლენს მსგავსებას, აღნიშნული მასალა I- IV საუკუნეებით არის დათარიღებული.

კოლხური, ე.წ. წელშეზნექილი ამფორები მრავლად აღმოჩნდა 2011 წელს. როგორ ცნობილია, იგი დასავლეთ საქართველოს გვიან-ანტიკური ადრე-შუა საუკუნეების ძეგლებზეა აღმოჩენილი. კოლხური ამფორები დათარიღებულია ნოქალაქევის ჭიშკართან აღმოჩენილი 22 ამფორის მიხედვით. ქრონოლოგია კოლხური ამფორების თითქმის ოთხ საუკუნეს მოიცავს, IV – VIII საუკუნეებს.

მეშვიდე ჯგუფს განეკუთვნება ამფორები, რომელიც ძაბრისებური პირით ხასიათდება, ისინი კონსტანტინოპოლიდან უნდა მოდიოდეს, მათი ქრონოლოგიური ჩარჩო შედარებით ფართოა, II საკუნიდან - VIII საუკუნის ჩათვლით.

მერვე ჯგუფის ამფორები, მიჯრილი, ტალღური ხაზებითაა დაფარული და მოწითალო-ნარინჯისფერი კეცით ხასიათდება. აღნიშნული ამფორების ქრონოლოგია უცნობია.

მეცხრე ჯგუფში გვხვდება ღია ფერის ამფორები, აღნიშნული კერამიკული ტარა IV – VIII საუკუნეებით დათარიღდა. (გრიგოლია, 2013, გვ.15)

აღსანიშნავია რომ 2011 წელს მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ინახება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ფონდებში (ხელმძ. პროფ. ვახტანგ ლიჩელი).

ისევე როგორც ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ, ასევე, 2011 წლის არქეოლოგიურმა კვლევამ თითქმის ერთდაიგივე შედეგი აჩვენა. ქრონოლოგიად III– VIII საუკუნეები დაადასტურდა, თუმცა ამფორების კვლევამ უფრო დეტალურად დაგვანახა ნატეხების სავაჭრო კონტაქტების გეოგრაფია.

ჩატარებულმა კვლევებმა უფრო მეტი კითხვა გააჩინა ნატეხების შესახებ. პირველ რიგში, ეს ეხება ლოკალურ ლანდშაპტურ კატაკლიზმებს. რატომ აღმოჩნდა აღნიშნული არქეოლოგიური ობიექტი, საკმაოდ ვრცელი ნამოსახლარი წყლის ქვეშ. ძეგლის წყლის ქვეშ მოქცევა უკავშირდება მერვე საუკუნეს, თუ სხვა მიზეზი იყო, რატომაც ადამიანებმა მიატოვეს „ნატეხებზე“ ცხოვრება და შემდგომ პერიოდში მოექცა ობიექტი წყლის ქვეშ. არანაირი მატერიალური დასტური არ გვაქვს, ადამიანების ჩარევით მოხდა თუ არა ძეგლის განადგურება, თუმცა აუცილებელია ვახსენოთ მურვან ყრუს ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში, რომელმაც მოაოხრა დასავლეთ საქართველო. რამდენად უკავშირდება აღნიშნული მოვლენა ნატეხებს, ძალიან ძნელი სათქმელია და მხოლოდ წერილობითი წყაროთი მანიპულაციაა.

მიღებული გამოცდილებიდან, რომელიც წინა არქეოლოგიურმა კვლევებმა აჩვენეს, არ აქვს პრინციპული აზრი, ისეთივე მეთოდოლოგიით მუშაობის გაგრძელებას. ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული რესურსებით დავიწყეთ ნატეხების ლანდშაპტის კვლევა, რომელმაც, მცირე მაგრამ გარკვეული შედეგები გვაჩვენა.

პირველ რიგში, მიზნად დავისახეთ სატელიტური ფოტოების შემოწმება. როგორც გელა გამყრელიძე აღნიშნავს, პალიასტომზე არის ბუნებრივი კონდიცია, როდესაც წყალი გამჭირვალეა, თუმცა ნებისმიერი ფიზიკური კონტაქტი იწვევს ტორფიანი ქვიშის ამღვრევას, ამდენად, გადაწყდა ტერიტორიის სატელიტური ჩანაწერების შემოწმება. ვინაიდან, ძეგლი 60-80 სანტიმეტრით არის დაფარული.

Google Earth Pro-ს ჰისტოგრამში არსებობს 1985 წლიდან 17 სატელიტური ფოტოს ჩანაწერი. უმეტეს შემთხვევაში, თითქმის ნულოვანი ხილვადობაა ვერტიკალურად, რადგან უმცირესი ნიავის დაბერვა იწვევს პალიასტომის სარკის დატალღებას და ზედხედში ხილვადობა ნულდება. მაგრამ არსებობს ორი ჩანაწერი, რომლზეც ხერხდება კონტურების წაკითხვა. ყველაზე უფრო მკვეთრი გამოსახულება 2013 წლის ნოემბერშია გადაღებული. სტელიტურ ფოტოზე იკითხება 30-მდე სხვადასხვა ზომის წრიული ფორმები. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ წრიული ფორმები ფიქსირდება ნატეხების ირგვლივ, მომიჯნავე ტერიტორიაზე. გარდა ამისა, მსგავსი კონფიგურაციები, პალიასტომის ტბის არც ერთ მონაკვეთზე არ ფიქსირდება. პირველივე კითხვა, რომელიც ჩნდება, თუ რატომ არ ჩანს მსგავსი წრიული ფორმები უშუალოდ იმ ადგილზე, საიდანაც იკრიფება ასობით ამფორისა და სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტი. ამ მოვლენის ახსნა შემდეგნაირად ვცადეთ, როგორც ჩანს, ადამიანის ჩარევის შედეგად, მსგავსი ფორმები წაიშალა ადგილ ნატეხებზე. რას შეიძლება წარმოექმნა მსგავსი ფორმები?! პროფესორ ვახტანგ ლიჩელის აზრით, ადგილ ნატეხებზე კერამიკა მსგავსი ფორმით აკუმულირდება პალისტომის ტალღის ბრუნვით და შესაძლოა, წრიული კონფიგურაციები უკავშირდებოდეს კერამიკის ფრაგმენტების კონგლომერატებს.

N1 წრიული ფორმა უკიდურეს სამხრეთ ნაწილშია, მას ოდნავ ელიფსური კონფიგურაცია აქვს. დიამეტრი 20 მეტრი.

N2 კონფიგურაცია უშუალოდ მიდგმულია პირველს და თითქმის იდეალური წრიული ფორმა აქვს, დიამეტრი 32 მეტრი.

N3 წრიული ფორმა ნაპირიდან 15 მეტრის დაშორებითაა, დიამერტის ზომა 17 მეტრი. ჩრდილოეთი მხრიდან შეიმჩნევა მიდგმული ორი მომცრო ზომის წრიული ფორმები, რომლის დიამეტრი 3 მეტრია.

N4 წრიულ ფორმას ელიფსური ფორმა აქვს და უშუალოდ მიდგმულია.ზომები ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით 21 მეტრია, ხოლო დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, 15 მეტრი.

N5 წრიული ფორმა ყველაზე უფრო დიდი კონფიგურაციაა, რომელიც ნატეხებზე იკითხება, მისი დიამეტრი 37 მეტრია, თუმცა, მათ შუაში შეინიშნება მკრთალი ხაზები. შესაძლოა, N5 წრე წარმოადგენდეს კლასტერს წრიული ფორმების. ცენტრში შეინიშნება კიდევ ერთი წრე.

N6 ნაპირიდან აღმოსავლეთით, 15 მეტრზე მდებარეობს, ფორმა კარგად იკითხება, დიამეტრი 20 მეტრამდე.

N7 ნატეხების სანაპირო ყურის კუთხიდან, აღმოსავლეთით, 15 მეტრში მდებარეობს. ფორმა წრიულია, დიამეტრი 18 მეტრი.

N8 სანაპიროდან 30 მეტრში, აღმოსავლეთის მიმართულებით, წრე კარგად იკითხება, დიამეტრი 20 მეტრი.

N9. სანაპიროს ყურიდან, აღმოსავლეთით 80 მეტრში, წრიული ფორმა, დიამეტრი 18 მეტრი.

N10 სანაპიროს ყურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 60 მეტრითაა დაშორებული. აღნიშნული წარმოადგენს წრიული ფორმის კლასტერს. სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით 13 მეტრი დიამეტრის ხუთი წრეა ჩამწკრივებული.

N11 სანაპიროს ყურიდან ჩრდილო აღმოსავლეთით, 150 მეტრზე კიდევ ერთი კლასტერია, რომელიც შედგება 4 წრისაგან და ერთი მეორეს მიყოლებითაა ჩამწკრივებული, სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით. მათი დიამეტრი 10 მეტრამდე მერყეობს. (ტაბულა XII)

ადრე-ანტიკური პერიოდის წრიული სათავსო შესწავლილია სოფელ გვიმბალაურში, რომლის დიამეტრი დაახლოვებით 5 მეტრია. (სადრაძე 2006:12). თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ გვიმბალაურის წრიული ფორმის სათავსო, თითქმის სამჯერ უფრო მომცროა, ვიდრე პალიასტომის ნატეხების წრიული ფორმები.

სატელიტური ფოტოების დახმარებით შევისწავლეთ პალიასტომის სანაპირო ზოლის მთელი პერიმეტრი და მსგავსი გეომეტრიული ფორმის ანომალიები არ დაფიქსირებულა. მათ შორის საგულდაგულოდ გადამოწმდა ჩრდილო დასავლეთ კუთხეში არსებული კიდევ ერთი არეალი, რომლის ფსკერიდანაც იკრიფება მასალა, ასევე გვიანა-ნტიკური პერიოდის.

სადაზევრო სამუშაოების ფარგლებში შევეცადეთ აღნიშნული ტერიტორიის დაზვერვას, გარკვეულ მონაკვეთებში, ფსკერზე მოჩანს ვერტიკალურად ჩარჭობილი ძელები, თუმცა მათი ფიქსაცია ვერ ხერხდება, რადგან წყალი ნებისმიერი სახის მოძრაობაზე იწყებს ამღვრევას.

ნატეხების ტოპოგრაფია

უმთავრესი კითხვა, რაც ნამოსახლარი ნატეხების შესახებ ჩნდება არის, თუ როგორ მოხვდა მისი ჩაძირვა პალიასტომის ფსკერზე, რა მოვლენები განვითარდა. ფაქტორი რამდენიმე შეიძლება იყოს, მაგრამ შევეცდებით, თანამედროვე ტოპოლოგიური რუკებისა და სიმაღლის ციფრული მოდელით მოვახდინოთ არეალის ტოპოგრაფიული ანალიზი. პირველ რიგში, უაღრესად საინტერესო ფაქტები დაფიქსირდა პალიასტომის ტბის იზობათების შესწავლისას. ტბა ძირითად 5 მეტრის სიღრმისაა, მხოლოდ ნატეხების მიდამოებიდან, სამხრეთის მიმართულებით, ვიდრე მდინარე მალთაყვამდე იზობათები/იზოგიფსები ზღვის დონიდან 5-6 მეტრამდე მერყეობს. (ცხრილი XIII)

როგორც ცნობილია, პალიასტომის ტბის მაქსიმალური სიღრმე 6 მეტრია. პალიასტომსა და შავ ზღვას შორის უღელი, რომელთა შორისაც მოედინება მდინარე კაპარჭინა დახლოებით 8 მეტრია ზღვის დონიდან, ხოლო პალიასტომის სარკე, სადაც ნატეხებია აღმოჩენილი 7 – 8 მეტრს შორის მერყეობს, წელიწადის სხვადასხვა პერიოდში, შესაბამისად, პლიასტომის სარკე უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე შავი ზღვის სარკე. ტბასა და ზღვას ერთმანეთთან აკავშირებს მდინარე მალთაყვა. ბოლო 23 წელიწადში შეინიშნება ხმელეთის საგრძნობი მატება მდინარე მალთაყვსა და შავ ზღვას შორის. კერძოდ, 2000 წელს გადაღებული სატელიტური ფოტოს თანახმად, მდინარე მალთაყვა სწორხაზოვნად გამოედინება პალიასტომიდან და ჩაედინება შავ ზღვაში, თუმცა 2010 წლისათვის უკვე კარგად ჩანს, რომ ჩამოტანილი სილით ხდება ხმელეთის მომატება. შესართავთან, ხმელეთმა 100 მეტრით წინ წაიწია ზღვის მიმართულებით, რამაც ბუნებრივი დაბრკოლება შეუქმნა მდინარე მალთაყვას. დასავლეთიდან დაბლოკა მდინარე. შესაბამისად მდინარე მალთაყვამ შეიცვლა კურსი და ბოლო ნაწილში, მომატებულ ხმელეთზე გაედინება სამხრეთით 1.2 კილომეტრით და მერე ჩაედინება შავ ზღვაში. (ცხრილი XIV)

აღნიშნული წინაღობის წარმოქმნა გვაფიქრებინებს, რომ მსგავსი პროცესები წარსულშიც ხდებოდა, პალიასტომიდან გამომავალი მდინარე ბუნებრივად ბლოკავდა პალისტომს, რამაც შესაძლოა გამოიწვია ტბის სარკის აწევა. შესაბამისად, ნატეხები, დაიძირა . პირობითად პალიასტომს, რომ მიეცეს ბუნებრივად განბლოკვის საშუალება და წყლის დონემ 2 მეტრით დაიწიოს, მხოლოდ ნატხების არეალი ამოვა ხმელეთზე და პალიასტომი შეინარჩუნებს ახლანდელ, არსებულ კონფიგურაციას.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ხელთ არსებული ციფრული სასიმაღლო მოდელი და პალიასტომის ტოფოგრაფიული რუკა აღებულია აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს (ცნობილია NASA-ს სახელით)

ოფიცილური წყაროებიდან, რაც წარმოადგენს დედამიწის რელიეფის ტოპოგრაფიის კვლევის უახლეს რუკას, შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები საინფორმაციო კომპლიქტში მოდის უფრო ადრეულ მონაცემებთან. არსებულ გარემოებაში ჩვენი თვითმიზანი არ არის, რომელიმე ინფორმაციის სანდოობის გადამოწმება. დედამიწის მსოფლიო სასიმაღლო ციფრული მოდელი იხილეთ - NASA-s ოფიციალურ ვებგვერდზე: https://urs.earthdata.nasa.gov/

მაგალითისათვის, ჭ. ჯანელიძე თავის კვლევაში გადმოგვემს, რომ პალიასტომის ტბა მხოლოდ 40 სანტიმეტრითაა შავი ზღვის დონესთან მაღლა. შესაბამისად, ზღვის მინიმალური ცვალებადობაც კი, საუბარია რამდენიმე სანტიმეტრზე გამოიწვევს ტბაში ზღვის შეჭრასა და უბის წარმოქმნას, ხოლო ზღვის დონის დაწევა გამოიწვევს ტბიდან წყლის გადინებას და მათ შორის მანძილი კიდევ უფრო გაიზრდება. (ჯანელიძე 1999:88-89) ამდენად ორ მონაცემს შორის არის მნიშვენლოვანი, შეიძლება ითქვას გადამწყვეტი ფაქტობრივი ცდომილება, რომელიც აბსოლიტურად სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

პალისტომის ტბას რევაზ პაპუაშვილი განიხილავს თავის წიგნში - შავი ზღვის პალეორეჟიმი და მისი გავლენა კოლხეთის დაბლობის დასახლებებზე (ძვ. წ. III – I ათასწლეულებში), რომელიც ძირითადად, ეყრდნობა ზ. ჯანელიძის მონაცმებს.

კუნძული კოლიმბარი- ჩრდილოეთ ნაწილი

ბესარიონ გოგოლიშვილის შექმნილ რუკაზე, კუნძულ კოლიმბარის ჩრდილოეთ ნაწილში, ადგილ ნატეხებიდან ჩრდილოეთით, 1.3 კილომეტრის მოშორებით დატანილია ლეგენდა, რომელიც მიუთითებს ძველი მონეტების აღმოჩენის ადგილს. მოცემულ ადგილი დაიზვერა ინტენსიურად, დათვალიერდა ყველა შესაძლო თხრილი, თუმცა ადგილზე გაშენებულია საბჭოთა პერიოდის სამხედრო საფორთიფიკაციო სანგრები, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა გარემოზე. გარდა ამისა, პოლიგონის ტერიტორია მოსწორებულია ბეტონის 30 სანტიმეტრიანი ფენით. ადგილზე მხოლოდ ორი ამფორის გვერდის ნატეხი აღმოჩნდა, რომელთაც გოფრირეული ზედაპირი აქვს და მოწითალოდ არის გამომწვარი. კოორდინატები: 37 N 722802.70 E 4668178.04 N; ამფორის ნატეხები არა დიაგნოსტიკურია, მაგრამ კეცის მიხედვით, ის გარკვეულ მსგავსებას ავლენს ადგილ ნატეხებში გამოვლენილ კერამიკასთან.

სამწუხაროდ, აღნიშნული ტერიტორია მთლიანად სახეცვლილია, ამდენად, პერპსექტივაში რაიმე არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენა გაძნელდება. ჩვენთვის საინტერესო იყო აღნიშნული ადგილის გადამოწმება, რადგან ფოთის მიდამოებში აღმოჩენილია ორი მონეტა, კერძოდ, ორი ცალი კოლხური თეთრის დიდრაქმა (მეორე ტიპის), რომლის პერიოდიც ძვ. წ. V საუკუნით განისაზღვრა. (Дундуа, 1987, გვ. 14-15)

პალიასტომის ჩრდილო - დასავლეთით დაფიქსირებული არქეოლოგიური ობიექტი.

ბესარიონ გოგოლიშვილის რუკაზე, პალიასტომის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროზე დატანილია ლურჯ-თერთი ლეგენდა, რომელიც განმარტებულია, როგორც, ბრინჯაოს არტეფაქტის აღმოჩენის ადგილი. გელა გამყრელიძის მიერ გამოქვეყნებულ რუკაზე აღნიშნულ არეალში დატანილია ძეგლის გავრცელების არეალი, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ტერიტორიის ზედაპირული დაზვერვა. ადგილის დათვალიერების შედეგად, პალიასტომის ტბაში, სანაპიროდან არაუმეტეს სამ მეტრში გამოვლინდა 4 კერამიკის ფრაგმენტი. (კოორდინატები: 37 N 722887.26 m E 4668923.53 m N) არაა გამორიცხული ხმელეთზეც იყოს გავრცელებული კერამიკა, თუმცა ტერიტორია ფართოდაა დაფარული ჭაობის მაღალი ვეგეტაციით. სანაპიროს ჩრდილოეთის ნაწილი, სადაც გამოვლინდა კერამიკის ფრაგმენტები არ აღემატება 30 სანტიმეტრ სიღრმეს. აკრეფილ კერამიკაში ორი არადიაგნოსტიკური ნატეხია. დანარჩენ ორს შორის, ერთი კრამიტის ფრაგმენტია, რომელიც განეკუთვნება გვიან-ანტიკურ და ადრეული შუა საუკუნეების პერიოდს. კრამიტი მოყავისფრო ფერისაა, გადაკეცილი გვერდის სიმაღლე 3.5 სანტიმეტრია, უხეშადაა განლექილი კეცი. მეორე ფრაგმენტი ამფორის ძირია, რომელიც ბაცი ფერისაა, აქვს წვრილი შავი ფერის ჩანართები.

მდინარე კაპარჭინა

მდინარე კაპარჭინას ჩრდილოეთ ნაწილში, ფოთის თანამედროვე სასაფლაოსთან, არხის სანაპიროსთან ვხვდებით კერამიკის ფრაგმენტებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ კერამიკა ამოყრილია არხიდან. მოპოვებული მასალა ავკრიფეთ 2018 და 2019 წლის სადაზვერვო სეზონზე. გარდა ამისა, 2020 წელს არხის წმენდისას, კიდევ აღმოჩნდა რამდენიმე გვერდებაკეცილი კრამიტის ფრაგმენტი, რომელიც ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში ჩააბარეს. დაზვერვების პერიოდში სულ აღმოჩნდა 18 ფრაგმენტი, მათ შორის გვერდებაკეცილი კრამიტის 4, კერამიკული ტარის/ამფორის 6, სამზარეულო ჭურჭლის, არადიაგნოსტიკური კერამიკის 4 ფრაგმენტი. გარდა ამისა, მომრგვალებული ქვის ფრაგმენტი, რომელიც შესაძლოა ბადის სიმძიმე იყოს. კოორდინატენი: 37T 722519.31 m E 4668029.78 m N;

არხი უშუალოდ ესაზღვრება თანამედროვე სასაფლაოს, მაგრამ ტერიტორიის დაზვერვამ შედეგი არ გამოიღო, ზედაპირზე კერამიკა არ იკრიფება.

ნაჯიხური - ფოთის აეროპორტის ტერიტორია

ფასისის არქეოლოგიისათვის უმნიშვნელოვანესი არქეოლოგიური ობიექტი იყო აეროპორტთან მდებარე ძეგლი - ნაჯიხური. მისი ზუსტი ფუნქციისა და ქრონოლოგიის განსაზღვრა, სამწუხაროდ, გასული საუკუნის ურბანულმა განვითარებამ, კერძოდ, აეროპორტისა და ფოთის/რიონის არხის მშენებლობამ შეიწირა. ქალაქ ფოთის ქალაქ-განვითარების ტენდენციამ ჩრდილო აღმოსავლეთის

მიმართულებით მოასწორა აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც, სავარაუდოდ, ოთხკუხთა ფორმის თავდაცვითი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. სწორედ აღნიშნული ძეგლი შესაძლოა გამხადარიყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გასაღები ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის დადგენისათვის. ჩვენი მიზანია აღნიშნულ ქვეთავში მიმოვიხილოთ, ის ინფორმაცია და ისტორიული მონაცემები, რაც ჩვენთვისაა ცნობილი. შევაჯამოთ და თავი მოვუყრაოთ აქ ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებს.

მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ სწორედ ნაჯიხური მოინახულა დიბუა დე მონპერემ 1833 წლის სექტემბერში. რომელმაც ძეგლი მიაბა აგათია სქოლასტიკოსის მიერ გადმოცემულ საისტორიო პერიპეტიებს. დიბუა დე მონპერეს გადმოცემით, იგი ფოთში აღმოსავლეთის მიმართულებიდან ჩავიდა. კერძოდ, ჭალადიდიდან ფოთისკენ, რიონის გაყოლებით. 21-22 ვერსის (11 კილომეტრი დაახლოებით) დაშორებით, სადაც აღწერს რიონის თვისებებს. აღნიშნული მოგზაურობის მონაკვეთზე, ასევე, ახსენებს არგონავტებს და უთითებს იმ კონრეტულ ადგილმდებარეობებს, სადაც გადმოსხდნენ ულისე, ფრიქსიუსი და არგონავტები. [მაღრაძე 2007:63-65; დიბუა დე მონპერე] ზოგადად, რენესანსის პერიოდიდან მოყოლებული, მათ შორის XIX საუკუნეში, ძალზე პოპულარულია ბერძნული მითოლოგია და ხშირად, ევროპელი მოგზაურები, მათ შორის დიბუა დე მონპერეც, ხშირად ახსენებს არგონავტიკას და ცდილობს მითოლოგიური გადმოცემები დაუკავშიროს სხვადასხვა ტერიტორიებს და ისტორიულ ძეგლებს. გარდა მითებისა დიბუე დე მონპერე კარგად იცნობს საისტორიო წყაროებს და ნაჯიხურს უკავშირებს ფლავიუს არიანეს პერიპლიუსში არსებულ მონაცემებს. ვხვდებით მცირე ჩანაწერებს ნაჯიხურის აღწერილობიდან, კერძოდ, კარები ზღვისკენ არის მიმართული, ხოლო კუთხეებში აღმართულია კოშკები, აგურები ერთმანეთთან დაკავშირებულია მოწითალო დუღაბით, ციხის შიდა ტერიტორია 140 ნაბიჯია, სადაც მისი ვარაუდით შესაძლებელია ერთი კოჰორტის (400 ჯარისკაცი) განთავსება. მისი გადმოცემით ადგილი ძალიან დაჭაობებულია და დაფარულია მდინარის ჩამოტანილი შლამის სქელი ფენით, იგი ამ მოვლენებს მდინარის ადიდებით ხსნის და არა ზღვის დონის ცვალებადობით. იგი იცნობს სტრაბონის ცნობებს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქალაქმა რამდენჯერმე იცვალა ადგილმდებარეობა. [მაღრაძე, 2007, გვ.65]

ნაჯიხურის შესახებ მონაცემებს განიხილავს არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი. მისი ცნობით 1970 წელს აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოებისას, რომელიც გურამ გრიგოლიამ შეასრულა, 1.4 მეტრ სიღრმეზე დადასტურდა 4 არქეოლოგიური ფენა, რომლიდანაც უძველესი ახ. წ. II საუკუნით თარიღდება. ჩვენთვის საინტერესოა ე.წ. სანერგის მეურნეობა, რომელიც ქალაქის არხის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს, სადაც აღმოჩნდა კირხსნარით ნაგები შენობის ნაშთები და გამოვლინდა საყოფაცხოვრებო კერამიკა, თუმცა ყურადღებას იქცევს აქ აღმოჩენილი ორი ამფორა, ერთი ფრაგმენტულად, მხოლოდ

ძირის ნაწილია შემორჩენილი, ხოლო მეორე მთლიანადაა შემორჩენილი. აღნიშნული ამფორები კარგადაა ცნობილი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მას ე.წ. წელში გამოყვანილი ამფორის სახელით იცნობენ და ძირითადად IV-VI საუკუნის პერიოდში არის გავრცელებული. (პაპუაშვილი, 2011, გვ.33)

აღნიშნულ ტერიტორიაზე ბოლო 20 წელიწადში ჩატარდა ორი სადაზვერვო ხასიათის არქეოლოგიური სამუშაო. აღნიშნული კვლევა განახორციელა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) არქეოლოგიური მიმართულების პროფესორებმა: პირველი სამუშაოები შეასრულდა 2007 წელს პროფესორ გურამ გრიგოლიასა და პროფესორ ზვიად კვიციანის მიერ. ექსპედიცია რამდენიმე მიმართულებით მუშაობდა, მათ შორის ნაჯიხურის მიდამოებშიც, სადაც გაავლეს ორი სადაზევრო შურფი ძეგლის ხასიათის დადგენისათვის. ექპედიციამ მიაკვლია რამდენიმე ჭურჭლისა და გამომწვარ-გადამდნარი კრამიტის ფრაგმენტებს, აეროპორტის აღმოსავლეთით ლეილა თოლორდავას საკარმიდამო ნაკვეთთან. მიკვლეული მონაცემების მიხედვით მასალა გვიან-ანტიკური და ადრე-ბიზანტიური პერიოდით დათარიღდა. (გრიგოლია, 2007, გვ.5)

მეორე სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები შესრულდა 2011 წელს თსუ-ს არქეოლოგიის ინსტიტუტისა და გერმანიის ნატურალური ისტორიის საზოგადოებასთან თანამშრომლობით, რომელსაც პროფესორი ვახტანგ ლიჩელი და გურამ გრიგოლია ხელმძღვანელობდნენ. აეროპორტის ტერიტორიზე სადაზვერვო თხრილების გასაჭრელად შეირჩა ის ფართობი, რომელიც მდებარეობს მდ. რიონის ნაპირზე, ასაფრენი ბილიკის ჩრდილოეთით, მისგან 60 მეტრის მოშორებით. ამ ტერიტორიიდან ცნობილი იყო კრამიტისა და ბათქაშის ნატეხები. (გრიგოლია 2011 - საველე ანგარიშები)

პირველი თხრილის გასაჭრელად სწორედ ის ადგილი შეირჩა, სადაც ყველაზე მეტი ფრაგმენტები იკრიფებოდა. პირველი თხრილის ფართობი იყო 55 მ. გამოიკვეთა შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი:

1. ჰუმუსური ფენა (10-15 სმ);

2. მეორე ფენა - მუქი ფერის თიხანარევი ფენა (შერეული თიხა და მიწა), რომლის სიმძლავრე არის 30 სმ. ეს ფენა შეიცავს ისეთივე ტიპის ფრაგმენტებს (კრამიტისა და ბათქაშის), როგორებიც ზედაპირულად შეგროვდა;

3. მესამე ფენას წარმოადგენდა წებოვანი ფენა ღია-ყავისფერი – მოყვითალო ფენა, მაგრამ ჩაჭრის დროს ჰქონდა უფრო მოცისფრო შეფერილობა. მეორე და მესამე ფენები ერთმანეთში იყო შერეული. მესამე ფენაში ასევე აღმოჩნდა კრამიტის ფრაგმენტები;

4. მეოთხე ფენა წარმოადგენდა მუქი-ყავისფერი ფერის თიხას;

5. მეხუთე ფენაც, ასევე მოცისფრო-მორუხო ფერის თიხა იყო. ამ ფენაში არ აღმოჩნდა არავითარი მასალა, გარდა ერთი დამწვარი ფრაგმენტისა. ეს უკანასკნელი აღმოჩნდა 1,60 მ-ზე. სხვა მასალა აქ აღარ აღმოჩენილა. საზოგადოდ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მუქი - ყვითელი თიხნარი კულტურული ფენა გვხვდება ყველა თხრილში და მისი სიმძლავრე მერყეობს 50 სმ და 1,5 მეტრს შორის.

პირველი თხრილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, 20 მ-ზე გაკეთდა კიდევ ერთი თხრილი, რომლის ზომებია: 28 მ, სადაც იგივე სტრატიგრაფიული სურათი დადასტურდა, თუმცა კულტურული ფენების განაწილება რამდენადმე განსხვავებულია: თხრილის ჩრდილო ნაწილში კულტურული ფენა ჩნდება 30 სმ-ის სიღმეზე და უშუალოდ მოსდევს ყვითელ თიხანარევ ფენას. კულტურული ფენა დაქანებულია სამხრეთის მიმართულებით და # 2 თხრილის სამხრეთ ნაწილში ჩადის 1 მეტრის სიღრმეზე. ეს ფენა შეიცავს ისეთივე ტიპის ფრაგმენტებს (კრამიტისა და ბათქაშის), როგორებიც # 1 თხრილში აღმოჩნდა.

საზოგადოდ, აქაც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც # 1, ისე #2 თხრილში აღმოჩენილი ფრაგმენტები, რომლებიც გვიან-რომაული ან ადრე-ბიზანტიური ხანის მასალასთან პოულობს ანალოგებს, მეტისმეტად ფრაგმენტირებულია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პირველადი მსხვრევის შემდეგ, ისინი კვლავ არის დანაწევრებული. ამისი დასტურია ის, რომ კრამიტის არც ერთი ფრაგმენტის ზომა არ აღემატება 15X10 სმ-ს ან კიდევ უფრო მცირე ზომისაა. საველე პრაქტიკა უჩვენებს, რომ ისეთი მასიური კერამიკული ნაწარმი, როგორიც კრამიტია, ჩვეულებრივ საკმაოდ დიდი ზომის ნატეხებად იმტვრევა. ამის გამო არ არის გამორიცხული, რომ კრამიტისა და ბათქაშის ამ ადგილზე კონცენტრაცია მეორეულია ანუ ნგრევის პროცესი აქ არ მიმდინარეობდა.

აეროპორტის მიმდებარე ამავე ფართობზე გაიჭრა კიდევ 18 თხრილი, რომლებშიც ერთიდაიგივე სტრატიგრაფიული სურათი დადასტურდა: ჰუმუსური ფენის შემდეგ მოდის თიხნარი ფენა (სიმძლავრე მერყეობს 50 სმ და 1,5 მეტრს შორის), რომლის მოხსნის შემდგომ თხრილებში ინტენსიურად იწყება გრუნტული წყლის შემოსვლა.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია # 20 თხრილი. იგი გაიჭრა იმ ჭაობიანი ზოლის არეალში, რომელიც იმ სავარაუდო დიხაგუძუბების ტერიტორიასთან ახლოს უნდა იყოს, რომლებიც აეროპორტის მშენებლობის დროს განადგურდა. დადასტურდა შემდეგი სტრატიგრაფიული სურათი: ჰუმუსურ ფენას მოსდევს სტერილური ყვითელი თიხნარი (80სმ) ფენა, რომლის შემდგომ დასტურდება ტორფის ფენა (დაახლებით 30-40 სმ-ის სიმძლავრის). მას მოსდევს მოლურჯო თიხნარი ფენა, რომელშიც უკვე საკმაოდ ინტენსიურად იწყება გრუნტული წყლების გამოსვლა (სიმძლავრე საშუალოდ 80 სმ – 1 მეტრი). ამ ფენაში დადასტურდა ხის პალო, რომლის სიგრძე 35 სმ-ია და რომელსაც ერთ ბოლოში აქვს წამახვილებული წვერი. ამავე დონეზე აღმოჩნდა უსახო კერამიკული

ფრაგმენტები, რომლებიც კეცის მიხედვით, ზოგადად, ანტიკურ ხანას განეკუთვნება. ამ ფენის შემდგომ გრძელდება შედარებით თხევადი თიხის ფენა და იწყება გრუნტული წყლების უხვი შემოდინება თხრილში, რომელიც თხრილიდან ამოიქაჩებოდა ორი ტუმბოს საშუალებით. თხრილის დაღრმავება შეწყდა 3,8 მეტრის სიღრმეზე.

გარდა სადაზვერვო შურფებისა, ამავე ტერიტორიის შემოწმება გეოლოგიური შურფებითაც მოხდა. სულ გაიჭრა 10 ჭაბურღილი, რომლებშიც იგივე სტრატიგრაფიული სურათი დადასტურდა, როგორც არქეოლოგიურ თხრილებში. ჭაბურღილებს არავითარი არქეოლოგიური მასალა არ მოუცია.

ნაჯიხურის ტერიტორია დავზვერე 2017 წელსაც, რადგან ფოთის კოლხური მუზემის თანამშრომელმა - გიორგი ჟველიამ მომაწოდა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე, საქართველოს საჰაეორო ნავიგაციის სამსახურის მიერ მონტაჟდებოდა ე.წ. რადარი. სამშენებლო სამუშოები უშუალოდ მიმდინარეობდა 2011 წელს გაჭრილი სადაზვერვო შურფების მომიჯნავეთ 10-15 მეტრის დაშორებით აღმოსავლეთით. სამწუხაროდ, სამშენებლო სამუშაოების დათვალიერება პოსტ ფაქტუმ მოხდა, რა დროსაც უკვე ამოთხრილი იყო სამშენებლო მოედანი (8X8 მეტრზე), და უკვე შესრულებული იყო ბეტონის სამუშოები. გადანაყარ მიწაში მრავლად დაგვხდა მცირე ზომის, 5 სანტიმეტრამდე არადიაგნოსტიკური ბათქაშისა და კრამიტის ფრაგმენტები.

ნაჯიხურის შესახებ მასალები ძალზედ მცირეა, ვხვდებით მხოლოდ მეორეულ ფენებს, რომელიც აზელილია ჰუმუსოვან ფენაში, ადგილის ტოპოგრაფია მთლიანად ნიველირებულია და თითქმის აღარ გვხვდება, ბუნებრივი, თუ ხელოვნური შემაღლებები.

ნაჯიხურის ადგილმდებარეობა

მკვლევართა უმრავლესობაში დამკვიდრებული აზრია, რომ ნაჯიხური ფოთის აეროპორტის ტერტორიასთან მდებარეობს. აეროპორტის მიმდებარე ტერიტორია 500 ჰექტარზე მეტია და ეს მხოლოდ ახალი არხის მარცხენა სანაპირო. (ტაბულა XV) ამდენად, სხვადასხვა რუკების გამოყენებით, ე.წ. გეორეფერენსირების მეთოდით დავადგინოთ ძეგლის ზუსტი მდებარეობა. ჩვენს შემთხვევაში ვიყენებთ, სულ 7 არსებულ რუკას, ესენია: „Google - ის“ სატელიტური ფოტო, 1968 და 1962 წლით დათარიღებულ კორონას სატელიტური ფოტო[45], იუსტიციის სამინისტროს ონლიან ბაზაში არსებულ 25 000-იანი მასშტაბის

[45] Corona (satellite) - ამერიკული სადაზვერვო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა უმთავრესად სობჭთა კავშირისა და ჩინეთის თვალთვალს სატელიტების მეშვეობით, პროექტი ხორციელდებოდა 1959 - 1972 წლებში. მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ: https://www.usgs.gov/centers/eros. (Ruffner 1995) ჩვენს შემთხვევაში ვიყენებთ 1968 წლით დათარიღებულ სატელიტურ ფოტოს, რომელიც მოიცავს ფოთის ტერიტორიას და ვრცელდება ქალაქ სენაკამდე.

ტოპოგრაფიული რუკა, ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში დაცული ბესარიონ გოგოლიშვილის რუკა და პროფ. ვახტანგ ლიჩელის მოწოდებული რუკა (1951 წლის), რომლიც ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის არქივებში ინახებოდა. უკანასკნელი რუკა გამოქვეყნებულია რევაზ პაპუაშვილი 2011 წლის სტატიაში.

1951 წლის რუკა მკვეთრად მუქი ფერით გამოირჩევა, მაგრამ ციხის ოთხკუთხა კონტური კარგად იკვეთება. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა 1962 წლით დათარიღებულ ე.წ. კორონას სატელიტურ ფოტოზე, სადაც კარგად განირჩევა ციხის კონტური და მის გარშემო არსებული თხრილი.

ჩვენი აზრით, ნაჯიხურის ეს კომპლექსი გამოყენებული იყო რუსეთ-თურქეთის ომების დროს, რაც კარგად აქვს აღწერილი ნიკო დადიანს, რომელიც უკვე განვიხილეთ ფასისის შესახებ არსებულ ცნობებში. ამდენად, შესაძლოა ნაჯიხურის გარშემო, თავდაცვითი თხრილი ოსმალური იმპერიის დროს გაიჭრა. ნიკო დადიანის ქართველთა ცხოვრებაში მოხსენიებული ფარეხი და სანგალი შესაძლოა ნაჯიხურთანაც გაიგივდეს. 1962 წლის სატელიტურ რუკაზე, კარგად არ განირჩევა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ნაჯიხურის ჩრდილოეთი ნაწილი უკვე დაზიანებული იყო ფოთის არხის გაჭრის დროს. (ტაბულა XV)

„Google - ის“ სატელიტური ფოტო რეფერენსირებულ მოდელში ასრულებს ბაზისური რუკის ფუნქციას, რომელზეც მივაბით დანარჩენი სამი აღნიშნული რუკა. თანამედროვე სატელიტურ ფოტოზე მიბმა გვეხამრება ძველი რუკების თანამედროვეობასთან კომპერავისტიკაში, რათა დავინახოთ ცვლილებები ბოლო ასი წლის მანძილზე.

25 000-იანი მასშტაბის რუკა ამ შემთხვევაში, საშუალებას გვაძლევს გამოვითვალოთ ძეგლის არსებული ფართობი და გეორეფერენსირების მეშვეობით გავარკვიოთ ძეგლის ზუსტი ლოკაცია. რუკაზე დატანილი 4 სიმაღლე ერთმანეთთან მიმართებაში, მეტნაკლები სიზუსტით ქმნის კვადრატულ ფორმას. არსებული შიდა სივრცე არ აღემატება 3 ჰექტარს. სიმაღლეებს შორის დაშორება 170 მეტრია. (ტაბულა XV) გეორეფერენსირებისათვის საჭირო ლოკაციებად შეირჩა ისეთი მყარი წერტილები, რომელიც ვიზუალურად კარგად იკითხება, როგორც „Google - ის“ სატელიტურ ფოტოებზე და ტოპორუკაზე. დადგენილი პრაქტიკიდან, ესენია უცვლელი სტრატეგიული ნაგებობები, ხიდები, ისტორიული ძეგლები და ასე შემდეგ.

რეფერენსირების შედეგად მიღებული სიმაღლეების კოორდინატებია:

კოშკი/სიმაღლე	GPS კოორდინატი	
	X	Y
ჩრდილო-დასავლეთი სიმაღლე	722628.4	4671874.4
ჩრდილო-აღმოსავლეთი სიმაღლე	722804.0	4671875.6

სამხრეთ- დასავლეთი სიმაღლე	722651.5	4671703.4
სამხრეთ-აღმოსავლეთის სიმაღლე	722802.4	4671752.7
კოორდინატები მოცემულია UTM 37 N - ის სისტემაში.		

ნაჯიხურის კოორდინატების ასეთმა დაზუსტებამ რამდენიმე მნიშვნელოვანი ანალიზის გაკეთების საშუალება მოგვცა, კერძოდ, გასული საუკუნის შუა პერიოდამდე, ძეგლის მახლობლად, რიონის განშტოება არ გადიოდა. აღნიშნულ განშტოებას არქეოლოგი რევაზ პაპუაშვილი ქალაქის არხის სახელით იხსენიებს. (პაპუაშვილი 2011:33) ტოპოგრაფიულ და სატელიტურ რუკებზე კარგად იკითხება, რომ ახალი არხია გაჭრილი, იმ ადგილიდან, სადაც გამართულია დამბა, რომელიც არეგულირებს რიონის ნაკადს და იცავს ქალაქს დატბორვისაგან. ძველი ტოტი ნახევარწრიული მოყვანილობისაა და პარალელურად მიუყვება რკინიგზას. კორონას სატელიტურ ფოტეზე ასევე, კარგად ჩანს, რომ არხი არაა ბოლომდე ექსპლუატაციაში შესული და ბოლო 100 მეტრიანი მონაკვეთი არაა გაჭრილი. 1965 წლამდე არსებული ტოპოგრაფიული რუკა კარგად ემთხვევა დიბუა დე მონპერს მიერ აღწერილ გარემოებას, კერძოდ, პალეო მდინარის არხიდან 600 მეტრითაა დაშორებული ნაჯიხურის ციხე. მისი ცნობით 700 ნაბიჯითაა დაშორებული მდინარე ფასისიდან და ირგვლივ გაუვალი ჭაობებია. (მაღრაძე 2007: 65; დიბუა დე მონპერე)

რაც შეეხება ძეგლის მოცულობას, როგორც უკვე აღინიშნა 170 X 170 მეტრის ზომის დაახლოებით 3 ჰექტარამდე ფართობია. ძეგლის მასშტაბის სრული აღქმისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევადაროთ იგივე ქრონოლოგიური პერიოდის ციხე-სიმაგრეებს, მაგალითისათვის გონიოს შიდა ციხის შიდა ფართობი 4.5 ჰექტარია, ბიჭვინთის ციხის შიდა ციხის ფართობი, ნახევწრიული მინაშენით 7 ჰექტარი. არქეოპოლისი - ციხეგოჯის ფორტიფიცირებული სამივე ნაწილი 15 ჰექტარს აღწევს. ვარდისციხე (ვარციხე) 3.5 ჰექტარს აღწევს.

კერამიკა

ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში ინახება 52 ერთეული არტეფაქტი, რომელიც ფოთის აეროპორტის ტერიტორიიდან არის შეტანილი პროფესორ გურამ გრიგოლიას მიერ. არტეფაქტები ინახებოდა ორ მუყაოს ყუთში, ხოლო ეტიკეტები დაწერილია თავად არქეოლოგ - გურამ გრიგოლიას მიერ. მუზეუმის საცავში არსებულმა შეუთავსებელმა კონდიციებმა დააზიანა ეტიკეტები, თუმცა გარჩევით იკითხება, რომ მასალა შესულია აეროპორტის ტერიტორიიდან (ნაჯიხური). ეტიკეტი დათარიღებულია 1987 წლით. 52 ცალი არტეფაქტიდან 49 სამშენებლო კერამიკაა (40 კრამიტი, 9 აგური). მათგან 26 ცალზე აღინიშნება დამწვრობისა და

დეფორმაციის კვალი. კრამიტებში ვხვდებით, როგორც გვერდებაკეცილ, ასევე ღარიან კრამიტებს. ძირითადად გამოკვეთილია, მოწითალო, ან მოწითალო-მოყავისფრო შეფერილობა. მასალაში ჭარბობს გვერდებაკეცილი კრამიტი, რომელიც შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. ცალსახად, მასალის სიმწირის გამო ვერიდებით კრამიტების სისტემურ კლასიფიკაციას.

პირველი ჯგუფი

აკეცილი გვერდის სიმაღლე 4 სანტიმეტრამდეა, სიგანე 2 სანტიმეტრი, ხოლო ბორტის თავი (აკეცილი გვერდის თავი)მომრგვალებული. კრამიტის ბრტყელი, ქვედა ნაწილის სიმაღლე 1 სანტიმეტრამდეა.

მეორე ჯგუფი

აღნიშნული ჯგუფი პირველ ჯგუფთან შედარებით გამოირჩევა კედლის სისქით, რომელიც უფრო ვიწროა, სისქე 1.2 სანტიმეტრი, სიმაღლე 3 სანტიმეტრი. ბორტის თავი ასევე მომრგვალებულია.

მესამე ჯგუფი

მესამე ჯგუფი დანარჩენი ორისგან გასხვავდება სისქით, აკეცილი გვერდის სიგანე 2 სანტიმეტრამდეა, გარდა ამისა, ზედაპირი მოსწორებული, გადაკეცვის ადგილას, შიდა კუთხეში დაუყვება ღარი, რომელიც სავარაუდოდ შემორჩენილი ანაბეჭდი უნდა იყოს.

გარდა ამისა, გვაქვს ერთი ღარიანი კერამიკის ფრაგმენტიც. აგურების უმეტესობა დეფორმირებულია ძლიერი ხანძრის გამო.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ გურამ გრიგოლიას მიერ შეგროვებული მასალა მხოლოდ ფორმიანი არტეფაქტებია და აქვს დიაგნოსტიკური მახასიათებლები. სელექციის ასეთი ფორმა, არ გვაძლევს მყარი დასკვნების გაკეთების საშუალებას, მაგრამ ფრთხილი, ვარაუდის გაკეთების საშუალებას იძლევა. აღნიშნული კრამიტის ფორმები დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს გვიან-ანტიკური და ადრე-შუა საუკუნეების ძეგლებისათვის. კერძოდ, აღნიშნული ტიპის კრამიტები გვხვდება: ვარციხეში, მაჩხომერიში, ვაშნარში, ფოთის 5 სხვადასხვა ლოკაციაზე, მათ შორის ადგილ ნატეხებში, მდინარე კაპარჭინაში და ასე შემდეგ.

აეროპორტის მშენებლობამ და ნაწილობრივ არხის გაჭრამ მთლიანად გაანადგურა ძეგლი. ლანდშაფტი შეცვლილია, მოზვინულია ახალი მიწა, რომელიც არხიდან ამოიღეს. სადაზვერვო შურფებმა მხოლოდ მეორეული ფენები დააფიქსირა. ჭაბურღილებმა, რომელიც 2011 წლის ექსპედიციის ფარგლებში ზოლენი გაბელაიამ გაჭრა არ დააფიქსირა არქეოლოგიური კულტურის ე.წ. *in situ* ნაშთები. დღევანდელი მონაცემებით, შედარებით უკეთესი მდგომარეობაა არხის

გადაღმა, სადაც ნაკლებადაა განაშენიანება და არსებობს არქეოლოგიური მონაცმები და დაფიქსირებული ნაგეგბობის კვალი.

სანერგე მეურნეობის გვიან-ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური ობიექტი

სანერგე მეურნეობის არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს ადგილი ნაჯიხურის გადაღმა, რიონის ახალი არხის ჩრდილოეთ სანაპიროზე. შეიძლება ითქვას, აღნიშნული ობიექტი ნაჯიხურის ერთგვარი გაგრძელებაა. ტერიტორიაზე გამოვლინდა ერთი მთლიანი, წელში გამოყვანილი ე.წ. კოლხური ამფორა, ხოლო მეორე ამფორის მხოლოდ ძირი. ადგილზე გამოვლინდა სამშენებლო კერამიკისა და ჭურჭლის მრავალი ფრაგმენტი, რომელიც თეიმურაზ მიქელაძემ ახ. წ. IV-VI საუკუნეებით დაათარიღა. (მიქელაძე, 1978, გვ. 78)

სანერგე მეურნეობაში დადასტურებულია ნაგებობის კვალიც, რომელიც კირხსნარით არის ნაგები. ნაჯიხური და სანერგე მეურნეობა გაშენებული იყო მდინრე რიონის რკალში და არხის მშენებლობამ ძეგლი ორ ნაწილად გაყო. არაა გამორიცხული სიმაგრის მეორეული ფენები მომდინარეობდეს სწორედ არხიდან და არა ნაჯიხურის ნგრევიდან წარმოქმნილი კულტურული ფენებიდან. (პაპუაშვილი, 2011, გვ. 33)

შუა საუკუნის და ფოთის ურბანიზაციემდელი არქეოლოგიური ძეგლები.

ფასისის-ფოთის არქეოლოგიაში ყველაზე უფრო მცირე არქეოლოგიური ცნობები მოგვეპოვება. უმთავრესი ძეგლი ფოთის კოშკის ტერიტორიაა, სადაც გამოვლენილია შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოჭიქული კერამიკა. მდინარე რიონის აყოლებაზე შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები გვხვდება რამდენიმე ადგილას: პატარა ფოთში, რომელიც გოგიტა ჩიტაიამ გამოავლინა. სიმაგრესთან გაჭრილ N26 თხრილში, რომელზეც ინფორმაციას ვხვდებით თეიმურაზ მიქელაძის პუბლიკაციებში. გარდა ამისა, საქორქიოს მიდამოებში ზედაპირული დაზვერვებისას სახნავ-სათესს ტერიტორიებზე არის შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი კერამიკა. აღნიშნულ პერიოდში, გვიან-ანტიკურსა და ადრეულ-შუა საუკუნეებთან შედარებით შეიმჩნევა ძეგლების სიმცირე, თუმცა ქალაქი ფასისი და მდინარე რიონი არ კარგავს თავის აქტუალურობას.

ფოთის (ნიკო ნიკოლაძის) კოშკის არქეოლოგია [46]

კოშკი მდებარეობს ქალაქის ცენტრში, ე.წ. წრიული პარკის ჩრდილო დასავლეთით. როგორც ცნობილია, აღნიშნული კოშკი XIX საუკუნეში უნდა

[46] სადისერტაციო ნაშრომის ეს ნაწილი გამოქვეყნებულია სამეცნიეორო სტატიის სახით, რომელიც წარმოადგენს დოქტორანტურის სტუდენტისათვის ნაშრომის დაცვისათვის საკვალიფიკაციო ვალდებულებას. (ნასყიდაშვილი, 2019)

აშენებულიყო, რომელსაც თავდაპირველად კონუსური ფორმის შპილი ჰქონდა, თუმცა მოგვიანო პერიოდში, 1896 წელს, ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით კოშკს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. რის შემდეგაც, სწორედ მის სახელს ატარებს. აღნიშნული კოშკი, სწორედ ფაშის ციხის ჩრდილო კარიბჭეზეა (პორტის კარი) დაშენებული და დღესაც შეიმჩნევა, იმ პერიოდის სასიმაგრო გალავნის კონსტრუქცია, რომელიც მხოლოდ ფრაგმენტულად არის შემორჩენილი კოშკის ჩრდილოეთ და სამხრეთ გაგრძელებაზე. (ტაბულა XVI. სურ. 1)

როგორც ჩვენთვის ცნობილია უშუალოდ ნიკოლაძის კოშკის მიდამოებში, ე.წ. პარკის ტერიტორიაზე სტაციონალური, ან სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა. ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში ინახება ორი ყუთი არასტრატიფიცირებული და უეტიკეტო მოჭიქული კერამიკის მასალა, რომელზეც არანაირი ჩანაწერი არ მოიპოვება. უხეში ზედაპირული დაკვირვებით, მასალა შეესაბამება X-XIV საუკუნეებს, მაგრამ მასალის წარმომავლობასთან დაკავშირებით არსებობს პასუხგაუცემელი კითხვები, ამდენად, ჩვენს კვლევაში ნახსენები ჭიქურიანი კერამიკის ჩართვა, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია.[47] (ტაბულა XXX სურ. 3)

ფოთის პარკის ტერიტორიაზე შევასრულეთ არქეოლოგიური სადაზვერვო სამუშაოები, რომლის დროსაც, პარკის მთელ ფართობზე გამოვლინდა კრამიტის მცირე ზომის ფრაგმენტები. კრამიტებს ხშირ შემთხვევაში არ აქვს დიაგნოსტიკური მახასიათებლები, თუმცა არის, რამდენიმე ნატეხი, რომელიც ქრონოლოგიური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ნიკო ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაციის პერიოდში, 2017-2018 წლებში, ფაშის დროინდელი ჩრდილოეთ კედლის გაგრძელებასთან გაიჭრა სამშენებლო თხრილი, რომლის დროსაც აღმოჩნდა კერამიკული მასალა (ტაბულა XVI. სურ. 2-3). ძირითადად გამოიკვეთა კრამიტის ფრაგმენტები, რომლის ტიპოლოგიური ფორმაც აქამდე უცნობი იყო ფოთის შემოგარენისათვის.[48]

---

[47] ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმის მუშაობის პერიოდში გადავამოწმე, ფოთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმ. თეიმურაზ მიქელაძე) საველე დავთრები და კატალოგები, რომელსაც ნუმერაციის სტანდარტი (საინდიფიკაციო ნომერი) არ შეესაბამება აღნიშნულ მასალას. გარდა ამისა, გადამოწმდა ალექსანდრე გოგოლიშვილის დავთრები, სადაც არ მოიპოვება ინფორმაცია შუა საუკუნეების მოჭიქულ კერამიკაზე.

[48] მხედველობაში გვაქვს ფოთის აეროპორტთან და პალიასტომში, ე.წ. ნატეხებიდან მომდინარე კრამიტის ფორმები.

სამწუხაროდ, სამშენებლო სამუშაოების პერიოდში, მასალა თხრილიდან ამოღებულია სტრატიგრაფიული მეთოდის უგულვებელყოფით. არ ვიცით, რომელი ფენიდან არის ამოღებული კერამიკის ფრაგმენტები[49].

გამოვლენილი კერამიკული მასალის ინტერპრეტაცია

ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაციის პერიოდში სულ გამოვლენილია 261 არტეფაქტი, ძირითადი ნაწილი კერამიკული ნაწარმია, თუმცა ასევე, ერთეულ შემთხვევებში გვხვდება რკინის სხვადასხვა დანიშნულების ინვენტარი. მუშების მიერ მოპოვებულ მასალაში, პროპორციული რაოდენობით ჭარბობს კრამიტი, რაც დაახლოებით 75 % შეადგენს, გარდა ამისა, გვხვდება მცირე რაოდენობით აგურის ნატეხებიც. (ნასყიდაშვილი, 2019, გვ. 278)

ნიკოლაძის კოშკის რეაბილიტაცია ჩატარდა 2017-2019 წლებში. რეაბილიტაციის გარდა, ჩატარდა ფაშის ციხის ქვის გალავნის, იმ შემორჩენილი ნაწილის კონსერვაცია, რომელიც კოშკის ორგანულ ნაწილად არის ქცეული. ჩრდილოეთ ნაწილში, არსებული კოშკის ნაწილის კონსერვაციის მიზნით, მოეწყო შუშის მსუბუქი კონსტრუქცია, ე.წ. გალერეა. სწორედ გალერეის საძირკვლის გაჭრის დროს გამოვლინდა ჩვენთვის საინტერესო არქეოლოგიური არტეფაქტები. გარდა ამისა, ჩატარდა კოშკის სამხრეთ ციხის კედლის რეაბილიტაცია. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ საარქივო ფოტოებში ნათლად ჩანს, შემორჩენილი ქვის გალავნის ქონგურები, ამჟამად ქონგურების ზედა ნაწილი მორღვეულია, ხოლო მის ნაცვლად დაშენებულია სხვდასხვა დანიშნულების ოთახები, რომლებიც ასევე კოშკის გაგრძელებაა. (ტაბულა XVII. სურ. 1)

კრამიტები

კრამიტების მახასიათებელი ნიშნების გამოყოფისათვის ვიხელმძღვანელეთ გურამ ყიფიანის პუბლიკაციის მიხედვით. (ყიფიან, 1991, გვ.XXI). (ტაბულა XVII. სურ. 2) სამწუხაროდ, ფოთის ირგვლივ გამოვლენილი კრამიტების უმეტესობა ძალზედ ფრაგმენტულია. დაკარგულია ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშნები და ჩვენს შემთხვევაში, ტიპოლოგიური დაყოფისათვის გამოსადეგი - სოლენის აკეცილი გვერდია. ძალზედ იშვიათია და დაზვერვების შედეგად არ გამოვლენილა კრამიტისათვის დამახასიათებელი მუხლი, ნაშვერი. ამდენად, ჩვენი ძირითადი დიაგნოსტიკური ინტერპრეტაციის საშუალება აკეცილი გვერდის ბორტია, მისი სისქე და ბორტის ზედაპირის ფორმა.

პირველი ტიპის კრამიტი, რომელიც გამოვლინდა ფოთის კოშკის ირგვლივ არის ე.წ. სოლენი, გვერდებაკეცილი. დაზვერვების შედეგად გამოვლინდა მხოლოდ ორი ფრაგმენტი. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მსგავსი ტიპის კრამიტი,

---

[49] მშენებლობას მეთვალყურეობდნენ ფოთის კოლხური მუზეუმის დირექტორი - ელენე გაბლიანი და ამავე მუზეუმის თანამშრომელი გიორგი ჟველია. მათი ინიციატივით მოხდა მასალის შენახვა შემდგომი კვლევებისათვის.

აკეცილი გვერდით, ძალიან ჰგავს, კრამიტებს, რომლებიც გვხვდება ფოთის აეროპორტის მიდამოებში, მდინარე კაპარჭინაში, პალიასოტომის ჩრდილოეთ სანაპიროზე და ადგილ ნატეხებზე (კუნძ. კოლიმბარი)[50]. აღნიშნული ტიპის კრამიტი, სხვა სოლენებისაგან გამოირჩევა მისი მოცულობითა და კედლის ტანის სისქით. დაახლოებით მერყეობს 2-4 სმ. ამპლიტუდაში, რაც ცალსახად, მოცულობითი ფორმაა.

მეორე ტიპის კრამიტი, ფოთის კოშკის ირგვლივ, პარკის ტერიტორიაზე გხვდება ზედაპირული დაზვერვების შედეგად. აღნიშნული კრამიტი ღარისებურია, ე.წ. კალიპტერი. დიდი ნაწილი არის ძალზედ ფრაგმენტირებული, თუმცა ორი ფრაგმენტიდან იკითხება კალიპტერის კონფიგურაცია. კეცის სისქე: 12 მმ. სავარაუდო სიგანე 160 მმ. სიგრძე უცნობია. კრამიტის ფრაგმენტზე არ გვხვდება, ე.წ. ნაშვერები, არც საკმარისი ინფორმაცია არ გვაქვს, არის თუ არა კრამიტი ბოლოსკენ შევიწროვებული. აღნიშნულ კრამიტი გამოირჩევა თავისი წითელი ფერით, რომელიც არ შეესაბამება ფოთის მიდამოებში გავრცელებულ ე.წ. მოცულობითი კალიპტერის კეცს. თიხა კარგად არის განლექილი, გვხვდება მცირე მოშავო ფერის სილისა და თეთრი ცარცი/თაბაშირის 0.1 – 0.5 მმ მარცვლები.

მესამე ტიპის კრამიტის ძირითადი ნაწილი აღმოჩნდა კოშკის აღმოსავლეთ ქვის გალავნის კედელთან, შუშის გალერიის მშენებლობისას. მუშების თქმით აღნიშნული კერამიკის ნატეხებს მთელს სიღრმეზე ხვდებოდათ, ხოლო, უშუალოდ გალერეის საძირკველი 1 მეტრი სიღრმეზე გაიჭრა. აღნიშნული კრამიტი ძალიან ფრაგმენტულია და არ აქვს შემორჩენილი ფორმა, ხშირ შემთხვევაში კრამიტები არის დეფორმირებული ძლიერი ხანძრისგან. კრამიტის კეცი დანარჩენი ორი ტიპისგან განსხვავებით არის ცუდად განლექილი. ხარისხობრივი თვალსაზრისით ზედაპირი ხაოიანია, რაც მნიშვნელოვნად განასხვავებს დანარჩენი ორი ტიპისგან. იხილეთ კრამიტის ფორმები - ტაბულა XVIII სურ. 1

გარდა კრამიტის აღმოჩენისა, ადგილზე გვხვდება რამდენიმე მოჭიქული და მოუჭიქავი თიხის ფრაგმენტი.

აღსანიშნავია ერთი ყვითლად მოჭიქული, ჯამის გვერდის ფრაგმენტი. ფრაგმენტს ანალოგები მოეპოვება ნოვი სვეტის ჩაძირული გემის კომპლექსთან, რომელიც ტრაპიზონიდან ყირიმში სავაჭროდ იყო ჩასული. ტაბულა XVIII სურ. 2-3 (Waksman, 2010, გვ. 358-373) ნოვი სვეტის ჩაძირულ გემში მრავლადაა აღმოჩენილი მოჭიქული ჯამები. რომელიც, ხსენებულ ავტორთა დამაჯერებელი ინტერპრეტაციით სავაჭროდ იყო განკუთვნილი. ჯამები დათარიღებულია XIII საუკუნით. ბუნებრივია, აღნიშნული ერთი ნატეხის შედარება სხვა ქრონოლოგიურ

[50] მსგავსი სქელკეციანი კრამიტი დაფიქსირდა მაჩხომერის VI საუკუნის ნაგებობის გათხრებისას (პირველადი შედეგების მიხედვით ეკლესია). კრამიტი მრავლად გვხვდება ნაგებობის მთელ პერიმეტრზე. ექსპედიციის ხელმძღვანელი - რევაზ პაპუაშვილი, ნანული პაპუაშვილი, გოგიტა ჩიტაია.

პარალელთან, ვერ მოახდენს ჩვენი კვლევისათვის სრული დამაჯერებლობის შეძენას. მაგრამ აღნიშნული ქრონოლოგიური მინიშნებები, ხსენებულ ტერიტორიაზე, აღვივებს სამეცნიერო ინტერესს შემდგომი არქეოლოგიური კვლევა-ძიებისათვის, რათა გავიგოთ უფრო მეტი ფასისის განვითარებული შუა საუკუნეების ისტორიის შესახებ.

სამშენბლო სამუშაოების პერიოდში გამოვლინდა როგორც კერამიკის, ასევე მეტალის არტეფაქტები. დამატებით იხილეთ თანდართული ცხრილი. (ტაბულა XIX-XX)

ფოთი/ფაშის ციხე ტოპოგრაფია

ფოთის ციხის არქეოლოგიური ძეგლის ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ აქ არსებული ტოპოგრაფიული მახასიათებლები და ფოთის ურბანიზმი. ფოთის ურბანიზმი ძალიან ჰგავს კლასიკური მეცხრამეტე საუკუნის ევროპულ დაგეგმარებას, რომელსაც ე.წ. მზის რკალისა და სხივების კონფიგურაცია აქვს. ფოთის ციხე მოხვედრილია ცენტრალურ რკალში, ხოლო დანარჩენი ქუჩები, წრიულად, სხივების მიმართულებით არის განვითარებული. (ტაბულა XXI) ფოთის მთლიანი განაშენიანება ნიველირებულია შავის ზღვის სარკის ნიშნულიდან 1-3 მეტრი ნიშნულის ამპლიტუდაში, თუმცა პარკის რკალი, მდინარის ზედაპირის ნიშნულიდან 6 მეტრს აღწევს. დადებითი გეოგრაფიული იზოგიფსები კარგად ჩანს საბჭოური პერიოდის ტოპოგრაფიულ რუკაზე. (ტაბულა XXII, სურ.1-2)

ფაშის ციხის გეგმა და არქიტექტურა

ფაში ციხის გეგმარებისათვის მნიშვნელოვანი წყაროა დაცული ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში შემონახულ მეცხრამეტე საუკუნის რუკა/გეგმაზე, რომელიც ორიგინალი რუკის ფოტოასლი უნდა იყოს, სამწუხაროდ რუკის ორიგინალის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება[51]. (ტაბულა XXIII, სურ. 1)

გეგმაზე გამოსახულია ოთხკუთხა ფორმის ციხე, რომელსაც კუთხეებთან მიდგმული აქვს კოშკები, ციხის შიდა ტერიტორიაზე შეინიშნება სხვადასხვა ფორმის ნაგებობები, გეგმის მასშტაბის გათვალისწინებით, ციხე კვადრატული ფორმის უნდა იყოს, დაახლოებით 80 X 80 საჟენი[52] (80 საჟენი დაახლოვებით 140მ). საგულისხმოა ე.წ. საჟენების გამოთვლა, რადგან დროის მონაკვეთებში არსებობდა გარკვეული საზომი სტანდარტის ცვალებადობა. გარდა ამისა, სხვადასხვა მიდგომაა საზღვაო და სახმელეთო საჟენის ერთეულში. მაგალითად - 45 გრადუსის

[51] მონაცემები საბჭოთა რუკის შესახებ აღებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის, ელექტრონული საკადასტრო რუკების ვებ - პორტალიდან.

[52] აღნიშნული ციხის გეგმის გეორეფერენსირება შესრულდა Qgis პროგრამის მეშვეობით. ავტორი - ემანუელე ე. ინტაგლიატა, დავით ნასყიდაშვილი. პროექტი რიონის აუზის დაზვერვები.

დამხრობის საჟენი 249 სმ-ს უდრის, ხოლო ჰორიზონტალური და ვერტიკალური, უდრის 176 სმ საჟენს. (Рыбаков, 1957, გვ. 97) 176 სანტიმეტრი საჟენის გათვალისწინებით ციხის ფართობი თითქმის 2 ჰექტარია, რაც თითქმის მოიცავს დღევანდელი პარკის ტერიტორიას. (ტაბულა XXIII, სურ. 2)

ყურადღებას იქცევს მუქად გაფერადებული, ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მდებარე ყველაზე მასშტაბური შენობა, რომელიც ჩვენი ვარაუდით, შესაძლებელია იყოს საკულტო დანიშნულების, ამ ვარაუდს გვიმყარებს, მისი აცდენილი მიმართება ციხის საერთო დაგეგმარებასთან. შენობა დაგეგმარებულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე. ჩრდილოეთ მხრიდან მიდგმული აქვს ნახევრად წრიული ნაგებობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი ფუნქციური დანიშნულება, სწორედ მინარეთი იყო. შესაბამისად, აღნიშნული ნაგებობა მეჩეთი უნდა ყოფილიყო. მეჩეთის დაგეგმარებასთან დაკავშირებით შეიძლება კიდევ რამდენიმე სადაო კითხვის წამოყენება. ქრისტიანული ეკლესიების დამხრობა, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთითაა, ხოლო კავკასია, სწორედ იმ რეგიონთა რიცხვს განეკუთვნება, სადაც აუცილებლობას არ წარმოადგენს ეკლესიის გეგმარების შეცვლა, რადგან შესაძლებელია მიჰრაბის სამხერთ კედელზე გადატანა. გარდა ამისა, არსებული გეგმის გეორეფერენსირებამ, საინტერესო შედეგი მოგვცა მეჩეთის გეგმარება, უშუალოდ ემთხვევა ფოთის საკათედრო ტაძრის ნართექსს. გარდა ვარაუდისა, არ გვაქვს არავითარი მტკიცებულება, რომ აღნიშნული მეჩეთი შესაძლოა მანამდე ეკლესია ყოფილიყო, თუმცა გეგმარება და დამხრობა ამის საშუალებას ნამდვილად იძლევა. (ნასყიდაშვილი, 2019, გვ. 275)[53]. ეკლესია აშენებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1907 წელს, შესაბამისად საინტერესო შემთხვევა უნდა იყოს მისი ადგილმდებარეობის დამთხვევა მანამდე არსებულ მეჩეთზე. (ტაბულა XXIII, სურ. 2)

ფოთის ციხეში არსებული ნაგებობის შესახებ საინტერესო წყაროა არქიტექტორ მეჰმედ აღას და მისი მცველის იაკუბ ხალიფას მოგზაურობა 1723 წელს, რომელებიც აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში იმყოფებოდნენ, რათა შეემოწმებინათ თურქული ციხეების მდგომარეობა. მისი გადმოცემით, ფაშის ციხეში მეჩეთთან ერთად მდებაროებდა: აბანო(ჰამამი), არტილერიის საწყობი, გარნიზონის ბარაკები, ადმინისტრაციული ცენტრი

[53] აღნიშნულ პუბლიკაციაში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის შეცდომა. ნაცვლად მეტრისა მითითებული უნდა იყოს საჟენი, რომელიც რუსეთის იმპერიაში გავრცელებული საზომი ერთეული იყოდა და 1 საჟენი უდრიდა 2.13 მეტრს.

(არქივი), ამუნიციის საცავი, იარაღის საცავი, სამზარეულო, საჯინიბო, აზაპების[54] ბარაკები და ღუმელი[55]. (Aydin, 1986, გვ. 71-72).

მეჰემედ აღას მოგზაურობიდან, ასევე ვგებულობთ ციხის ზომებს და ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ ცნობებს. ციხის კედლების პერიმეტრი 1500 ზირაა[56] (1137 მ) კოშკების ჩათვლით, კედლების სიმაღლე საძირკვლიდან 12 ზირა (9.01 მ), ციხის ფართობი 72 000 კვადრატული ზირა(54,576 მ^2 დაახლოვებით 5.5 ჰა). გარდა ამისა, ციხეს შემოუყვებოდა თხრილი და ოთხი კარიბჭე ჰქონდა. ჩვენი ვარაუდით ციხის ხელახალი და უკანასკნელი რეაბილიტაცია უნდა უკავშირდებოდეს მის მიწასთან გასწორებას, რომლის შესახებაც ცნობებს ჟან შარდენი მოგვითხრობს.

ნაგებობის კვალი რიონის მარჯვენა სანაპიროზე.

არქეოლოგიური დაზვერვების ერთ-ერთ მცირე აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს, სავარაუდოდ, შუა საუკუნეების ნაგებობა. კოლხეთის ეროვნული პარკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ყულევის პორტისაკენ მიმავალი რკინიგზის მარცხენა მხარეს, დაახლოებით 10 მეტრის მოშორებით, დაფიქსირდა შენობის ნანგრევები. ზედაპირულად იკითხება ნაგებობის კონტური. სამხრეთ ნაწილზე ამოსულია ასწლოვანი თუთის ხე. ნაგებობის უმეტესი ნაწილი დაფარულია მცენარეული საფარით. იგი გამართულია ოდნავ შემაღლებულ ადგილზე დაახლოებით ერთი მეტრის შემაღლებაზე. შენობა მართკუთხა ფორმისაა და ორიენტირებულია აღმოსავლეთ - დასავლეთ ღერძზე. ქვისწყობის კვალი შეინიშნება დასავლეთ კედელზე. სავარაუდოდ ქვების შესაკავშირებლად გამოყენებულია კირსხნარი. იმისათვის, რომ დადგინდეს ქვისა და დუღაბის სახეობა აუცილებლია ჩატარდეს შემდგომი ლაბორატორიული კვლევა. ნაგებობა 7.3 სიგრძისაა, ხოლო სიგანე 3.5. შენობის ცენტრალურ ნაწილში, ასევე შეინიშნება ოდნავი მიწის შემაღლება, რომელიც ტიხრის ფუნქციის მატარებელი იყო. ნაგებობის აღმოსავლეთი ნაწილი ოდნავ მორკალულია, სამწუხაროდ, ზემოდან ადევს მოჭრილი თუთის ხე, რომელიც აღმოსავლეთის კედელს ფარავს და ართულებს მისი გეგმარების სრულ აღქმას. აღმოსავლეთით არსებული მორკალული კედელი ერთგვარად ეკლესიის აბსიდის შთაბეჭდილებას ტოვებს, ასევე ამ მოსაზრებას ამყარებს მისი დამხრობა აღმოსავლეთის მიმართულებით. პრაქტიკიდან გამომდინარე შუა საუკუნეების მცირე ბაზილიკები ყოველთვის მდებარეობს დასახლებულ პუნქტში. ერთ კვირიანი დაზვერვების შედეგად

---

[54] აზაპები - თავისუფალი გლეხების არმია ოტომანური სამყაროში

[55] მეჰემედ აღას არ აქვს დაკონკრეტებული ღუმლის უტილიტარული დანიშნულება. შეიძლება ღუმელი ინდუსტრიული წარმოებისათვისაც იყოს, ან აბანოს წყლის გასაცხელებლად.

[56] თურქული საზომი ერთეული. 1 ზირა უდრის 75.8 სანტიმეტრს.

ირგვლივ ნამოსახლარის კვალი არ ჩანს, თუმცა ეს არ გამორიცხავს, რომ აქ ნამოსახლარი არ არსებობს. (GPS კოორდინატები 719431.73 m E 4675719.63 m N).

არსებული ტერიტორიის დაზვერვა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „რიონსბორს“ უწოდებს, განაპირობა ორმა ფაქტორმა. პირველი, გოგოლიშვილის რუკაზე მიახლოებით მითითებულ არეალში დატანილია ეკლესიის ლეგენდა, ხოლო, მეორე ეს იყო ე.წ. „რიონსკის“ ციხის ნახვა, რომელიც რუსეთის იმპერიის პირობებში გაშენდა, რათა ყულევიდან, კერძოდ, კი, რედუტ-ქალედან სახმელეთო გზით ეზიდებოდნენ ტვირთს, რათა შემდგომში რიონის აყოლებით, ქუთაისის მიმართულებით გაეგზავნათ. მსგავსი სახმელეთო გზის არსებობა გამოიწვია ოსმალეთის იმპერიის მიერ რიონში ნავების შემოცურვის აკრძალვამ. გარდა ამისა, გვაქვს ცნობები, რომ ფაშის ციხეში გავრცელებული იყო მალარია და რუსები კრძალავდნენ ფოთის ციხესთან მიახლოვებას. სრულიად დასაშვებია, რომ ნაგებობა, რომელიც აქ მდებარეობს შეიძლება ყულევი რიონსკის სახმელეთო გზაზე არსებული საბაჟო პუნქტი იყოს. სწორედ, მსგავს ინტერპრეტაციას ემხრობა რევაზ პაპუაშვილი. კონსტრუქციული თვალსაზრისით, ჩვენს მიერ დაზვერილი ნაგებობა ძალიან წააგავს ყულევში მიკვლეული XIX საუკუნით დათარიღებულ ნაგებობებს. (პაპუაშვილი, 2017, გვ. 79)

აღნიშნული სადაზვერვო არეალი აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოზღუდულია ე.წ. ეწერი (ჭაობიანი) მიწებით, ხოლო დასავლეთით, რიონის შესართავიდან ყულევის პორტამდე, სანაპირო ზოლის პარალელურად, წარმოქმნილია ქვიშიანი დიუნი. არსებულ დიუნაზე შესაძლებელია არსებობდეს არქეოლოგიური ძეგლები, თუმცა ტერიტორია გატყიურებულია და ეკალბარდების სიხშირის გამო თითქმის შეუძლებელია საველე არქეოლოგიური დაზვერვების წარმოება. აღსანიშნავია, რომ ეწერი მიწების სამხრეთი ნაწილში გაჭრილია ე.წ. სფერული სადრენაჟო კვლები, რომლებიც უერთდება მდინარე რიონს, ხოლო ეწერი მიწების ჩრდილოეთი ნაწილი გასულ საუკუნეში გამოიყენებოდა ბომბდამშენი თვითმფრინავების საწრთვნელ პოლიგონად. აფეთქებისგან დატოვებული წრიული კვალები დღესაც განირჩევა სატელიტურ ფოტოებზე. საველე დაზვერვების პერიოდში აქტიურად დავზვერე სადრენაჟე არხის ჭრილები, თუმცა არქეოლოგიური ნაშთები არ გამოვლენილა.

N28 თხრილი საქორქიოდან.

სიმაგრის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გაავლო N28 თხრილი. თხრილში გამოვლინდა ქვითა და აგურით ნაგები შენობის ნაშთი, რომლის კონფიგურაციაც არ იკითხება. შეიძლება ნაგებობა საკულტო დანიშნულებისაც იყოს. აგურის დამუშავების კვალი პარალელს პოულობს ბიჭვინთის ორ აფსიდიანი ეკლესიის თაღებიდან ჩამოქცეულ აგურებთან. ადგილზე გამოვლინდა 5 ჯგუფის კერამიკა: ჭინჭილები, ცალყურა

ხელადები, კათხები, ორყურა ვაზისებრი ქილები და ჯამები. კერამიკის მიხედვით თ. მიქელაძემ შესაძლო საკულტო ნაგებობა XI-XIII საუკუნეებით დაათარიღა, ხოლო აგურის მიხედით VI საუკუნით. არქეომაგნიტური დათარიღების მეთოდით კი, IX საუკუნე განისაზღვრა. არქეომაგნიტური დათარიღება შესრულდა ფიზიკა-მათემატიკის კანდიდატის - ზ. ჭელიძისა და გეოფიზიკოს მ. კვირიკაძის მიერ. (მიქელაძე, 1978, გვ. 81)

ფასისის ლანდშაფტი და მდინარე რიონის მორფოლოგია

ფასისის ლანდშაფტი და მისი ბუნებრივი გარემო მთავარი გამოწვევაა ქალაქის ადგილმდებარეობის დადგენის საკითხებში. კოლხეთის დაბლობის ჩამოყალიბებაში ყველაზე დიდი ფაქტორი მდინარე რიონი და შავი ზღვაა, რომელთა ურთიერთქმედება რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე ქმნიდა და აყალიბებდა არსებულ გარემოს. რიონი თავისი სტრატეგიული მნიშვნელობით მთავარი სავაჭრო და საგზაო არტერიაა დასავლეთ საქართველოში, რომელიც აკავშირებდა შავ ზღვას კავკასიონის დიდ მთებთან, ქუთაისის გავლით. ხოლო ქუთაისი ერთ-ერთ გამორჩეულ ურბანულ ცენტრს წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში. მდინარე რიონი ქმნის ერთგვარ გრავიტაციულ ეკონომიკის მოდელს, რომელიც ჰინტერლანდის რესურსებს თავს უყრის ზღვის სანაპიროზე. ამაზე მოწმობს მდინარე რიონის აუზსა და მის შენაკადებში არაერთი არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც ქრონოლოგიის სხვადასხვა მონაკვეთში ასრულებდა ურბანული ცენტრის ფუნქციას. ასეთებია: ვანი/სურიუმი, საირხე, ვარდისციხე/როდოპოლისი, სარაპანისი, ნოქალაქევი. ბუნებრივია, ქალაქ ფოთი/ფასისის მთავარი ეკონომიკური ფუნქცია იქნებოდა სწორედ ამ ქალაქებისა და კოლხეთის შიდა ტერიტორიული რესურსების დაკავშირება საზღვაო სავაჭრო გზებთან. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, რიონის ქვედა დინება წარმოადგენდა მთავარ გამოწვევას ფასის/ფოთის ურბანულ ცენტრად ჩამოყალიბებაში. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი გამოწვევების წინაშე, ასევე იდგა პრეკოლონიალისტური სამოსახლოები კოლხეთის დაბლობში, რომლებიც დიხაგუძუბების, ბორცვების, ან გორიკების სახელით არის ცნობილი. ბუნებრივია, მსგავსი შემაღლებული ბორცვები თავისი ფუნქციით განკუთვნილი იყო, იმ რისკების გასანეიტრალებლად, რასაც მდინარე რიონი წარმოშობდა. გარდა ამისა, ნიველირებულ გარემოში შემაღლებული ბორცვები ემსახურებოდა წყლის დრენაჟირებას, რათა სამოსახლოზე ძლიერი ნალექების შემდგომ შენარჩუნებულიყო სიმშრალე.

მდინარე რიონი

სატელიტური ფოტოებისა და კარტოგრაფიული მონაცემების კვლევისას, ნათლად იკვეთება მდინარე რიონის ორი ტოტი. XIX საუკუნის თითქმის ყველა კარტოგრაფიულ რუკაზე მოჩანს მდინარე რიონის ორად გაყოფა. გაყოფა ე.წ. ნარიონალების ტერიტორიიდან, რომელიც სამტრედიის, აბაშისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს შორის მდებარეობს. სწორედ, ამ ტერიტორიაზე გვხვდება მრავალი მეანდრი, კლაკნილი და პალეო მდინარის ნაშთები. სწორედ ამ ორმდინარეთს შორის მდებარეობს ნამარნუს ცნობილი ნამოსახლარი.

XIX საუკუნის რუკებიდან სადემონსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ, ჯონ გრასსელისა და პიადიშევის რუკები. მდინარე რიონის ორი ტოტი კარგად ჩანს მეთოთხმეტე საუკუნის დიეგო ჰომემის რუკაზე, საზღვაო პორტალანებზე და ასე შემდეგ. (ტაბულა XXIX - სურ. 1-2-3) მაგალითისათვის ჯონ გრასსელის რუკაზე,

სამხრეთის ტოტი უფრო წვრილი კონტურითაა დატანილი რუკაზე, ვიდრე რიონის ძირითადი ჩრდილოეთის ნაკადი. სამხრეთის ტოტი უერთდება პალიასტომს, ხოლო ამის შემდგომ პალიასტომი, ისევ რიონის ჩრდილოეთ ტოტს უკავშირდება, ბოლოს კი დღევანდელი ფოთის ტერიტორიაზე იგი უერთდება შავ ზღვას. მსგავსი ორი ტოტია დატანილი პიადიშევის 1829 წლის რუკაზეც, თუმცა განსხვავება შეინიშნება პალიასტომთან მიმართებაში, ტბა დამოუკიდებლად, მალთაყვის ტერიტორიიდან ერთვის შავ ზღვას.

ვხვდებით გამონაკლისებსაც, მალაგითისათვის დიდიერ რობერტ დე ვაუგონდის 1769 წლის რუკაზე, აქ მხოლოდ მდინარე რიონის ჩრდილოეთი ტოტია ნაჩვენები, ხოლო ტბა - პალიასტომი განცალკევებულადაა დატანილი. (ტაბულა XXIX - სურ. 4)

XVII საუკუნის, ე.წ. ალენის რუკას განვიხილავთ, ცალკე, თუმცა ამ რუკაზე მნიშვნელოვანია, რომ პალიასტომს ზღვა ეწოდება.

XIV საუკუნის დიეგო ჰომემის პორტალანზე, მდინარე რიონის ტოტი ორ ნაწილადაა დატანილი, მათ შორის ტერიტორია კი წითლადაა მოცემული. მარჯვენა ტოტთან დატანილია ტოპონიმი „Fasso“, ხოლო მარცხენა ტოტზე მითითებულია „palaƒtonic“, როგორც ჩანს, მეთოთხმეტე საუკუნეში პალისტომს, ზღვის უბის ფუნქცია ჰქონდა და სწროედ, ასე აღიქმებოდა კარტოგრაფების მიერაც. (ტაბულა IV)

მაგალითისათვის, 1941 წელს შედგენილ ბესარიონ გოგოლიშვილის რუკაზე მდინარე რიონის მხოლოდ ჩრდილოეთის ძირითადი ტოტი არსებობს, ხოლო სამხრეთით, დამოუკიდებლად ჩამოყალიბებულია მდინარე ფიჩორი, რომელიც ძირითადად, ჭაობის წყლებით იკვებება და ასე ჩაედინება პალიასტომის ტბაში.

რიონის ძირითად ორ ტოტზე საუბრობს მოგზაური ო. სპენსერიც, რომელიც ფოთში XIX საუკუნის I ნახევარში იმყოფებოდა. მისი თქმით, ჭაობიანი ტბა (პალიასტომი), რომელშიც მდინარე ფიჩორი ჩაედინება, რეალურად მდინარე რიონის მარცხენა ტოტია. (სპენსერი, 1981, გვ. 173)

მსგავსი განვითარებული და გვიან შუასაუკუნეების რუკები მრავლად არის და როგორც რამდენიმე მაგალითი უკვე განვიხილეთ, მათ შორის ნამდვილად არსებობს ფაქტობრივი სხვაობები. რაზე უნდა მიგვითითებდეს აღნიშნული გარემოება?! კარტოგრაფებს სხვადასხვა ინფორმატორები ჰყავთ, თუ რეალურად, XIV საუკუნიდან მოყოლებული მდინარე რიონმა მრავალჯერ იცვალა საკუთარი კალაპოტი. ცხადია, ერთი მეორეს არ გამორიცხავს, რადგან ბოლო 150 წელია უკვე გვაქვს რიონზე მეცნიერული დაკვირვების შესაძლებლობა და ნამდვილად, მსგავსი ცვლილებები არაერთგზისაა დაფიქსირებული.

როდის მოექცა რიონი ერთ ძირითად კალაპოტში, ამაზე ზუსტი პასუხი არ გვაქვს, თუმცა ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული მოვლენა უნდა უკავშირდებოდეს

დიდ წყალმოვარდნას, რომელსაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ. შესაძლოა ეს იყოს 1895 წელს, ან 1922 წელს აღწერილი მასშტაბური წყალდიდობები. ყოველი შემთხვევისათვის 1962 წლის კორონას სატელიტურ ფოტოზე ყველზე უფრო ცხადად ჩანს მდინარე რიონის, მარცხენა კალაპოტის მეანდრები, რომლებიც უკავშირდება ტბა პალიასტომს. დღესდღეობით, რიონის აღნიშნული კალაპოტის გარჩევა ისევაა შესაძლებელი Google-ის სატელიტურ ფოტოებზე, თუმცა სამეურნეო საქმიანობითა და ტყის განაშენიანებით ძველი რიონის არხი თანდათანობით ქრება. ასევე უნდა ავღნიშნოთ, რომ ძველი კალაპოტის ნაწილზე ქალაქ ლანჩხუთის გარეუბნები მდებარეობს. (ტაბულა V)

გასული საუკუნიდან, არაერთი ფაქტია აღწერილი მდინარე რიონის მოვარდნებისა და წყალდიდობების შესახებ, რომელმაც ძალიან დიდი საფრთხე შეუქმნა კოლხეთის დაბლობზე მდებარე ქალაქებსა და სამოსახლოებს. მიუხედავად იმისა, რომ მდინარე რიონზე განთავსებულია რამდენიმე ჰესი, ჩამკეტი ფარი, სადრენაჟო არხი, ჯებირი, თუ ზღუდე/დამბა, მაინც გასული საუკუნის 80-იან წლებში რამდენჯერმე მძლავრად დაიტბორა კოლხეთის დაბლობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

გასულ საუკუნეებში აღწერილია მდინარე რიონის კატასტროფული მოვარდნები. XIX საუკუნის მიწურულიდან დღემდე ცნობილია 7 ასეთი მოვარდნის შესახებ: 1895, 1922, 1977, 1982 და 1987 წლებში. რიონის წყალდიდობების შესახებ ისტორიული მონაცემები განხილულია ნ. ბოლაშვილისა და ზ. ჯანელიძის ერთობლივ სტატიაში. (ბოლაშვილი, 2008, გვ. 90-94)

პირველი ასეთი კატასტროფული ხასიათის წყალდიდობა აღწერილია 1895 წელს გაზეთ ივერიაში, მდინარე რიონი და ცხენისწყალი გაერთიანდნენ და დატბორეს: სამტრედია, სოფ. კულაში და სოფ. ორპირი. მოხეთქილმა ნიაღვარმა დატბორა ნარიონალები, ლანჩხუთის მიდამოები, ჯურუყვათი, მთელი ეს აკუმილებული მასა კი შეუერთდა პალიასტომის ტბას, გადავიდა მდინარე კაპარჭინაში და გადაგლიჯა და დატბორა ფოთი. კიდევ უფრო საზარელი გამოდგა 1922 წლის წყალდიდობა, მდინარე რიონიდან მოვარდნილმა წყალმა კოლხეთის ეროვნული პარკი დაფარა 2.5-3 მეტრის სიმაღლის წყლით. ბოლო ყველაზე უფრო ძლიერი წყალდიდობა დაფიქსირდა 1987 წლის იანვარში, კოლხეთის დაბლობის დასავლეთი ნაწილი მოიცვა 1-3 მეტრამდე წყალმა. დაინგრა 1600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი შენობა. აღნიშნულ კატასტროფას შეეწირა 6000-ზე მეტი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. (ბოლაშვილი, 2008, გვ. 90)

1987 წლის საზარელი წყალდიდობა მოხდა ისეთ პირობებში, როდესაც მდინარე რიონის ჩრდილოეთის ტოტის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებულია გრძივი დამბა, რომელიც დაახლოებით სამმეტრიანი მიწაყრილით არის აშენებული. არსებობს არაერთი თანამედროვე არხი, საქაჩი დამბები, ფოთის

მეშვიდე კილომეტრზე არსებული დამბა-ფარი. ასეთი მომზადების პირობებშიც კი, ვერ იქნა აცილებული დამანგრეველი წყალდიდობა.

კოლხეთის დაბლობზე მდინარე რიონის კალაპოტის დახრა - 0.002-ს არ აღემატება. კალაპოტის დახრის ასეთი სიმცირის გამო, მდინარის სიჩქარე საკმაოდ ნელია. აღნიშნული გარემოება კი იწვევს მდინარეზე კლაკნილებისა და მეანდრების გაჩენას. ნელი დინება ზრდის მდინარის ფსკერის სიმაღლეს, ხოლო მოვარდნილი მაღალი ე.წ. მდინარეული ხარჯი ვერ ასწრებს დრენაჟირებას და მდინარე პირველ რიგში უტევს კლაკნილ მეანდრებს. სწორედ, მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა 1987 წლის 31 იანვარს, როდესაც მდინარის მაქსიმალურმა ხარჯმა გადააჭარბა 4000 $მ^3$/წმ-ს. სწორედ, ასეთ დროს, მდინარე რიონმა მონახა ყველაზე უფრო სუსტი ადგილი, სოფელ საგვიჩიოსთან და არსებული შეზნექილი მეანდრი გაგლიჯა. მოვარდნილმა წყალმა, ასევე დატბორა: მდინარის სიახლოვეს მდებარე დიხაგუძუბები, სამარღანო, რიშე, ნანდუ, ასევე, წყალქვეშ მოექცა, სიმაგრისა და ზურგას ბროცვი. (ბოლაშვილი, 2008, გვ. 91-92)

რიონის დატბორვის რისკებიდან გამომდინარე, შექმნილია რამდენიმე სამეცნიერო კვლევა, რომელიც ძირითადად დატბორვის შედეგად წარმოქმნილ რისკებს აფასებს. ასეთ ფართომასშტაბიან კვლევად შეიძლება ჩაითვალოს თამარ წამალაშვილის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც დაცულია ტვენტეს უნივერსიტეტში 2010 წელს (ნიდერლანდების სამეფო). (Tsamalashvili, 2010, გვ. 1-88) რიონის ყოველწლიური ხარჯი (ჩამონადენი) ყოველწლიურად ცვალებადია და შეიძლება ითქვას, რომ მზარდი ტენდენცია გააჩნია. ამ მხრივ, საინტერესოა წამალაშვილის დისერტაციაში დაცული მონაცემები 1939 წლიდან 1990 წლამდე. დისერტაციაში 1922 წლიდან აღწერილია სულ 11 წყალდიდობა და მდინარის ხარჯი, მათ შორის ყველაზე უფრო მასშტაბური 1922 წლის წყალდიდობაა.

	წელი	მდინარის ხარჯი $მ^3$/წამში
	1922	5484
	1987	3640
	1982	3430
	1981	3160
	1990	3150
	1988	3020
	1963	3000
	1989	2920
	1956	2850
	1980	2650
	1962	2520
Tsamalashvili 2010, გვ.14		

ის აღწეს რიონის კუმულაციურ ხარჯს, მისგან გამოწვეულ გადმონადენს და ადარებს ციფრული სიმაღლის მოდელს (DEM). ცხადია, მისი კვლევა აღწერს მომავალში შესაძლო დატბორვის ზონებსა და მდინარისაგან გამოწვეულ შესაძლო რისკებს. რიონის ქვემო დინებაზე დატბორვის ზონას საკმაოდ მოცულობითი ამპლიტუდა გააჩნია და ის მოიცავს მთლიანი კოლხეთის დაბლობის ზონას, დღევანდელ კოლხეთის ეროვნულ პარკს. (ტაბულა XXV სურ. 1) გარდა ამისა, თავის კველვაში მას გამოქვეყნებული აქვს 1987 წელს მომხდარი წყალდიდობის გავრცელების რუკა. მის მიერ შემუშავებული რისკების სიმულაციები საინტერესო შედეგებს გვთავაზობს. წყალდიდობის რისკის ზონას წარმოადგენს თითქმის მთლიანი კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორია: სამტრედიიდან დასავლეთით, შავ ზღვამდე და ყულევიდან გრიგოლეთამდე არსებული დაბლობი. (ტაბულა XXV სურ. 2) ცხადია, კვლევა მოიცავს მომავლის წყალდიდობების სიმულაციასა და ბოლო ასი წლის ანალიზს. ჩვენი აზრით მსგავსი მოდელი მუშაობს რეტროსპექტივაშიც.

იმის მიუხედავად, იცვლებოდა თუ არა ზღვის დონე, კოლხეთის დაბლობი მუდამ წარმოადგენდა წყალდიდობისათვის სარისკო ზონას ისტორიულ პერიოდში. შესაბამისად, გვაქვს ორი ცვლადი, რომელთანაც კოლხეთის მოსახლეობას მუდმივად უწევდა გამკლავება:

1. კოლხეთის დაბლობი და მდინარე რიონი, როგორც, წყალდიდობის რისკის ზონა;
2. მდინარე რიონი, როგორც გრავიტაციული ეკონომიკის არტერია, რომელიც აკავშირებს ჰინტერლანდის შიდა რესურსს გარესამყაროსთან.

შესაბამისად, ჩვენი სადისერტაციო კვლევის მთავარი კითხვაა, რა სახის ურბანიზაციას შეუძლია გაუმკლავდეს ბუნებრივ რისკებს და ამავდროულად, დააკავშირონ ჰინტერლანდი გარე ცივილიზაციებთან.

რევაზ პაპუაშვილის თანახმად, ახალი შავიზღვიური ტრანსგრესიის დასასრულს, კოლხეთის დაბლობზე იქმნება ახალი ტიპის სამოსახლოები, რომელიც ხელოვნურ ბორცვებზეა დაშენებული. მისი აზრით, რომელსაც ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ, მსგავსი ბორცვები თავდაპირველად, წყალდიდობისგან თავდაცვა იყო. (პაპუაშვილი, 2014, გვ. 86)

არქეოლოგ რევაზ პაპუაშვილის დაკვირვებით, ფანაგორიული რეგრესიის დროს, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, სიტუაცია კარდინალურად იცვლება, აშკარაა მოსახლეობის მატება, ხდება ვაკე ტერიტორიების ათვისება, რაც გამოწვეულია ზღვის დონის კლებითა და მდინარეთა ეროზიული ბაზის დაწევით, რამაც განაპირობა უკეთესი დრენაჟირება. აღნიშნულმა განაპირობა რეგიონის ეკონომიკური განვითარება, რასაც საბოლოო ჯამში მოჰყვა ბერძნული კოლონიზაცია. (პაპუაშვილი, 2014, გვ. 86-88)

ნაოსნობა მდინარე რიონზე

კიდევ ერთი უმთავრესი მიზეზი, რომელიც აუცილებელია გავითვალისწინოთ წერილობითი წყაროებიდან არის, მდინარე რიონი/ფასისის შესახებ - შეიძლებოდა, თუ არა აღმა ცურვა, მდინარის დინების საწინააღმდეგოდ. მდინარე რიონზე ნაოსნობის შესახებ დაცული არაერთი ცნობა, მაგალითისთვის, ყველაზე უფრო პოპულარული სტრაბონის ცნობაა, რომელიც აშკარად აზვიადებს მონაცემებს, კერძოდ, მისი გადგმოცემით ნაოსნობა შესაძლებელი სარაპანისამდე. ცხადია, დაღმა ცურვა არ უნდა ყოფილიყო რთული, თუმცა სარაპანისი (შოროპანი) აღმა ცურვა პრაქტიკული თვალსაზრისით შეუძლებელია. მდინარე რიონზე ნაოსნოების შესახებ, XV საუკუნიდან მოყოლებული, არაერთი მოგზაური ადასტურებს რიონზე აღმა ცურვის შესაძლებლობას. მაგალითისათვის, შარდენი, გამბა, კოხი და ასე შემდეგ, თუმცა მათი ცნობები ბევრად უფრო რელისტურია. ჩვენი აზრით აღმაცურვა შესაძლებელი იყო სოფელ ბაშამდე. „და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი კაცი და დააყენა ბაშს“ (მატიანე ქართლისა, 1955, გვ. 301) ჯაბა სამუშიას აზრით, დაქირავებული ვარიაგები პირველად რიონის დინების აყოლებით სოფელ ბაშში დაბანაკდნენ. (სამუშია, 2008, გვ. 7). სწორედ, აქედან გამომდინარე უფრო რეალისტურად გვეჩვენება მდინარე რიონზე ბაშამდე ცურვის შესაძლებლობა. როგორც ალტერნატიული მოსაზრება, აუცილებელია, ასევე ითქვას, რომ ჭალადიდის ერთერთ ისტორიულ უბანს „საბაჟო“ ეწოდება. არაა გამორიცხული „ჟ“ და „შ-ს“ მონაცვლეობაც. როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, ბოლაშვილის კვლევაზე დაყრდნობით, რიონის დღევანდელი დახრა 0.002 გრადუსია, რაც იწვევს მდინარე რიონის საკმაოდ ნელ დინებას ქვემო წელზე. მდინარე რიონის ქვემო წელის დაზვერვების პერიოდში, არაერთხელ ვისარგებლეთ ნიჩბიანი ნავით, მათ შორის, საქორქიოს ტერიტორია დავზვერეთ: არქეოლოგ რევაზ პაპუაშვილთან, გოგიტა ჩიტაიასთან და ემანუელე ინტალიატასთან ერთად, აგვისტოს მდორე დინების პერიოდში. ამ დროს თითქმის შეუძლებელია მდინარის ჩრდილოეთ ტოტზე, მდინარის პირდაპირი გადაჭრა და ეს არის დღევანდელი მოცემულობა.

წარუმატებელი აღმოჩნდა ტიმ სევერინის 1984-85 წლებში მოგზაურობა მდინარე რიონში, მათ ხოლოდ 7 კილომეტრის შეცურვა შეძლეს მდინარე რიონში. მრავალი მცდელობისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობითაც ვერ მოხერხდა მეოცე საუკინის არგოთი მდინარე რიონზე აღმა გაცურვა. (სევერინი, 2014, გვ. 195)

ქართული ნაოსნობის შესახებ მთავარი ფუნდამენტური კვლევა, რომელიც მოიცავს არაერთ საიკითხს, ეკუთვის ისტორიკოს თამაზ ბერაძეს. მისი კვლევის თანახმად, მდინარე რიონზე შესაძლებელია ნავებით შეცურვა, მაგრამ ხომალდის სიღრმე არ უნდა აღემატებოდეს 1.5 მეტრს. მისი თქმით, საზღვაო ხომალდები XIX საუკუნეში ფოთთან მხოლოდ ნახევარ კილომეტრზე ახერხებდნენ მოახლოებას. (ბერაძე, 1981, გვ. 15)

ზურაბ კუტალეიშვილს აღწერილი ნავის სახეობაა ე.წ. „ჭალადიდური ნიში“, მისი დანიშნულება მდინარეზე ტვირთის გადატანა იყო. აღნიშნული ნავის ტიპი რიონზე 1930 წალმდე გამოიყენებოდა. ნავის ეკიპაჟი 8-10 კაცისაგან შედგებოდა, მათგან ერთ-ერთი მესაჭე იყო, დანარჩენი კი, მენიჩბეები იყვნენ. გარდა ამისა, ნავზე აფრაც იყო აღმართული. მძიმე ტვირთის გადატანის შემთხვევაში, კიდევ ერთ ნავს თოკით ამაგრებდნენ. კოლხეთის დაბლობში, ასევე დაფიქსირებლია ე.წ. „ცალფა ნავი“, რომელიც ტბებსა და ჭაობებში გადასაადგილებლად გამოიყენებოდა. მათი ზომა არ აღემატებოდა 3 მეტრს და ძირითადად 3 წელზე მეტ ხანს ვერ ძლებდა. კიდევ ერთი სახეობაა - ,,დაჭედილი ნავი'', რომელიც ასევე, გამოიყენებოდა მდინარე რიონზე გადასაადგილებლად. ,,დაჭედილ ნავს'', მეორენაირად ,,ოდიშურ ნავსაც'' უწოდებდნენ. მას დანარჩენი ნავებისგან ბრტყელი ძირი გამოარჩევდა. მდინარე რიონზე, ტვირთვის დინებაზე დასაშვებად ფართოდ გამოიყენებოდა ტივები, რომლის სიგრძეც 10-დან 25 მეტრამდე მერყეობდა. (კუტალეიშვილი 1987, გვ. 24-32)

მ. გეგეშიძის ეთნოგრაფიული კვლევაში, წყლის ტრანსპორტი დასავლეთ საქართველოში ვხვდებით ერთ საინტერესო ჩანაწერს. მისი აღწერით, ნავის აღმა საცურაოდ იყენებდნენ თოკებს, რომლებსაც ადგილობრივები „პარუხს/პაროხს“ უწოდებნდენ. ადგილობრივთა განმარტებით პაროხი არის ბაწარი, რომელიც მეპაროხეს ჯოხით აქვს გამობმული და ნავს აღმა მიათარევს, ხოლო მეორეს საჭე უჭირავს და მიმართულებას არეგულირებს. (გეგეშიძე, 1953, გვ. 243-244)

თამაზ ბერაძის აზრით, სიტყვა პაროხი ძველბერძნული წარმოშობის უნდა იყოს და იგი ორი სიტყვისაგან შედგება. „პარო“ და „ხეუს“, რაც ძველბერძნულად ხელის გაწვდენას უნდა ნიშნავდეს. (ბერაძე, 1981, გვ. 34)

მდინარე რიონზე ნაოსნობის შესახებ მრავალ ცნობას გადმოგვცემს ჟან ფრანსუა გამბაც, რომლის გადმოცემითაც კაიუკების მეშვეობით, იყო შესაძლებელი მდინარეზე აღმა ცურვა. გარდა ამისა იგი აღწერს კაიუკის მეშვეობით აღმა ცურვას, თუ როგორ იყენებენ მეზღვაურები ტოტებსა და ჭაპანს ნავით აღმა ცურვისათვის.

ზემოთ აღნიშნული დაკვირვება მეტად საყურადღებოა, რადგან იგი ფაქტობრივად უნდა მიუთითებდეს მდინარე რიონზე „მეპაროხის“ პროფესიის არსებობას ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ჩნდება ფრთხილი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობა, შევიტანოთ თუ არა ეჭვი წერილობით წყაროებში, თუ რიონის ბუნების ცვალებადობამ გამოიწვია დინების საწინააღმდეგოდ ცურვის შესაძლებლობა. ჩემი აზრით, მას შემდეგ, რაც მდინარის ძირითადი ნაკადი მხოლოდ ჩრდილოეთ ტოტში გადაერთო, შესაძლებელია, მოიმატა მდინარის სიჩქარემ, შესაბამისად, დღევანდელ პირობებში გართულებულია აღმოსავლეთით ნავებით გადაადგილება. ცალსახად, აღნიშნული გარემოების მეცნიერული

მტკიცებულება არ გვაქვს, მაგრამ სამომავლოდ აუცილებელია კვლევის ამ მიმართულებით გაგრძელება.

ხმელეთის მომატების ტენდენცია ფოთის არეალში და ზღვის ტრანსგრესია რეგრესიის საკითხები.

ზ. ჯანელიძის კვლევის თანახმად, კოლხეთის სანაპირო ზოლი ჩამოყალიბდა ბოლო 3400-3600 წლის განმავლობაში და ამას არსებითი ცვლილება არ მოჰყოლია. მას ამის უტყუარ დასტურად მოჰყავს სანაპიროს გასწვრივ არსებული ქვიშიანი დიუნების ზოლი, რომელიც ზღვიდან 100-300 მეტრიანი ინტერვალითაა დაშორებული. აღნიშნული შემაღლებები 3400-3600 წლით არის დათარიღებული რადიოკარბონული მეთოდით. ხოლო აღნიშნული ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ დიუნა, როგორც მყარი გეომორფოლოგიური ელემენტი, ფასისის დაარსებამდე ჩამოყალიბებული იყო და მას შემდეგ თვისობრივი ცვლილება არ განუცდია. მდინარე რიონის თანამედროვე შესართავიდან სამხრეთით, იქ საიდანაც გამოედინება მდინარე კაპარჭინა, იწყება დიუნა, რომელიც გრძელდება სუფსის შავი ზღვის შესართავამდე. მეორე ნაწილი, რიონის თანამედროვე შესართავიდან, ჩრდილოეთით, ნაბადას ჭაობებსა და ზღვის სანაპირო ხაზს შორისაა და იგი მდინარე ენგურის შესართავამდე გრძელდება. დიუნის კვალი არ იკითხება პალიასტომის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან ჩრდილოეთით, ნაბადას შორის არსებული ტერიტორია, რომელ არეალშიც განაშენიანებულია თანამედროვე ფოთი. აღნიშნული უბნის სიგრძე 3.5 კილომეტრია. სწორედ აღნიშნული ყელი წარმოადგენს მდინარე რიონის ძველი დელტის რაიონს, რომლის ფარგლებშიც გაედინებოდა მდინარე რიონი, უკანასკნელი 2500-3000 წლის მანძილზე. მოცემული რიონის დელიტის არეალი წარსულში წარმოადგენდა ცვალებად მორფოლოგიურ გარემოს, რომელიც განიცდიდა ზედაპირის საგრძნობ დეფორმაციას და შესაბამისად, ითვლებოდა დასახლებული პუნქტისათვის არახელსაყრელ ტერიტორიად. (ჯანელიძე, 2008, გვ. 113)

უკანასკნელ 2000-2500 წელიწადში, გეომორფოდინამიკური პროცესების განვითარება ნაკლებად ეხებოდა, მდინარე შავწყალას ჭაობებსა და მდინარე რიონს შორის მდებარე, 2.3 – 3 კმ სიგანის ზოლს და რიონისწყაგამანწილებელი (დამბა) კვანძიდან აღმოსავლეთით მდებარე, 5-6 კილომეტრიან არეალს. აღნიშნულ ტერიტორიას არ განუცდია ძლიერი დაჭაობება და რიონის სხვა უბნებთან შედარებით გამოირჩევა მეტი მდგრადობით. (ჯანელიძე, 2008, გვ.114)

კიდევ ერთი უახლესი მოსაზრება ეკუთვნის პროფესორ ვახტანგ ლიჩელს, რომელიც ქალაქ ფასისის ადგილმდებარეობის დადგენის მთავარ ფაქტორად მიიჩნევს ზღვის რეგრესია-ტრანსგრესიის ფაქტორს. მისი ბოლო კვლევა ეფუძნება ე.წ. ზღვის დატბორვის სიმულატორს, რომელიც განთავსებულია

https://www.floodmap.net/ პლატფორმაზე. ზღვის დონის გაზრდა-შემცირებით პლატფორმა ახდენს დატბორვის ზონების გრაფიკულ ვიზუალიზაციას. მან გამოიყენა ზღვის ზრდის 1 მეტრიანი, 3 მეტრიანი და 5 მეტრიანი მოდული. მონაცემები სხვადასხვაგვარია. შავი ზღვის 1 მეტრიანი ზრდის შემთხვევაში დატბორვის ზონა ვრცელდება სოფელ საგვიჩიო/მუხურამდე. 3 მეტრიანი ზრდის შემთხვევაში, რიონის ჩრდილოეთის ტოტის სამხრეთი სანაპიროები თავისუფლდება წყლისაგან, მცირდება დაბტორვის ზონა სიმაგრის გარშემო, სანაპიროს გაყოლებაზე მდებარე ქვიშიანი დიუნები კი მოჩანს გრძივი კუნძულების სახით. 5 მეტრიანი ზრდის შემთხვევაში ყველაზე დიდ მორფოლოგიურ გავლენას განიცდის ფოთის მიდამოები, მალთაყვისა და პალისტომის სამხრეთით მდებარე იმნათის ჭაობები. მსგავსი ზეგავლენა აქვს, რიონის ჩრდილოეთით მდებარე დაჭაობებას, რომელიც ფართო ტბის გარშემო მდებარეობს. თითქმის იტბორება ფოთსა და ყულევს შორის არსებული ზონა. აქედან გამომდინარე, ვახტნაგ ლიჩელი ანტიკური ფასისის ლოკალიზაციას ჰინტერლანდში, სოფელ საგვიჩიოსთან ახლოს ათავსებს. (ლიჩელი, 2021, გვ. 66-67)

ჩვენს კვლევაში ზღვის დონის მატების სიმულაციისათვის გამოვიყენეთ ციფრული სასიმაღლო მოდელი (DEM), რომელიც აღებულია აერონავტიკის და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს ოფიციალური ვებგვერდიდან[57] (https://urs.earthdata.nasa.gov/) DEM ფაილის ანალიზმა განსხვავებული მონაცემები აჩვენა https://www.floodmap.net/ პლატფორმასთან შედარებით. QGIS -ის პროგრამაში DEM ფაილის დამუშავების შემდგომ გამოიკვეთა საინტერესო გარემოებები. კერძოდ, ზღვის დონის 5 მეტრიანი ზრდა, ბევრად უფრო ნაკლებ ტერიტორიას დატბორავს, ვიდრე Floodmap-ის შეთხვევაში, თუმცა 7 მეტრიანი ზრდის შემთხვევაში კოლხეთის დაბლობის უდიდესი ნაწილი მოექცევა წყლის ქვეშ. DEM ფაილის ანალიზში დატბორვის შესაძლებლობები გამოსახულია სხვადსხვა ფერით. (ცხრილი XXVI)

ე.წ. Z ნიშნულზე (სიმაღლე) გამოვყავით სულ ოთხი კატეგორია, რომელიც სხვადასხვა ფერით გამოვსახეთ რუკაზე.

- 0-დან 5-მდე - ლურჯი ფერი;
- 6-დან 10-მდე - მწვანე ფერი;
- 11-დან 15-მდე - წითელი ფერი;
- 16 - დან 20-მდე - შავი ფერი;

რუკა შედგენილია ციფრული სასიმაღლო მოდელის საფუძველზე, შესაბამისად საინტერესო მონაცემები დაფიქსირდა. დღევანდელი ფოთის ცენტრალური ნაწილი, პარკის ტერიტორია, ფოთის კოშკი და საკათედრო ტაძარი მდებარეობს ზღვის დონიდან 5-6 მეტრ სიმაღლეზე. საინტერესო შედეგებია

[57] აღნიშნული რესურსი მიიჩნევა ერთ-ერთ უზუსტეს წყაროდ, რომელიც ფართოდ გამოიყენება მეცნიერების მიერ.

რიონის პირველი ტერასიდან საგვიჩიოს არეალამდე, რომელიც ზღვის დონიდან 10-15 მეტრამდე მერყეობს.

კოლხეთის დაბლობის ფორმირების საკითხებში არსებობს ორი უახლესი გამოკვლევა, რომელიც კიოლნის უნივერსიტეტის, გეოგრაფიის ინსტიტუტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შესრულდა[58]. საველე კვლევის პერიოდში, ყულევსა და ფოთს შორის არსებულ ტერიტორიასა და სუფსის დელტის არეალში, ბურღვითი მეთოდით მოპოვებული იქნა არაერთი ნიმუში, რომელზეც შესრულდა სედიმენტოლოგიური და გეოქიმიური ანალიზი. ჰანეს ლესერმანის კვლევაში დასტურდება, რომ ძვ. წ. 1000 წლის წინ სანაპირო ზოლი უკვე ფორმირებულია. მათი კვლევის თანახმად, არ იძებნება ისეთი მონაცემები, რომელიც დაადასტურებდა ზღვის დონის მნიშვნელოვან რხევას (ტრანსგრესია-რეგრესიის ციკლი). (Laermanns et al, 2018 გვ. 85-98) (Laermanns, et al 2019- გვ. 119-139)

ფასისის დაარსებიდან მოყოლებული, როგორც ჩანს, ზღვის დონეს არ განუცდია მნიშველოვანი რხევა, მაგრამ რევაზ პაპუაშვილის აზრით, რომელსაც ჩვენც ვეთანხმებით, მცირეოდენი ცვალებადობაც, გამოიწვევდა ზეგავლენას ჭაობიან გარემოზე. სამეურნეო სავარგულები, საძოვრები, რომელიც აუცილებელია ნამოსახლარების გამოკვებისათვის გახდებოდა უვარგისი, რადგან გართულდებოდა წყლის დრენაჟირება, აიწევდა გრუნტის წყლებისა და მდინარეების დონე.

კარტოგრაფიული მასალის კვლევისას გამოიკვეთა მეტად საინტერესო ტენდენცია ფოთის მიდამოებში, კერძოდ, ხმელეთის მატების ტენდენცია, რომელიც ვითარდება ისტორიის მანძილზე.

პირველად ოთარ ლორთქიფანიძემ, თეიმურაზ მიქელაძემ და ზ. ჯანელიძემ მიაქციეს ყურადღება იმ ფაქტს, რომ ფოთის არეალში მდინარის ალუვიური გადმონადენი იწვევს ხმელეთის მატებას. ჯანელიძის აზრით კი, რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ზღვის დონის მატების დროს, მდინარის მიერ ჩამოტანილი მასალა იწვევს ხმელეთის მომატება/გაფართოებას ზღვის მიმართულებით. (იხილეთ: სამეცნიერო სესიის მასალები - მიძღვნილი ქალაქ ფასისის ლოკალიზაციის პრობლემებისადმი: 1973). კორონას სატელიტური ფოტოებთ, რომელიც დამუშავდა გეორეფერენსირების მეთოდით, გამოიკვეთა, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ვიდრე დღემდე, ქალაქი ფოთის ჩრდილოეთით, ხმელეთმა დაახალოვებით 200 ჰექტარით მოიმატა. კერძოდ, ნაბადას დასახლებიდან დასავლეთით, სანაპირო ზოლმა ზღვის მიმართულებით 730 მეტრით შეიწია. სატელიტურ ფოტოებზე კარგად ჩანს, რომ შავი ზღვის

[58] აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საველე სამუშაოებში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის სახლემწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტები, დავით ნასყიდაშვილი და სულიკო კოხრეიძე.

აღმოსავლეთ ნაპირებზე ზღვის დინება ჩრდილოეთის მიმართულებითაა, მაგრამ მდინარის შესართავებთან ხმელეთის გაფართოვება ორივე მიმართუელებით მიმდინარეობს. (ტაბულა XXVII)

ისტორიულ ხანაში ხმელეთის ნაპირის მატებას ყურადღება პირველად ოთარ ლორთქიფანიძემ და თეიმურაზ მიქელაძემ მიაქციეს. მათი გამოთვლებით 1870 წლიდან 1936 წლამდე პერიოდში ხმელეთმა 190 მეტრით მოიმატა. გარდა ამისა, ფოთის ციხე, რომელიც სულთან მურადმა ააგო 1578 წელს, უშუალოდ ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა, ხოლო 1858 წლის მონაცემებით, ის უკვე 1.8 კილომეტრით იყო დაშორებული. მსგავს ფაქტზე ასევე ყურადღებას ამახვილებს მაქსიმე ბერძენიშვილი, რომელიც ნიკო ნიკოლაძის გადმოცემებს ეყრდნობა. ფოთის ცნობილი შუქურა, რომელიც ასევე დროდადრო შორდება ზღვის სანაპიროს, ხმელეთის გაფართოების ხარჯზე. (ლორთქიფანიძე, 1973, გვ. 28)

ჩვენს მიერ, ჩატარებულმა დაკვირვებებმა სატელიტურ ფოტოებზე დაადასტურა ხმელეთის მატება, ბევრად უფრო მასშტაბური ციფრებით, ვიდრე ოთარ ლორთქიფანიძე და თეიმურაზ მიქელაძე ახსენებენ. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ტენდეცია ახლაც შეინიშნება.

კოლხეთის ლანდშაფტის მორფოლოგიის აღწერაში მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელზეც ღირს ყურადღების გამახვილება არის ე.წ. დიუნური ნამოსახლარები, ან/და სადგომები. საქართველოში, აფხაზეთიდან მოყოლებული, აჭარის ჩათვლით შავი ზღვისათვის დამახასიათებელია, ზღვის ტალღის ცემისაგან წარმოქმნილი ბუნებრივი დიუნები, თუმცა აღნიშნული ტენდენცია არ ვრცელდება რიონის დელტის არეალში. ბუნებრივად შემაღლებული დიუნები ჩამოდის რიონის მარჯვენა სანაპირომდე, ხოლო ფოთის თანამედროვე ურბანულ განაშენიანებაში დიუნური შემაღლებები სანაპიროს გასწვრივ არ გვხვდება. ზოგ შემთხვევაში დაფიქსირებულია სამი პარალელური დიუნა, მაგრამ ფოთის მიდამოებში აღნიშნული ტოფოგრაფიული შემაღლებები არ არის. გარდა ამისა, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქალაქ ფოთის მიდამოებში არ ფიქსირდება ე.წ. ქსოვილის ანაბეჭდიანი კერამიკა, რომელიც დამახასიათებელია დიუნური სამოსახლოებისათვის/სადგომებისათვის. (დიუნური სადგომების შესახებ ვრცელი მონოგრაფია იხილეთ, გიორგი თავამაიშვილი 2012)

კვლევის ეს ნაწილი ასევე შესაძლოა გამოგვადგეს წარსულის ინტერპრეტაციაში. რამდენი აქვს მდინარე რიონს ე.წ. გადმონადენი და იმატებს, თუ არა სანაპირო ზოლი ბოლო სამი ათასი წლის განმავლობაში. საქმე გვაქვს მხოლოდ ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიათან? არის, თუ არა მდინარე რიონის ალუვიური გადმონადენი ხმელეთის მატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი?

მეორე ფაქტორი, რომელიც ბოლო პერიოდია განსაკუთრებით აქტუალურია კოლხეთის დაბლობის ინტერპრეტირებაში ეს არის ე.წ. ინვერსიური/ჩაბრუნებული ტექტონიკა. როგორც ცნობილია, ევრაზიულმა ფილამ, რომელიც ურთერთქმედებს

არაბეთისა და ანატოლიის ფილებთან, წარმოშვა დიდი და მცირე კავკასიონი, რომელსაც სიმაღლეში ზრდა ახასიათებს, თუმცა აუცილებლად გასათვალისწინებელი ფაქტორია კოლხეთის დაბლობი, რომელიც ერთგვარი განმუხტვის ზონაა ამ დიდ გეოლოგიურ მოძრაობებში. შესაბამისად, არსებული არეალისთვის დამახასიათებელია ინვერსიული ტექტონიკა, რაც გულისხმობს პირიქით ტერიტორიის ჩატრიალებას, ხოლო კოლხეთის დაბლობი შეივსო მიოცენის მეოთხეული სედიმენტაციით. (Tibaldi, 2017, გვ. 36-37) ჩვენი აზრით, მომავლის ინტერდისციპლინარულ კვლევებში, გარდა ზღვის ტრანსგრესია-რეგრესიისა, კოლხეთის დაბლობის მორფოლოგიის შესწავლისათვის, აუცილებელია გავითვალისწინოთ კოლხეთის ეს ტექტონიკური მახასიათებელიც.

ქალაქ ფასის-ფოთის ურბანიზაციის მოდელი ატიკური პერიოდიდან გვიან შუა საუკუნეებამდე.

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური ძეგლების საფუძვლიანი ანალიზი საშუალებას გვაძლევს ფასის/ფოთის განვითარების ფართო სურათი დავინახოთ. ის შედგება 2600 წლიანი ისტორიით, რომელიც მოიცავს, როგორც გეომორფოლოგიურ ცვალებადობას, ასევე, ცივილიზაციათა ევოლუციას. ცხადია, ფასისიც ერგებოდა მოცემულ გამოწვევებს და ადაპტირდებოდა არსებულ რეალიებზე. შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ ფაზებზე, რომელიც ქალაქმა არსებობის მანძილზე განვლო. პირველ რიგში, ვიდრე ნებისმიერი ხასიათის თეორიას განვავითარებთ, უნდა მივიღოთ მოცემულობა, რომ მდინარე და ქალაქი ფასისი (ქართული სომხური წყაროების მიხედვით ფოთი), ეს არის განუყოფელი ერთობლიობა, რადგან სწორედ, მდინარისაგან მიიღო სახელწოდება ქალაქმა. მდინარემ განსაზღვრა მისი ფუნქცია და შესძინა სტრატეგიული მნიშვნელობა ქალაქს, რომელიც დღესაც აქტუალურია.

ქალაქ ფასისის პირველი ფაზა

ქალაქის ისტორიაში აუცილებელია გამოვყოთ მისი პირველი ფაზა, დაარსებიდან ელინისტურ პერიოდამდე (ძვ. წ. VI-IV საუკუნეები). ქალაქის დაარსების თარიღის შესახებ სხვდასხვა მოსაზრებები, არსებობს, თუმცა მკვლევართა უმეტესობა მიიჩნევს ქრისტეს შობამდე მეექვსე საუკუნეს, რასაც ჩვენც ვიზიარებთ. კლასიკური ბერძნული კოლონიზაცია ძვ. წ. VIII საუკუნეში დაიწყო, თუმცა მან შავი ზღვის რეგიონში ქრისტეს შობამდე მეშვიდე საუკუნეში მოიკიდა ფეხი, ხოლო სანაპირო ზოლის ათვისებს პიკს VI-IV საუკუკუნეებში აღწევს.

მრავალი ბერძნული ისტორიული წყარო, ბერძნული კოლონიზაციის კატალიზატორად ე.წ. სტენოხორიას (*stenochoria*-მიწის სიმწირე) ასახელებს, თუმცა ხშირ შემთხვევაში მოტივატორი შეიძლება ყოფილიყო საჭმლის რაციონის დივერსიფიკაცია არსებული მეტროპოლიისათვის. ასევე, წყლის დეფიციტი, მემკვიდრეობის გაყოფის საკითხები და ასე შემდეგ. (Greaves, 2007, გვ. 13)

გოჩა ცეცხლაძემ 1994 წელს მიმოიხილა ბერძნული კოლონიზაციის არქეოლოგია. მისი აზრით, ახალშენების დაარსების კიდევ ერთი მოტივატორი იყო ისეთი პოლიტიკური მიზეზი, როგორიცაა სპარსელების მიერ მცირე აზიის დასავლეთი სანაპიროების ოკუპაცია. (Tsetskladze, 1994, გვ. 92)

რადგანაც მილეტი მიიჩნევა ფასისის მეტროპოლიად, ხოლო თემისატაგორა მილეტელი ფასისის დაამარსებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მცირედ განვიხილოთ მცირე აზიაში არსებული ისტორიული ქრონიკები და ურბანული მოდელები. შევაჯამოთ ინფორმაცია პირველი ბერძნული კოლონიების ურბანიზმის შესახებ. ახალშენების დაგეგმარების მოდელზე ერთიანი

ფორმულირებული აზრი არ არსებობს, თუმცა შეგვიძლია რამდენიმე ავტორთან ამოვიკითხოთ საინტერესო ცნობები.

პირველი ბერძნული პოლისები კონტინენტურ საბერძნეში გაშენდა მიკენურ სამოსახლოებზე, რომელსაც ბორცვების კონფიგურაცია ჰქონდათ. მსგავსი ვითარებაა კრეტაზეც, სადაც ახალშენები სანაპირო ზოლზე არესბული მინოსური კულტურის ქალაქებზე გაშენდა, მაგალითისთვის, დრეროსი და ლატო. პოპულაციის მატებასთან ერთად, ურბანიზაცია განვითარდა ბორცვების გარშემო, გაჩნდა საფორთიფიკაციო ნაგებობის აშენების აუცილებლობა, რათა დაეცვათ ქალაქი, ხოლო ბორცვზე ფორმირდა აკროპოლისი. პოლიტიკური ცენტრი ბორცვებიდან გადადის აგორაზე, რომელიც ქალაქის ქვედა ნაწილში განაშენიანდა, თავდაცვითი კედლის შიგნით. ეს არის ერთგვარი განაშენიანების ციკლი, რომელსაც ბერძნული პოლისები/ახალშენები გადიან. (Toynbee, 1967, გვ. 445) მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღნიშნული განაშენიანების ციკლი პირდაპირპროპორციულია მოსახლეობის მატებასთან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოინბეს შემოთავაზებული ბერძნული ახალშენების განვითარების ცილკი პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის მატების პროცესს. შესაბამისად, აუცილებელია განვიხილოთ, თეორიულ დონეზე, თუ რა რაოდენობის შეიძლება ყოფილიყო ფასისის ახალშენის ბერძნული მოსახლეობა. ცხადია, პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება ამის შესახებ, თუმცა არსებობს რამდენიმე კვლევა მილეტის პოპულაციის შესახებ, რომელიც ალან გრეივმა შეკრიბა და სტატიის სახით გამოსცა. კლასიკური პერიოდის[59] მილეტის მოსახლეობის რიცხვთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე ვერსია, უმცირესია 23 000, ხოლო მაქსიმუმი 56 000 ინდივიდი. (Greaves, 2007, გვ.13-15) ცხადია, მილეტის მოსახლეობა ვარირებდა. ძვ. წ. VI-V საუკუნეებში მილეტში, რადგან თითქმის 20 წელიწადი, მეევსე საუკუნის ბოლოს აქემენიდურმა ირანმა დაიკავა მეტროპოლია. ხოლო ოკუპაციამ შესაძლოა გააჩინა კიდევ ერთი პოლიტიკური მოტივი, რათა ადგილობრივ მოსახლეობა გაქცეოდა პოლიტიკურ წნეხს და დაეარსებინა ბერძნული ახალშენები.

როგორც ცნობილია, მილეტს 90 კოლონია გააჩნდა ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის სანაპიროებზე. ისეთი სახელგანთქმული ახალშენები, როგორიცაა, ეგვიპტური ნაუკრატისიდან ვიდრე სინოპამდე. შესაბამისად, უნდა გამოვთვალოთ, ის მოსახლეობრივი ნამატი, რომელსაც შეეძლო ახალი კოლონიის დაარსება.

მაგალითისათვის, იმ პერიოდში გავრცელებული ე.წ. ტრირემეს (*trireme*) ტიპის გემზე დაახლოვებით ორასი კაცი ეტეოდა. ჰეროდოტეს ცნობით, კი მილეტს 80 ასეთი გემი ჰყავდა. (ჰეროდოტე 6:8) (Greaves, 2007, გვ. 14). ჩევენი აზრით,

[59] კლასიკური პერიოდი დასავლეთში გავრცელებულ ტერმინია, რაც ძვ. წ. VI-IV საუკუნეების ქრონოლოგიურ ჩარჩროს მოიცავს, ქართულ მეცნიერებაში კი, ადრეანტიკური პერიოდის სახელით არის დამკვიდრებული.

მილეტის რესურსებიდან გამომდინარე, ახალშენების დაარსებისათვის გემების მაქსიმალური რაოდენობა შეიძლებოდა ყოფილიყო 2-3, ხოლო ოპტიმალური რაოდენობა ერთი ტრირემე. გარდა ამისა, საჭიროა ენთუზიასტების რაოდენობა, რომელიც ამ გემებს შეავსებს. ამდენად, ახალმოსახლეების რაოდენობა 200 კაციდან 800 კაცამდე უნდა ვიანგარიშოთ.

ახალშენის დაარსებისათვის აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება, როგორიცაა საკვები რესურსი. მიუხედავათ იმისა, რომ ბერძნული კოლონიები ჩართულნი არიან გაცხოველებულ ვაჭრობაში, საკვების რესურსის უდიდესი წილი ადგილობრივი უნდა იყოს და როგორც უკვე აღინიშნა, საკვები პროდუქტებით ვაჭრობა რაციონის დივერსიფიკაციას უფრო ემსახურება, ვიდრე რესურსების შევსებას. მაგალითისათვის მილეტის „ხორა“ 1380 ^{2} კილომეტრისაგან შედგება, საიდანაც 372^2 კილომეტრი სახნავ-სათესია, ხოლო დანარჩენი 1007^2 კილომეტრი საძოვარი. ა. გრაევის დაანგარიშებით, აღნიშნული რეალიების გათვალისწინებით, მიწის ფერტილობის ინდექსით, ტერიტორიის მიწიდან მიღებული საკვებით, მილეტის მოსახლეობის დაახლოებით 35 000 კაცის გამოკვებაა შესაძლებელი. (Greaves, 2007, გვ. 14) კიდევ ამას უნდა დაემატოს ზღვის რესურსი, ვგულისხმობთ თევზის რეწვისგან მიღებულ საკვებს და ნადირობა.

ცხადია, მილეტი კლასიკური პერიოდის ერთე-რთი სუპერ ქალაქ-სახელმწიფოა, რომელიც განვითრების უმაღლეს საფეხურზეა, მაგრამ შევეცდებით ა. გრეივის მიერ შემოთავაზებული მოდელიც გადმოვიტანოთ ფასისზე. 1380 კვადრატული კილომეტრი, რაც მილეტის ხორის ფართობია, ოდნავ ნაკლებია მთლიანად კოლხეთის დაბლობის, ვგულისხმობთ ანაკლიიდან გრიგოლეთამდე და აღმოსავლეთით სამტრედიამდე არსებულ, ტერიტორიაზე. შეიძლება არარელევანტურად ჟღერდეს მილეტისა და ფასისის შედარება, თუმცა აუცილებელია დაისვას კითხვა, კოლხეთის დაბლობის, იმ მონაკვეთზე, სადაც უნდა არსებულიყო ფასისის პოლისი/ხორა, რა სამეურნეო სავარგულების რესურსი არსებობს?! რა არის ის ზედა ზღვარი, რითაც ადგილობრივი ნაყოფიერი მიწები შეძლებს მოსახლეობის გამოკვებას?! მილეტის მაგალითის ჩვენებით, ჩვენ გვსურს გამოვთვალოთ მაქსიმალური რაოდენობა მოსახლეობისა, რომელსაც თვითმყოფადი საკვები რესურსი ექნებოდა. გრეივის განმარტებით, მილეტის უბრანული ტერიტორიის დაანგარიშებით, სამეურნეო სავარგულების რესურსისა და სამხრეთ იტალიიდან, ეგვიპტიდან და ჩრდილო შავი ზღვისპირეთიდან იმპროტირებული მარცვლეულის გათვალისწინებით, ყველაზე ოპტიმისტური სურათი მოსახლეობის დაანგარიშება არის 64 000 ადამიანი. აღნიშნული მოდელის გადმოტანით კოლხეთის დაბლობზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა კოლხეთის დაბლობზე არა უმეტეს 64000 ადამიანი უნდა ყოფილიყო, თუმცა ეს არის მაქსიმალური ინდექსაციით დათვლილი. მაგალითისათვის რიონის ტერასაზე, სადაც შესწავლილია ძვ. წ. V საუკუნის დასახლება, მის გარშემო 60 ჰექტარია მხოლოდ სახნავ-სათესად. 1 კვადრატულ

კილომეტრში 100 ჰექტარია, შესაბამისად, 0.6 კვადრატული კილომეტრი სამეურნეო სავარგულის რესურსია რიონის მარცხენა ტერასაზე. დღევანდელი მონაცემებით ნამარნუდან, იქ სადაც რიონი იყოფა ორ ნაწილად ვიდრე გრიგოლეთამდე და ყულევამდე არეალი დაახლოებით 720 კვადრატული კილომეტრია. აღნიშნული ტერიტორია მოიცავს რიონის ქვემო დინებას და მისი გავლენის არეალს, რომელიც ასევე გულისხმობს რამდენიმე ეწერ, ძლიერ დაჭაოებებულ ტერიტორიას.

- მდინარე ცივის გარშემო არსებული ეწერი მიწები, ყულევიდან სამხრეთით რიონის შესართავამდე, ე.წ. ფართო წყლის გარშემო არსებული ტერიტორია - 30 კვადრატული კილომეტრი.
- იმნათის ტბა და მის გარშემო არსებული ეწერი მიწები -36 კვადრატული კილომეტრი
- პალიასტომის აღმოსავლეთი მდებარე ეწერი მიწების ჯგუფი-17 კვადრატული კილომეტრი.
- პალიასტომის სამხრეთით სანაპირო, გრიგოლეთსა და იმნათის ეწერს შორის მოქცეული ჭაობი - 10 კვადრატული კილომეტრი.

ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიები გაუვალი ჭაობებია, სადაც გადაადგილება შეუძლებელია. ამას უნდა დავუმატოთ პალიასტომის ტბაც, რომელიც 22 კვადრატული კილომეტრია. ჯამში აღნიშნული ტერიტორია 115 კვადრატული კილომეტრია. ცხადია, გეომორფოლოგიური ცვალებადობა აისახებოდა დღეს არსებულ ჭაობებსა და ტბებზეც.

მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე კიდევ ერთი ვრცელი სახნავ-სათესი სავარგულია სოფელ შავღელის ტერიტორიაზე, რომელიც 800 ჰექტრამდე (8 კვადრატული კილომეტრი) ტერიტორიას მოიცავს, თუმცა აუცილებელია აღინიშნოს, ისიც რომ ტერიტორიის ათვისება აჭარელი ეკომიგრანტების ჩამოსახლების შემდგომ მოხდა, მას შემდეგ რაც, სპეციალურად გაიჭრა სადრენაჟო არხები. 1962 წლისა და 1968 წლის სატელიტურ ფოტოებზე არ ფიქსირდება სამეურნეო სავარგულების არსებობა.

40 ჰექტარამდე (0.4 კვადრატული კილომეტრი) ტერიტორიაა გამოყენებული სახნავ-სათესად საგვიჩიოს გადაღმა ტერიტორიაზე, იქ სადაც მდებარეობს დიდი და პატარა კონძა. აღნიშნულ არეალში აღსაღნიშნავია შემცირების ტენდენცია. 1962 წელთან შედარებით სამჯერაა შემცირებული სამეურნეო სავარგულების ტერიტორია.

ყველაზე უფრო დიდი 11 000 ჰექტარი (110 კვადრატული კილომეტრი) სამეურნეო სავარგულები ნამარნუს გარშემო მდებარეობს, რომლითაც დღეს სხვადასხვა სოფლები სარგებლობენ, როგორებიცაა: გულეიკარი, კოდა, კეთილარი, ჯაპანა, ქვიანი, ჭყონაგორა, ზემო შუხუთი და ასე შემდეგ. აღსაღნიშნავია მხოლოდ მცირე მატება 1962 წლის შემდგომ, თუმცა სურათი კარდინალურად არ შეცვლილა.

აღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სივრცის ნაყოფიერება და ვრცელმა სახნავ-სათესმა მიწებმა ხელი შეუწყო ნამარნუს ურბანისტულ განვითარებას.

საკმაოდ ვრცელი ტერიტორია გამოყენებული სამეურნეო სავარგულებად პატარა ფოთი - სენაკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში - 9 500 ჰექტარი (95 კვადრატული კილომეტრი), რომლითაც სარგებლობს ხობისა და სენაკის რაიონის სამხრეთი სოფლები, მაგალითად, პატარა ფოთი, ჭალადიდი, ხორგა, საღვიმიჩაო, საგვიჩიო, ქვალონი, ზემო ჭალადიდი და ასე შემდეგ.

აქედან გამომდინარე დღევანდელი გათვლით დაახლოებით 20 000 ჰექტარი (200 კვადრატული კილომეტრი) ფართობი გამოიყენება სამეურნეო სავარგულებად. თუმცა აღნიშნული მიწების გამონთავისუფლება 1932 წლიდან დაიწყო საბჭოთა კავშირის პერიოდში, როდესაც კოლხიდმშენმა აწარმოვა მასობრივი პროექტები-დაჭაობებული მიწების სამეურნეო სავარგულებად გარდაქმნა. ჯამში მთლიანი კოლხეთის მაშტაბით 80 000 ჰექტარი (800 კვადრატული კილომეტრი) მიწა გარდაქმნეს სამეურნეო სავარგულებად. ცხადია, ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ტერიტორიების უდიდესი ნაწილიც ამ დროს გარდაიქმნა სახნავ-სათეს მიწებად. (ლევან ცაბაძის დოკუმენტური ფილმი კოლხიდმშენის საქმიანობაზე. 1982 წელი. სტუდია „რაკურსის“ ღია არქივი)

მოსახლეობის დაანგარიშების სულ რამდენიმე ცვლადი არსებობს:

ა) ჩონჩხების დათვლა სამარხებში; ბ) ნამოსახლარი; გ) არტეფაქტი; დ) საკვები ნარჩენები; ე) ეკოლოგიური პოტენციალი ადამიანის გამოკვებისთვის ვ) ისტორიული და ეთნოგრაფიული ჩანაწერები. (Hassan, 1978, გვ. 51) აღნიშნული მოდელიდან მხოლოდ ეკოლოგიური პოტენციალის შეფასება შეგვიძლია. ჩვენ მეტ-ნაკლები სიზუსტით გვაქვს შესაძლებლობა ვიკვლიოთ, თუ რამდენი ადამიანის გამოკვება შეიძლება კოლხეთის დაბლობში. რა არის, ის პოპულაციური ზედა ზღვარი, რომლის მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა ისტორიულ ხანაში.

ამ მოსახლეობრივ დაანგარიშებაში, აუცილებელია გამოვიყენოთ კოლხეთის არქეოლოგიის მკვლევარის - რევაზ პაპუაშვილის მოსაზრება. მისი აზრით, რასაც ჩვენ ვეთანხმებით, ზღვის დონის რხევა და მდინარე რიონის ადიდებების ფაქტორი, იწვევს, სამეურენო სავარგულების, კერძოდ, სახნავ-სათესებისა და საძოვრების დაჭაობებას, რაც კიდევ უფრო მეტად ამცირებს, იმ მოსხლეობის რაოდენობას, რომელიც კოლხეთის დაბლობზე მკვიდრობდა პერმანენტულად. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, თუ რა გარემოება დახვდათ ბერძნებს კოლონიების გაშენებამდე. როგორც, რევაზ პაპუაშვილი ახსენებს, რკინის ფართო ათვისების პერიოდში, შეიმჩნევა მეტალის ინდუსტრიის განვითარება და მოსახლეობის მკვეთრი მატება.

რიონის ქვემო დინებაზე ანტიკური პერიოდის შესწავლილ ძეგლებს შორის გამოსარჩევია - სიმაგრე. არქეოლოგიური ბორცვის ფართობი 3224 კვადრატული

მეტრია, სადაც არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა 4 ნაგებობა, რომელიც სამ სხვადასხვა ფენას განეკუთვნება, ხოლე მეორე ფენაში გამოყოფილია ორი სამშენებლო დონე. გამოვლენილ ნაგებობებს უკავიათ 255 კვადრატული მეტრი. თეიმურაზ მიქელაძე სიმაგრის ნამოსახლარს ძვ. წ. VI საუკუნეების შუახანებიდან V საუკუნის შუა ხანებამდე ათარიღებს. (მიქელაძე, 1978, გვ. 43-53)

სამწუხაროდ, არ გვაქვს რაიმე სახის მონაცემი, თუ რა რაოდენობის შეიძლება ყოფილიყო სიმაგრის მოსახლეობა. ამასთან დაკავშირებით კვლევები არაა ჩატარებული,მაგრამ შეგვიძლია ჰიპოტეტური ვარაუდი გამოვთქვათ. მაგალითად, არქეოლოგები ჰანსენი და ორტმანი ვარაუდობენ, რომ საქალაქო მოსახლეობის გამოთვლის სხვადასხვა მეთოდი არსებობს.მკვლევართა უმეტესობა, 100-იდან 400 კაცამდე ვარაუდობს ერთი ჰექტარ ტერიტორიაზე, ხოლო ბერძნულ და რომაულ სამყაროში, ჰექტარზე ასკაციანი მოსახლეობა იანგარიშება. გარდა ამისა, მათ შეკრიბეს სხვადასხვა ქალაქების მოსახლეობა ქალაქებისა და ჰექტარების მიხედვით და შემდეგი ინფორმაცია მიიღეს. მაგალითისათვის, მეგარა ჰიბლაიაზე (სიცილია, იტალია) 188 ინდივიდი იანგარიშება ერთ ჰექტარზე. (Hansen, 2017, გვ. 304)

ცხადია, საქალაქო დასახლებები ბევრად უფრო მჭიდრო პოპულაციით გამოირჩევა, ვიდრე სოფლის ტიპის სამოსახლოები, რომლებიც ბორცვებზეა გამართული. აღნიშნული მოსახლეობის კალკულაცია რომ მოვარგოთ სიმაგრის ნამოსახლარს, საინტერესო მოცემულობას მივიღებთ. საქალაქო პოპულაციის 400 ინვიდიანი ცვლადიც, რომ ავიღოთ 3224 კვადრატული მეტრზე (ჰექტარის მესამედი). ბორცვზე მაქსიმუმ 134 ადამიანს უნდა ეცხოვრა, ხოლო უმცირესი ინდექსით ჰექტარზე 100 ინდივიდის შემთხვევაში - 35 ინდივიდს. თუმცა ეს საუბარია მხოლოდ ერთ ბორცვზე - სიმაგრეზე. აქ ნაანგარიშებია ბორცვის მთლიანი მოცულობა. აქ შესწავლილი ნამოსახლარის კვალი კი, ბევრად უფრო ნაკლებია, რაც კიდევ უფრო ამცირებს მოსახლეობის რაოდენობას.

კიდევ ერთი რელევანტური მაგალითი, რომელიც საჭიროა განვიხილოთ ფასისთან კორელაციაში არის ყულევის ძვ. წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრის სამოსახლო, რომელიც 300 მეტრი სიგრძისა და 70 მეტრი სიგანისაა დაახლოებით, 2 ჰა ფართობი. იგი ზღვიდან 200 მეტრითაა დაშორებული და გარკვეულწილად ემიჯნება ქვიშიან დიუნას, რომელიც სანაპირო ზოლის პარალელურადაა ფორმირებული. სამწუხაროდ, სამოსახლოს შესწავლა სათანადო მეთოდოლოგიის დაცვით ვერ მოხერხდა, რადგან თხრილებში ინტენსიურად მოედინება გრუნტის წყლები. საინტერესოა ადგილობრივი ჭურჭლისა და ბერძნული იმპორტის პროპორცია. ადგილობრივი კერამიკა 70 პროცენტია, ხოლო შემოტანილი 30. (პაპუაშვილი, 2017, გვ. 65-69) ყულევის ადრეანტიკური ნამოსახლარის ინტერპრეტაცია საინტერესოა მოსახლეობის დათვლის მიხედვით. არსებული ფორმულით მოსახლეობლის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო 800, ხოლო მინიმუმალური 200 ინდივიდი.

ჩონჩხის დათვლის მიხედვით შეგვიძლია, გარკვეულწილად ფიჭვნარის მაგალითი გამოვიყენოთ. ბერძნული ნეკროპოლში (ძვ. წ. V საუკუნე), რომელიც 1967-1985 წლებში გამოიკვლია ამირან კახიძემ, შესწავლილია 110 სამარხი. დაახლოებით გადანაწილებული 46 მეტრი სიგრძისა და 18 მეტრი სიგანის ფართობზე, 828 კვადრატული მეტრი. (კახიძე, 2007, გვ.310-318)

1967 და 1968 წლებში შესწავლილ იქნა 20 სამარხი, რომელიც ორ სხვადასვა თხრილში აღმოჩნდა. პირველი თხრილი - სიგანე-4 მეტრი ; სიგრძე 10 მეტრი (7 სამარხი), მეორე თხრილი სიგრძე 10 მეტრი; სიგანე 4 მეტრი, თუმცა დასავლეთ ნაწილში დამატებული აქვს ერთი ორმეტრიანი კვადრატი. აქ, 11 სრულად შესწავლილი სამარხია, ხოლო ორი სამარხი სანახევროდ თხრილის გარეთ ხვდება. ორივე თხრილის ფართობი: თხრილის ფართობი 80 კვადრატული.

1973 წელს შესწავლილ თხრილში 7 სამარხი გამოვლინდა, თხრილის ზომები - 13 მეტრი სიგრძე, სიგანე 6 მეტრი. თხრილის ფართობი 78 კვადრატული.

1977 წელს შესწავლილ თხრილში 11 სამარხი გამოვლინდა. თხრილის ზომა, 10 მეტრი სიგრძე, სიგანე 4 მეტრი. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმატებული ორმეტრიანი კვადრატი. თხრილის ფართობი - 40 კვადრატული.

1979 წელს შესწავლილ უბანზე 17 სამარხი გამოვლინდა, თხრილის ზომებია, სიგრძე 12 მეტრი, სიგანე 4 მეტრი. თხრილის ფართობი - 48 კვადრატული.

1980-1981 წლებში შეისწავლეს 14 მეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის არეალი, სადაც გამოვლინდა 22 სამარხი. თხრილის ფართობი - 84 კვადრატული.

1983 წლის სეზონზე 10 სამარხი გამოვლინდა, თხრილის ზომები- 10 მეტრი სიგრძე, 4 მეტრი სიგანე. ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მიმატებული აქვს ორი ორმეტრიანი კვადრატი. თხრილის ფართობი - 40 კვადრატული.

1985 წელს 11 სამარხი აღმოჩნდა, თხრილს ლათინური L-ის ფორმა აქვს. სიგრძე 10 მეტრი, სიგანე 4 მეტრი. ხოლო სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მიმატებული აქვს 8 ორმეტრიანი კვადრატი. თხრილის ფართობი - 40 კვადრატული.

1986-1987 წლების სეზონზე 42 სამარხი გამოვლინდა. თხრილი მაშტაბურია, მაქსიმალური სიგრძე 22 მეტრი, სიგანე 8 მეტრი. თხრილის ფართობი - 176 კვადრატული

სულ ჯამში შესწავლილია 240 ბერძნული სამარხი, ხოლო თხრილების ფართობი ჯამში 586 კვადრატულია, რომელიც ძვ. წ. V საუკუნით თარიღდება. ტერიტორიულად ბერძნული ნეკროპოლი ლიმიტირებულია, რადგან ჩრდილოეთით კოლხური სამაროვანია, დასავლეთით დიუნური ნამოსახლარი, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კი, ელინისტური სამაროვანი. შესაბამისად, სამაროვნის მოცულობა ფართობით 5 ჯერაც რომ გავადიდოთ, რაც შესაძლო

გავრცელების ლიმიტია, მოსახლეობის რაოდენობა, ძვ. წ. მეხუთე საუკუნის ფიჭვნარში, 1000 ინდივიდის ფარგლებში უნდა ვიანგარიშოთ.

აუცილებელი ფაქტორი, რომელიც მხედველობაში უნდა მივიღოთ,არის ის, რომ არცერთი სამარხი არ აზიანებს მეორეს, რაც ნეკროპოლისის განგრძობითობაზე მიუთითებს. მაშასადამე, არსებობდა ცოდნა, თუ რომელი სამარხი სად მდებარეობდა.

სამწუხაროდ, დიხაგუძუბებისა და ხელოვნური ბორცვების განლაგებასა და ფართობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია რომელსაც შეგვიძლია მეტნაკლებად დავეყრდნოთ არ გვაქვს. მაგრამ პირობითად, თუ ავიღებთ სიმაგრის ბორცვის მსგავს 100 ე.წ. დიხაგუძუბას, უმეტეს შემთხვევაში მოსახლეობის მაქსიმალურ რაოდენობად შეგვიძლია ვიანგარიშოთ 13400 ინდივიდი, ხოლო მინიმუმალურად 3500 ინდივიდი. მაგალითისათვის ბესარიონ გოგოლიშვილის რუკაზე 34 ბორცვია დატანილი მდინარე რიონის გაყოლებაზე, რა თქმა უნდა ფოთი-სამტრედიის მონაკვეთზე ბევრად უფრო მეტი დიხაგუძუბაა მოსალოდნელი. აღსაღნიშნავია, საგვიჩიოს კლასტერი, სიმაგრის ნამოსახლარიდან სამხრეთით არსებული ბორცვები, ნამარნუ, ნამარანუ და ასე შემდეგ, თუმცა ჩვენთვის ცნობილი ხოლოვნური ბორცვების რაოდენობა არ აღემატება სამოცს. თუმცა გვაქვს ისეთი ცნობები, როგორებიცაა: რამდენი მათგანია სამეურნეო ბორცვი; რა ფართობს მოიცავენ ისინი; იყო თუ არა ისინი პერმანენტულად, ქრონოლოგიის ერთთიდაიგივე მონაკვეთში დასახლებული; 2015-2018 წლებში არქეოლოგიური დაზვერვებისას აღმოჩნდა, რომ სიმაგრის მახლობლად, საქორქიოში, რიონის პირველ ტერასაზე დღესაც გამოიყენება ხელოვნურად შემაღლებული ბორცვები, სადაც გამართულია მსხვილფეხა საქონლის სადგომები. შესაბამისად, ხელოვნურად შემაღლებული ბორცვები დღესაც იპყრობს ყურადღებას. აუცილებელია ამ კონტექსტში აღვნიშნოთ ე.წ. მეჯოგეების ტრადიცია, რომელიც თანდათანობით ქრება კოლხეთის დაბლობიდან და გადაუდებელ აუცილებლობად მიმაჩნია ამ ფენომენის კვლევა დარგის ექსპერტების მიერ. 2017 წელს, როდესაც არქეოლოგიურად დავზვერეთ პალიასტომის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია,აღმოჩნდა,რომ აღნიშნულ არეალში მხოლოდ ერთი მწყემსი - ოლეგი მელუა ცხოვრობს პერმანენტულად ბოლო 40 წელიწადია[60]. ტერიტორიაზე შესვლა მხოლოდ ნავებითაა შესაძლებელი და იგი კოლხეთის დაბლობებისგან ძლიერი ჭაობებითა და არხებით არის გამოყოფილი. არეალი საკმაოდ ვრცელია, თუმცა ოლეგი მელუას თქმით, ადგილზე მხოლოდ 50 სული მსხვილფეხა პირუტყვის შენახვაა შესაძლებელი, რადგან ტერიტორია მცირეა და იგი შემოფარგლულია ე.წ. ეწერებით, რომლებიც საძოვრად უვარგისია. შესაბამისად,

[60] აღნიშნულზე მიმითითეს პროფესორებმა, გურამ გრიგოლიამ და ზვიად კვიციანმა

დღესაც ფოთის მიდამოებში არსებული გარემო საკმაოდ ლიმიტირებულია თვითმყოფადი საკვების მხრივ.

ყველაზე უფრო ვრცელი დიხაგუძუბების კომპლექსი მდებარეობს ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც არქეოლოგიურად დავზვერე 2017 წელს. ზღვის სანაპიროდან 10 კილომეტრის, ხოლო მდინარე რიონიდან 2 კილომეტრითაა დაშორებით. იგი შედგება მინიმუმ 6 ბორცვისაგან, რომლებიცც კონცეტრირებულად ერთიმეორის მიყოლებით მდებარეობენ[61] და გავრცელებულია დაახლოებით 7 ჰექტარზე. (კოორდინატები: 37N, 727308.22 m E 4678481.63 m N). არსებულ ძეგლზე მოსახლეობის მაქსიმალური რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო 2800 ინდივიდი, ხოლო მინიმუმალური 700. თუმცა ამ დაანგარიშებაში შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტურა შეიტანოს ძეგლის არქეოლოგიურმა შესწავლამ, რადგან ბორცვების სიმაღლე რელიეფიდან 1-2 მეტრზეა აზიდული და ზოგ შემთხვევაში მსგავსი ბორცვები სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება და არა სამოსახლოდ.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, რიონის წელის ქვემო დინებაზე, რომელშიც ჩვენ ვგულისხმობთ,ტერიტორიას ე.წ. ნარიონალებიდან, სოფელ საჯავახოს მიდამოებიდან- ზღვის შესართვამდე, მოსახლეობის გამოკვების მინიმუმი 3000, ხოლო მაქსიმუმი 12000 ინდივიდი უნდა ყოფილიყო და ეს ყველაფერი დამოკიდებულია ჭაობებსა და ეწერებზე. რამდენად ადვილად დრენაჟირდება წყლები რიონის მეშვეობით.

ბერძნების გამოჩენამდე კოლხეთში განვითარებული იყო თვითმყოფადი, განვითარებული კულტურა, რომელიც უმეტესწილად ბორცვებზე იყო გაშენებული. ბრინჯაოსა და რკინის ხანის ნამოსახლარების შესახებ ფუნდამენტალური კვლევა ეკუთვნის ლერი ჯიბლაძეს, რომელმაც თავი მოუყარა კოლხეთში არსებულ თითქმის ყველა ძეგლს. რუკაზე დაიტანა 200-მდე ნამოსახლარი, რომელიც საინტერესო ინფორმაციის შემცველია. ძვ.წ III-II ათასწლეულის ნამოსახლარებზეც, რიონის ქვემო დინებაზე, აშკარად, შეინიშნება ნამოსახლარების მეჩხერული განლაგება. მდინარე რიონის იმ ზონებში, რომლებიც უფრო მეტად ახლოსაა მთისწინა ზოლებთან, შეიმჩნევა ნამოსახლარების სიმრავლე. მაგალითისთვის, ფოთის მიდამოებში, მდინარე რიონის გაყოლებაზე მხოლოდ შვიდი ხელოვნურად შემაღლებული ბორცვია: 1. ჭალადიდი ჩხარის ტყეში არსებული 4 ბორცვი. 2. ჭალდიდის ზურგა, 3. საბაჟოს პირველი და მეორე უბანი. 4. სირიაჩქონის ოჯოხე. 5. საგვიჩიოს ბორცვების კლასტერი. (ზურგანი, პატარა კონძა,). 6. ფიჩორის პირა ორი ბორცვი. (N3 და N4 ბორცვი). 7. სიმაგრის ბროცვი. (ჯიბლაძე, 2007, გვ. 186) (ტაბულა XXVIII)

[61] დიხაგუძუბაზე გაჭრილია ერთი სადაზვერვო შურფი - რევაზ პაპუაშვილის მიერ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბორცვები მოგვიანო პერიოდში იპრყობდა ადამიანების ყურადღებას, რადგან ხელოვნური შემაღლების ბორცვი უკვე მომზდებული გარემოა სამოსახლოდ. ბორცვებზე, ხშირად ვხვდებით ე.წ. ნაკარაუს, რომელიც მეჯოგეების სადგომად გამოიყენება. ასევე აღსაღნიშნავია, რომ არსებული ბორცვები ანტიკურ პერიოდშიც იქცევდა ყურადღებას, მაგალითად პატარა კონძაზე კრამიტის ფრაგმენტებიც დავაფიქსირეთ სტრატიგრაფიულ ჭრილში, რაც ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ადგილზე ანტიკურ პერიოდშიც იყო მცირე ზომის სამოსახლო.

ძვ.წ III-II ათასწლეულის სამოსახლოების სიმცირე კოლხეთის სხვა რეგიონებთან შედარებით ამყარებს არგუმენტს, კოლხეთის დაბლობის ამ მონაკვეთში საკვები რესურსების დეფიციტზე. ცხადია, მარტო სამეურნეო რესურსების სიმცირეც არაა იმის პირდაპირი მტკიცებულება, თუ რატომ ვერ განვითარდა კონცენტრირებული ურბანიზაცია რიონის ქვემო დინებაზე, აქ, მთავარ ფაქტორად მაინც მდინარე რიონიდან მომდინარე დატბორვის რისკებია.

მაგალითისთვის ,ნამარნუს ვრცელი სამოსახლოს განვითარება შეიძლება უკავშირდებოდეს მის სიახლოვეს მთისწინა ზოლთან. ნამოსახლარი სამხრეთით, 3-5 კილომეტრის დაშორებით მთის ზოლია. ეს ფაქტორი გაადვილებდა მესაქონლეობას და წვდომას საძოვრებთან. შთამბეჭდავია ნამარნუს ბორცვთა სისტემა, რომელიც 20 ჰექტარზე ვრცელდება და როგორც რევაზ პაპუაშვილი აღნიშნავს ის ბევრად აღემატება სხვა, რიონის ქვემო დინებაზე არსებულ ბორცვთა სისტემებს. გარდა ამისა, ნამოსახლარი ყურადღებას იქცევს მისი ტოპოგრაფიული მახასიათებლებით, იგი ტრიალი მინდორიდან ამოზიდული ხელოვნური ბორცვია, რომელიც საკმაოდ კარგად განირჩევა რელიეფიდან. (პაპუაშვილი, 2006, გვ. 61) კიდევ ერთი ფაქტორი მისი ადგილმდებარეობაა, ნამოსახლარი მდებარეობს ნარიონალებისგან შემორჩენილ კალაპოტსა (სამხრეთის ძირითადი ტოტი) და ჩრდილოეთ ტოტს შორის. შესაბამისად, იგი ერთგვარი წყალთაშუა მდებარე ნამოსახლარია, სამხრეთიდან მას კავშირი აქვს: ანტიკური ხანით დათარიღებულ ნამოსახლარებთან-გვიმბალარაური, ფატარა და გაძირულა, ასევე, პალისტომის ტბასთან, რომელიც ყურის ფუნქციას ასრულებს, ხოლო ჩრდილოეთიდან ფოთთან, სიმაგრის ნამოსახლართან, საგვიჩიოს დიხაგუძუბების კლასტერთან(დიდი და პატარა კონძა), სირიაჩკონთან და ასე შემდეგ. ნამარნუ თავისი მნიშვნელობით და დაგეგმარებით ე.წ სატელიტური ნამოსახლარის მოდელს წარმოადგენს, რადგან მის გარშემო ასევე, ფიქსირდება მცირე ზომის ხელოვნურად შემაღლებული ბორცვები, ანჟერი-1 და ანჟერი -2, გულეიკარის ნაეკლესიარი, ნაეკლასიარი ბორცვი. მათ შორის ანჟერ 1-ზე რევაზ პაპუაშვილს დაფიქსირებული აქვს ძვ. წ. VI საუკუნის კერამიკა, ხოლო ანჟერი-2 შესწავლილი არაა. ნაეკლასიარ ბორცვზე ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გაყვანის დროს დაზიანდა ჩრდილოეთ ნაწილი, სადაც დაფიქსირდა, როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტული კერამიკა, ხოლო თარიღად ძვ.წ VI-IV სს-ები იქნა განსაზღვრული. ბორცვებია დაფიქსირებული სოფელ

გულეიკარსა და კეთილარში, სადაც გამოვლენილია ბათქაშის ფრაგმენტები. (პაპუაშვილი, 2006, გვ.63)

ნამარნუს ირგვლივ, 6 კილომეტრის რადიუსში დაფიქსირებულია წინარეანტიკური და ელინისტური პერიოდის ნამოსახლარები, რამდენიმე მათგანი ვახსენეთ უკვე. რევაზ პაპუაშვილის აზრით, სწორედ, ნამარნუს ტერიტორიული სიდიდე უნდა მიუთითებდეს მის ცენტრალურ ფუნქციაზე, ხოლო დანარჩენი დასახლებები მასზე დამოკიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ, პოლიტიკურად, ეკონომიკურად, და შესაძლოა ადმინისტრაციულადაც. თუმცა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მსგავს სამეცნიერო კითხვებს შემდგომმა არქეოლოგიურმა სამუშოებმა უნდა გასცეს პასუხი, რადგან ძალიან მცირე მასშტაბის საველე კვლევაა ჩატარებული ნამარნუს დასახლებაზე.

ნამარნუ თავისი დაგეგმარების პრინციპით ნამდვილად დისპერსიული/გაფანტული ურბანიზმის კლასიკური მოდელია, როდესაც ბუნებრივი გარემო კარნახობს ადამიანს დასახლების ტიპს და არა პირიქით. შესაბამისად, რელევანტურია ვიფიქრო, რომ რიონის უფრო ქვემო დინებაზეც სწორედ, მსგავსი დაგეგმარების სტილი იყო გავრცელებული.

ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში ბერძნულ კოლონიებში ვითარდება ე.წ. „ჰიპოდამიური არქიტექტურა“, რომელიც მილეტში ჩამოყალიბდა, მას შემდეგ, რაც ქალაქი განთავისუფლდა სპარსული მმართველობისაგან. ჰიპოდამიური დაგეგმარება, ეს არის ორგანიზებული მართკუთხა ფორმები და სწორკუთხოვანი შენობები, რომელიც ქმნის სწორხაზოვანი ქუჩების ქსელს, რომელიც დაკვადრატებულ ბადეს მოგვაგონებს. ურბანიზმის ეს სტილი საფუძვლად დაედო, ბერძნულ - რომაულ და სპარსულ ქალაქებს. ჰიპოდამიური ურბანიზმი განკუთთვნილი იყო 10 000 თავისუფალ მოქალაქისთვის, რომელსაც ჯამში კიდევ 40 000 ე.წ. „მომსახურე მოქალაქე“ უნდა დამატებოდა. ყველაზე უფრო ადრეული ჰიპოდამიური დაგეგმარებას შავიზღვისპირეთში, ყირიმში, ხერსონესზე ვხვდებით. იყო, თუ არა საქართველოში მსგავსი ურბანიზმი, გადაჭრით ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს, თუმცა ვანის დაგეგმარება მართლაც შეიცავს მართკუთხა ფორმებს და შენობები ერთმანეთან მიმართებაში, მეტ-ნაკლები სიზუტით არის გასწორებული. თუმცა ვანის ურბანული გეგმარება რელიეფითაც არის ნაკარნახევი. (ტაბულა XXIX. სურ. 1-2-3)

კოლხეთის ადრეანტიკური ურბანიზმის შესახებ მხოლოდ თეორიული ხასიათის მცირე კვლევები არსებობს. მსგავსი, მიმოხილვითი კვლევა ეკუთვნის გურამ კვირკველიას, რომელიც ორი ძირითადი ავტორის, ფსევდო სკილაქს კარიანდელისა და ქსენოფონტეს ცნობებს მიმოიხილავს და ადარებს არქეოლოგიურ მონაცემებს. გარდა ამისა, განხილული აქვს ძველი ურარტული წყაროები კოლხური ქალაქების შესახებ და აჯერებს მას ქსენოფონტეს ცნობებს, რის შედეგადაც მიიღო 4 ძირითადი დასახლებული ტიპის დეფინიცია: 1. სასოფლო

ტიპისი დასახლება (*χώμη*), 2. გამაგრებული პუნქტები (*πόλισμα, χωρίου*), 3. ქალაქები (*πόλις*), 4. დედაქალაქები/სამეფო ქალაქები (*μητρόπόλις*). შესამაბისად, ბერძნების მიერ, ნებისმიერი სახის ადგილობრივ წიაღში წარმოშობილი სამოსახლო წარმონაქმნების ნაწილი ბერძნების მიერ აღიქმებოდა პოლისად. (კვირკველია, 2002, გვ. 25)

ჩვენი აზრით, სწორედ ფასისიც მსგავსი პრინციპით უნდა გაშენებულიყო, ხელოვნურად შემაღლებულ ბორცვებზე, და როგორც გურამ კვირკველია აღნიშნავს თავის კვლევაში, მსგავსი ადგილობირივ წიაღში წარმოშობილი დასახლებები, რომლებიც ბორცვებზე იყო გაშენებული ბერძნებისთვის აღიქმებოდა პოლისად.

ადრეანტიკური ურბანიზმის შესახებ კიდევ ერთი კვლევა ეკუთვნის დარეჯან კაჭარავას, რომელმაც მიმოიხილა ტერმინი - ***„πόλις Ελληνίς“***. აღნიშნული ტერმინი გამოყენებულია ფსევდო-სკილაქსთან, არიანესთან, ანონიმთან, სტრაბონთან, აპიანესთან და დიონ ქრისოსტომთან. დ. კაჭარავას აზრით, ყველა ეს ტერმინი მოკლებულია პოლიტიკურ დატვირთვას და ის მხოლოდ ურბანისტული გაგებით არის ნახმარი. მისი განმარტებით, ტერმინით - ***„πόλις Ελληνίς“*** დახასიათებულია მხოლოდ ბერძნული ახალშენები, მათი წარმომავლობის მიუხედავად. (იონიური, დორიული). (კაჭარავა, 2002, გვ. 22)

დ. კაჭარავას აზრით, თეორიის თანახმად, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ, შავიზღვისპირეთის ელინური პოლისების ტიპოლოგია დაფუძნებულია სამ ჯგუფზე: ეკოლოგიური პირობები, დემოგრაფიული ვითარება რეგიონში და მიწის ფონდის ორგანიზაციის ხასიათი. ამ მონაცმების ანალიზის საშუალებით არის შესაძლებელი ახალშენების რამდენიმე ტიპი გამოიყოს, ხოლო უპირველესად მიიჩნევს სამიწათმოქმედო პროფილის დასახლებები. სამიწათმოქმედო პროფილის ქალაქების მიდამოებში ნაყოფიერი მიწების საკმაოდ დიდი ფართობები ივარაუდება. მაგალითისათვის ყირიმის ნახევარკუნძულზე (უკრაინა) არსებული ქალაქების სამიწათმოქმედო ხასიათი აღიარებულია მეცნიერთა შორის. არქაულ პერიოდში ბერძნების ახალშენების გაჩენის დროს აქ თითქმის არ არსებობდა ადგილობრივი მოსახლეობა. (კაჭარავა, 2002, გვ. 23) ჩვენი აზრითაც, ყირიმის ქალაქების განვითარების და დემოგრაფიული ზრდის ერთერთი ხელშემწყობი ფაქტორი, ფართო სამიწათმოქმედო ტერიტორიების არსებობაა, რაც ფასისის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ფაქტორია.

როგორც დ. კაჭარავს აღნიშნავს კოლხეთის სანაპირო მჭიდროდ არის დასახლებული ძვ. წ. II – I ათასწლეულის მეორე ნახევარში, უშუალოდ ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში. (კაჭარავა, 2002, გვ. 24) ჩვენი აზრით, სწორედ კოლხეთის დაბლობის მჭიდრო ადგილობრივმა დასახლებებმა ბერძნულ ახალშენებს შეუზღუდეს წვდომა ადგილობრივ სამიწათმოქმედო, ისედაც მცირე ტერიტორიებზე, რამაც საბოლოო ჯამში ხელი შეუშალა ფასისის დემოგრაფიულ განვითარებას და ვერ მოხერხვდა ე.წ. კლასიკური გაგების კონცენტრირებული

ურბანიზმის გაშენება-განვითარება. ცხადია, მიმდინარეობდა ეკონომიკური კავშირები კოლხურ მოსახლეობასთან, რასაც კოლხური მონეტების არსებობა ადასტურებს, მაგრამ აღნიშნული ვერ იქნებოდა საკმარისი ბერძნულ ახალშენს შეევსო ის საკვების დეფიციტი, რომელიც უზრუნველყოფდა ქალაქის დემოგრაფიულ და ურბანულ განვითარებას.

ისტორიკოსი ნათია ფიფია წერილობით დოკუმენტებზე დაყრდნობით, გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძვ. წ. VI-II საუკუნეებში ქალაქ ფასისს აქვს ბერძნული პოლისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ნიშანი: 1) დამოუკიდებლობა, 2) ქალაქის მფარველი ღვთაების ტაძრების არსებობა, 3) მონეტების ემისია, 4) მიმდებარე ტერიტორიების სვინოიკიზმი (*Synoecism*), 5) ახალშენების დაარსება, 6) ტაძრებთან არსებული სავახშო კაპიტალი. (ფიფია 2014:169) პირველ სამ მოსაზრებას ვეთანხმებით, ცხადია, მონეტების ემისია ნამდვილად განსაზღვრავს პოლისის დამოუკიდებლობას. მეორე მოსაზრებაში, დამოუკიდებელი ტაძრების არსებობის შესახებ მხოლოდ წერილობითი ცნობები არსებობს, ისიც მოგვიანო პერიოდის და არა უშუალოდ კლასიკურისა. რაც შეეხება მეოთხე მოსაზრებას სვინოიკიზმის შესახებ, რომელიც ქალაქის მომიჯნავე ტერიტორიების მიერთებას გულისხმობს, ამ თეზასთან დაკავშირებით, არქეოლოგიური მტკიცებულება ფიზიკურად არ არსებობს. ჩვენი აზრით, პირიქით, ადგილობრივი კოლხური მოსახლეობა არ დაუშვებდა, ისედაც ლიმიტირებული რესურსების გარემოში ბერძნული ტერიტორიების გაფართოებას, თუმცა კოლხურთი თეთრის მოჭრა, ნამდვილად ნიშნავს ადგილობრივი კოლხური მოსახლეობის ერთიან ეკონომიკურ ზონაში მოთავსების მცდელობას.

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე, საფუძვლიანი ეჭვი გვიჩნდება, გამოვთქვათ მოსაზრება, იმის შესახებ თუ როგორია ჩვენი მოლოდინი, როგორი უნდა ყოფილიყო ფასისის ახალშენი ძვ. წ. VI საუკუნეში? იყო თუ არა ადგილზე ის რესურსი, რითაც შეძლებდა ქალაქი ფორმულირებულიყო კლასიკური ბერძნული ურბანული მოდელით? ხომ არ არის ფასისის ლოკალიზაციის აქტუალურობა ინსპირირებული არგონავტების მითოსით, რამაც გამოიწვია გადაჭარბებული მოლოდინების შექმნა.

რიონის დელტაში აქტიურია ბუნებრივი რისკები, ლიმიტირებულია საკვები, ადგილზე გხვდება ეკონომიკურად მოძლიერებული კოლხური კულტურა, შესაბამისად, კითხვა უნდა დავსვათ, როგორი იქნებოდა ბერძნული ფასისის ისტორიული დაგეგმარება? შეძლებდნენ ბერძენი კოლონისტები ახალი ურბანული მოდელის შემოტანას არეალში, სადაც უკვე არსებობდა ადაპტირებული ცხოვრების წესები. ჩემი აზრით, ცხადია ფასისის ფუნქცია ძვ. წ. მეექვსე საუკუნეში ნამდვილად დიდია სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით, მაგრამ იყო, თუ არა საკმარისი შექმნილიყო ე.წ. კონცენტრირებული ურბანიზმი, სადაც საკვები რესურსები იქნებოდა თვითკმარი და შეძლებდა მოსახლეობა პოპულაციურ ზრდას, რათა ტოიბენეს შემოთავაზებული ბერძნული ურბანიზმის ციკლის ყველა

ეტაპი გაევლო?! ცხადია, მილეტიდან ერთდროულად არ წამოვიდოდა ის მოსახლეობრივი რესურსი, რომელსაც შეეძლებოდა სპონტანურად ქალაქის დაარსება. შესაბამისად, ჩვენი ვარაუდით, ბერძნული ახალშენი დაარსდებოდა, ისეთივე პრინციპით, რომელიც გავრცელებული იყო კოლხეთში, რიონის ქვემო დინებაში, სადაც შეუძლებელია გარემო ფაქტორებიდან გამომდინარე ბუნებრივი რისკებისგან თავის დაცვა. დღესაც ქალაქი ფოთისა და რიონის ქვემო დინების სოფლებიც წყალდიდობების რისკის წინაშეა.

ქალაქ ფასისის მეორე ფაზა - ელინიზმი

ქალაქ ფასისის მეორე ფაზა უკავშირდება ე.წ. ელინიზმის ეპოქას, აღნიშნულ ეპოქაში უფრო მეტი კითხვა არსებობს, ვიდრე პასუხი. წერილობითი წყაროებში, რომელსაც ჩვენი დისერტაციის ძალიან დიდი ნაწილი ეთმობა, აშკარად, გამოიკვეთა მნიშვნელოვანი ფენომენი, რომელსაც ჩვენ ელინისტური კრიზისი ვუწოდეთ. ჯერ კიდევ ერთიანი შეთანხმებული კონცეფცია არ არსებობს ელინიზმის გავლენასა და მოდელზე საქართველოში.

როგორც ვახტანგ ლიჩელი აღნიშნავს, ოდესღაც ოქრომრავალი კოლხეთი ძვ. წ. IV საუკუნიდან ბობოქარი პოლიტიკური მოვლენების მიღმა აღმოჩნდა. არც ალექსანდრე მაკედონელს და არც მის შთამომავლებს არ გამოუჩენიათ ინტერესი აღმოსავლეთ შავი ზღვის რეგიონის მიმართ. პრაქტიკულად, იბერია და კოლხეთი ბერძენ-მაკედონელთან ინტერესების მიღმა დარჩა. (ლიჩელი, 2001, გვ. 62)

ასევე, საინტერესო დაკვირვებას ვხვდებით, რევაზ პაპუაშვილთან, მისი თქმით კოლხეთში მყარად დათარიღებული ძვ. წ. II-I საუკუნის ძეგლები ჩვენთის ცნობილი არაა, რასაც უკავშრებს ე.წ. ნიმფეურ ტრანსგრესიას. (პაპუაშვილი, 2014, გვ. 88)

საინტერესო შეხედულებას ვკითხულობთ გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგებიდან. ფიჩორისაპირა დასახლებებში-გვიმბალაურში, ფატარასა და გაძირულში საჭირო გახდა იატაკის დონის ხელოვნურად შემაღლება, რათა მათ თავი დაეცვათ ნესტისაგან და წყლისგან. აღნიშნული სამოსახლოები, რომლებიც ბორცვებზეა გამართული, არსებობას წყვეტს ძვ. წ. III საუკუნის მიწურულსა, ან ძვ. წ. II საუკუნეში. პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა, სინესტისა და წყლის მომატება, გამოიწვევდა სამეურნეო სავარგულების (სამიწათმოქმედო ბაზის) მკვეთრ შემცირებას, ამდენად, მკვიდრი მოსახლეობა გადადის მთისწინა ზოლში საცხოვრებლად (ქვიანი, ჭყონაგორა და სხვა). (სადრაძე 2006:12-13)

რიონის ქვემო დინებაზე ადრეანტიკურ ძეგლებთან შედარებით, ელინისტური ხანის ძეგლები ნაკლებადაა გამოვლენილი. სულ შეიძლება პოტენციურად სამი არეალი გამოიყოს, სადაც დაფიქსირებულია ელინისტური პერიოდისათვის დამახასიათებელი კერამიკა, ესენია - სიმაგრიდან სამხრეთით, 1 კილომეტრის დაშორებით არსებული ძეგლი (N26 თხრილი), საჭოჭუოს დიხაგუძუბები თხინას ტყეში, პატარა ფოთი. N26 თხრილი სადაზვერო მიზნით

არის გათხრილი და მონაცემები შედარებით მწირია. თხინას ტყეშიც მხოლოდ ერთი სადაზვერვო შურფია გაჭრილი და კომპლექსური სამუშაო არაა ჩატარებული. რაც შეეხება, პატარა ფოთს, აქ უკვე განადგურებულ მცირე ზომის ბორცვზეა საუბარი, სადაც რამდენიმე ფრაგმენტია კერამიკის, რომელიც შეიძლება ასოცირდებოდეს ელინისტურ ხანასათან. მაშასადამე, მოცემული ფარდობითობა ადრეანტიკურ ძეგლებსა და ელინისტურ დასახლებებს შორის ნამდვილად დიდია. გურიაში სამი ადრეანტიკური პერიოდის ძეგლი მიტოვებულია, ცეცხლის კვალის გამო შეგვიძლია ვივარაუდოთ რიონის ტერასის დასახლების განადგურება. სიმაგრის ბორცვი წყვეტს არსებობას. ადგილ ნატეხებზე დაფიქსირებულია ადრეანტიკური მასალა მცირე რაოდენობით, მრავლადაა წარმოდგენილი გვიანანტიკური მასალა, მათ შორის არ ფიქსირდება ელინისტური ხანა. ამდენად, ცნობებში არსებული ელინისტური წყაროების სიმცირე ერთგვარად რეფლექსირებულია არქეოლოგიურ მონაცემებთანაც.

მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ მითრიდატესეული ომები, სადაც პონტოს სამეფო დაუპირისპირდა რომაულ იმპერიას. არსად, არცერთ კონტექსში ქალაქი ფასისი ნახსენები არაა. ვხვდებით მდინარეს, როგორც გეოგრაფიულ მარკერს.

საბერძნეთის კონტინენტიდან და იონიიდან დანახული ფასისი-კოლხეთის რეგიონი აღქმულია პერიფერიად, სამყაროს დასალიერად, რომელიც ამასთანავე, ასოცირდება არგონავტების მითთან. ეს აშკარად კარგად გამოიკვეთა ფასისის შესახებ ცნობების ანალიზში. ბერძნულ კლასიკურ ლიტერატურაში აშკარად შეიმჩნევა ნეგატიური განწყობა კოლხეთის მიმართ. როგორც ჩანს, ელინიზმის დადგომასთან ერთად, ბერძნული სამყაროსთვის ახალი ეკონომიკური ზონები და მიმართულებები გაიხსნა, რომელმაც მოიცვა ჩრდილოეთ აფრიკა, მახლობელი აღმოსავლეთი და ცენტრალური აზია. შესაბამისად, ისედაც პერიფერიული რეგიონი ამოვარდა საერთო ბერძნული სურათიდან.

ფასისი ციხე-ქალაქების ეპოქაში (I-VIII - საუკუნეები)

მესამე ფაზა, რომელიც მოიცავს ქალაქის ისტორიის განსაკუთრებულ ნაწილს. აღნიშნული პერიოდი გამოირჩევა რამდენიმე ძალზედ მნიშვნელოვანი საისტორიო მოცემულობით. პირველ რიგში, რომაელების (შემდგომში ბიზანტია) გამოჩენა შავიზღვისპირეთში, რომელმაც საკუთრივ, მნიშვნელოვანი კულტურული ცვლილებები მოიტანა კოლხეთში. მეორე, სასანური ირანის ინტერესების ზრდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, რათა მათ გაედევნათ აღმოსავლეთ რომის იმპერია რეგიონიდან, მოეპოვებინათ გასასვლელი შავ ზღვაზე და დაუფლებოდნენ კავკასიონის დასავლეთ ნაწილის რესურსებს. მესამე - კოლხეთში ქრისტიანობის გავრცელება, რომელმაც მთლიანათ მოიცვა დასავლეთ საქართველო, ხოლო მალევე ფასისი გარდაიქმნა დასავლეთ საქართველოს

უმთავრეს რელიგიურ ცენტრად, ხოლო ეს ყველაფერი ბოლოვდება არაბების გამოჩენით, რომლებმაც აშკარა კვალი დაამჩნიეს მთელს დასავლეთ საქართველოს. სწორედ, ასეთ ფართოს საისტორიო პერიპეტიებში თავსდება ქალაქ ფასისის ისტორიის ეს ნაწილი.

ისტორიკოსი თემურ თოდუა, წერილობითი წყარორებისა და არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე I-IV საუკუნეების პერიოდს ციხე-ქალაქების ეპოქად მოიხსენიებს. (თოდუა, 2006, გვ 67-80) არსებულ კონცეფციას ჩვენც ვეთანხმებით, რადგან შავიზღვისპირა ზოლში დადასტურებულად ჩნდება რომაული, მილიტარისტული ყაიდის ციხესიმაგრეები. თემურ თოდუას დაკვირვებით, ფასისს მთლიანად დაკარგული არ ჰქონდა საქალაქო ფუნქცია, რადგან არიანე გვაწვდის ცნობებს, ქალაქის შესასვლელში არსებულ ფასიანელთა ქალღმერთის ქანდაკებასა და ძველი ღუზების მუზეუმზე და როგორც არინე აღნიშნავს, ის, ციხე ქალაქში კი არა, არამედ სხვაგან-„*Μέντοι*“, სხვა ადგილას მდებარეობს. თემურ თოდუას დაკვირვებით, ციხე-სიმაგრე დიდი მანძილით არ უნდა ყოფილიყო დაშორებული საქალაქო ცენტრსა და ვეტერანების დასახლებას, სადაც არიანეს ცნობით გადამდგარი ჯარისკაცები ცხოვრობდნენ. (თოდუა, 2006, გვ. 71)

ჩვენთვის საინტერესოა, ზემოაღნიშნული დაკვირვება, რადგან, საქალაქო დასახლებასა და ციხე-კასტელუმს შორის დისტანციაც, ირიბი მანიშნებელია დისპერსიული ურბანიზმის.

გვიან ანტიკურ პერიოდსა და ადრე შუასაუკუნეებში ფოთის მიდამოებში შეიმჩნევა საინტერესო ტენდენცია. იმ შემთხვევაში, თუ კრამიტს ჩავთვლით ურბანიზმის დამახასიათებელ არტეფაქტად, მაშინ აშკარად შეიმჩნევა რამდენიმე ლოკაცია, სადაც არქეოლოგიურად დადასტურებულია, ამ პერიოდის გვერდებაკეცილი ტიპის (სოლენის) კრამიტის ფრაგმენტები. 1. ადგილი ნატეხები (პალიასტომის სამხრეთ დასავლეთი) 2. კაპრჭინას ნაპირი, ფოთის თანამედროვე სასაფლაო. 3. პალიასტომის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან, ტბაში, 50 სმ სიღრმეზე, 4. ფოთის კოშკის გარშემო ტერიტორია. 5. ადგილი ნაჯიხური, ფოთის აეროპორტის ჩდილო-დასავლეთი ნაწილი.

კიდევ ერთი გვიანანტიკური პერიოდის ძეგლი ფოთის ცენტრალურ ტერიტორიაზე, რიონის მარჯვენა სანაპიროზე შეისწავლა არქეოლოგმა ნინო ხოშტარიამ. აღნიშნული ადგილიდან შემთხვევითი მონაპოვარია წელშეზნექილი, კოლხური ამფორა, რომელიც ფოთის კოლხური კულტურის მუზეუმში ინახება. სწორედ, ამის საფუძველზე არქეოლოგიური ჩარევით, ნინო ხოშტარიამ ადგილზე დაადასტურა ხის შენობის ნაშთები. აღმოჩენა დაუკავშირდა აგათია სქოლიასტის პერიოდს და დათარიღდა ახ. წ. IV-V საუკუნით. (ხოშტარია, 1953, გვ. 33)

არქეოლოგიური მონაცემების დაკვირვების საფუძველზე, აშკარად შეიმჩნევა გვიან ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლე.

დაფიქსირებულად 6 ძეგლია ფოთის მიდამოებში. ამას დამატებული რიონის არხის გადაღმა, ე.წ. სანერგე ტერიტორიაზე, რევაზ პაპუაშვილის მიერ გამოვლენილი შენობის კვალი, რომელიც, ასევე, იმავე პერიოდით თარიღდება. შესაბამისად, ნამდვილად გვაქვს ძეგლების სიმრავლე. ცხადია, პრობლემაა აღნიშნული ძეგლების ზუსტი ფუნქციის განსაზღვრა, რადგან რიგ შემთხვევაში შეუძლებელია მათი ინტერპრეტაცია. ნაჯიხურის შემთხვევაში, თუ შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ იგი იყო მილიტარისტული ფუნქციის რომაული ციხესიმაგრე, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ბევრად უფრო რთულია ინტერპრეტირება.

დასახლებების ფუნქციათა განსაზღვრისათვის, შეგვიძლია ფრთხილი ვარაუდის გამოთქმა ადგილ ნატეხებთან დაკავშირებით. ვინაიდან სამოსახლოს ტიპის შესახებ ხელჩასაჭიდი არგუმენტი არ გვაქვს, ინტერპრეტაციის ერთადერთი წყარო აღმოჩენილი არტეფაქტებია. ნატეხებზე დომინანტურად ჭარბობს კერამიკული ტარის ფრაგმენტები, როგორც ადგილიბრივი, ისე იმპორტირებული. შესაბამისად, აშკარაა ეკონომიკური აქტივობა. კიდევ უფრო ბუნდოვანია ნაჯიხურის შესახებ არსებული ინფორმაცია, ციხის შესახებ არსებული ინფორმაციის შეკოწიწება, მხოლოდ სხვადასხვა ირიბი წყაროსგან შეგვიძლია, უმეტესწილად, ძველი სატელიტური ფოტოები, ტოპოგრაფიული რუკები. იკითხება ციხის ოთხკუთხა გარე კედლის კონტური და თავდაცვითი თხრილი, თუმცა სხვა დანარჩენი უცნობია. არ გვაქვს ინფორმაცია ციხის შიდა სტრუქტურაზე, გარე დასახლებაზე. ამ არქეოლოგიურმა გათხრებმა ნაჯიხურზე მხოლოდ მეორეული ფენები დააფიქსირა. ნაჯიხურის შემთხვევაში, მეორეულ ფენებში უმეტესი რაოდენობა სამშენებლო თიხის ნაწარმია, კრამიტისა და აგურის ფრაგმენტები. შესაბამისად, არსებული ინფრომაცია გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ერთიდაიგივე პერიოდის ძეგლის ფუნქციაზე: ადგილი ნატეხები, როგორც ფასისის ქვეყნის ეკონომიკური ცენტრი, ხოლო ნაჯიხური - გასამხედროებული ციხე, რომლის გარშემოც დადასტურებულია მცირე სამოსახლოები.

ფოთი/ფასისი შუასაუკუნეებში

ფასისის შუასაუკუნეების და მომდევნო პერიოდის კვლევამ მნიშვნელოვან მეცნიერულ დისკუსიას უნდა დაუდოს საფუძველი, რომელიც შეიძლება გახდეს მთავარი გასაღები ქალაქის ადგილმდებარეობის დადგენაში. ცხადია, ინტერდისციპლინარული მიდგომებისა და მეთოდოლოგიური კვლევის გარეშე ლოკალიზაციის პრობლემის გადაწყვეტა გართულდება. ამდენად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ფასისის შუასაუკუნეების ისტორიის კვლევისათვის წინ წამოვწიოთ, რამდენიმე სადისკუსიო საკითხი,როგორიც არის:შუასაუკუნეების გეომორფოლოგია.იმ შემთხვევაშიც, თუ გამოვრიცხავთ შავი ზღვის დონის

